ზაალ ნემსაძე

ნუ მიმატოვებ!

ნოველები

თბილისი
2023

ზაალ ნემსაძე: ნუ მიმატოვებ! (ნოველები)
გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი 2023. გვ. 178.

კრებულში თავმოყრილია თანამედროვე საქართველოს ცხოვრებაზე შექმნილი ნოველები და მოთხრობები.

მწერალი პირუთვნელად გვიამბობს იმ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ზნეობრივ პრობლემებზე ჩვენს არსებობას რომ ნიადაგ თან ახლავს.

რედაქტორი: **რევაზ მიშველაძე**

ტექნიკური
რედაქტორი: **ლევან ბოჭორიშვილი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **სოფო ქილიფთარი**

კორექტორი: **ფიქრია ნემსაძე**

ISBN 978-9941-8-5532-0

წინათქმა

ზაალ ნემსაძის სახელი ორი ათეული წლის წინ გამოჩნდა ლიტერატურულ ასპარეზზე.

პირველივე წიგნებით დაგვამახსოვრა თავი.

თავდაპირველად გავიცანით როგორც გამოცდილი პუბლიცისტი, მართლმადიდებლური წყაროების ჩინებული მცოდნე და კინოსცენარისტი.

ჭეშმარიტი ნიჭი ყველა ამ სფეროში აშკარა იყო და ზაალ ნემსაძე დამსახურებულად გახდა მწერალთა კავშირის წევრი, ცოტა მოგვიანებით კი ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიაც დაიმსახურა.

თურმე აქამდე გამოქვეყნებული მისი ხუთიოდე წიგნი პრელუდია იყო ჭეშმარიტ პროზაში შესაბიჯებლად.

აქამდე პროზის ჟანრებისთვის თავი არ ეღირსებოდა.

დიდხანს ემზადებოდა იმ ურთულეს ფენომენთან შესაჭიდებლად, რომელსაც ნოველა და მოთხრობა ჰქვია.

ცხოვრებას მწერლის თვალით აკვირდებოდა, ცდილობდა საინტერესო ამბები შეემჩნია და მხატვრული აზროვნების ქურაში გაეტარებინა; მერე ჭეშმარიტი ოსტატის რუდუნებით სათქმელი გაჭიანურების გარეშე მოკლედ და ლამაზად ეთქვა.

და ახლა, ჩვენდა სასიამოვნოდ, მან ჩათვალა, რომ პირველი პროზაული ნადავლი, მართალი ნოველების წიგნი - „ნუ მიმატოვებ“ მკითხველის სამსჯავროზე გამოეტანა.

ძვირფასო მკითხველო,

გულდასმით წაიკითხე ეს წიგნი.

თუ ლიტერატურისა რამე გამეგება, დარწმუნებით გეტყვით, რომ შიგ, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენს ცხოვრებას აღმოაჩენ - ჩვენს ტკბილ-მწარე ცხოვრებას, ყოველდღიური პრობლემებით და ტკივილებით სავსეს.

კრებულში თითქმის ყველა ნოველა საინტერესოა, ზოგი კი თავისი სრულყოფილებით კლასიკურს უახლოვდება (მაგა-

ლითად: „შეხვედრა“, „ნუ მიმატოვებ“, „მარიამ, მიყვარხარ“ და სხვ.).

აქვეა ორი შთამბეჭდავი დოკუმენტური მოთხრობა „მადლი და „გარეჯი“. პირველი იმაზე მოგვითხრობს, თუ როგორ ჩავიდა საქართველოს ცკ-ს პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი მიწისძვრით დანგრეულ სპიტაკში მოძმე ერის საშველად, ხოლო მეორე იმავე პერსონაჟის მიერ ისტორიული გარეჯის დასაბრუნებლად გაწეულ რუდუნებაზე ღაღადებს.

შთამბეჭდავი სიუჟეტები, ზუსტი დიალოგები, სხარტი, მიმზიდველი თხრობა - ის საშური თვისებებია, რაც ზაალ ნემსაძის ამ ახალი წიგნის გამარჯვების გარანტად გვესახება.

რევაზ მიშველაძე,
საქართველოს სახალხო მწერალი,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

ნუ მიმატოვებ!

10 თებერვალს, დილის ათის ნახევარზე, საუზმობის დროს, ანტონმა მეუღლეს, ადას, ქვეშ-ქვეშა ღიმილით გახედა და უთხრა: – უნდა დავშორდეთ. სხვა ქალი მყავს.

ადამ პირთან მიტანილი ყავის ფინჯანი მოუსმელად დადო და გაშეშდა.

– გთხოვ, ისტერიკები არ გინდა, – განაგრძო ანტონმა, – მხოლოდ საჭირო ნივთებს წავიღებ. ბინას და მანქანას გიტოვებ, არც შენ და არც ჩვენ შვილს ყურადღებას და დახმარებას არ მოგაკლებთ, მაგრამ სხვა მიყვარს. მორჩა და გათავდა.

ადამ ყავა მოსვა.

– თუ სხვა გიყვარს, – წაიჩურჩულა, – დავშორდეთ, ძალის დატანებას რა აზრი აქვს?

– ჭკვიანი ქალი ხარ. ის, რაც მოსახდენია, მოხდება. მადლობა ყველაფრისთვის და ბოდიში, რომ, ცოტა არ იყოს, ღორულად ვიქცევი, მაგრამ ალისა მიყვარს.

– გასაგებია, ალისა საოცრებათა ქვეყნიდან.

– ადა, არ გინდა ირონია. წყნარად დავშორდეთ.

– თანახმა ვარ, ოღონდ ერთი სათხოვარი მაქვს. ჩვენი შვიდი წლის ურთიერთობა უფლებას მაძლევს, მოგახსენო, – უკვე მშვიდი ხმით უთხრა ცოლმა.

– გისმენ!

– მინდა ერთი თვეც ვიცხოვროთ ერთად, მერე კი გაგიშვებ სამუდამოდ.

– ეს რაღა ახირებაა? ერთი თვე რას შეცვლის? – უკმაყოფილოდ იკითხა ანტონმა.

– არც არაფერს. ამ ერთი თვის განმავლობაში ყოველ დილით სამსახურში რომ დავაპირებ წასვლას, კარებამდე ხელში აყვანილი უნდა მიმაცილო, – დაიჟინა ქალმა.

– შენი ოფისის კარებამდე?

– არა, ჩვენი ბინის.

– მერე?

– მერე არაფერი, ორივე წავალთ სამსახურში და ისე ვიცხოვრებთ, როგორც აქამდე.

– სანამდე?

– ზუსტად ერთი თვე ანუ 10 მარტამდე. მერე წადი შენს ალისასთან.

– კარგი! – დაეთანხმა ქმარი და წასასვლელად მოემზადა.

– მოიცა, ბავშვს ჩავაცმევ, – აჩქარდა ადა.

პატარა თევდორე ასეთი გახარებული მშობლებს კარგა ხანია არ უნახავთ. როგორც კი ანტონმა ადა ხელში აიყვანა და ქალიც მიეხუტა, ბიჭმა ტაში შემოკრა და აკისკისდა. გარეთ გასულმა კი დედაც და მამაც აიძულა, დახრილიყვნენ და ორივე ლოყაზე ერთდროულად ეკოცნათ. როცა წელში გაიმართა და წინ წასულ ცოლ-შვილს თვალი გააყოლა, ანტონს თითქოს რაღაც ჩასწყდა მკერდში... უსიამოვნო გრძნობები აეშალა, თუმცა ალისას ლამაზმა ხატებამ ყველაფერი გადაფარა და ცოლშვილს ლიფტთან წამოეწია...

ასე გაგრძელდა ამ ოჯახის ცხოვრება. ანტონი და ადა დილის რიტუალს ორი კვირა ასრულებდნენ, თევდორეს უხაროდა... ორი კვირის შემდეგ, საღამოს, ადამ ქმარს უთხრა: – ორკვირიანი შვებულება ავიღე. მინდა სახლში ვიყო, თევდორესაც არ გავუშვებ ბაღში, მინდა ჩვენი ერთად ცხოვრების ბოლო დღეები შენს ზრუნვაში გავატარო, სულ სამზარეულოში ვიტრიალო და შენი საყვარელი კერძებით გაგიმასპინძლდე.

– რა, ახალი თამაში წამოიწყე? – გაეცინა ანტონს.

– არავითარი თამაში, უბრალოდ, როცა ერთად აღარ ვიქნებით, სიყვარულით და პატივისცემით მომიგონო.

– ყოველთვის დიდი სიყვარულით მოგიგონებ, – მოვალეობის მოხდის მიზნით უთხრა ანტონმა. ადამ იგრძნო ეს, თუმცა არ შეიმჩნია, ანტონი მიხვდა, რომ ცოლს გული ატკინა და რომ გამოესწორებინა თავისი საქციელი. ხელში აიყვანა და დატრიალდა. ამ ტრიალში ტახტზე აღმოჩნდნენ და რომ არა თევდორე, ასე უბრალოდ ვერ დაშორდებოდნენ ერთმანეთს. მერე ანტონის ტელეფონი აწკრიალდა, ამ დროს ალისა ურეკავდა. მისმა

ზარმა ანტონი პირველად გააღიზიანა მასთან ურთიერთობის მთელი პერიოდის მანძილზე, თუმცა არ შეიმჩნია...

8 მარტი ანტონმა ცოლს სტანდარტულად, ტორტით და ყვავილებით მიულოცა და ალისასთან გაეშურა. გვიან ღამით ნასვამი დაბრუნდა, მძინარე ცოლს მიუწვა. ადამ თავი მოიმძინარა, დილით კი სამზარეულოში თვალებაწითლებული ქმარი დაინახა, ყავა დაუსხა და დაელოდა. უყურებდა როგორ სვამდა ყავას. მერე თვალები დახუჭა და როცა ქმარმა ხელში აიყვანა, ისე ჩაეხუტა, ანტონმა ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოახერხა, თვალებში ჩახედა და ტუჩებში აკოცა, კართან მოსულს ცოლის გაშვება აღარ უნდოდა.

– ვერც კი შევამჩნიეთ – გაიცინა ადამ.

– რა? – ხმა უთრთოდა ანტონს.

– ორი კვირაა არსად მივდივარ და შენ მაინც ხელში აყვანილი მოგყავარ ამ კართან.

– მართლა? ვერც მე შევამჩნიე, – გაუხარდა ქმარს...

საღამოს, სახლში მოსულს, ცოლმა შემწვარი თევზი დაახვედრა პომიდვრის საწებლით. ეს ანტონის უსაყვარლესი კერძი იყო და ადა ნებისმიერ მზარეულზე უკეთ ამზადებდა. თევდორეს უკვე ეძინა, ცოლ-ქმარი დიდხანს იჯდა სამზარეულოს მაგიდასთან და ბოლოს ადამ დაარღვია სიჩუმე: – ხვალ, თევდორე ბაღში წაიყვანე. შვებულება დამიმთავრდა.

– კარგი, ორივეს ერთად წაგიყვანთ.

– არა, მე მოგვიანებით წავალ. ისე, თუ გამომივლი შუადღეზე და წამიყვან, მადლობელი ვიქნები.

– კარგი, – თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია ანტონმა.

... დილით, ბიჭი რომ დატოვა ბაღში, ანტონმა თავის ოფისში დარეკა და „დღეს ვერ მოვალო“, აცნობა. მერე კი ოქროულობის მაღაზიას მიაშურა. დიდხანს არჩია და ბოლოს ყველაზე ძვირფასი ბეჭედი შეურჩიეს. მერე ყვავილების უზარმაზარი თაიგულიც იყიდა და გეზი სახლისკენ აიღო. „მივალ, ადას ბოდიშს მოვუხდი. მაპატიებს.უსათუოდ მაპატიებს“... ლიფტიდან რომ გამოვიდა და ზარის ღილაკს შეეხო, გული შეყვარებულივით

უთრთოდა... კარი არავინ გაუღო. გასაღები მოძებნა, გააღო და შევიდა. „ნუთუ არ დამელოდა?“ – ეს გაიფიქრა და საწოლი ოთახის კარი შეაღო. ადა უსიცოცხლოდ იწვა საწოლზე და ხელები გადაშლილი ჰქონდა. ანტონი ცოლს ეცა, სიცოცხლის ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა. გამოიძახა 112. ექიმმა დიდი წვალების და ჯახირის მერე ადა მოასულიერა და სასწრაფოდ მისი საავადმყოფოში გადაყვანა მოითხოვა...

ანტონს მკურნალმა ექიმმა ოთხი დღის შემდეგ უთხრა, რომ მისი მეუღლე კიბოს ბოლო სტადიაში იყო და გადარჩენის შანსი ერთი პროცენტიც არ იყო.

– რატომ დამიმალე? – ჰკითა ანტონმა პალატის საწოლზე მისვენებულ მეუღლეს.

– უკვე ორი წელია ნელ-ნელა ვკვდები, – სვენებ-სვენებით უთხრა ცოლმა, – მაგრამ ისე ძალიან მიყვარხარ, ვერ გეტყოდი.

– რატომ, რა მიზეზით?

– შენ უკვე ორ წელზე მეტია სხვა ქალი გიყვარს. არ მინდოდა ჩემი ავადმყოფობის გამო, ჩემდამი სიბრალულის თუ მადლიერების გამო ალისა დაგეკარგა.

– აბა ბოლო ერთთვიანი ცირკი რაღას მომიწყვე?

– ესეც შენი სიყვარულით გავაკეთე, – გამშრალი ტუჩები მოილოკა ადამ.

ანტონმა წყალი დაალევინა.

– ჩემი სიყვარულით გააკეთე?

– ხო, მხოლოდ შენი სიყვარულით და კიდევ ერთი, ჩვენთვის საყვარელი ადამიანის, თევდორეს სიყვარულით. ჩვენი დილანდელი რიტუალი სწორედ ბიჭისთვის იყო. მინდოდა, დაენახა, რა დიდი სიყვარული იყო ჩვენს შორის, როგორ მატარებდი ჩახუტებულს და ხელში აყვანილს. ამის გამო მას ძალიან ეყვარებოდი მთელი სიცოცხლე. აბა, წარმოიდგინე, თებერვალში რომ მიგეტოვებინეთ, ის ჩემს სიკვდილს არასოდეს გაპატიებდა. ახლა კი...

– ეს რამხელა გული გქონია. მაპატიე, იმ დღესვე მინდოდა შენთვის პატიება მეთხოვა, როცა გულწასული დამხვდი. კიდევ

კარგი, სახლში იმაზე ბევრად ადრე დავბრუნდი.... ვიცი, უპატიებელი ბრალი მიმიძღვის, მაგრამ შენ ისეთი გული გაქვს, უნდა მაპატიო. აი, ეს ბეჭედი გიყიდე იმ დღეს...

და გაუკეთა თითზე.

– მადლობა. მე ყველაფერი იმ დღეს გაპატიე, 9 მარტს დილით, როცა მაკოცე. ძველი ანტონი მკოცნიდა ასეთი გრძნობით, ის ანტონი, რომელიც მთელი არსებით მიყვარს და... – აქ ცრემლები გაეჩხირა, თითქოს არა მარტო თვალებში, არამედ მთელ სხეულში.

– შენს თავს ვფიცავ ჩემო გოგო, გადაგარჩენ! ჩემი სიცოცხლის მოცემა რომ დამჭირდეს, მაინც გადაგარჩენ!.. ოღონდ მომეხმარე, ოღონდ გაუძელი, შენ შეგიძლია, შენ ყველაფერი შეგიძლია და რასაც ვერ შეძლებ, ჩემი სიყვარული შეგაძლებინებს, ჩვენი თევდორე შეგაძლებინებს. შენ ხომ ჩემი უღალატო გოგო იყავი ყოველთვის. ნურც ახლა მიღალატებ. შემპირდი, რომ იბრძოლებ ჩემთან ერთად.

და ცოლის პატარა ხელები თავის მარჯვენაში მოიქცია...

აბიგეილ! აბიგეილ!

დილაა. ნისლი ნელ-ნელა იფანტება და ზაფხულის მზე მთების ჩრდილს და წყალუხვ მდინარეს მიჰყვება. ხის ფოთლიან ტოტს ხელთათმანიანი ხელი გადასწევს და თოფის სამიზნით, ველზე ჩადგმულ კოხტა სახლს და მის შემოგარენს გადაჰყურებს ზემოდან. ხალხსაც და ფართო ეზოსაც გამრჯე, მშრომელი პატრონის ხელი ატყვია. ეზოს გარეთ ცხვრები და თხები გამოშლილან, მოუსვენარი ღორების კოლტი კი ტყისკენ მიიჩქარის. ახალგაზრდა სანდომიანი ქალი და კაცი ეზოში ძროხებს წველიან. ისმის ქათმების კრიახი, მამლის ყივილი და შინაური ბატების გუნდი, ზოგი ფრენით და ზოგი ზოზინით, მდინარისკენ მიიწევს. ორი ბანჯგვლიანი ნაგაზი მომცრო ტანის, მთის ცხენს ეთამაშება. ნამდვილი იდილიაა ადამიანის, ფლორის და ფაუნის. სახლის აივანზე თეთრ, გრძელპერანგა სამიოდე წლის ბიჭი გამოხვანცალდება თვალების ფშვნეტით და ყვირის: – დაიკომ გაიღვიძა, ტირის!

...ისმის რამდენიმე გასროლის ხმა. ორივე ძაღლი და რამდენიმე პირუტყვი მოცელილივით ეცემა. ცხენებზე ამხედრებული ყაჩაღები ჭენებით უახლოვდებიან სახლს. ექვსივეს ნიღბები აქვთ და ჭენებისას ისვრიან. მასპინძელი იქვე, ხეზე გადაკიდებულ თოფს მისწვდა, მაგრამ მომხდურის ტყვიამ შუბლი გაუხვრიტა. ქალი უკვე სახლშია, პატარა გოგო-ბიჭს უკანა ეზოში გაიყვანს და ცხენს ეძახის. ბავშვებს ცხენის ზურგზე გადაკიდებული ხურჯინის თვლებში ჩასვამს, ცხენს შუბლზე ჰკოცნის და ეუბნება: – ძვირფასო, აბიგეილს მიუყვანე ესენი. ჭაობებზე წადი!

მერე შვილებს სათითაოდ ჩაკოცნის, ცხენს გავაზე ხელის დარტყმით გაისტუმრებს და სახლში ბრუნდება. კედლიდან თოფს და პატრონტაშს ჩამოხსნის, ფანჯარას ლულით გაამტვრევს და პირველივე სროლით ერთ ჩამოქვეითებულ

მომხდურს გააგორებს. ჩამოქვეითდებიან დანარჩენებიც და გრძელდება უთანასწორო ბრძოლა. ქალი კიდევ ერთს გააგორებს და თავადაც იჭრება მხარში. სახლს ცეცხლს უკიდებენ, ქალი თოფით ხელში გამოდის.

– დადე იარაღი და ასწიე ხელები, – უყვირის ერთი.

ქალი ესვრის და ამოატრიალებს. ამ დროს ორი ტყვია ერთად ხვდება და ეცემა...

სამი ცოცხლად დარჩენილი, ამფსონების გვამებს ცხენებს გადაჰკიდებენ, მთელ საქონელს გამოირეკავენ და მიდიან...

ბავშვებგადაკიდებული ცხენი, შუა ტყეში მდგარ მორებისგან აგებულ სახლთან მიდის და ჭიხვინებს, სახლიდან ახალგაზრდა, ძალიან ლამაზი შავთმიანი ქალი გამოდის, ცხენმა იცნო და მიაშურა. ქალი ბავშვებს ამოიყვანს, გოგონა სულ პატარაა, ბიჭი ტირის, ორივეს დაუყვავებს, მოეფერება, დაკოცნის და სახლში შეიყვანს. მოხუცი ქალი ფქვილს ცრის.

– დედა, ამათ მიხედე. აჭამე, დაბანე და დააძინე! – ეუბნება ახალგაზრდა, თოფს იღებს და გარეთ გამოდის.

– აბიგეილ, სად მიდიხარ? – ეკითხება შეშფოთებული დედა.

– ამოვალ! – ცხენს მოახტა და გააჭენა...

აბიგეილი შეჰყურებს ჩამწვარ სახლს, ბავშვების მკვდარ დედას და ცრემლები მოსდის. მერე ხის ძირში ბავშვების მკვდარ მამას გადმოატრიალებს და აბღავლდება: – იოანე, ჩემო სიყვარულო. ჩემო ერთადერთო, ჩემო სიცოცხლე. – და ჩაეკონება, თითქოსდა, სამუდამოდ. გვიან, გვიან აწევს თავს, წამოდგება და მოახლოებულ იქაურებს გადახედავს კითხვის თვალით.

– ჩვენ არაფერი ვიცით, შვილო, – ეუბნება მოხუცი მღვდელი, – კვამლი შევნიშნეთ და წამოვედით მთელი სოფელი.

– არც სროლა გაგიგონიათ?

– გვეგონა მონადირეები იყვნენ, – აყაყანდნენ მეზობლები.

– მომემხმარეთ, ეკლესიაში გადავასვენოთ ეს საწყლები, – ტირის მღვდელიც...

აბიგეილი მარტო დარჩა გახევებული.

– ნეტა შვილები რა იქნენ? – იკითხა ვიღაც ქალმა და წასულებს გაჰყვა.

– ორი ვარიანტია. ან თავდამსხმელებმა გაიტაცეს, ანდა ცეცხლში დაიწვნენ, – უპასუხა ერთმა კოხტაპრუწა ყმაწვილმა, რომელიც დიდ მწუხარებას არ გამოხატავდა და ეტყობა, სეირის საყურებლად იყო მოსული.

აბიგეილს ეს დიალოგი არ გაუგონია. სადაც იოანეს გვამი იყო, იქ მივიდა. დანა ამოიღო და ბალახიანი მიწა მოჭრა. პირში ჩაიდო და გადაყლაპა: – ეს შენი სისხლით მორწყული მიწა იყოს მოწმე, შურს ვიძიებ!

ფეხით დაადგა გზას თავისი სახლისკენ. ცხენი თავჩაქინდრული მოჰყვებოდა...

(ტიტრი)
20 წლის შემდეგ:

ფოსტალიონის ფორმაში გამოწკეპილი ახალგაზრდა, ველოსიპედით უახლოვდება აბიგეილის კარმიდამოს, რომელიც განახლებული და გალამაზებულია. ეზო აქვს ისეთი მოვლილი და მრავალმცენარიანი, ბოტანიკურ ბაღში გეგონება თავი. ხის მასიურ ჭიშკართან ეს ახალგაზრდა ზარს რეკავს. ეზოში უკვე დავაჟკაცებული, მამის მოსახელე იოანე გამოდის და ჭიშკარს აღებს: – გამარჯობა. ინებეთ, დეპეშა.

– მადლობა მეგობარო. აი, გამომართვი.

ფოსტალიონი ფულს ჯიბეში იდებს და: – პასუხის გაგზავნა თუ გნებავთ, დაწერეთ და გავგზავნი.

– არა. თუ არ გეჩქარებათ, ლუდით გაგიმასპინძლდებით.

– სხვა დროს იყოს. ახლა გავრბივარ.

ფოსტალიონი პედალს დააწვა და გაქრა. იოანემ დეპეშა წა-

იკითხა და სახე გაუბრწყინდა: – მეგი! აბიგეილი მოდის, აბიგეილი!

ეზოში კოხტა ტანის, მხეცურად მოკლული დედის ალიკვალი გოგონა გამოცქრიალდა, ძმასთან მივიდა, შეტყობინება წაიკითხა და გადაეხვია: – იოანე, დავხვდეთ!..

ორთქმავალმა ოთხი, ხალხით გაძეძგილი ვაგონი ძლივს მოათრია სადგურამდე და საცოდავად ამოიქშინა. აბიგეილი ყველაზე ბოლოს გადმოვიდა ვაგონიდან. დროს ვერაფერი დაეკლო მისი სილამაზისთვის, მხოლოდ თმები გაეჭაღარავებინა. მას შუა ხნის სიმპატიური პოლიციელი ახლავს.

– მადლობა მოცილებისთვის. შეგიძლიათ თქვენს საქმეს მიხედოთ – მიუბრუნდა ქალი.

– ნაბრძანები მაქვს სახლამდე მიგაცილოთ! – გაიჭიმა პოლიციელი.

– არ არის საჭირო! აგერ, შვილები მელოდებიან.

დიდხანს ეხვეოდნენ ერთმანეთს.

– ისევ ძველებურად ლამაზი და საყვარელი ხარ. ახლა სულ შენთან ვიქნებით! – უხაროდა და-ძმას.

– ბებია როგორ არის? – შიშით იკითხა აბიგეილმა.

_ თვითონ ჰკითხე, ეგერ, მოდის – გაეცინა ძმას.

აბიგეილი ისარივით გაიჭრა ღრმად მოხუცებული ქალბატონისკენ და ხელში აიტაცა: – დედიკო, მიხარია, რომ არ მიღალატე! მძიმე ავადმყოფი დაგტოვე და შენ რამდენი რამ შეძელი, ეს რა გოგო-ბიჭი დამახვედრე.

– პირველი სასიძო და სარძლო ჩვენს ქალაქში, – თავი მოიწონა მოხუცმა.

– ეგრე გეგონოს! – გაეცინა იოანეს, – ნინა ბებიას შიშით, ჩვენს სახლს ადამიანი ვერ ეკარება და თუ რამეს არ გვიშველი, აბიგეილ, ასე კენტად დავრჩებით მთელი სიცოცხლე.

ყველას გაეცინა.

პოლიციელი ჩაერია: – ამ საბუთზე მომიწერეთ ხელი, რომ

ყოფილი საშიში დამნაშავე ჩაგაბარეთ.

იოანე: მომეცი, მოვაწერ. თქვენ კი ბატონო პოლიციელო, გეტყვით, თუმცა არაფერ შუაში ხართ, შევარცხვინე თქვენი სამართალი! 20 წელი, უდანაშაულო ქალბატონი პატიმრობაში გყავდათ და არათუ მისი ნახვის, ბარათის მოწერის უფლებაც წაგვართვით.

პოლიციელი: ახალგაზრდავ, მან სამი ადამიანი მოკლა...

ნინა: ადამიანები კი არა, ჯოჯოხეთის მოციქულები.

პოლიციელი: ესეც გათვალისწინებული იქნა განაჩენის გამოტანისას, ამიტომ გადაურჩა გილიოტინას.

იოანე: გილიოტინას მე გადამარჩინა თავისი თავგანწირვით. მას რომ არ მოეკლა, მე მომიწევდა ამ არაკაცების დახოცვა.

აბიგეილი: წავედით, წავედით. მშვიდობით ბატონო პოლიციელო, მადლობა, რომ მშვიდობით მომაცილეთ.

პოლიციელი: მშვიდობით ქალბატონო. მიხარია, რომ ყველა ახლობელი კარგად გყავთ და ძალიან უყვარხართ. ამას ჩავწერ ჩემს მოხსენებით ბარათში და დარწმუნებული ვარ, თვალთვალსაც მალე მოგიხსნიან...

მთელი ოჯახი წყვილ ცხენშებმულ ფორანზე დასხდნენ და სახლისკენ გაუტიეს. აბიგეილი იოანესთან ერთად იჯდა წინ და მოგონებებში ჩაიძირა. გაიხსენა, როგორ მოკლა ერთ საღამოს, საკუთარ სახლში ბანდის მეთაური თავის მკვლელ ამფსონებთან ერთად და როგორ ჩაბარდა პოლიციას...

– დედა, შენი გაკეთებული კომპოტი მომენატრა, – უთხრა აბიგეილმა, როცა სახლში შევიდნენ.

– რომელი გინდა, კომშის თუ ატმის?

– ატმის, თანაც კურკიანი ატმის! გვაქვს?

– ყველაფერი ბევრი გვაქვს შვილო. ეს ჩვენი ბიჭი ძალიან მშრომელია. ყველაფერს ასწრებს. ასი ოჯახი ფუტკარი ჰყავს, ხომ ნახე, როგორ განაახლა სახლი, მეგიც ძალიან მარჯვე დიასახლისია, შეხედე, რას დაამსგავსა ეზო? ლამის მთელი ტყის

ულამაზესი ყვავილთა ჯიშები აქ გადმოიტანა, თუმცა ჩვენი მთავარი შემოსავალი იოანეს ნახატებია.

– რა? – ყურებს არ დაუჯერა აბიგეილმა.

– წამოდი, გაჩვენებ.

მეორე სართულზე დიდი ოთახი სავსეა ფერწერული ტილოებით: პორტრეტებით, პეიზაჟებით, სიუჟეტებით.

– გაოგნებული ვარ, – ამბობს აბიგეილი, – რა ზუსტად დაუხატავს მშობლები, ლამის გაცოცხლდნენ. მეც რა ლამაზად გამოვიყურებოდი ამ ოცი წლის წინათ.

– შენ ახლაც ულამაზესი ხარ შვილო, – მოეხვია ნინა.

– აი, ეს გოგონა ვინ არის, ლამის ნახევარზე მეტზე ისაა გამოსახული.

– ეს გოგო არის იოანეს დიდი შეცდომა და მისი ამდენი ნახატი იმის ბრალია, რომ ეს სურათებს არ ჰყიდის. ყველას ყიდის, მაგის გარდა. ამას წინათ, ჩვენი მდინარე ისე ლამაზად დახატა, რომ ვუყურებდი, ლამის მისი ჩუხჩუხიც კი მესმოდა. ამან კი მოსამართლეს მიჰყიდა და იმდენი ფული მოიტანა, მეგონა ბანკი გაძარცვა. ვეჩხუბე კარგად, ფული და სიმდიდრე არ გვაკლია, რატომ გაჰყიდე-მეთქი და მიპასუხა, ჩემო ნინა, საღებავები მჭირდება და თუ ჩემი ხელობით აღებული ფულით არ ვიყიდე, ვეღარ დავხატავო. ასეთი უცნაურია.

– დედა, ვინ არის ეს გოგონა?

– რომელი?

– ნინა, სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ, იცი, რომელიც!

– იმ ყაჩაღის შვილია, ჩვენი დამღუპველის, მაგის მშობლების მკვლელი, შენი მკვლელად გადამქცევის.

– რაო?

– არ ეჩხუბო შვილო. ძალიან უყვარს, ქალაქში თვეში ერთხელ ჩადიოდა, რაც ეგ ნახა, კვირაში სამჯერ დადის. ამოვა იქიდან და მთელი დღე გაშტერებული ხან ხატავს, ხან მუშაობს.

– გაშტერებული?

– აბა, სხვა რა ჰქვია? ერთი სახით აკეთებს ყველაფერს, სადილზეც ვერაფერს ჰკითხავ, არ გისმენს, არ გიყურებს, ხმას არ გცემს, თავის მოძრაობით გეუბნება ჰოს ან არას!

– შეყვარებული ყოფილა, მეც ეგრე დამემართა მაგის მამა რომ ვნახე პირველად. ნადირობიდან ბრუნდებოდა და ხელში ფეხნატკენი შველი ეჭირა. მე სოკოთი სავსე კალათი მომქონდა. დანახვისთანავე შემიყვარდა. შველი ვთხოვე, მე მოვუვლი-მეთქი. თავი დამიქნია და პირდაპირ ჩვენი სახლისკენ დაიძრა. შველი ჩვენს ეზოში დასვა ბალახზე, აბგიდან შუშა ამოიღო და მითხრა, ამაში მალამოა და ხვალ, სახვევს რომ გამოუცვლი, ეს მალამო დაადეო. მე ცივი სასმელი შევთავაზე და სწორედ შენი ატმის კომპოტი მივართვი. დალია და მითხრა, გემრიელია, მაგრამ ატამი კურკით რომ არის ჩაკამპოტებული, ის უფრო მიყვარსო.

– და შენც, იმის მერე სხვანაირად მომზადებული აღარ დაგილევია.

– ისე შემიყვარდა, მზად ვიყავი მისი ნაფეხურები დამეკოცნა. შემომხედა ულამაზესი თვალებით და მითხრა: მშურს შენი დედიკოსი, ახლა ორი ულამაზესი შველი ეყოლებაო. როცა შველს შემადარა, ნიკაპზე ვაკოცე და იმან ორივე ხელით თავი დამიჭირა და ტუჩებში მაკოცა. ეს იყო პირველი კოცნა ჩემს სიცოცხლეში და ისე გამოვშტერდი, როცა ჭიშკარი გაიხურა, ისევ გაშტერებული ვიდექი. ეჰ, კარგი იყო. ჰეი, იოანე მობრძანდი აქ! – გასძახა.

იოანემ კიბეები ამოირბინა.

– ყოჩაღ, ჩემო ბიჭო. ნამდვილი მხატვარი ხარ. ძალიან მომწონს, განსაკუთრებით, ეს გოგონა.

– უთხარი ბებო? – გაეცინა ბიჭს.

– არ უნდა მეთქვა? – თვალები დაუბრიალა ნინამ.

– მადლობა, რომ უთხარი და ამაცილე უსიამოვნო საუბარი.

აბიგეილი: შვილო, საყვარელ ადამიანზე საუბარი დედასთან, უსიამოვნო რატომ უნდა იყოს?

– არ იცი დედა და ბებიამ ლამის შეგვჭამა. სულ გვემუქრებოდა მე და მეგის. დედა რომ მოვა, მოვახსენებ თქვენი შეყვარებულების შესახებო.

აბიგეილი: მეგიც შეყვარებულია?

ნინა: კი, თუმცა ალექსი კარგი ოჯახიშვილია, მშრომელი, გონიერი, კულტურული. ამ მხრივ მშვიდად ვარ. ჩვენს გოგოს მასთან კარგი ცხოვრება ექნება.

აბიგეილი: ძალიან გამახარეთ შვილებო თქვენი არჩევანით.

იოანე: დედა, ნუთუ ჩემი შეყვარებულის გამო არ მეჩხუბები?

აბიგეილი: არა შვილო. ვიცი, რომ ძალიან გიყვარს. ამ სურათებმა მითხრეს, რომ კარგი გოგოა, კეთილი გამოხედვა აქვს.

ნინა: ნუ გადამრევთ! მკვლელის შვილი რომ არის, ეგ არაფერს ნიშნავს?

აბიგეილი: ჩემთვის არა. მასთან ყველა ანგარიში გავასწორე. წარსული აღარ მაინტერესებს. მეყო! მთელი ცხოვრება ცოლიანი კაცი მიყვარდა, მასაც ვუყვარდი, მაგრამ თავის ოჯახზე გიჟდებოდა და როცა მომიკლეს, მეგონა, ცხოვრება დამთავრდა. ახლა, აგერ მის სისხლს და ხორცს ვუყურებ, მასავით ალალს და ღიმილიანს და მინდა, სულ ასეთი იყოს. იოანე, რა ჰქვია შენს რჩეულს?

იოანე: შენი სახელი, აბიგეილი.

აბიგეილი: მოულოდნელი იყო, მაგრამ არ მიკვირს, მამამისს ძალიან ვუყვარდი. დარწმუნებული ვარ, შენი მშობლები ძარცვის მიზნით კი არა, ჩემი სიყვარულით დახოცა. ჩემთვის მამაშენის გარდა, საკაცეთი არ არსებობდა და ვერ აიტანა ეს. მართალია, ცოლ-შვილი თავადაც ჰყავდა, მაგრამ მითხრა: თუ ჩემი გახდები, გავეყრებიო... როცა შურისსაძიებლად ჩავუსაფრდი და გამოჩნდა ცხენზე ამხედრებული, ქურდულად ვერ ვესროლე. წინ გადავუდექი თოფმომარჯვებული. შემომხედა და მითხრა:

– მესროლე აბიგეილ. შენი ხელით სიკვდილი ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნება.

– შენ მე წამართვი ყველაზე საყვარელი ადამიანის ცისქვეშეთში და ამიტომ გკლავ. სულ არ მაინტერესებს ბედნიერებას მოგანიჭებს ეს თუ არა, – ვუპასუხე და წარბებს შორის, ზუსტად იმ ადგილას ჩავუსვი ტყვია, სადაც ჩემი იოანე იყო სასიკვდილოდ დაჭრილი...

და აქვითინდა აბიგეილი.

იოანე: დედა, ჩემო საყვარელო. დაწყნარდი, ეს ხომ წარსულია. თავად არ თქვი, დავივიწყოთო.

ხმაურზე მეგიც შემოვიდა და ჩაეხუტა. აბიგეილი აღიმართა თავისი დიდებულებით, ცრემლიანი თვალებით ახლობლებს გადმოხედა და გაიღიმა:

– მართლაც და წარსულში რა დამრჩენია, როცა თქვენ მყავხართ და ასე გიყვარვართ.

ბესო

ბესო მობილურის წკრიალმა გააღვიძა. როცა აიღო და ეკრანს დახედა, მაშინ მიხვდა, რომ გვერდით მწოლი მეუღლის ტელეფონი იყო. გასაღვიძებლად შეენანა და თავად ჩასძახა ტელეფონს: – გისმენთ...

– შენ ვინ ჩემი ფეხები ხარ, რომ მისმენ? – უპასუხა კაცის ბოხმა ხმამ თავხედურად, – ეკა მინდოდა.

– რااა! – იღრიალა ბესომ და ეკას მუჯლუგუნი წაკრა, – გესმის? გაიღვიძე და უპასუხე... და ტელეფონის მოპასუხე ხმამაღალზე ჩართო.

გაღვიძებულმა ეკამ უცებ ვერ მოიაზრა რა ხდებოდა და ნამძინარევი ხმით წარმოთქვა: – დიახ.

– დიახ კი არა, მაგ ახვარს მოშორდი, ტაქსი გააჩერე და ჩემთან გაჩნდი. კლიენტი ორმაგს გიხდის. ათ წუთში აქ იყავი, – თქვა ბოხმა ხმამ.

– შენი დედაც, ახვარო. – იღრიალა ბესომ, – შენი პრაქტიტუტკა დედაც ბოზო და შენიც ჩათლახო სუტენიორო. მითხარი ვინც ხარ და სად ხარ, რომ შენი დედა მო.ნა... ამასობაში წამოხტა, ცოლის ტელეფონი კედელზე მიაფშვნა და უკვე გამოფხიზლებული ეკა თმით ითრია და იატაკზე დააგდო, მერე კი წიხლებით შედგა... ქალი ჯერ სიმწრისგან კიოდა, მერე კი ხავილზე გადავიდა და როცა კარისშემომტვრევმა მეზობლებმა ბესო გააკავეს, ეკას სიცოცხლის ნიშან-წყალი დაკარგული ჰქონდა...

ექიმებმა ეკა გადაარჩინეს, იმედიც მისცეს, რომ სწორი მკურნალობით ერთ წელში სიარულსაც კი შეძლებდა. ბესოს რამდენიმეწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს ადამიანის დასახიჩრების და მისი სიცოცხლის ხელყოფის ბრალდებით. მაშინ მოქმედი ჟურნალისტი გახლდით და ამ საქმეში ცხვირი ჩავყავი:

ეკა და ბესო სამი წლის დაქორწინებულნი იყვნენ. სიყვარულით შექმნეს ოჯახი. ბესო არქიტექტურულ ბიუროში მუშაობდა, ცოლს აღმერთებდა. ეკა ცოტა ცივი ქალი იყო, მეზობლების მტკიცებით, ლამის უცხვირპირო. საყვარლები სახლში მოჰყავ-

და თურმე. უკვირდათ, ბესო ეტყობა ბრმა იყო, თორემ როგორ ვერ გრძნობდა ცოლის ღალატსო. რომ ეგრძნო და სცოდნოდა, ხომ მიიღებდა ზომებს? შეიძლება არა ისეთს, როგორიც სპონტანურად „მიიღო“, გადარჩებოდა კაცი ციხეს და გარყვნილი ქალი დასახიჩრებას.

ეკას ყველამ ზურგი აქცია. ახლობლებმაც და მეგობრებმაც. ერთსულოვანნი იყვნენ: ჩვეულებრივად, საყვარელი რომ ჰყოლოდა, კიდევ ხო, მაგრამ პროსტიტუცია შეუწყნარებელიაო, ამბობდნენ. მხოლოდ ზოგიერთი არასამთავრობო დაუდგა გვერდით დევიზით: – ამის ფუჩუ ამისია და რასაც უნდა იმას უზამსო. და კიდევ ერთი, შიშველი უკანალების პარტია. უფრო მეტიც, ამ პარტიის წარმომადგენელი კოლონიაში შეხვდა ბესოს და ეკას საბოდიშო წერილი ჩაუტანა.

– მაპატიე ბესო, შემირიგდი, ეშმაკმა შემაცდინა. მიყვარხარ, – წერდა ეკა.

– გადაეცი იმ ბოზანდარას, – უთხრა ბესომ უნიფხო პარტიის წევრს, – რომელმა ეშმაკმაც შეაცდინა, იმასთან ერთად წაეთრიოს ჯოჯოხეთში. სხვაგვარად ვერ დამემალება, რომ გამოვალ, მოვკლავ...

თუმცა, როცა ზემოთაღნიშნული პარტიული ფოსტალიონი ეკას ესტუმრა (ის საავადმყოფოდან ქმრის სახლში დაბრუნდა), მაშინვე მიხვდა, რომ ქალი დროს არ ჰკარგავდა „უქმად“. ინვალიდის ეტლში მჯდარი ცივ ცოლიკაურს წრუპავდა იმ სუტენიორთან ერთად, რომლის ერთმა ზარმა მიიყვანა ამ მდგომარეობამდე. გადასცა ბესოს დანაბარები.

– ჯერ ფეხებსაც ვერ მოგჭამს, – ჩაიცინა სუტენიორმა, – კაი ხანს ეგდება იქ, შენ კი აქ იგულავებ. მაგარი ბაითია.

მთვრალმა ეკამ გაიცინა და თქვა: – თქვენ ვერ მიხვდებით ბიჭებო, როგორ მიყვარს ბესო დღემდე. მისი ხელით სიკვდილი მირჩევნია, თქვენისთანა ახვრებთან ცხოვრებას. როგორც კი ფეხზე დავდგები, მაშინვე წავალ მის სანახავად, ჩავუვარდები მუხლებში და პატიებას ვთხოვ.

– და გგონია გაგიგებს? – ერთდროულად ჰკითხა ორივემ.

– კი, ძალიან ვუყვარვარ, – თქვა ცრემლიანმა ეკამ და... აბა აახვიეთ აქედან, დაივიწყეთ ჩემი სახლის გზა, – შეუღრინა ორივეს...

ამათ კი დაივიწყეს გზაც და კარიც, მაგრამ ათიოდე დღის შემდეგ თავად ეკა იჯდა ზემოთ აღნიშნული პარტიის მისაღებში და განცხადებას წერდა მათი თავმჯდომარის სახელზე: დამეხმარეთ, მიშუამდგომლეთ და სადმე ღამის გასათევი გამომიყავითო.

ბესოს თავის კუთვნილი ბინა საკუთარი დისთვის დაემტკიცებინა და მას ეკა სახლიდან გამოეგდო გახარებული მეზობლების თვალწინ. უნიფხო პარტიამ ფუჩუს დამცველ არასამთავრობოსთან ერთად ეკას დროებით თავშესაფარში მოწყობა მოახერხა. აი, რა უამბო ქალმა თავშესაფრის დირექტორს, ქალბატონ მადონას: – მთავარი შეცდომა მაშინ დავუშვი, როცა ბესოს გავყევი ცოლად. არ ვიყავი მე ოჯახისთვის გაჩენილი. არ შემიძლია სხვაზე ზრუნვა. ბავშვობიდან არაფერი მაკლდა, მდიდარი მშობლები მყავდა, მაგრამ მერე მამა ციხეში აღმოჩნდა სახელმწიფო ქონების მითვისებითვის, თუ მიტაცებისთვის და მთელი ჩვენი ქონების კონფისკაცია მოახდინეს. დედა კი – გაბოზდა, საყვარლები ნაქირავებ ოროთახიანში მოჰყავდა, რომელიც მამის ბიძაშვილმა დაგვიქირავა. როცა მან გაიგო დედის გათახსირების ამბავი, ჩემი წაყვანა მოინდომა – ამ გარყვნილების ბუდეში ეკას არ დავტოვებო, მაგრამ მოგეხსენებათ, ყველა ქვეყანაში ყველა მოსამართლე დედის მხარეზეა, თუნდაც ის უკანასკნელი კახპა იყოს. მეც დედასთან დამტოვეს და ვისწავლე ის, რასაც ყოველდღე ვუყურებდი. სკოლა არც კი დამემთავრებინა, რომ უკვე ჩამოყალიბებული ბოზი ვიყავი. დედა რომ მოკვდა (საყვარელმა დაჩეხა და ვერ გადაარჩინეს), მამის დეიდამ წამიყვანა სოფელში. სკოლაც იქ დავამთავრე და ბესოც იქ გავიცანი, სტუდენტი იყო და ზაფხულის არდადაგებზე ჩამოდიოდა მშობლებთან. როგორც კი დააამთავრა და სამსახური დაიწყო, ცოლობა მთხოვა. დავთანხმდი. წამომიყვანა ქალაქში, სადაც მშობლების ნაყიდ ბინაში ცხოვრობდა და ორი

უბედნიერესი წელი გავატარეთ. ერთი ის აშფოთებდა ქმარს, რომ შვილი ვერ გავუჩინე. ხომ არ ვეტყოდი, რომ ათეულობით აბორტმა უნაყოფო გამხადა. მერე კი ქუჩაში ერთ ჩემს ყოფილ საყვარელს გადავეყარე და ჯერ მისი ქალი გავხდი, მერე კი ის იქცა ჩემს სუტენიორად. ისევ გავთახსირდი, ქმარს შიშით ვერაფერს ვეუბნებოდი. რამდენჯერაც გადავწყვიტე, ბოლო მომენტში ვერ შევძელი. მერე ის ზარი გაისმა და...

ბესო სამწლინახევრის მერე დაბრუნდა, მაგრამ ეკა ცოცხალი აღარ დახვდა. „შარშან ზაფხულში ჩაძაღლებულა“, – უთხრა დამ, რომელმაც ბინა უკანვე დააბრუნა. ბესომ თავი მოიქექა: „არ ვიცი, მეწყინოს თუ გამეხარდეს“. ეს თქვა მხოლოდ. ვინ იცის რა ეწყინა თუ გაეხარდა?.. ერთი კია, არც ლოთობა და ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევა. ბესომ მიაფურთხა წარსულსაც და იქ დარჩენილ ეკასაც.

მარიამ, მიყვარხარ!!!

იღება ლიფტის კარი და გამოდის 30 წლამდე ახალგაზრდა, თხელი შავი წვერით და უკან გადავარცხნილი თმით. მაღალი, ათლეტური, სასიამოვნო გარეგნობის და ლიფტის მარჯვნივ, ბინის ზარის ღილაკს აწვება. კარი იღება, ზღურბლზე 50 წლის სანდომიანი, ფაშფაშა ქერა ქალი დგას:

– ოჰ, ვიქტორ, როგორც იქნა გვესტუმრე და გვიკადრე. ძალიან კი მომანატრე თავი შე ონავარო. შემოდი, რას დგახარ, შენს ძმაკაცს ჯერ სძინავს თავის მეგობარ გოგონასთან ერთად.

– რა ვქნა დეიდა ნატალია, რთული სამუშაო მაქვს, მერე – მეუღლე. სახლში გავრბივარ და ვეღარ მოვიცალე.

ნატალია: მეუღლე არ უნდა გამაცნო?

ვიქტორი: მალე გაგაცნობ ძვირფასო, მალე. ახლა კი მეჩქარება, ჩემს მეგობარს დოკუმენტაცია უნდა ჩაებარებინა და შეფმა გამომგზავნა, რომ შევახსენო. გამორთული აქვს ტელეფონიც, ლეპტოპიც, ეტყობა ბევრი მოუვიდა.

ნატალია: არა, ადრე აპირებდა წამოსვლას, მაგრამ დილით წნევამ შემიტია, სასწრაფო დახმარება გამოვიძახეთ, ამიტომ დააგვიანა. მერე ირმა მოვიდა. რაკი მე მოსულიერებული დამიგულეს, ოთახში შევიდნენ და ხომ იცი ახალგაზრდების ამბავი. თანაც, მგონი, ჩემი ბორისი მაგ გოგოს ცოლად მოყვანას აპირებს.

ვიქტორი: ძალიან გამახარეთ. ჩემს ცოლსაც ირმა ჰქვია. მეჩქარება, ეგებ შევაწუხოთ ახალგაზრდები.

ნატალია შვილის ოთახის კარზე აკაკუნებს და და ეძახის:

– ბორკა, შენთან არიან...

ბორია ცოტა ხნის მერე გამოდის და მეგობრის დანახვაზე თითქოს შეკრთება.

ვიქტორი: ჰა, რა იყო? არ გესიამოვნა ჩემი დანახვა? ყველაფერი ვიცი, მითხრეს უკვე.

ბორისი: მართლა ყველაფერი იცი?

ვიქტორი: ყველაფერი შენ და ირმას შესახებ. გილოცავთ, დროა უკვე!

ბოროსი: მილოცავ, გიხარია?

ვიქტორი: უზომოდ, დიდი საფიქრალი მომაშორე!

ბორისი: რა ოხრად მინდა, თვითონ მეტენება! ცოლის მოყვანას არ ვაპირებ, თავად გითხრა, რომ ცოლობა ვთხოვე?

ვიქტორი: ვინ მითხრა?

ბორისი: შენმა ცოლმა!

ვიქტორი: ჩემი ცოლი რა შუაშია?

ბორისი: რას ჰქვია რა შუაშია?

ვიქტორი როგორც იქნა ყველაფერს მიხვდა და იმ საწოლი ოთახის კარი შეაღო, საიდანაც მეგობარი გამოვიდა. ფართო საწოლზე ირმა დედიშობილა იწვა და ქმრის დანახვაზე თვალები დახუჭა. ვიქტორი უხმოდ შემობრუნდა და კარი ისე მოიჯახუნა, ნატალია სავარძელში ჩავარდა. მერე ბორისს სახეში შეაფურთხა და ფეხი პირდაპირ კვერცხებში ამოარტყა... მანქანაში როგორ ჩაჯდა, არ ახსოვს. მექანიკურად მოქმედებდა. საკუთარ სახლში მივიდა, ირმას ნივთები ერთ ჩანთაში ჩაეტია... ისევ ბორისის ბინას მიაშურა, კარზე ზარი დარეკა და გაღებას არ დაელოდა, ჩანთა კართან დააგდო და კიბეებზე დაეშვა. მანქანაში ჩაჯდა და... მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა ვეება გერმანულ ნაგაზს დაარტყა და დამუხრუჭება გვიან, მაგრამ შეძლო. გადმოვიდა მანქანიდან, უმოძრაო, სისხლიანი ძაღლი მანქანაში, უკანა სავარძელზე მიაწვინა და ნაცნობ ვეტერინარისკენ დაიძრა. კლინიკაში ბევრი მეგობარი ჰყავდა და დიდი დრო არ დაუკარგავს... სამსაათიანი ლოდინის შემდეგ, ვეტექიმმა უთხრა, რომ ძაღლი გადარჩა, შეეძლო დღესვე წაეყვანა სახლში, ორ-სამ დღეში გიჟივით ირბენსო. თანაც, რაღაც წამლები და მალამოები მისცა. მერე მხარზე ხელი დაარტყა და მხიარულად უთხრა: – აჰა, ხომ იპოვე შენი მაქსის შემცვლელი. კინაღამ გადაჰყევი მის სიკვდილს, არადა, სულ დაჩაჩანაკებული იყო. ეს კი ახალგაზრდაა, დიდხანს იცოცხლებს, თანაც გოგოა.

– ეს ჩემი არ არის, ქუჩაში დავეჯახე.

– მაგარი ძაღლია, ძმაო. პატრონიც ეყოლება. თუ მომაკითხავს, მივცე შენი მისამართი?

– აბა რა უნდა ქნა? მართალია, ძალიან მინდა ჩემი გახდეს, მაგრამ პატრონი ცოდოა. ვინ იცის, როგორ იტანჯება ამის დაკარგვით...

ვიქტორი ძაღლთან ერთად დაბრუნდა სახლში, სამსახურში დარეკა. ძაღლს მოუარა და საწოლი მოუმზადა თავისსავე ოთახში. პირუტყვმა მადლობის ნიშნად ხელები აულოკა, ძეხვი მირთვა და დაიძინა.

ვიქტორმა კი ჯერ ცოლის ყველა ფოტო, ერთობლივი პირველ რიგში, დახია, წაშალა,. თითქოს ირმას ამოშლა უნდოდა გონებიდან. სამზარეულოში გავიდა და არაყი დაასხა. როცა ბოთლი ბოლომდე დაიყვანა, მობილურმა დარეკა. დახედა, ირმა იყო.

– რა გინდა?

– მაპატიე ვიქტორ, საყვარელო, გონება დამიბნელდა ეშმაკმა შემაცდინა.

– ბოზობას ეშმაკს ნუ აბრალებ. მერჩივნა მკვდარი მენახე, ვიდრე სხვისგან ნახმარი! აღარ დამირეკო, გაეთრიე ჩემი ცხოვრებიდან!

– თავს მოვიკლავ, უშენოდ ვერ ვიცოცხლებ!

– შენი თავი მე აღარ მეკუთვნის! რაც გინდა ის უყავი. აქ აღარ მოხვიდე, თორემ სახალხოდ გაგატიტვლებ და ქუჩაში გისვრი!

...და გათიშა ტელეფონი. ამის შემდეგ ირმას ზარებს არ პასუხობდა. ბორისმა ერთხელ უპასუხა და ურჩია: თუ ოდესმე გადამეყრები, მოგკლავო. სამი დღის შემდეგ ბორისმა გაბედა და სამსახურში მივიდა. კოლეგებმა ძლივს გააგდებინეს ხელიდან ვიქტორს. შეფმა, როცა შეიტყო რაც მოხდა, ბორისი სამსახურიდან მიაბრძანა ყოველგვარი შემწეობის გარეშე... თავისუფალ დროს და შაბათ-კვირას ვიქტორი ჯენისთან, ასე დაარქვა ძაღლს, ატარებდა და ძაღლი ისე შეეჩვია, სამსახურიდან მო-

სულს ლამის თავიდან ფეხებამდე ლოკავდა.

თვე გავიდა იმ ავადსახსენებელი დღიდან და ვიქტორის მობილურმა დარეკა. კვირა დღე იყო, შუადღე, ვიქტორი და ჟენი პარკში დასეირნობდნენ. ძაღლი თავისუფლად გაუშვა, გრძელ სკამზე ჩამოჯდა და ტელეფონს უპასუხა: – გისმენთ.

– ვიქტორი ბრძანდებით?

– დიახ, ქალბატონო.

– ჩემი ტემი თქვენთან ყოფილა.

– არავითარი ტემი ჩემთან არ არის, ქალბატონო, ეს რა ხუმრობაა?

– სამი წლის გერმანული ნაგაზი, რომელიც დავკარგე. ექიმმა მითხრა რომ თქვენთანაა.

– ააა, ძაღლზე მეუბნებით. ჟენი დავარქვი. ჩემთანაა, აგერ ახლა, პარკში ვთამაშობთ.

– თქვენ გაიხარეთ ბატონო. ახლავე მოვდივარ.

– ეჰ, ჩემო ჟენი, – თავზე გადაუსვა ხელი, – ახლა შენი პატრონი მოვა და წაგიყვანს. თურმე სახელიც კი არ ვიცოდი, ტემი გქვია?

თავისი სახელი გაგონებამ ძაღლი ძალიან გაახარა, რაც აქეთ-იქით სირბილით და კუდის ქიცინით გამოხატა.

ნახევარ საათში ტემიმ ყურები დაცქვიტა, სიხარულისგან წამოიყმუვლა და ბილიკზე გაენთო. ზაფხულის ბოლო დღეები იდგა და ოდნავი სიყვითლე შეპარვოდა ირგვლივ მცენარეთ. ტემიმ კინაღამ წააქცია, შუა ტანის სიფრიფანა, ახალგაზრდა ქალი, რომელიც ჩაეხუტა და ლამის ცრემლები გადმოყარა სიხარულისგან. მერე ძაღლმა უკან მოიხედა, ვიქტორისკენ გაიქცა, ახლა იმას მიეფერა, მერე – ისევ ქალისკენ წავიდა. ამასობაში ვიქტორი და ქალიშვილი ერთმანეთს მიუახლოვდნენ.

– მე ვიქტორი ვარ.

– მე მარიამი, – და ხელი გაუწოდა.

ვიქტორმა თვალებში ჩახედა გოგონას და ლამის თავბრუ დაეხვა. მოინუსხა და იგრძნო, ასეთი ქმნილება ჯერ არ ენახა. როცა გოგონამ მოახერხა და ხელი გამოართვა, კაცი უკვე შეყ-

ვარებული იყო – უზომოდ და თავდაუზოგავად, მაგრამ მიხვდა, ახლა ვერაფერს იტყოდა, გაქცევა მოუნდა. ახლა ერთი ფრაზაც კი გააფუჭებდა ყველაფერს და გაქუსლა. გოგონამ ათჯერ მაინც დაუძახა, მაგრამ იგი სპრინტერივით გარბოდა. ისევ ტემიმ იმარჯვა. ზედ პარკის შესასვლელთან წამოეწია და შეუყეფა. ვიქტორი შედგა და შემობრუნდა. ძაღლმა რამდენიმე წრე დაარტყა და სიხარულისგან თუ საყვედურისგან წკმუტუნებდა. მერე შარვლის ტოტში კბილი წაავლო და მოსწია, წამოდიო. კაციც გაჰყვა, მარიამი უკვე მოდიოდა მათ შესახვედრად.

– მარიამ, მიყვარხარ! – თქვა ვიქტორმა და თვალებში ჩახედა.

– ღმერთო, რამდენი წელი უნდა ვიცოცხლო, რომ შენი წეღანდელი შემოხედვა დამავიწყდეს, – შესცინა მარიამმა და თავი მკერდზე მიაყრდნო.

სასწაული

ნანას მანქანის დაჯახება არც უგრძვნია. წამის მეასედში დაენარცხა ასფალტს და გრძნობა-გონება გაეთიშა. ლამის მთელი ჰოსპიტალი მუშაობდა მის გადარჩენაზე, მეორე დილით საერთო მდგომარეობა ოდნავ მოწესრიგდა, თუმცა კვლავ უკონტაქტო და უგრძნობი იყო. აპარატზე მიაერთეს და დაელოდნენ, რომელი ანგელოზი მოაკითხავდა ბებიას, სიცოცხლის თუ სიკვდილის...

შუადღეზე, ჰოსპიტალის მეცხრე სართულზე, ნანას მკურნალ ექიმთან მდიდრულად და გემოვნებით ჩაცმული ბერიკაცი შევიდა და უბოდიშოდ ჩამოჯდა სკამზე.

– მითხრეს, რომ ჩემს მეუღლეს თქვენ მკურნალობთ, – ჯიქურ შეხედა ახალგაზრდა ექიმს, – ხელმძღვანელობამ ძალიან გაქოთ. იმედი მაქვს, სამართლიანად. პირდაპირ მიპასუხე, გადარჩება?

– ეგ თქვენ უნდა გკითხოთ!

– რაა? შეიძლება უფრო გასაგებად მითხრათ? – თქვენობითზე გადავიდა მოხუცი.

– გინდათ, რომ გადარჩეს?

– ბოდიში? – ყური მიუშვირა ექიმს.

– გუშინ არ გამოჩნდით. ახლა კი სიძესავით გამოწყობილი გამოგვეცხადეთ.

– ძლივს გავარკვიე რა დაემართა, მთელი ქალაქი შევძარი, ჩვეულებრივად მაცვია, აბა შიშველი ხომ არ... როგორც ინებეთ და ბრძანეთ, გამოგეცხადებოდით?! – უპასუხა გულნატკენმა მოხუცმა.

– ბოდიში ბატონო, თქვენი მჯერა. ერთად უნდა ვიბრძოლოთ ქალბატონის გადასარჩენად, თუმცა შანსები ძალიან მცირე გვაქვს.

– გამახარე შვილო! შანსი, თუნდაც მცირე რაკი არსებობს, ყველაფრისთვის მზად ვარ.

– მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა მენდობა, მინდა

კონსულტაციისთვის ერთ-ერთ პროფესორს მივმართო, მისი ჩამოყვანა უცხოეთიდან კი ძალიან ძვირი დაგვიჯდება, – პირდაპირ უთხრა ექიმმა.

– ფულის პრობლემა არ მაქვს, – გაეხარდა ბერიკაცს, – თქვენი სახელი?

– როლანდი მქვია.

– მე არსენი დამიძახე. რამდენია საჭირო?

– ბატონო არსენ, თქვენ ავადმყოფთან შებრძანდით, მე კი ყველაფერს გავარკვევ და მოგახსენებთ.

– კეთილი, რაც გთხოვონ, დაეთანხმეთ. ნანა ჩემთვის სიცოცხლესავით ძვირფასია.

როლანდმა და არსენმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და...

ოც წუთში ექიმი პალატაში შემოვიდა, არსენმა ცრემლები დამალა და სკამიდან წამოდგა... დაიწყო ბრძოლა ნანას სიცოცხლის გადასარჩენად. მიწვეულმა კონსულტანტმა სანუგეშო ვერაფერი უთხრა... ორი თვის განმავლობაში რა არ სცადეს, არაფერი შეცვლილა, სტაბილურად მძიმე, უკონტაქტო, უგრძნობი. ერთ დღეს ჰოსპიტლის შეფმა როლანდს უთხრა: – უიმედო ავადმყოფია, თუ ასე გაგრძელდა, მაგ ბერიკაცს მშიერს დავტოვებთ. ურჩიეთ გამორთოს აპარატიდან . ეს დასასრულია.

– მაგას ვერ ვიზამ ბატონო დირექტორო! მოკვდება კაცი. ის, მეუღლის გამოჯანმრთელებას იმედითღა ცოცხლობს.

– შენ გჯერა?

– უკვე აღარ, თუმცა გულის სიღრმეში დარწმუნებული არ ვარ.

– მსოფლიოს ლამის ყველა გიგანტმა გასინჯა და სანუგეშო ვერაფერი თქვა! გირჩევ, დღესვე დაიბარე არსენი და...

– რა დაბარება უნდა. აქ ათენებ-აღამებს, მის პალატაში, სახლში მხოლოდ აუცილებელი საჭიროებისთვის მიდის.

– ნახევარ მილიონზე მეტი დახარჯა ტყუილად. მე საქმიანი კაცი ვარ და მენანება, თუნდაც სხვისი ფული, გადასაყრელად.

როლანდი პალატისკენ საოცარი მღელვარებით მიდიოდა.

არსენის დანახვა აღარ უნდოდა. მოხუცმა მოუსმინა, ნერწყვი გადაყლაპა და უთხრა:

– აპარატიდან არ მოვხსნი, ვიდრე სული მიდგას მეც და ამასაც. სახლში გადავიყვან. იქ იყოს მიერთებული. ნათქვამია, სახლში კედლებიც კი გეხმარებაო.

– თვლიან, რომ ამას აზრი არ აქვს, – წამოიჩურჩულა ექიმმა.

– შენ რას ფიქრობ ჩემო როლანდ, ის უფრო მიანტერესებს!

– თქვენ მართალი ბრძანდებით. მე მჯერა სასწაულების, – წელში გაიმართა ექიმი.

მოხუცი გადაეხვია მას: – მე კი შენი მჯერა, შვილო, ძალიან მჯერა...

...ვერც სახლში ეშველა ნანას. საერთოდ არ შეცვლილა მისი მდგომარეობა. ქმარი საათობით ეჯდა სასთუმალთან და ესაუბრებოდა. იხსენებდა ახალგაზრდობის ლამაზ დღეებს, გაცნობას, სიყვარულს, ქორწილს, მოგზაურობებს. ესაუბრებოდა ისე, თითქოს ნანას ესმოდა, არსენი ოხუნჯობდა, იცინოდა, ზოგჯერ ხარხარებდა კიდეც. მხოლოდ მაშინ მოიწყენდა ძლიერ, როცა ტრაგიკულად დაღუპულ ერთადერთ შვილზე ესაუბრებოდა. რეზი გამორჩეული ბიჭი იყო. სტუდენტობისას უკვე ცნობილი ტელესახე და პოპულარული ჟურნალისტი. ხალხსაც ძლიერ უყვარდა, ერთი რაც აკლდა და მშობლებსაც აბრაზებდა, ცოლი ვერ შეირთო. არ ეჩქარებოდა, არადა ოცდაათს გადასცილდა. მერე ალპინიზმმა გაიტაცა და იქცა კიდეც მის ბედისწერად. მთებში დაიღუპა, ცხედარი ორი კვირის შემდეგ იპოვეს. იმ დღის მერე, ცოლ-ქმრის ცხოვრებაში მხოლოდ შავი ფერი დარჩა. დანარჩენი გაქრა უკვალოდ. იყვნენ ასე, უმოძრაოდ. ნანა ზოგჯერ გავიდოდა ხოლმე რაღაცების შესაძენად. არსენი კი შინაყუდა გახდა. თავისი ბიზნესი პარტნიორებს გადააბარა, რომლებიც პატიოსნად აძლევდნენ წილს, თუმცა დამხარჯავი ვინ იყო. კომუნალურებს იხდიდნენ და სურსათს ყიდულობდნენ, არც მოგზაურობები, არც ნათესავ-მეგობრები. ისინი ცალკე დარჩნენ და მსოფლიო – ცალკე. მერე ნანას მანქანა დაეჯახა და უკვე მეორე წელია, არსენი საწოლთან ეჯდა.

ექიმი თუ მოვიდოდა ზოგჯერ, ავადმყოფს დახედავდა, აპარატურის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფდა. ბოლო თვეებში არსენს ლაპარაკიც მობეზრდა, ცოლს ხელს დაადებდა და ფიქრებში ესაუბრებოდა უკვე...

ზაფხულის ერთ დღეს... 9 აგვისტო იყო. კარზე ზარი დარეკეს. ზარი ამ კარზე, ლამის ორი წელია, არავის შეუწუხებია. ექიმ როლანდს თავისი გასაღები ჰქონდა, არსენმა კარი გააღო. მაღალი, გამხდარი, ორმოცს გადაცილებული ქალი იდგა მის წინ, თუმცა მას არ მიუპყრია ყურადღება. ქალს გვერდით 10-12 წლის ბიჭი ედგა. არსენმა როგორც კი შეხედა, ლამის გული გაუჩერდა. ეგონა ახალგაზრდობაში დაბრუნდა. „კი, ის იყო, ის!“ არსენი მუხლებზე დაეცა და ამოიხავლა: – ღმერთო, გეხვეწები, ოღონდ ახლა ნუ მომკლავ! სულ მინდოდა სიკვდილი, იცი შენ ეს. ახლა კი გეხვეწები, ნუ მომკლავ. რეზი, გამარჯობა ბაბუ!

– გაგიმარჯოს! დედა, გესმის, ეს ბაბუ გულთმისანია, მიხვდა, რომ რეზი მქვია...

როცა არსენი გონს მოვიდა, ლოგინში იწვა: „ღმერთო, ეს რა სიზმარი ვნახე. ნანა, ნანა!“ ისე დაუძახა, თითქოს არ იცოდა, რომ ვერ გააგონებდა. სხარტად კი ადგა, მსუბუქად, რამ დამაძინა ტანსაცმლიანადო, გაიფიქრა და ნანასთან შევიდა. ნანა საწოლზე იჯდა და პატარა რეზის ესაუბრებოდა.

– ღმერთო, თუ ეს სიზმარია, აღარ გამაღვიძო და თუ ცხადია, ჩემსავით არავინ გყვარებია ცისქვეშეთში! – შებღავლა სასოებით.

– ბაბუ, რა უცნაურად იქცევი? – გაუცინა ბიჭმა, – აგერ, ბებიას ეძინა და ჩემს მიკარებაზე გაეღვიძა, შენ კი ჩემს დანახვაზე ხუთი დღეა გძინავს.

ოთახში ექიმი როლანდი შემოვიდა და არსენს გადაეხვია.

– ამდენი არ მიტირია ჩემს სიცოცხლეში, – როლანდი ახლაც ტიროდა, – ამ პატარა მაიმუნმა შეძლოს ის, რის წინაშეც მსოფლიო მედიცინა უძლურია.

ოთახში რეზის დედა შემოვიდა:

– მე და რეზი დაქორწინებას ვაპირებდით. უკვე ხუთი თვის

ფეხმძიმე ვიყავი, მერე აიტეხა ექსპედიციაში წასვლა და დაგვღუპა.

– ამდენ ხანს სად იყავი შვილო? – იკითხა არსენმა.

– რეზიმ ლამის მეც მომკლა. დიდხანს ვიყავი ავად. ფსიქიატრიულში გავატარე შვიდი წელი. ბავშვს ჩემი მშობლები ზრდიდნენ და ელოდებოდნენ ჩემს გამოჯანმრთელებას... მერე კიდევ მეშინოდა, არ გეფიქრათ, რომ გატყუებდით და შვილს, თითქოს თქვენი ქონების ხელში ჩასაგდებად ვიყენებდი, მაგრამ ეს ბოლო წელიწადია, რეზი ისე დაემსგავსა მამას, არავითარი ანალიზი აღარ არის საჭირო. თუმცა მაინც გავაკეთე. როცა თქვენი ამბავი გავიგე, ნანას ავადმყოფობა, მოვედი. თქვენ მე კინაღამ მოგკალით. მადლობა ღმერთს! ყველაფერი კარგად დასრულდა!

– ნანა, შენ როგორ მობრუნდი?

– ბებო მე გავაღვიძე, – თქვა ბიჭმა, – როგორც კი ხელი შევახე, თვალები გაახილა და წამოჯდა. ძია ექიმს კი შეეშინდა და...

– ხო, შემეშინდა და აქვე, საწოლთან გავიშხლართე. ეს კოპი მაშინდელია. მალე კი გამიარა, თან შენ მყავდი მისახედი. ახლა კი წავალ, ხელს აღარ შევუშლი თქვენს იდილიას.

– ფეხსაც ვერ მოიცვლი. დღეიდან შენ ჩემი შვილი ხარ, ჩემი რეზის ნათლია უნდა გახდე. ნანა, ხედავ, უკვე რამდენი შვილი გვყავს და ჩვენი მთავარი გვირგვინი, აი, ეს ყმაწვილია...

და რეზის ჩაეხუტა.

– არა, გვირგვინობას ისევ შვილიშვილობა მირჩევნია. ბებო, აბა გააგრძელე მოყოლა, მამაჩემზე ყველაფერი მაინტერესებს.

მარგარიტა

მოლაპარაკება მძიმედ, მაგრამ მაინც მშვიდობიანი დასასრულისკენ მიდიოდა. ფირმა „სოლარისის“ მფლობელი ვალენტინი და მისი ულამაზესი პარტნიორი ვიკა, რომელთათვისაც ხელშეკრულების ვერგაფორმება ამ მომენტში უკვე გაკოტრების ტოლფასი იყო, გულში გადარჩენას ზეიმობდნენ. ეს რამდენიმე მილიონი, რასაც ამ ხელშეკრულებით მიიღებდნენ, მათ საბოლოოდ ამოიყვანდა ფინანსური უფსკრულიდან. ფინანსური გიგანტი „ლაზიერი“, რომელიც ლამის სახელმწიფოს მთავარი ეკონომიკური ბურჯი იყო, მათთან თანამშრომლობას იწყებდა და უცებ, „ლაზიერის“ გენერალური დირექტორი, მაღალი, მხრებში გაშლილი, ოდნავ წვერმოშვებული დანიელი წამოდგა (ეს პირველად ამ ორკვირიანი მოლაპარაკების პერიოდში ინება) და თქვა: – დავიშალოთ! თქვენთან არაფერი მესაქმება. უნამუსო გარეწრები ხართ და ძალიან გამეხარდება, თუ ორივეს, შეფსაც და ამ ლამაზად შეთხიპნილ ძუკნასაც, ნაგვის ურნაში ამოგხდებათ სული. მე დავამთავრე, გაეთრიეთ! – და ისე სწრაფად გავიდა, თითქოს დაკეტილ კარში გაიარა.

„სოლარისის“ წარმომადგენლობა გახევებული იჯდა.

– რა ვქნათ? – იკითხა ატირებულმა ვიკამ და ირმის თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდა.

ენაჩავარდნილმა ვალენტინმა მხრები აიჩეჩა და „ბორჯომი“ ბოთლით მოიყუდა.

– ოფისი უნდა დატოვოთ სასწრაფოდ, – უპასუხა დაბალი ტანის, თხელტანიანმა სიმპატიურმა ადგილობრივმა თანამშრომელმა ქალბატონმა, – ბატონ დანიელს არ უყვარს, როცა ეურჩებიან.

– გენდირექტორს ვინ ჰკითხავს? „ლაზიერის“ მფლობელთან ვუჩივლებ, – წამოხტა ვალენტინი.

– არ გირჩევთ, ეგ იგივეა, იმ სკამს ესაუბრო, რომელზეც დანიელი იჯდა, – გაეცინა ქალბატონს.

– ამას არ დავუშვებ, – და ის იყო ბოთლი უნდა მოესროლა,

მკაცრი სახის ორმეტრიანი მცველის მკლავებში აღმოჩნდა.

– ავეჯს თუ დააზიანებთ, დაგასახიჩრებთ! – და დაჩუტული ტომარასავით დააგდო სკამზე.

– მე მიკეთებს ამას?! – აკივლდა ვიკა.

– დიახ და არა მარტო შენ, შვირფასო ვიქტორია, ამ გარეწარს, შენს ყოფილ, საყვარელს და ახლა ქმარს. აბა რას ელოდით? ადამიანი სასიკვდილოდ გაიმეტეთ, ქუჩაში გამოაგდეთ, შვილი წაართვით, რომელიც მერე აღარ დაგჭირდათ და მიაგდეთ. უარესი გეკუთვნით, – მიახალა იგივე ქალბატონმა.

– შენ ვინ ხარ, ეგრე დაწვრილებით ვინ ჩაგიკაკლა ჩვენი წარსული, – გახედა ვალენტინმა.

– მარგარიტა ვარ, ამ ქალბატონის ბავშვობისდროინდელი ნაცნობი, მეგობარს ვერ დავარქმევ. ეს გათახსირებული მაშინვე ცხვირაწეული და უაზრო ამაყი იყო.

– ეს შენ ხარ? და რას წარმოადგენ?

– ჩვეულებრივი ქალი ვარ, როგორც ყოველთვის. კარგი სამუშაო, კარგი ქმარი, ოთხი შვილი, უზარმაზარი სახლები, სიყვარულია ჩემს ირგვლივ.

– ღმერთმა გახარება მოგცეს ქალბატონო, იქნებ ჩვენც გვიშველოთ, დაგვეხმაროთ, – სთხოვა ვალენტინმა, – იქნებ თქვენ დაელაპარაკოთ ხელმძღვანელობას.

– ეს ვის უნდა დაელაპარაკოს. ალბათ, დამლაგებელია, – ბოროტი ღიმილით გადახედა ვიკამ.

– უფრო ზემოთ მეგობარო, უფრო ზემოთ! – გაეცინა მარგარიტას.

– ენა ჩაიგდე, – მიუბრუნდა ვალენტინი ცოლს, – დამლაგებელს მოლაპარაკების მაგიდასთან ვინ დასვამდა?

– მართალი ბრძანდებით, – ღიმილს არ იშორებდა მარგარიტა – მაგიდასთან ჯდომა რა სახსენებელია, მე აქ ხელმოწერის უფლებითაც ვარ აღჭურვილი. უფრო მეტიც, დანიელი ჩემთან შეთანხმების გარეშე და მე, მის გარეშე, ერთ ნაბიჯსაც არ ვდგამთ არც აქ და არც საკუთარ სახლში. დამლაგებლობა კი სულაც არ არის სამარცხვინო. მე სწორედ მაგით დავიწყე.

– დიდო ქალბატონო – წამოუდგა და თავი დაუკრა ვალენტინმა, – იმის თქმა გინდათ, რომ...

– შენ რა, დანიელის ცოლი ხარ? – დააღო პირი ვიკამაც.

– დიახ და მისი ოთხი შვილის დედაც, თუმცა უფროსი შენგან ჰყავს, მაგრამ არასდროს ვარჩევ სხვებისგან, – ამაყად აღიმართა ეს პატარა ქალი.

– ჩემი შვილი შენ წამოიყვანე ბავშვთა სახლიდან? – აუღელვებლად თქვა ვიკამ.

– ხო, წამოვიყვანე. შენ მაინც აღარ მიდიოდი მის სანახავად, გუგული!

– ერთი წუთით, ქალბატონო მარგარიტა. თქვენ შეგიძლიათ გადამარჩინოთ, ანდა ქუჩაში გამიშვათ სამათხოვროდ. თუ ხელს არ მომიწერთ, ფაქტობრივად, გაკოტრებული ვარ და არათუ ფირმის ქონებას, ჩემს საკუთარ ქონებასაც ვკარგავ, – ხელები აღაპყრო ვალენტინმა.

– აბა გაიხსენეთ, რომ არავის მოქცევიხართ ეგრე შენ და ვიკა ამ 12 წლის წინ? – ჰკითხა მარგარიტამ და პირდაპირ დაუდგა. კაცმა ამ მზერას ვერ გაუძლო, ხალიჩაზე მუხლებით დაეშვა და სახეზე ხელები აიფარა.

– ადექი ფეხზე! – გაბრაზდა მარგარიტა, – ასე იქ უნდა იდგე და ლოცულობდე, ვისაც უფლება აქვს შენი ცოდვების შენდობა სთხოვოს უფალს. არ გიკვირთ არც ერთს და არც მეორეს, რომ ამდენი ცოდვის ჩამდენთ მიწა რომ არ გისკდებათ და ცა რომ არ გემხობათ?

– შენს ხელშია ჩვენი ბედი და კიდევ სამოცამდე ადამიანის, რომელიც ჩემთან მუშაობს, – თავი ასწია ვალენტინმა.

– მაგიდასთან! – უბრძანა მარგარიტამ.

კაციც და ქალიც ისე სწრაფად მიუჯდნენ მითითებულ ადგილს, თითქოს ეშინოდათ, არ გადაიფიქროსო... და შედგა დიდი ხნის ნანატრი ხელმოწერა.

– ჩემი გადამრჩენელი ხარ, – წამოიძახა ვალენტინმა.

– ოღონდ აღარ აფორთხდე, შენ კი ნუ მკოცნი, – ხელი ჰკრა ვიკას, რომელმაც თითქოსდა ახლა იგრძნო სინდისის ქენჯნა.

– კი, მაგრამ, დანიელი არ გეტყვის საყვედურს? – ჰკითხა ყოფილ ნაცნობს.

– ისეთივე ქარაფშუტა დარჩი, როგორიც იყავი. აგერ გითხარი, წუთების წინ, მე და დანიელი ბიჯსაც არ ვდგამთ შეთანხმების გარეშე-მეთქი.

– ნუთუ მისი სურვილიც იყო? – იკითხა ვიკამ.

– ეჰ, შენ ვერასოდეს აფასებდი დანიელს, მის სიყვარულს და სიკეთეს, მის კაცთმოყვარეობას. რა გასხვავება იქნებოდა თქვენსა და დანიელს შორის, სხვაგვარად რომ მოქცეულიყო? ამ დილით მითხრა, მე მომეწერა ხელი, თავად კი არ უნდოდა მაგ ბრიყვული და მლიქვნელი სიფათების ხილვა. ახლა კი ააცვიეთ აქედან, თანხა ერთ საათში დაჯდება თქვენს ანგარიშზე და ვაი თქვენ, თუ ამ კონტრაქტიდან, თუნდაც ერთი წინადადებაც არ შეასრულეთ ისე, როგორც გევალებათ.

ვიკამ და ვალენტინმა კუდამოძუებულებმა, მაგრამ გახარებულებმა დატოვეს ოფისი.

– გაგვათახსირა და მიწასთან გაგვასწორა! – ბრაზობდა ვიკა ლიფტში.

– მოკეტე, – გაუბრაზდა ქმარი, – სიკვდილს და შიმშილს გადაგვარჩინეს.

– მაგრამ, რის ფასად?

– დავიმსახურეთ, დავიმსახურეთ!

ხოლო მანქანაში ქმარი ღლაბუცის ხასიათზე მოვიდა.

– შენ კი ამბობდი, როგორც კი დამინახავს, ყველაფერზე დამთანხმდებაო.

– ეგრეც იზამდა, მაგრამ, თურმე, ცოლი ეჯდა იქ.

– ვეღარ გავიგე, გამოუსწორებელი ოპტიმისტი ხარ თუ მარადიული ბოზი?

– შენ რა ხარ? ვერ ნახე, როგორ გვიხმარა იმ ქალმა? – ამოიხვნეშა ვიკამ.

– ჩვენ უარესად მოვექეცით თავის დროზე დანიელს, – თქვა ვალენტინმა, – ღორებივით მოვექეცით, არა, უფრო უარესად.

ამ დროს დანიელი თავის კაბინეტში იჯდა და მოგონებებში

ჩაძირულიყო. ვიკას და მას ერთმანეთი სტუდენტობისას შეუყვარდათ. მალე დაქორწინდნენ. ვიკას დიდი, მაგრამ სარემონტო ბინა ჰქონდა, ამიტომ დანიელის ოთახი გაყიდეს. ამ ფულით ვიკას საცხოვრებელი გაარემონტეს, ავეჯი და მანქანა იყიდეს, მალდივებზე დაისვენეს. ორივე მუშაობდა, ერთ ფირმაში, ვალენტინთან. ბიჭი შეეძინათ, უფრო შეუყვარდათ ერთმანეთი, დანიელს ასე ეგონა. ერთ დღეს კი გაუფრთხილებლად შევიდა უფროსის კაბინეტში და მაგიდაზე, სექსის დროს გადააწყდა ცოლს და შეფს... იბღავლა სიმწრისგან, თუმცა მათთან მიკარებაც ვერ მოასწრო. დაცვამ ციმ-ციმ გამოიყვანა და ქუჩაში გაუძახა... გაეყარა ცოლს და წამოვიდა ფირმიდან. სამუშაოც ვერსად იშოვა, არადა იმ ქალაქში საუკეთესო პროგრამისტი იყო. ვეღარ გაუძლო ცხოვრების სიმუხთლეს და გალოთდა. ისე გალოთდა და დაეცა, ქუჩაში ათევდა ღამეს. ზამთარში კი ავტობუსების მოსაცდელში ჩაეძინა და უკვე საავადმყოფოში გაეღვიძა. თავზე მარგარიტა ადგა, მასზე ორი წლით უფროსი გოგო, რომელსაც სკოლიდან იცნობდა. თუმცა დიდი მეგობრობა არ ჰქონიათ. საავადმყოფოდან მან წაიყვანა სახლში და მოაბრუნა ცხოვრებისკენ. პირობა დაადებინა, სპირტიანს აღარ გაეკარებოდა. ვინაიდან ვალენტინის „წყალობით“ ამ ქალაქში მისთვის ყველა სამუშაო კარი მაგრად დაიკეტა, მარგარიტას რჩევით, დედაქალაქში გადასვლა გადაწყვიტეს. ვიკას მიგდებული შვილი უკვე სახლში ჰყავდათ და სამივე ერთად გაემგზავრა. კარგი ფეხით ჩავიდნენ. დანიელმა მაღალანაზღაურებადი სამსახური მეორე დღესვე იშოვა, ბინა დაიქირავეს. მალე მარგარიტას სამსახურიც მოაგვარა დანიელმა იმავე ფირმაში. ბიჭი ბაღში შეიყვანეს. დანიელის ნიჭი და შრომისმოყვარეობა ფირმა „ლაზიერის“ მეპატრონეს შეუმჩნეველი არ დარჩენია და უკვე, ერთი წლის შემდეგ გვერდიდან აღარ მოუშორებია. უზარმაზარი ხელფასი დაუნიშნა და გენდირექტორად დანიშნა. ათი წლის შემდეგ კი ფირმა ისე გაძლიერდა და გამდიდრდა, ოთხ კონტინენტზე გახსნა ასზე მეტი ფილიალი. ყველაფერ ამას ბოსი დანიელის შრომისმოყვარეობით ხსნიდა და მას დამო-

უკიდებელი მოქმედების და მართვის უფლება მიანიჭა. მალე ასეთივე უფლებით აღიჭურვა მარგარიტაც, რომლის გარეშე დანიელს ერთი წამითაც არ შეეძლო გაძლება და როცა მოხუც შეფს საკუთარ წარსულზე ესაუბრა, შეფმა მარგარიტა საკუთარი შვილივით შეიყვარა. ამასობაში სამი შვილი შეეძინათ და ცხოვრება კიდევ უფრო სანტერესო და ზეიმებით აღსავსე გახდა... დანიელი ფიქრებიდან გამოერკვა და გაეღიმა: „რა იყო ჩემი ცხოვრება მარგარიტამდე, და ახლა?“ ამ შეკითხვას ხშირად უსვამდა თავს და ცოლი დღითიდღე უყვარდებოდა. ახლაც გულში სიამემ დაუარა და დარეკა: „ყვავილების მაღაზიაა? ო, გამარჯობა ანგელინა, გამიმართლა. ჩვენ რომ ვიცით, აი, ის თაიგული და ამ ქალის სახელზე, რომელსაც მარგარიტა ჰქვია. ნახვამდის ჩემო კარგო.“

გვეშველება?!

ნიკა პაპა გარდაიცვალა. 72 წლის იყო, მეტის კი არა, მაგრამ ბოლო ოთხი წელი სიბრმავეში გაატარა. პირველ ორ წელს კიდევ იმედი ჰქონდა, თვალი ამეხილებაო. ექიმებიც იმედს აძლევდნენ, მაგრამ ცოლმა და უმცროსმა ქალიშვილმა ვერ მოისვენეს. ისრაელიდან დიდი პროფესორია ჩამოსული თვალის კლინიკაშიო და გააქციეს. ეს მგზავრობა გამოდგა მისთვის დამღუპველი. ებრაელმა, ქართული წარმოშობის ექიმმა, პირდაპირ მიახალა, გადამწვარი გაქვს თვალები და არაფერი გეშველებათ. ნიკა კინაღამ იქვე გათავდა, ბოლო იმედი მოუკლა ამ კაცმა და თავისებურად, თუმცა გულში და ფიქრებში, ეგეთი რაღაცეები შეუთვალა ექიმის დედას, ცოლს და ახლო ნათესაობას, აგრეთვე მის გამომგზავნს და ჩამომყვანს, მეათედი რომ ასრულებოდათ, სულ ორსულად უნდა ევლოთ მეორედ მოსვლამდე“. ნიკას უფროსმა ქალიშვილმა და სიძემ ბევრი ირტყეს თავში ხელი, მაგ ამბავი ჩვენ ორი წელიწადია ვიცით, მაგრამ ამ საწყალს არ ვეუბნებოდითო.

რაღას უშველიდნენ უკვე გულმოკლულ და ოდესმე თვალის ახელაზე იმედმოკლულ კაცს... არადა ნიკა პაპასნაირი შრომელი, გამრჯე და გულკეთილი კაცი სოფელში არ ყოფილა. ერთი დიდი ნაკლი კი ჰქონდა. ალკოჰოლური სასმელი ისე უყვარდა, ქინქლასავით ვარდებოდა შიგ და თუ შეუდგებოდა სმას, კვირაობით შეეძლო ჭიქასთან გაეთენებინა და დაეღამებინა, თუმცა მაინც ყველაფერს ასწრებდა. 12 ძროხა და ორასზე მეტი ღორი ჰყავდა და სოფელში მდიდრებად თუ ვინმე იხსენიებოდა, ნიკაც მათში ერია. ორი ლიტრა არაყი რომ ჰქონოდა მირთმეული, ფეხი არ აერეოდა, მთელ ტყე-ველს შემოივლიდა და საქმეს არ უღალატებდა. პროფესიით ელექტრიკოსი იყო და სადაც ემუშავა, ყველა დიდი პატივისცემით ექცეოდა.

ერთხელ გზაზე მიდიოდა თავისი საკვირველი აღჭურვილობით: კისერზე ბინოკლით, ქამარზე რადიოთი, ზურგზე ჩანთით, თავზე პანამის ქუდით და მანქანების კოლონამ დაუმუხრუჭა

თვალწინ. ყველაზე მაგარი მანქანიდან ჩაჰალსტუხებული შუა ხნის კაცი გადმოვიდა, გადაეხვია, მოიკითხა და ჰკითხა: – ნიკა ძია, ჩვენთან მოდი, მოგვეხმარე, შენი ხელი გვაკლია.

– არა, ეროდიონოვიჩ, რაღა დროს ჩემი სამსახურია. სოფლის მეურნეობას უნდა მივაქციო ყურადღება. თუ გცალია, გაღმა სოფელში გავიდეთ და გაჩვენებ იმას, რაც გარეთ არ მიშვებს.

ორ საათში გაწყობილ სუფრას უსხდნენ. ნიკა პაპამ გორული მწვანით სავსე ჭიქა ასწია და ღმერთი ახსენა. სუფრაზე სახლის ფურნეში გამომცხვარი პური, ცხელი ხაჭაპურები, მხლოვანები, ქადები, მჟავეული და მწვანილეული, ყველის დიდრონი ნაჭრები და კიდევ რაღაცეები ეწყო. ნიკას მეუღლე ჰყავდა, ჯარასავით მოტრიალე. ერთი კი შეფუცხუნდა ამდენი სტუმრის დანახვაზე, მერე ღიმილიანი სალამი ჩამოურიგა ყველას და „კიდევ კარგი, ცომი დილიდანვე მოვზილეო“, თქვა... და სუფრა თვალის დახამხამებაში გააწყო მეორე სართულის აივანზე.

გითხარით, რომ ნიკა გამრჯე კაცი იყო. მდინარის გამოღმა, დიდ სოფელში ორი დიდი სახლი ააშენა, გაღმა კი პატარა, ლამის დაცლილ სოფელში, რომელიც მთებში რაღაც სასწაულით გაჩენილ ტაფობზე იყო გაშენებული, მამისეული ორსართულიანი ქვითკირის სახლი იდგა, თავისი ორსართულიანი მარნით. ნიკას მამა საოცარ კაცი იყო. ახლომახლო ვენახი მხოლოდ მას ჰქონდა. სამ ტონამდე ყურძენს ჰკრეფდა შემოდგომაზე და დასაბინავებლად ყველაფერი ჰქონდა: მარანი, საწნახელი თავისი ქვევრებით. არყის გამოსახდელად ცეცხლს რომ დაანთებდა, ყველაზე შორეული მეზობელიც კი უმალ გაჩნდებოდა. ვენახის ჯავრმა გადაიყოლა ის ცხონებული. ისე დაუსეტყვა და გაუნადგურა, ვეღარაფრით წამოაყენა ფეხზე და... მარანი და ღვინო დარჩა, მაგრამ ნიკა და მისი სტუმრები დიდხანს როგორ გააჩერებდნენ სასმელს. ახლაც ასამდე ლიტრი ღვინო ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ არ ენანებოდა. სტუმარს ამ სახლსაც აჩუქებდა. ასეთი კაცი იყო ნიკა. კიდევ კარგი, ცოლი ყაირათიანი შეხვდა და მომჭირნე, თან შემომტანი. ვიდრე კოლექტივი (ასე ეძახდნენ საბჭოთა მეურნეობას) არსებობდა, სულ გამგეობაში მუშაობდა, თან ფინანსურ

სექტორში და კაპიკს კაპიკზე აწებებდა. მისი დამსახურება უფრო იყო ის, რაც გააჩნდათ, ვიდრე ნიკასი.

ნიკას ვაჟმა სუფრას ახლადდაკლული ღორის მწვადები შემოამატა, ყაურმა და მოხარშული ხორცი და ქეიფი გახურდა. ნიკას სამი ქალი და ეს ვაჟი ჰყავდა. როგორ არ იწვალეს დედამ და მამამ, რომ შვილი ნასწავლი გამოსულიყო, მაგრამ... მძღოლობა არჩია, თავგადასავლები და უფრო ხშირად თავისი სატვირთოთი კრასნოდარის და სტავროპოლის ველებს სერავდა, ვიდრე მშობლიურ გზას.

არა, ნიკა მაინც მაგარი კაცი იყო. იმ დიდი თანამდებობის პირმა, კიდევ ერთხელ სთხოვა, იქნებ წამოხვიდე სამუშაოდ სამმართველოშიო, მაგრამ ნიკამ მიუგო: – აგორებული ქვა ხავსს ვერ მოიკიდებს. განა არ მინდა წამოვიდე, ხალხში ვიტრიალო, მაგრამ ეს მეურნეობა დამექცევა და ასე მეფურად სტუმრებს ველარ დავხვდები. ახლა მთელი ჯარი რომ მომადგეს, ფეხს არ მოვიცვლი სახლიდან, ისე გავუმასპინძლდები. მერე რა ვქნა, აქაურობა რომ მივატოვო? ძეხვი და კონსერვი მოვუტანო სტუმარს?

– მართალი ხარ, მართალი, – უპასუხა იმან, ჭიქა ასწია, დაილოცა და დაემშვიდობა.

ახლა კი ეს ამბავი ლამაზ მოგონებად დარჩა და ვინ იცის, რამდენი ასეთი „ოინი“ ჩაუდენია პაპას, რომელიც ამქვეყნიდან ისე წავიდა, დამტირებელი არ მოკლებია. და ახლა, როცა საქართველოს სამხედრო გზიდან გავხედავ არაგვსგაღმა ნიკა პაპას სოფელს და მის ძველ სახლს, მაშინ ვხვდები, რამ გააღარიბა ჩვენი სოფელი – ჩვენმა სიზარმაცემ. ნიკა პაპას მთავრობა და მისი დადგენილებანი ცალ ფეხზეც არ ეკიდა! არც ერთი არაფერში სჭირდებოდა და არც მეორე. იცით რატომ? შრომა არ ეზარებოდა და იმიტომ. ვიდრე ყველა სოფელში ერთი ნიკა მაინც არ იქნება, მანამ არაფერი ეშველება ამ ქვეყანას. ეგე, წავიდა ნიკა და წავიდა ბარაქაც. ეგრეა, რა ეს ცხოვრება ამის დედაც ვატირე!

შეხვედრა

ნონა გვიან ღამით გამოვიდა ოფისიდან. მანქანა კიბესთან დაახვედრეს. ვიდრე საჭესთან დაჯდებოდა, ქურქი გაიხადა და უკანა სალონში დადო სავარძელზე... მანქანა მოლიპულ გზაზე ნელი სვლით მიჰყავდა, თოვდა. ერთ ადგილას მაინც მოუსრიალდა და გზიდან პატარა, წყლის საწრეტ არხში გადაეშვა წინა მარჯვენა ბორბლით. მიხვდა, რომ დაუხმარებლად ვერ ამოვიდოდა. ქურქი ჩაიცვა და გზაზე დადგა, ვინმეს გამოჩენის მოლოდინში. ღამის ათი წუთი არავინ გამოჩნდა. ეძინა ქალაქს, თორემ ამ ულამაზეს და ტანად ქალიშვილს ვინ არ დაეხმარებოდა. იგი გარეუბანში ფეშენდასახლებაში ცხოვრობდა და ამ დროს აქ ძნელი მოსაძებნი იყო სულიერი. ლამპიონებით გაჩირაღდნებულ გზაზე, შორს ვიღაც ფეხით მომავლები გამოჩდნენ. ღამის ხუთი წუთი მოუნდნენ მოსვლას და ისე ბანცალებდნენ, ასპროცენტიანი მთვრალები იყვნენ. ნონა მანქანაში ჩაჯდა და კარი ჩაკეტა. მოაღწიეს და ერთმა, მაწანწალასავით ჩაცმულმა ფანჯარაზე მიუკაკუნა. ოდნავ ჩამოსწია მინა და: – გნებავთ დაგეხმარებით.

ქალი იყო. ნონამ ელექტრობოძის შუქზე გაარჩია მისი დაღრეჭილი, დაბერებული და ხშირი სმისგან გაბოჟვინებული სახე.

– გაიარეთ, ფეხზე ძლივს დგახართ, რა დახმარება შეგიძლიათ?

– ქალბატონო, მცირე გასამრჯელოს ფასად, მე და ჩემი მეუღლე მივაწვებით მანქანას.

– სცადეთ, მაგრამ არ მგონია, შეძლოთ.

კაცმა, რომელსაც ხმაც არ ამოუღია, მანქანას შემოუარა, არხში ჩადგა და თვალისდახამხამებაში თეთრი მერსედესი გზაზე ამოაგდო.

– ყოჩაღ, გრიშა, – ტაში შემოჰკრა ცოლმა.

– რა ყოჩაღ, ბუმბულივით მჩატე იყო – გაიცინა კაცმა, რომელიც დიდად არ გამოირჩეოდა მეუღლისგან ჩაცმულობით და ლოთობისგან დასიებული სიფათით.

– მადლობა ბატონო, – თქვა მანქანიდან გადმოსულმა ნონამ, – საკვირველი ძალ-ღონე გქონიათ.

– ეჰ, ჩემო ძვირფასო, ღონეს არ ვუჩივი, მაგრამ... – თავი ჩაჰკიდა გრიშამ, – წავიდეთ მარგო, მეძინება, ფეხზე ძლივს ვდგავარ.

– სად უნდა წავიდეთ? ნუთუ ლამაზი ქალბატონი არაფერს გვაჩუქებს? – ჰკითხა ცოლმა. ნონამ კარი გამოაღო, ხელჩანთა გახსნა და იქიდან ამოღებული კუპიურა გაუწოდა მარგოს.

მან ფული გამოართვა, დახედა, მერე გაკვირვებულმა შუქზე კარგად გასინჯა და გაიცინა: – ღმერთმა დაგლოცოთ ქალბატონო, ამით მთელი ყუთი არაყი მოგვივა დასაყოლებელით.

– უჰ, – სული მოითქვა კაცმაც, – ნამდვილი განძი ბრძანდებით ქალბატონო, კეთილი გული გქონიათ.

– დაჯექით მანქანაში, სახლამდე მიგიყვანთ, – უკანა კარი გამოაღო ნონამ.

– არა, აქვე ვცხოვრობთ, ასიოდე მეტრში, – იუარა კაცმა.

– იმ მიტოვებულ სახლში? მას ხომ დღედღეზე დაანგრევენ, – შეშფოთდა ნონა.

– ვიდრე დაანგრევენ, იქ ვიცხოვრებთ, – თქვა მხიარულად მარგომ, – მერე გამოჩნდება რამე... წავიდეთ გრიშა.

– მოიცათ, მოიცათ. ცუდი ხალხი არ ჩანხართ. ეს ჩემი სავიზიტო ბარათია, თუ დაგჭირდებით, დამირეკეთ.

– მოიტა, მოიტა, – გამოართვა მარგომ, – დიდი მადლობა ქალბატონს ჩვენი გაბედნიერებისთვის და ნახვამდის!

დაემშვიდობა და ისეთი გამართული ნაბიჯებით დაშორდა, თითქოს იმ დღეს უზომოდ არ დამთვრალიყოს. კაციც ბანცალით გაჰყვა. ნონამ მანქანა დაძრა და ჩავლისას სიგნალით დაემშვიდობა.

– ჩაო, ჩაო! – მიაძახა გრიშამ და ცოლს უთხრა: – აგვაშენა ამ დალოცვილმა. მარგომ არ უპასუხა, – ჰეი, ხმა გამეცი! რამ დაგადუმა? – არ მოეშვა კაცი.

– მომწყდი თავიდან! არ მინდა ლაპარაკი! – უყვირა ქალმა.

– კარგი, კარგი, თუმცა მიკვირს, მე რომ შენი ყბედობის ამბავი ვიცი.

– არ ვარ ახლა მაგის ხასიათზე.

– ასე უცებ რატომ მოიწყინე? ჰა, მარგო, – და ცოლს ხუმრობით ისე უჯიკა, გზიდან გადააგდო და თოვლში წაჰყო ცხვირი.

– გაგიჟდი, – შემოუბღვირა იქიდან.

გრიშა წამოდგომაში მიეხმარა და ახარხარდა.

– ძალა ვერ მოვზომე!

– იქნებ ჩაიგდო ენა! – უკივლა მარგომ.

გრიშა შედგა გაკვირვებული: – მარგო მოხდა რამე?

– კი.

ათიოდე ნაბიჯი გაიარეს და მარგომ თქვა: – ჩემი შვილი იყო!

– ვინ? – ანგარიშმიუცემლად იკითხა გრიშამ.

– ის, ამის პატრონი, – სავიზიტო ბარათი დაინახა ცოლმა.

– აფრენ?

– სახელიც ემთხვევა, გვარიც და მამის სახელიც.

– შეუძლებელია. სად შენ და სად ის?

– იცი, მე მაგის ხნის რა ლამაზი ვიყავი? ჩემმა ცხონებულმა მიშამ ლამის მომიტაცა გაცნობის მეორე დღეს.

– ლამის მოგიტაცა?

– ჰო, მეც ძალიან შემიყვარდა. ნონა ჩვენი ერთადერთი შვილია.

– მეტი ვერ მოასწარით?

– ეს სახუმარო არ არის. მიშა მალე დაიღუპა ავარიაში. მდიდარი ოჯახიშვილი იყო. დედამთილმა გამომაგდო და ნონასთან ერთად საზღვარგარეთ წავიდა საცხოვრებლად. რა უნდა მექნა სოფლიდან სასწავლებლად ჩამოსულს? ჩავვარდი წუმპეში, დარდისგან გავლოთდი და გავბოზდი. ხელიდან ხელში გადავდიოდი. არა, მე მისი დედობის უფლება აღარ მაქვს, არ ვარ მისი ღირსი.

– ღმერთმა დაგიბრუნა ის. ასეთი შეხვედრები ცაში წყდება. გიჟი იქნები, კიდევ თუ დაკარგავ.

– არა, ახლა მშვიდად ვარ. ნონა ბედნიერი და მდიდარია. ახლა რომ მოვკვდე, დარდიც არ გამყვება...

...მეორე დილით გრიშა, რომელმაც სავიზიტო ბარათიდან

დაიმახსოვრა ნონას ოფისის მისამართი, იქით გაეშურა. ცოტა მოწესრიგდა კიდეც, შეძლებისდაგვარად, თუმცა მისი ვიზუალური მხარე, ოფისის დაცვას არ ეჭაშნიკა. როგორც ამბობენ. ე.წ. ფეისკონტროლი ვერ გაიარა. გრიშა არ დაბნეულა, ვიღაც სანდომიან ახალგაზრდას მობილურზე დარეკვა სთხოვა და...

– გისმენთ, – უპასუხა ნონამ.

– გრიშა ვარ, ქალბატონო.

– აბა, გრიშა?

– გუშინ ღამით რომ ამოგიყვანეთ არხიდან...

...მარგომ დილით გვიან გაიღვიძა. გრიშა მოისაკლისა. მერე იატაკზე დაყრილი ძველმანებიდან, რომელიც ლეიბის მაგივრობას უწევდა, ზედ გაუხდელად მიგდებული, ნელ-ნელა წამოდგა და აქა-იქ მიყრილ სხვადასხვა ბოთლებში კარგა ხანს ეძება რამე გადასაკრავი. თუმცა ამაოდ, ბოლო ბოთლი კედელს მიახეთქა ბრაზიანად და შეიგინა: – დალახვროს ღმერთმა. ფული ხომ მაქვს. გავალ, ვიყიდი... და ის იყო მინჯღრეულ კარს მიადგა, გრიშაც მოვიდა.

– მოიტანე? – გაეხარდა მარგოს.

– მოვიტანე, – უპასუხა გრიშამ და ნონა შემოვიდა.

– შენ დედაჩემი ხარ? – წინ დაუდგა მარგოს.

– გრიშა, რატომ გააკეთე ეს? – გაბრაზდა მარგო და წასვლა დააპირა.

– თუ მართლა დედაჩემი ხარ, ძალიან მიხარია. ბებიას სიკვდილის მერე, არცერთი სისხლისმიერი ნათესავი აღარ დამრჩა, – გულდაწყვეტით თქვა ნონამ.

– ზინა გარდაიცვალა? – წამოსცდა მარგოს.

– დედაჩემი ხარ, – გადაეხვია გახარებული ნონა, – ბებიას ზინას მხოლოდ მე ვეძახდი, შინაურულად. ყველა ქალბატონი ივდითით მიმართავდა, ნამდვილი სახელით. შენ თუ მისი შინაურული სახელი გახსოვს, ესე იგი, ბიძია გრიშა მართალია. შენ დედაჩემი ხარ, ჩემი ოჯახის წევრი.

– დედაშენი ვარ, – დაუჩოქა მარგომ, – არ ვარ მე შენი ღირსი, პატიებას არ ვიმსახურებ შვილისაგან.

– შენ დედა ხარ ჩემი. სიცოცხლე შენ მომეცი. შენ სხვის ამბიციებს და სიბოროტეს შეეწირე, ამიტომ იმსახურებ ჩემს სიყვარულს და პატივისცემას. დედა, ბიძია გრიშა, წამოდით, წამომყევით.

– რატომაც არა, წამოვალთ. მთლად გადასაყრელი ხალხი არ ვართ. ოქროს გული გქონია შვილო, – გაუხარდა გრიშას, – წამო მარგო, ხომ გითხარი, ღმერთმა დაგიბრუნა შვილი და მიიღე.

– არა, ხალხში რა გამოსაჩენი ვარ. ვინ იცის, რა საზოგადოებაში ტრიალებ. შეგარცხვენთ შვილო, – თავს იკავებდა მარგო.

– ვერა დედა. ვიდრე ჩემს გვერდით არ მიგიჩენ ადგილს, თავს არ დაგანებებ, – ჩაეხუტა შვილი, – ძალიან მალე ქორწილი მაქვს და მინდა დღესვე გაგაცნო შენი სიძეც.

– ღმერთო მაღალო, ვენაცვალე შენს სამართალს, – როგორც იქნა დანებდა მარგო და ბედნიერებისგან გაცისკროვნებული შვილი გულში ჩაიკრა.

მოღალატე

– ამ ბოლო დღეებში ძალიან შეიცვალე. ისეთი ბრაზიანი და შხამიანი გახდი, ვფიქრობ, ხომ არ გამოგცვალეს და შენი კლონი შემომაპარეს, – სიყვარულით უთხრა ანდრიამ ცოლს და თვალებში ჩახედა.

ცოლმა, მომხიბვლელმა ქერათმიანმა მზეთუნახავმა მედულიმ, პირთან მიტანილი, ჩანგალზე წამოცმული „ალადიკი“ თეფშზე დადო და ქმარი შეხედვის ღირსადაც არ ჩათვალა, ისე მიუგო:

– აღარ მიყვარხარ!

– თუ არ გიყვარვარ, ძვირფასო მედული, ეგერ კარი და მიბრძანდი, დღესვე შეგიძლია აახვიო.

– წავალ კიდეც, – წამოხტა ცოლი.

– მოიცა, გეხუმრე, სად წახვალ? – შეწუხდა კაცი.

– სხვა მიყვარს, სხვა მიყვარს, – უკანმოუხედავად უპასუხა ცოლმა და სასადილო ოთახი დატოვა.

ანდრო გახევებული იჯდა. მერე წამოხტა და ცოლს გაჰყვა. მედული ჩანთაში ალაგებდა თავის ნივთებს.

– მედიკო, ძირფასო, ხუმრობ თუ?

– მეზიზღები, აქ სული მეხუთება! – შემოუღრინა ცოლმა, რომელიც გაბრაზებულიც კი ისეთი ლამაზი იყო, ქმარი მიეჭრა და გულში ჩაიკრა.

– გაგიჟდი? ხელი გამიშვი, ნუ მეხები. შემაწუხა შენმა უყურადღებობამ, სულ სამსახურში აგდიხარ, მე კი გართობა და სიამოვნება მინდა. გამიშვი, მივდივარ, – და საქორწინო ბეჭედი მიახალა მეუღლეს.

– ვისთან მიდიხარ? – იკითხა დაბნეულმა ანდრომ.

– ჩემს სიყვარულთან მივდივარ, ვისაც შეუძლია ოცდაოთხი საათი მეფეროს და ჩემზე იფიქროს, მასეირნოს და ხალხში გამრიოს.

– მეგონა, ჩემთან არაფერი გაკლდა, – წყნარად უთხრა ქმარმა, – მეგონა არაფერს გაკლებდი. დღე და ღამე იმიტომ ვმუშა-

ობდი, რომ კარგად გეცხოვრა.

– სხვა მიყვარს. სამი თვეა მასთან ვწევარ. ბარსელონაში რომ წამიყვანე, ისიც წამოვიდა და იქაც კი ვახერხებდით შეხვედრას. შენ კი, რქოსანო, აღარ მიყვარხარ, მეზიზღები!

– გეზიზღები და გაეთრიე. პატიოსანი და მოყვარული გოგო მეგონე, იმიტომ შეგირთე ცოლად, შენ კი ბოზი გამოდექი. ვიდრე წაეთრევი, ეგ ყელსაბამი მოიძვრე, დედაჩემს ეკეთა მთელი სიცოცხლე...

... და აღარც კი აცალა მოხსნა, თვითონ მოაძრო უხეშად. მერე კი ნივთების ჩალაგებაში მიეხმარა, გასაღებები ჩამოართვა, ორივე ჩანთა კარამდე მიუტანა და... – გაეთრიე. ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს!

ქუჩაში გამოსულმა მედულიმ ტაქსი გააჩერა, ჩანთები საბარგულში ჩააწყობინა მძღოლს, უკანა სალონში დაჯდა და მძღოლს მისამართი უთხრა. თან მობილურზე დარეკა:

– ვოვოჩკა, შენთან მოვფრინავ ძვირფასო. სიურპრიზი მაქვს...

ვოვა, ქერათმიანი და მაღალი, ხელებგაშლილი, თავისი კორპუსის წინ დახვდა საყვარელს. თუმცა გაუკვირდა, როცა მძღოლმა ჩანთები გადმოალაგა.

– ეს რა არის, საყვარელო? – ჰკითხა მედულის.

– ჩემი ნივთებია, ქმრისგან წამოვედი, სულ წამოვედი.

– რას ჰქვია „წამოხვედი“? გააფრინე?

– ხო, გავაფრინე. შენ მიყვარხარ, მინდიხარ.

– მე გადამიხდის ვინმე? – იკითხა მძღოლმა.

– მოიცა თუ ძმა ხარ, – გააჩერა ვოვამ – ო, ეს ქალბატონი, საიდანაც წამოიყვანე, ისევ იქ მიაბრძანე. ეგ ჩანთები უკან ჩააწყვე.

– ვოვა! – იკივლა ქალმა.

– რა ჯანდაბად მინდა შენისთანა უმაქნისი ბოზი? შენი ქმარი შეხედულებითაც მჯობს, ქონებითაც, მაღალი საზოგადოების წარმომადგენელია, მე მისი ფულები მაინტერესებდა, რომლითაც მამარაგებდი, თორემ შენნაირი ლამაზმანების რიგი მიდგას. უბრალოდ, შენ ფულიანი ხარ, ისინი კი ჩემსავით ბო-

განოები. აბა, დაახვიე ქმართან. ბოდიში მოუხადე, შეურიგდი, მე კი საყვარლობაც მაკმაყოფილებს.

... და ვოვამ საკუთარი ხელით ჩაუწყო ჩემოდნები საბარგულში. მედული მანქანაში ჩაჯდა და ძველ მისამართზე გასწია. ანდროს დაურეკა, მან არ უპასუხა. დარეკა ათჯერ მაინც და ამასობაში სახლთან მივიდა. მძღოლს გადაუხადა და ჩანთები ლიფტამდე მიატანინა... თუმცა ბინის კარებთან ლამის ნახევარი საათი ამაოდ იდგა. ზარი დარეკა, აბრახუნა ხან ხელით, ხან ფეხით. მერე ჩანთები მიატოვა, ეზოში ჩავიდა და ქუჩიდან დაუწყო ღრიალი:

– ანდრო, ანდრო!

ანდრომ ფანჯარაში გამოხედა და ხელით ანიშნა, რა გინდაო.

– კარი გამიღე, დავბრუნდი!

ანდრომ ბრანწი უჩვენა და ფანჯარა მიუხურა... კიდევ დიდხანს აბრახუნა მედულიმ კარებზე, ბოლოს კი ჩემოდნები აკრიფა და დაქალთან გადაწყვიტა ღამის გათევა...

– აი, ჩაი. დაგამშვიდებს, – ურჩია დაქალმა, – რამდენიმე დღე ქმარს აღარ შეეხმიანო. სიბრაზე გადაუვლის და გაპატიებს.

– რომ არ მაპატიოს?

– ღირსი კი ხარ! ეგეთ ქმარს იმ ნაგავ ვოვოჩკასთან როგორ უღალატე? ამძუვნებული იყავი?

– არ ვიცი. ვოვა დანახვისთანავე შემიყვარდა, სულ მასთან მინდოდა ყოფნა. მოიცა დავურეკავ.

ვოვამ არ უპასუხა. ამან კიდევ და კიდევ დაურეკა. ვოვას ეტყობა მოსწყინდა ეს და ბოლოს უპასუხა:

– რა გინდა მედული? ქმარს შეურიგდი?

– არა.

– როცა შეურიგდები, მაშინ დამირეკე!

– შენ ხომ გიყვარვარ, ვოვა?

– მე ქმრიანი მიყვარხარ.

– რა, ანდროს ფულები გიყვარს?

– აბა ბოზების მეტი რა არის ამ ქალაქში.

– ბოზი ვარ?

– აბა, რა ჰქვია ქმრიან ქალს, რომელიც სხვას აძლევს?

– მეზიზღები, მეზიზღები ვოვა. ჯანდაბამდე გზა გქონია, – აკივლდა მედული.

ქმარს ერთი კვირის შემდეგ დაურეკა.

– გისმენთ, – უპასუხა ანდრომ.

– ანდრო, ძვირფასო, მაპატიე.

– ახლა არ მცალია, რქებს ვიხერხავ.

– რა რქებს?

– არ ვიცი, რქიანი ხარო, შენ არ მითხარი?

– ღმერთო ჩემო, მაპატიე ანდრო, სულელი ვიყავი, რეგვენი.

– მომისმინე საყვარელო, – დაუყვავა ქმარმა, – განქორწინებაზე შევიტანე განცხადება. სასამართლოში შევხვდებით.

– არასოდეს! – იკივლა ნაცოლარმა.

– ნუ მოხვალ თუ გინდა, ისედაც გაგვყრიან.

– მაპატიე ანდრო, მაპატიე.

– არასოდეს. ფეხების საწმენდ ტილოდაც რომ იქცე და კარების წინ დაეფინო, იმდენად მეზიზღები, ფეხებსაც არ გავიწმენდ შენზე. არც კი დაგაფურთხებ. მეზიზღები, შენი დედაც!..

– რა ვქნა? – ჰკითხა სასოწარკვეთილმა მედულიმ დაქალს.

– არ ვიცი. ჩემთან ვეღარ დარჩები. მე ჩემი ცხოვრება მაქვს.

– შენ როგორ მოიქცეოდი?

– – გუდანაბადს ავკრეფდი და ჩემს ქალაქში გავემგზავრებოდი. შენი და ანდროს ამბავი აქ ყველამ გაიგო, ყველა შენ გამტყუნებს.

– კარგი, წავალ, – თქვა თვალცრემლიანმა მედულიმ და ბარგის შეკვრა დაიწყო.

– რა ვქნა, – უთხრა მეგობარმა, – ძალიან მეცოდები, მაგრამ ღირსი ხარ. ახია შენზე. იქნებ მომავალში კიდევ შეხვდე ვინმე კარგ ადამიანს და ეს გაკვეთილი გაითვალისწინო. ეს ქვეყანა მხოლოდ სიამოვნებისთვის არ არის შექმნილი. ღალატი და ორპირობა მუდამ ასე თავდება!

მადლი

რყევა იგრძნო. ინსტიქტურად ჭერს ახედა, ოთახი აშკარად მოძრაობდა. დაცვაც შემოვარდა. ჯუმბერი მიხვდა, რომ მიწა იძრა. ყველას ეგონა, რომ ეპიცენტრი დაღესტანში იყო. უმალ დაუკავშირებდნენ მახაჩკალას. აღმოჩნდა, რომ იქ მშვიდობაა. ამ დროს მდივანი შემოვიდა და უახლესი ინფორმაცია მიუტანა ცეკას პირველ მდივანს – ეპიცენტრი ახალქალაქისა და ბოგდანოვკას (დღ. ნინოწმინდა) მიმდებარე ტერიტორიისკენ ფიქსირდებაო. მალე კი ცნობილი გახდა, რომ მიწისძვრა სომხეთის ტერიტორიაზე, სპიტაკში იყო.

საქართველოში დიდი და პატარა ფეხზე დადგა სომეხი ძმების დასახმარებლად. ჯანდაცვის სამინისტრომ სრული მობილიზაცია გამოაცხადა და მედიკოსთა ჯგუფები სამხრეთ საქართველოსკენ დაიძრნენ.

ახალქალაქში ჩასული ჯუმბერ პატიაშვილი პირდაპირ საავადმყოფოში მივიდა, სადაც დასახიჩრებული ადამიანები დახვდნენ. ასეთივე სურათი იყო ბოგდანოვკაშიც. იქიდან კი სპიტაკში გაფრინდნენ. აქ კი ჯუმბერს თავისი ბოქსიორი გაახსენდა – ლორდი, საოცრად მგრძნობიარე და გონიერი ძაღლი, რომელიც ამ დილით ეზოდან გავიდა და დაიკარგა. ამაოდ ეძება მთელმა ოჯახმა. „ცუდის ნიშანია“, – გაიფიქრა და სამსახურში წავიდა. „რომ ამბობენ, ცხოველები ადამიანზე უმალ გრძნობენ მოახლოებულ საფრთხესო, მართალია“, დაასკვნა მან.

სპიტაკში ჩასული ჯუმბერი და მისი თანხმლები პირები შეძრწუნდნენ. იქ მხოლოდ მიწის პირიდან აღგვილი ქალაქის ნაშთები დახვდათ, საიდანაც ნანგრევებში მოყოლილთა კვნესა და გადარჩენილთა განწირული კივილი ისმოდა, დაკარგულ ოჯახის წევრებს და ახლობლებს რომ ეძებდნენ. ჯუმბერმა ორივე ხელი სახეზე აიფარა, მსგავსი უმწეობა და უსუსურობა არასდროს უგრძვნია. ამ დროს ქალის ისტერიული კივილი შემოესმა. ის საწყალი ნანგრევებიდან ქვებს თვითონ ყრიდა და იმეორებდა: აქ ჩემი შვილია, აქ ჩემი შვილიაო.

ჯუმბერმა ხელები სახიდან მოიშორა და შეიგრძნო რა სრული აპოკალიფსური სურათის საშინელება, მოახერხა თავის ხელში აყვანა. ამ დროს მკლავზე შეხება იგრძნო. მიიხედა, მის წინ მოხუცი, დატანჯული, თხელწვერიანი კაცი იდგა: – შენ საქართველოს უფროსი არ ხარ, შვილო? – მძიმედ დაუქნია თავი და თვალებში შეხედა. მოხუცმა სომეხმა ვეღარაფერი უთხრა, თავი მკერდზე მიადო და აქვითინდა... ამ წუთიდან ჯუმბერ პატიაშვილი ამ განადგურებულ ქალაქში ლიდერად იქცა და უმძიმესი ემოციური ფონის მიუხედავად, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, რაც კი შესაძლებელი იყო, ყველა ქმედითი ღონისძიება გაატარა. პირველადი დახმარების აღმოჩენის შემდეგ, მომავალი სარეაბილიტაციო სამუშაოებიც დაგეგმეს და დაღამებულზე გამოფრინდა თბილისისკენ.

მადლიერმა სომეხმა ხალხმა ჯუმბერ პატიაშვილს ტრაგედიის დროს გვერდში დგომა და დახმარება დაუმადლა და მოგვიანებით, როცა სპიტაკი აღდგა, სურვილი გამოთქვეს, ქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის მისი სახელი და გვარი დაერქმიათ.

ამ დროს ბატონი ჯუმბერი უკვე გადამდგარი იყო ცკ-ს პირველი მდივნის პოსტიდან. – ჯერ თავი შეიკავეთ, 9 აპრილის შემსწავლელ კომისიას მუშაობა არ დაუსრულებია, – ასეთი პასუხი გასცა ახალმა მდივანმა.

თუმცა, სომეხი ხალხის სიყვარულს ცეკას ორსაათიანი მდივნები ვეღარ შეანელებდნენ. და როცა სპიტაკის ტრაგედიიდან 20 წლის თავზე ლენინაკანში ღონისძიება გაიმართა, სადაც საქართველოდან მიწვეულ სტუმრებს შორის ჯუმბერ პატიაშვილიც იყო, იქაურები ისე გულთბილად და ემოციურად დახვდნენ, ერთ-ერთმა ქართველმა დეპუტატმა ჩურჩულით ჰკითხა: – ბატონო ჯუმბერ, თქვენ ხშირად დადიხართ აქ?!

ჯუმბერს გაეღიმა. ოცი წლის შემდეგ, იგი პირველად ჩამოვიდა აქ. 20 წლის წინათ კი 1988 წლის 7 დეკემბერს, ღამით, როცა სპიტაკიდან თბილისში მოფრინავდნენ, თოვა დაიწყო და იძულებულნი გახდნენ, ვერტმფრენი სტეფანავანში, ავტომანქანების სინათლის დახმარებით, ტრასაზე დაესვათ. გამვლელი

ავტომობილი გააჩერეს, ძველ „მოსკვიჩში“ ჩასხდნენ და თბილისამდე გამთენიას ჩამოაღწიეს...

ყოველი წლის 7 დეკემბერს, ადგილობრივი დროით 11 სთ. 41 წთ. 27 წმ.-ზე მთელი მსოფლიოს სომხური ეკლესიები ზარს შემოჰკრავენ და ტრაგედიას იხსენებენ. და არ არსებობს ამ ქვეყნად სომხური ტაძარი, სადაც ამ დღეს იმ პიროვნებებს შორის, ვინც განსაკუთრებულად ამოუდგათ გვერდში მძიმე მომენტში, გამორჩეული სიყვარულით და პატივისცემით არ მოიხსენიონ ჯუმბერ პატიაშვილი.

გარეჯი

1988 წლის 29 სექტემბერს, 15 საათზე თავდაცვის საკავშირო მინისტრის კაბინეტში საქართველოს მაშინდელი ლიდერი შევიდა და პირველი წუთებიდანვე იგრძნო, რომ მინისტრ იაზოვს არც გენმდივნის დავალება ჰქონდა კარგად გააზრებული და არც გარეჯის პოლიგონთან დაკავშირებული პრობლემების არსი.

არადა, გუშინ, ჯუმბერის თანდასწრებით მიხეილ გორბაჩოვმა ტელეფონით საუბარი თავდაცვის მინისტრთან, იმ დროისთვის ყოვლად მოულოდნელი კითხვით დაიწყო: – დმიტრი ტიმოფეევიჩ, თქვენ მართლმადიდებელი ქრისტიანი ხართ?

და მოაყოლა: – ძალიან კარგი. მაშინ თქვენთან მოვა საქართველოს ცეკას პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი და საკითხი დადებითად გადაუწყვიტეთ.

ახლა კი იაზოვმა, თითქოს გენმდივანს არ დაევალებინოს, პირდაპირ მიახალა: – პოლიგონი ძვირადღირებულია, მისი გადატანა შეუძლებელია, მაგრამ თუ ამ შეუძლებელს შევძლებთ, სანაცვლოდ საქართველომ ათი ათასი ჰექტარი მიწა უნდა გამოყოს ახალი პოლიგონისთვის.

ჯუმბერი გაბრაზდა და არანაკლები კატეგორიულობით უპასუხა:

– საქართველო ყველაზე მცირემიწიანი რესპუბლიკაა და გამორიცხულია, პოლიგონისთვის ამხელა ფართობის გამოყოფა შევძლო. თქვენ კი შეგახსენებთ, რომ ქვეყნის პირველი პირისგან დავალება გაქვთ მიღებული, კეთილი ინებეთ და შეასრულეთ.

შემდეგ წამოდგა და გაღიზიანებულმა დატოვა კაბინეტი, თუმცა იაზოვმა ლიფტამდე გამოაცილა და ეცადა, კეთილგანწყობილად დაშორებოდნენ ერთმანეთს. მინისტრი გორბაჩოვთან ურთიერთობის დაძაბვას არ დაუშვებდა. იცოდა, რად დაუჯდებოდა ეს. ეს, კარგად იცოდა ჯუმბერ პატიაშვილმაც და ამიტომ გორბაჩოვის ჩართვა ამ საშვილიშვილო საქმეში ერთადერთ გამოსავლად მიაჩნდა. ჯერ თბილისში სტუმრად მყოფ

ევგენი პრიმაკოვს აუხსნა საქმის არსი. მან კი ჯუმბერის კაბინეტიდანვე მოახსენა დაწვრილებით ყველაფერი გენმდივანს და სთხოვა: – მიხეილ სერგეევიჩ, გთხოვთ, მხარი დაუჭიროთ ქართველ ახალგაზრდებს და ჯუმბერ პატიაშვილს!

ამის შემდეგ გორბაჩოვმა პატიაშვილთან გააგრძელა საუბარი და უთხრა, მოსკოვში პერსონალურად მისთვის ჩაეტანა გარეჯის შესახებ არსებული წიგნები და ისტორიული მასალა. ბატონი ჯუმბერი ასეც მოიქცა და წაუღო დიმიტრი ჩუბინაშვილის მიერ გამოცემული წიგნი, რომელშიც ქართულ ისტორიულ ძეგლებზე, მათ შორის გარეჯზეც იყო საუბარი.

...რაც შეეხება გარეჯის ისტორიას: საქართველოს გასაბჭოებისას, 1921 წელს, დადგენილი საზღვრებით, სამოცდაათ ჰექტარზე მეტი მიწა და ბერთუბანი თავისი უძველესი, უნიკალური ფრესკებით, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოხვდა. ვიმეორებ, 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოებისას. ანუ 1921 წლამდე გარეჯი ქართული ისტორიის განუყოფელი ნაწილია და ალბანურ კულტურასთან იგივე აქვს საერთო, რაც დღევანდელ აზერბაიჯანლებს იმ ალბანელებთან.

საბჭოეთის დროს დადგა ეს რეალობა, რომლის შეცვლა მხოლოდ გარკვეული დათმობით, კერძოდ, ტერიტორიების მონაცვლეობით იყო შესაძლებელი. ამიტომ ჯუმბერ პატიაშვილმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან ინტენსიური მოლაპარაკება დაიწყო და ბერთუბნისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის სანაცვლოდ სთავაზობდა ანალოგიური მოცულობის, სამოცდაათ ჰექტარ მიწას ივრის პირას.

ამ საკითხზე ქართველი ისტორიკოსები და არქეოლოგები მუშაობდნენ. მათ ახალი საზღვრების მიხედვით რუკა შეადგინეს, ჩაუტანეს აზერბაიჯანელ კოლეგებს, მათგან თანხმობაც მივიღეთ, მაგრამ ორი რესპუბლიკის შეთანხმება ამ საკითხის გადასაწყვეტად საკმარისი არ გახლდათ. აღნიშნულ ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები იყო განლაგებული და საკავშირო თავდაცვის სამინისტროს უნდა განეხილა და დაეკმაყოფილებინა ახალი საზღვრების დადგენის საკითხი...

სწორედ პოლიგონის გაუქმების დადგენა იყო პირველი ნაბიჯი ამ გზაზე და სწორედ ამის ასახსნელად შეხვდა ჯუმბერ პატიაშვილი უნივერსიტეტში სტუდენტებს და პირობა მისცა: თუ გარეჯის საკითხი დადებითად არ გადაწყდება, მაშინ მეც თქვენ პოზიციას დავიკავებო.

28 სექტემბერს პატიაშვილი გორბაჩოვს შეხვდა და ჩუბინაშვილის წიგნიც გადასცა. სწორედ ამ საუბრის დროს დაურეკა გორბაჩოვმა იაზოვს და დაავალა, პოლიგონის საკითხი დადებითად გადაეწყვიტათ. მერე მოვლენები სწრაფად განვითარდა. იაზოვი თავისი ამალით, რომელიც 15 გენერლისგან შედგებოდა, თბილისში ჩამოფრინდა და პირდაპირ გარეჯისკენ გასწია. უხმოდ, უსიტყვოდ დაათვალიერეს ყველაფერი. ბოლოს კი იაზოვმა და მისმა ამალამ ისე დატოვეს ჯერ გარეჯის, მერე კი საქართველოს ტერიტორია, რომ გადაწყვეტილება არ მიუღიათ. იაზოვმა კი მხოლოდ ერთი წინადადება თქვა: – აქ არ იქნება ისეთი სროლა, რომელიც ისტორიულ ძეგლებს დააზიანებს.

ერთმა გენერალმა კი, გაცეცხლებულმა ჯუმბერი გვერდზე გაიხმო და მკაფიოდ უთხრა: – თუ ეს პოლიგონი გაუქმდა, თქვენ, ქართველები ამ ტერიტორიაზე ფეხს ვეღარ დაადგამთ!..

მთავარი სიტყვა გორბაჩოვს უნდა ეთქვა.

გორბაჩოვის გადაწყვეტილების მოლოდინში დრო უქმად არ დაუკარგავთ და მოლაპარაკება აზერბაიჯანთან გაგრძელდა, რაც თანხმობით დამთავრდა: ტერიტორიათმონაცვლეობის საკითხზე მხარეები შეთანხმდნენ 1989 წლის მარტში. თუმცა იმ პერიოდისთვის მოვლენები იმდენად დრამატულად განვითარდა, გარეჯმაც და ბერთუბანმაც უკანა პლანზე გადაინაცვლა.

აღნიშნული მიწათმონაცვლეობის რუკა, რომელზეც საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრების ცვლილებები იყო დატანილი, წლების შემდეგ, ჯუმბერ პატიაშვილმა საპატრიარქოს გადასცა.

ამიტომ, ძვირფასო ხელისუფლებავ, მოიძიეთ ეს მიწათმონაცვლეობის რუკა და იქნებ უფრო უკეთ წარიმართოს ორ სა-

ხელმწიფოს შორის ამ თემაზე კამათი და არა იწილო-ბიწილოთი, რაც ახლაა გამართული. მით უმეტეს, მაშინდელი მოვლენების მთავარი გმირი დღესაც მხნედ გრძნობს თავს და აგერ, ახლა, ილიას სახელზე აშენებულ კულტურის ცენტრს კიდევ ერთი დარბაზი შემატა. ბატონი ჯუმბერი ქვეყნის ინტერესებს ყოველთვის ყველაფერზე მაღლა აყენებდა და მგონი, გარეჯის საშვილიშვილო საქმეში კიდევ შეუძლია წვლილის შეტანა.

დასასრულს კი მინდა მოგახსენოთ, გორბაჩოვის პოზიციის შესახებ გარეჯის კომპლექსთან და სამხედრო პოლიგონთან დაკავშირებით: იაზოვის ვიზიტიდან ცოტა ხნის შემდეგ, პატიაშვილმა მოსკოვიდან ამანათი მიიღო. მასში ჩუბინაშვილის ის წიგნი იდო, რომელიც გორბაჩოვს დაუტოვა ძეგლის უკეთ გასაცნობად, მაგრამ მას განახლებული სამი ეგზემპლარიც ახლდა. ჩუბინაშვილის წიგნის განახლებული ეგზემპლარების გამოგზავნით გორბაჩოვმა, სიმბოლური ფორმით თქვა თავისი სათქმელი...

ორი ვახტანგი

შესვენების საათებში სუპერმარკეტი ხალხით იყო სავსე. ნამდვილი საგიჟეთი გეგონებოდა. ოცი მოლარე ძლივს აუდიოდა მოძალებული მყიდველების მომსახურებას. კონსულტანტები ლამის წელში გაწყდნენ. დაცვასაც ბევრი საქმე ჰქონდა და უფროსი ვახტანგი ხშირად იძლეოდა მოკლე ბრძანებებს. ოცდაათამდე მონიტორს ერთად უყურებდა და ფართო ნიკაპზე სველ ცხვირსახოცს წამდაუწუმ ისვამდა. უცებ მზერა გაეყინა და პირი დააღო.

– თქვენც შენიშნეთ უფროსო? – უთხრა თანაშემწემ.

– კი.

– ეს ჯეელი აქ ბევრჯერ მყავს ნანახი. დადის, ათვალიერებს საჭმელ-სასმელს, მერე ერთ პურს იყიდის და მიდის. ახლა კი ეს ნამცხვრის პაკეტი ისე ჩაიდო უბეში, ეტყობა მოპარვას აპირებს, – ჩაიცინა თანამშემწემ იმ სახით, მე ვინ რას გამომაპარებსო.

– არ გიფიქრია იმაზე, რომ იქნებ შია? – ჰკითხა ვახტანგმა და ახლა იმ მონიტორს დააცქერდა, სადაც დაკვირვების ობიექტი – 10-11 წლის ბიჭი, წკიპზე შეყენებულივით დაიძრა სალაროსკენ. ვახტანგი წამოხტა:

– მაგას მე მივხედავ, შენ გააგრძელე, – მიუგო ხელქვეითს და იმ გასასვლელისკენ დაიძრა, სადაც პატარა ბიჭი უნდა გასულიყო წესით.

– არ გადაიხადა, მოლარეს უცებ გაეპარა, – მოახსენეს რაციით და ის იყო ბიჭი გარეთ უნდა გამძვრალიყო, ვახტანგმა მხარში ჩაავლო ხელი და დაიჭირა... ბიჭი შებრუნდა, თავი გადასწია უკან და ამ მთისხელა შავფორმიანს ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა.

– წამობრძანდით ახალგაზრდავ, – ზრდილობიანად მიმართა დაცვის უფროსმა. ბიჭი უხმოდ გაჰყვა, უცხოს ეგონებოდა მამა-შვილი მისეირნობსო, ოღონდ ბიჭის სახე იმ სიხარულს არ გამოხატავდა, როგორც ამ ასაკის ბიჭებს აქვთ მამასთან სეირ-

ნობისას. თუმცა ამ პატარას ნატვრა კი გაუჩნდა გულში: „ეჰ, ასეთი მამა რომ მყავდეს, ან ბიძა, რა მაგარი იქნებოდა! დედაც აღარ ილოთებდა და ბინიდან არ გამაგდებდა ხოლმე. ვერც მისი სტუმრები იბოგინებდნენ ჩვენთან, არც მე გამოვიქცეოდი სკოლიდან, სადაც ყველა მეჩხუბებოდა და დამცინოდა ჩაცმულობის გამო. მასწავლებლებიც კი“.

ამასობაში ვახტანგის კაბინეტში შევიდნენ. ბიჭი გააკვირვა მონიტორების სიმრავლემ, თუმცა იქ ფილმები კი არ გადიოდა, ხალხი როგორ მიდი-მოდიოდა გაძეძგილ დახლებს შორის, იმას უჩვენებდნენ და ხუთი შავფორმიანი ინტერესით უყურებდა.

– დაბრძანდი, – თავაზიანად მიიპატიჟა ვახტანგმა მაგიდასთან. ბიჭი დაემორჩილა. კაცი კი მის პირდაპირ ჩაეშვა სავარძელში და უთხრა:

– შენ ისეთი ბიჭი ჩანხარ, სახელიც კარგი გექნება.

– ვახტანგი მქვია.

– ოჰ, გამარჯობა შენი! სეხნიები ვყოფილვართ, – ხელი გაუწოდა.

იმან პატარა ხელი შემოაგება: – გაგიმარჯოს1

– რახან სეხნიები ვართ და ერთმანეთიც გავიცანით, იქნებ ამოიღო ის, უბეში რომ მალავ.

ბიჭმა დაუჯერა და ნამცხვრის პატარა პაკეტი მაგიდაზე დადო.

– კლარა, ჩაი მიართვი სტუმარს! – ბრძანება გასცა დიდმა ვახტანგმა, – შენ კი ვაჟკაც, გახსენი ეგ და ჩაის დააყოლე.

ჩაი მალე მიართვეს და პატარა ვახტანგი საქმეს შეუდგა. სამართლიანობა მოითხოვს და აღვნიშნავ, რომ პარტნიორსაც შესთავაზა ნამცხვარი, მაგრამ იმან, ყელამდე ვარო და... ოთხ წუთში ჩაიც გათავდა და ნამცხვარიც.

– აბა, ახლა ჩემი ნახელავი კატლეტებიც დააყოლე, – თეფშით მიართვა კლარამ. დანარჩენებმაც გამოიღეს ხელი და ცოტა ხანში მაგიდა შინიდან წამოღებული საგზლებით აივსო.

პატარა ვახტანგს ერთად თავმოყრილი ამდენი ღიმილიანი და კეთილი სახე არასოდეს ენახა და: – ვიდრე თქვენც არ მიირ-

თმევთ, პირს არაფერს დავაკარებ! მიმართა მასპინძლებს. ყველამ მოიმარჯვა საკუთარი სკამი და... სადილის შემდეგ, ერთმა, ყველაზე ასაკოვანმა თანამშრომელმა, რომელსაც თმა მხოლოდ ყურებს ზემოთ შერჩენოდა, ბიჭი დალოცა: – აგაშენა ღმერთმა. ასე გემრიელად და ერთად არასოდეს გვიჭამია. მოდი, ჩვენს ახალ თანამშრომელს გაუმარჯოს და ლიმონათიანი ჭიქა ასწია.

– გაუმარჯოს! – შესძახა ყველამ.

– მადლობა, ბატონო ვალერი, მაგარი იდეა მომაწოდე. მეგობრებო, დაცვის სამსახურში 22 კაცი და ქალი ვართ, მაგრამ ეს ბიჭი თუ არ იმუშავებს ჩვენთან, მე აქ მომსვლელი აღარ ვარ! ამიტომ ვახტანგს, ძალიან ახალგაზრდობის მიუხედავად, სიამოვნებით ვიღებ ამ კოლექტივში, გთხოვთ თანხმობა ხელის აწევით დამიდასტუროთ, მეორე ცვლას მე მოველაპარაკები, – თქვა დიდმა ვახტანგმა და პატარა სეხნიას უთხრა: – ხვალიდან სკოლაში ივლი. სწავლის შემდეგ აქ მოხვალ. გაკვეთილებსაც მოამზადებ და თან მონიტორებს ადევნებ თვალს. ახლა კი, დაემშვიდობე კოლეგებს და წავიდეთ! მინდა გავიგო სად ცხოვრობს ჩვენი ახალი ძმა...

ვინაიდან პატარა ვახტანგი ამ მარკეტიდან ორასიოდე მეტრში ცხოვრობდა, სეხნიები ფეხით გაუყვნენ გზას.

– რა დააშავა ამ საზიზღარმა, – იწივლა ვიღაც ქალმა და გვარიანად დააფრთხო ორივე.

– თქვენ ვინ ბრძანდებით? – შემობრუნდა დიდი ვახტანგი და შუა ხნის გამხდარი, სათვალიანი ქალბატონი მზერით ადგილზე მიალურსმა.

– მაგ არამზადას მასწავლებელი ვარ, სულ ვამბობდი, დედამისის შვილი პოლიციაში ამოყოფს თავს-თქო და არც შევმცდარვარ. რა დააშავა?

– ყური მიგდე ქალბატონო. მე ვახტანგის ბიძა ვარ. დღეს ჩამოვედი ამ ქალაქში და მინდა გაცნობოთ, რომ დღეიდან მე ვაგებ პასუხს ამ ბიჭზე. სკოლაშიც ივლის, კარგადაც ისწავლის და არც დისციპლინას დაარღვევს. თუ რამეს დააშავებს, შემატყობინებთ და ამას ვუჩვენებ სეირს.

– თქვენ გაიხარეთ, ბატონო. უნიჭო ბიჭი არ გახლავთ, მაგრამ გაუსაძლის პირობებში უწევს ყოფნა და თქვენი ხელი ძალიან მოუხდება, – ტონი შეცვალა პედაგოგმა.

ვახტანგი თავის დაკვრით დაემშვიდობა და გზა განაგრძეს.

– გაიგე, მეგობარო? – მიუბრუნდა პატარას, – თუ კარგად არ მოიქცევი და ბეჯითად არ ისწავლი, ორივეს მოგვხვდება...

ამასობაში ბიჭის სახლს მიუახლოვდნენ, თუ შეიძლება სახლი ეწოდოს იმ მოღრენცილ ოთახს, რომელიც ღობეშეძარცვულ ეზოში იდგა და სამი ფანჯრიდან, ორზე ფანერები ჰქონდა აკრული.

– მოვედით, – შერცხვა ბიჭს.

– შევიდეთ, – თქვა კაცმა და გაშავებული ხის კარი ჭრიალით შეაღო.

თამბაქოს ბოლი, არყის სუნი და კიდევ რაღაც ისეთი „სურნელი“ იდგა, ამხელა კაცი აბარბაცდა. ოთახში ორი გალეშილი ქალი და სამი მთვრალი მამაკაცი ფეხმოტეხილ მაგიდას მიჯდომოდნენ და წინ არყის დაცლილი ბოთლები, ძეხვის და ხახვის ნარჩენები ეყარათ.

– შენ რა პოლიცია მოგვიყვანე. გაზარდე ახლა ასეთი შვილი, – წამოდგა ერთი მაგრად ნათრევი ქალი.

– შენ, ჩვენი ძმა, მისამართი შეგეშალა. ჩვენ შენი კლიენტები არ ვართ, – წამოიწია ერთი მთვრალთაგანი და ვახტანგს წინ დაუდგა, მან კი ლოთს საყელოში ჩაავლო ხელი და წამში მიაბრძანა გარეთ, მერე კი პანღურით დაეხმარა, სახლს ათიოდე ნაბიჯით მოშორებოდა და უკან შებრუნდა.

– გასაგებია, ჩვენით გავალთ, ხელების გარეშე, – წამოხტნენ დანარჩენი ლოთები და ბანცალით მიაღწიეს ეზომდე და, თუმცა, არავინ მისდევდათ, „ხელების გარეშეო“, იძახდნენ.

– ყური მიგდე ბიჭო, – მიუბრუნდა დიდი ვახტანგი პატარას, – ხვალ ვისვენებ. დილით ადრე მოვალ და სკოლაში წაგიყვან. მერე კი დედაშენს დაველაპარაკები. ახლა აზრი არ აქვს მასთან საუბარს.

მეორე დილით ბიჭი სკოლაში მიიყვანა და დედამისს მიაკ-

ითხა სახლში. ქალი მაგიდასთან იჯდა და ხელებში ჰქონდა თავი ჩარგული.

– მომისმინე მარუსა და კარგად დაიმახსოვრე, – უთხრა ვახტანგმა, – თუ კიდევ ოდესმე გნახავ იმ შენს ამფსონებთან ერთად, ორივე ფეხს მოგამტვრევ შენც და მათაც. ბიჭს მიხედე. როცა ეგ გაბიჟვინებული სახე დაგიწყნარდება და ადამიანს დაემსგავსები, ჩემთან წაგიყვან. გამოჩნდება შენთვის სამუშაო. მთელი ცხოვრება წინ გაქვს და თან ასეთი შესანიშნავი შვილი გყავს.

– ისეთი ცხოვრება გამოვიარე, ნებისმიერი ჩემსავით იქნებოდა, – უპასუხა ქალმა.

– არ მაინტერესებს. ამ წუთიდან ძმა ვარ შენი და ბიძა შენი შვილისთვის. ყველა სიტყვაზე პასუხს ვაგებ, რაც ამ სახლში ვთქვი.

... ერთი წლის შემდეგ პატარა ვახტანგს მასწავლებლები მოწინავე მოწაფეებში ასახელებდნენ, ხოლო მარუსა, რომელიც ადამიანურ ცხოვრებას დაუბრუნდა, ისე შეიცვალა და გალამაზდა, როგორც მისი სახლი. და როცა მარკეტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა,დამლაგებლობიდან გამყიდველ-მოლარემდე დაწინაურებულ მარუსას ხელი სთხოვა, მან უპასუხა – თუ ჩემი შვილი და ძმა თანახმა იქნებიან, გამოგყვები ცოლად, ჯერ მათ დაელაპარაკე.

შოკი

ლადო ცოლის ყვირილმა გააღვიძა. თვალები გაახილა, თავი წამოსწია ბალიშიდან. მისი საწოლი ოთახი ხალხით იყო სავსე. ცოლი, სიდედრი, სიდედრის ორი და, უბნის მკაცრი რწმუნებული, დაყირავებულ ულვაშიანი, შუა ხნის დაკუნთული აკიმი... გვერდით კი მეუღლის დაქალი ნატა ეწვა და მისმა მშვიდმა სიჩუმემ გააკვირვა.

– რა გაღრიალებთ? – პირველად სწორედ საყვარელმა ამოიღო ხმა, – ბარემ მთელი ქალაქი წამოგეყვანათ. ირინა, შეისმინე. ლადოს მე ვუყვარვარ და არ გინდა ეს ჩასაფრებები, ცივილურად დავშორდეთ!

– სწორედაც რომ გავშორდები! – ისევ იკივლა ირინამ, – ამ გარეწართან წუთიც აღარ დავრჩები. ინსპექტორო, შეადგინეთ ოქმი.

– რა ოქმი ქალბატონო? – იკითხა აკიმმა, – ქალის და კაცის ერთად წოლა რომ დანაშაული იყოს, ოთხი მეხუთედი მსოფლიო ციხეში უნდა ჩავსვათ. თქვენ ჭკუაზე რომ ვიარო, ახლა დილაა და ნახევარი ეს კორპუსი მეყოლება დასაპატიმრებელი.

– დააფიქსირეთ მაინც ბატონო პოლიციელო, – ჩაერია სიდედრი.

– ყველაფერი ძალიან კარგად გაქვთ დაფიქსირებული მობილურ ტელეფონზე. ერთად იწვნენ ჩახუტებულნი. ზაფხულში და ასეთ არანორმალურ სიცხეში, ქალი და კაცი, ასე რომ ჩაეფსკვნება ერთმანეთს, დასკვნა ერთადერთია – სიყვარული! – თავი დაიცვა ინსპექტორმა.

– სიყვარულს გაჩვენებ ლადო შენ! – ცოლი უკვე მშვიდად საუბრობდა, – დღესვე, ამ საათშივე შემაქვს საჩივარი გაყრაზე.

– მე ეს უნებლიედ მომივიდა, – დაირცხვინა ქმარმა, რომელმაც ახლაღა ამოიღო ხმა.

– რას ჰქვია უნებლიედ? – იკითხა ინსპეტორმა.

– გვატყუებს ბატონო, – აფეთქდა ცოლი, – ეტყობა, დიდი ხა-

ნია მღალატობს. წუხელ საავადმყოფოში ვიყავი მორიგე, ამან კი დრო იხელთა.

– არა, ირინა, ძვირფასო. ეს ქალბატონი ღამით მოვიდა, თან კონიაკი და ხილი მოიტანა. ცოტა დავლიოთ და წავალო, მარტოობა მომწყინდაო. დავლიეთ, შენს დაქალს უარი ვერ ვუთხარი და არც მახსოვს როგორ აღმოვჩნდით ამ საწოლში, – თქვა ქმარმა და შვებით ამოისუნქა.

– ეგ ტყუილები ვერ გიშველის, მხოლოდ გაყრა! კიდევ კარგი შენისთანა მოღალატისგან შვილები რომ არ გავაჩინე. ახლავე შემაქვს განცხადება.

– ქალბატონო ირინა, – თქვა რწმუნებულმა და სარკის წინ, პატარა სკამზე, ე.წ. პუფზე ჩამოჯდა. – ლადოს კარგად ვიცნობ, წესიერი, პატიოსანი კაცია, ყველას დამხმარე და გვერდში მდგომი. დარწმუნებული ვარ, ტყუილს არ იტყვის. იქნებ ამ ქალბატონმა დაათრო და შეაცდინა?

– მე არ შემიცდენია, – თავი წამოსწია ნატამ, – ერთად დავლიეთ. მეც მომეკიდა სასმელი, მერე არაფერი მახსოვს. ირა, ხომ იცი, სრულ ჭკუაზე არ გიღალატებდი შენს ქმართან. არც მიფიქრია არასდროს, უნებლიედ მოხდა, არ გაეყარო.

– ჭკუასაც რომ გასწავლის ეს გათახსირებული, – იკივლა სიდედრმა.

– მომისმინეთ, – კატეგორიულად თქვა ირინამ, – განცხადების შესატანად მივდივარ. შენი დანახვაც კი არ მინდა. შეგიძლია მაგ ქალბატონთან წაეთრიო. ხომ არ დაგავიწყდა, საქორწინო ხელშეკრულება მაქვს და თითზე გადასახვევ ძაფსაც არ დაგიტოვებ, ყველაფერს წაგართმევ. რვა წელი მატყუებდი, თურმე არ გიყვარდი. წავედით.

როცა ყველა გავიდა და კარები გაჯახუნდა, საყვარლებს სიცილი აუტყდათ და ისევ ჩაეხუტნენ ერთმანეთს.

– ო, ეგ ძუკნა! – თქვა ლადომ, – ძლივს შევიკავე თავი. მინდოდა სიმართლე მიმეხალა და წიხლქვეშ გამეგდო.

– რას ამბობ ძვირფასო. სამი თვის ნაშრომს ჩაყრიდი წყალში, – უსაყვედურა ნატამ და...

სამი თვის წინ ლადოს ყველაზე ბედნიერ და წარმატებულ ადამიანად თვლიდა თავს: სიმდიდრე, ულამაზესი და ერთგული მეუღლე, ხალხის დაფასება და პატივისცემა. ეს ყველაფერი გაზაფხულის ერთ საღამოს დაენგრა. მასთან კაბინეტში ნატა შევიდა და უთხრა: – ძალიან საჭირო საქმეზე ვარ და უნდა მომისმინო.

– უკაცრავად, მაგრამ ჩემი ოჯახის ახლობლებს ყოველთვის ყურადღებით ვუსმენ, – გაუცინა ლადომ, ხელი ჩამოართვა და სკამზე მიუთითა.

– თხოვნა მაქვს.

– გისმენთ.

– თხოვნა მაქვს, ვიდრე ვისაუბრებ, არ შემაწყვეტინოთ, თორემ ყველაფერს გამიფუჭებთ. ლადო, იცით რომ დიდ პატივს გცემთ და ძალიან გაფასებთ. ახლა რასაც გეტყვით შოკში ჩაგაგდებთ, მაგრამ პირობა მომეცით, ვიდრე არ დავასრულებ, არაფერს ჩაიდენთ.

– დამშვიდდით ქალბატონო ნატა, პირობას გაძლევთ, თქვენი ბრძანების გარეშე არაფერს მოვიმოქმედებ, – გაეცინა ლადოს.

– ლადო, პირდაპირ გეტყვი – ცოლი გღალატობს! – მიახალა ნატამ, რომელმაც აღელვებისგან ვერც კი იგრძნო, რომ „შენობითზე“ გადავიდა.

ლადო გახევდა, გაშრა, ნატას მძულვარებით აღვსილი თვალები მიაპყრო და ამოიხავლა: – ვინ? რა? რომელი ცოლი?

– ირინა გღალატობს, – უკვე მშვიდად უთხრა ნატამ.

– მოვკლავ! – იღრიალა კაცმა და წამოხტა.

– თქვენ ხომ სიტყვა მომეცით, – ეცა ნატა, – გთხოვთ თავი ხელში აიყვანოთ.

ლადომ უხეშად ჰკრა მჯიღი და ოთახში იმ ნადირივით დაიწყო წრიალი, დიდი შეტაკებისთვის რომ ემზადება. მერე შედგა, ძირს გაშხლართულ ნატას მიეჭრა, წამოაყენა და სკამზე დასვა.

– უჰ, – ძლივს მოითქვა ქალმა სული, – ლამის მომკალი.

– ბოდიში და მითხარი ყველაფერი, გისმენ! – უღრიალა.

– დაბრძანდით და მოგიყვებით იმას, რაც მხოლოდ მე ვიცი.

– თქვი!

– ირინა, ლამის, წელიწადია სხვა კაცს ხვდება. გუშინ თავად მომიყვა ამის შესახებ.

– რა საბუთი გაქვს?

– საბუთს ამ დღეებში შენი ცოლი მოგიტანს.

– როგორ? რას ჩმახავ. მოვკლავ მაშინვე.

– თქვენ რვა წელია ცოლ-ქმარი ხართ. ირინა ახლა აპირებს შენთან საქორწინო ხელშეკრულება გააფორმოს, სადაც ჩაგიწერს, რომ ერთ-ერთი მეუღლის ღალატის შემთხვევაში, მთელი ქონება მეორე მეუღლეს დარჩება.

– თავად გითხრა?

– ხო. მე ხომ ადვოკატი ვარ. გუშინვე მთხოვა ხელშეკრულების მომზადება. ამ საღამოს უნდა მოვიდე თქვენს სახლში და მოვუტანო. მერე, ალბათ, დროს შეგირჩევს და გეტყვის.

– ეს მისი ბოლო სიტყვები იქნება.

– დაწყნარდი ლადო. დათანხმდი, ხელშეკრულება გაუფორმე.

– და მერე რომ გამოვიჭირო ღალატში?

– ღალატში უკვე გამოჭერილი გყავს, ჩვენი გუშინდელი საუბარი ჩავწერე. ჩემს ოფისში ყველა საუბარს, რომელიც ჩემს კაბინეტში შედგება, ოთახის კამერა იწერს.

– ძალიან საშიში ქალი ყოფილხართ.

– ადვოკატი ვარ და ხშირად ამით ფასდაუდებელ ცნობებს ვაგროვებ. ღალატში მას სურს შენი გამოჭერა, გაიგე? რომ ყველაფერი წაგართვას.

– ეგ არ გამოუვა.

– თუ ჩვენ მოვინდომებთ, გამოუვა.

– ამიხსენი.

– ირინას სურს მე შეგაცდინო.

– რა?

– რა და ლოგინში ჩაგიგორდე, ის კი თავზე დაგვადგება, ღა-

ლატში გამხელს და თავის საყვარელთან ერთად მთელს შენს ქონებას დაეპატრონება, ამ ფირმასაც კი. ასე წერია ამ ხელშეკრულებაში. აი, იგი. ეს კი ფლეშკა. აქ არის ჩაწერილი ჩვენი საუბარი.

ნახევარი საათის შემდეგ, ნატას თვალწინ, ლადო თითქოს 20-25 წლით დაბერდა. გაშლილი მხრები ჩამოუცვივდა, ტომარასავით დაეგდო სავარძელში თვალდებდახუჭული.

– არა, უნდა მოვკლა, – თქვა ბოლოს.

– რატომ? – გაეცინა ნატას, – როცა შეგიძლია ისე მოაწყო ყველაფერი, რომ ის დაგსდევდეს მოსაკლავად...

და მოაწყვეს. დღევანდელი დილაც ნატამ და ლადომ დაგეგმეს, ოღონდ ისე, ირინას ეგონა, ქმარი გამოიჭირა...

მერე მოვლენები ლოგიკურად განვითარდა: სასამართლო პროცესი თვით ისეთი მრავლისმნახველი პოლიციელისთვის, როგორიც აკიმი გახლდათ, შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. ირინაზე, დედამისზე და მის საყვარელზე რაღა გითხრათ. სასამართლო დარბაზიდან კისრისტეხით გაიქცნენ.

როცა ლადომ და ნატამ საქორწინო სამზადისი ლამის დაასრულეს და მოსაწვევი ბარათების შევსებაზე გადავიდნენ, ლადომ განსაკუთრებული სიამოვნებით ერთი მათგანი შეავსო:

„ქალბატონ ირინას. პატივი გვაქვს, მოგიწვიოთ ქორწილში, რომელიც შედგება რესტორან „მეტროპოლში“, ა/წლის 18 იანვარს, 18 საათზე. იმედი გვაქვს, თქვენი მოსვლით გააბედნიერებთ ჩვენს ოჯახს. პატივისცემით, ნატა და ლადო...

ცხოვრება უკვდავებისთვის

ეკლესიაში ყველაზე მეტად აღდგომის წინა კვირაში მიყვარს მისვლა. მგონი მამაოები ამ დროს არიან განსაკუთრებით სიტყვაუხვნი და ბრძენნი. ვნების კვირის უდიდესი სასწაულის მოლოდინში არიან და ეს ახარებს მათ სულს. ეს საუბარი ოთხი წლის წინათ შედგა, ქალაქის გარეუბნის ეკლესიაში, რომელსაც პირველად ვესტუმრე და მამა ალექსანდრესაც პირველად შევხვდი. ახალგაზრდა, მაღალი, შავთმიანი და მოკლეწვერიანი, ცისფერთვალება მღვდელი სიტყვებს ისე წარმოთქვამდა, გეგონებოდა ლურსმნებს აჭედებდა. მსმენოდა მისი ქადაგებების შესახებ და ამიტომ გადავჭერი ლამის ერთი ბოლოდან მეორემდე თბილისი, რომ პირადად მომესმინა მისთვის. როცა გამოვეცნაურეთ, ჩემი ყოფილი თანაკურსელის შვილი აღმოჩნდა. „ყოფილის“ იმიტომ, რომ მამამისი, ენვერი, მესამე კურსიდან მოსკოვში გადავიდა სასწავლებლად და ახლა გავიგე მისი შვილისგან, რომ ცოლ-შვილი ვიღაც დიპლომატის ქალიშვილის გამო მიუტოვებია და საზღვარგარეთ გადაბარგებულა მასთან ერთად. იქ ისიც აღარ მოსწონებია და დღემდე ლათინურ ამერიკაში ცხოვრობს და ხუთი წელია, აღარც შეგვხმიანებიაო, – თქვა ალექსანდრემ, რომელთან ერთად ეკლესიის უკან მდებარე მშვენიერ ბაღში ვიჯექი გრძელ სკამზე.

– გამარჯობა, – მოგვესალმა ჩემსავით ნახევარ საუკუნეს კარგად გადაცილებული, გაუპარსავი მაგრამ გემოვნებით ჩაცმული, ოდნავ ღიპიანი მელოტი კაცი და ფეხზე წამომდგარ ალექსანდრეს ხელზე ემთხვია. მოსული მეც გავიცანი, არჩილი ერქვა და მამაოსთან სპეციალურად იყო ჩამოსული საგარეჯოდან.

– იესოს იგავების განმარტება ამაზე კარგად არავინ იცის, – მომიბრუნდა სტუმარი, – ისტორიის პედაგოგი ვარ, რელიგიის გარეშე კი ისტორია მკვდარია, ამიტომ მოვდივარ აქ თვეში ერთხელ და იმდენ ცოდნას ვიღებ და იმდენ რამეს ვიგებ, მოსწავლეები კი არა, მასწავლებლებიც ხახადაფჩენილი მისმე-

ნენ. რა ჰქენი მამაო, მოამზადე საშინაო დავალება? – გაუცინა მღვდელს.

– მოვამზადე შვილო ჩემო, – გაეცინა ალექსანდრეს.

როცა გაკვირვება შემატყო, მოძღვარი მომიბრუნდა: მათე მახარებლის 21-ე თავის იგავის განმარტება მქონდა დავალებული არჩილისგან, ბოროტეული მევენახეები ჰქვია.

მღვდელი შუაში ჩავსვით. მან ახალი აღთქმა გადაშალა საჭირო ადგილზე და...

„...იყო ერთი სახლის პატრონი, რომელმაც გააშენა ვენახი, გარს ღობე შემოავლო, შიგნით საწნახელი ამოკვეთა და კოშკი ააგო, მევენახეებს ჩააბარა და წავიდა.

რთველი რომ მოახლოვდა, თავისი მონები გაუგზავნა მევენახეებს მისი ნაყოფის მისაღებად.

მევენახეებმა შეიპყრეს მისი მონები, ერთნი სცემეს, მეორენი დახოცეს და სხვა ჩაქოლეს.

კიდევ გაგზავნა სხვა მონები, უწინდელზე მეტი, იმათაც ასევე მოექცნენ.

ბოლოს თავისი ძე გაგზავნა მათთან და თქვა: ჩემი ძისა მოერიდებათო.

მაგრამ მევენახეებმა ძე რომ დაინახეს, ერთმანეთს უთხრეს: ეს მემკვიდრეა, მოდით, მოვკლათ იგი და დავისაკუთროთ მისი სამკვიდრებელი!

შეიპყრეს იგი, გააგდეს ვენახის მიღმა და მოკლეს.

აბა, როცა ვენახის პატრონი მოვა, რას უზამს ამ მევენახეებს?“

მიუგეს მას: „ამ ბოროტულთ ბოროტად დახოცავს და ვენახს გადასცემს სხვა მევენახეებს, რომლებიც ნაყოფს თავის დროზე მისცემენ“.

უთხრა მათ იესომ: „ნუთუ არასოდეს არ წაგიკითხავთ წერილებში: ლოდი, რომელიც მშენებლებმა დაიწუნეს, ქვაკუთხედად იქცა. უფლისგან მოხდა ეს და საოცარია ჩვენს თვალში?

ამიტომ გეუბნებით თქვენ, რომ წაგერთმევათ ღვთის სასურველი და მიეცემა ერს, რომელიც გამოიღებს მის ნაყოფს.

ის, ვინც ამ ლოდზე დაეცემა, დაილეწება; ხოლო ვისაც დაეცემა გასრესს“.

მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა იგავი რომ მოისმინეს, მიხვდნენ, რომ მათზე ამბობდა.

ცდილობდნენ მის შეპყრობას, მაგრამ ხალხისა ეშინოდათ, ვინაიდან წინასწარმეტყველად მიაჩნდათ იგი“ (იოანე 21:33-46).

მღვდელმა წიგნი დახურა, ეკლესიის უკანა კედელს გახედა და თქვა:

– აი, ასე ამხილა უფალმა იუდეველთა მღვდელმთავრები და მთელი სინედრიონი, რომელშიც შედიოდნენ იუდეველთა თავადნი, მწიგნობარნი, ფარისევლები და სადუკეველნი. ამხილა ისინი ღვთის გმობაში. იმიტომ ამხილა ყველას გასაგონად, რომ მათ კარგად უწყოდნენ, რომ „ვენახში“ ისრაელის ხალხი იყო ნაგულისხმევი; მევენახეებში კი, რომლებიც ვალდებულნი არიან მოუარონ, გაზარდონ, სასიკეთოდ იტრიალონ და იმუშაონ ვენახში, მღვდელმთავრები და საერთოდ, მაშინდელი ისრაელის ხელისუფლება იგულისხმა უფალმა. ამიტომ, როცა იგავი დაასრულა, როგორც სახარებაშია ნათქვამი, ისინი „მიხვდნენ, რომ მათზე ამბობდა“. და რა ბრძანა იესომ? ძირითადი რა იყო მის იგავში?

მთავარი ის იყო, რომ ღმერთმა გააშენა ვენახი ანუ ისრაელის ხალხი და მისი მწყემსვა დაავალა მღვდელმთავრებს და ისრაელის ხელისუფალთ. და როცა დადგა ნაყოფის შეგროვების დრო, გაგზავნა უფალმა წინასწარმეტყველნი, რომელთაც უფლის სიტყვა უქადაგეს ისრაელს, ამხილეს ცუდ საქციელში და ხშირ შემთხვევაში კერპთაყვანისმცემლობაში, მაგრამ ხალხმა დახოცა ისინი. და ვინაიდან უფალს აღთქმული ჰქონდა ისრაელისთვის, რომ მეორე ცივილიზაციას წარღვნით არ აღგვიდა, რა უნდა მოემოქმედებინა?

დაბადება 9:9-11:

„აჰა, გიდებთ აღთქმას თქვენ და თქვენს შთამომავლობას.

ყოველ სულდგმულს, რომელიც კი თქვენთან არის, ფრინ-

ველს, პირუტყვს, მიწის ყველა მხეცს, რომელიც კი თქვენთან არის, ყველას, კიდობნიდან გამოსულს,

გიდებთ აღთქმას, რომ აღარ აღგვის ხორციელს წარღვნა და აღარ მოვა წარღვნა ქვეყნის დასაპყრობად“.

და ღმერთმა გამოგზავნა თავისი საყვარელი ძე, რათა მას საკუთარი სისხლით გამოესყიდა ვენახი ანუ ადამიანები. და რა თქვეს მევენახეებმა ანუ მღვდელმთავრებმა და მწიგნობართა, როცა უფლის ძე დაინახეს?

„ეს მემკვიდრეა. მოდი, მოვკლათ იგი და დავისაკუთროთ მისი სამკვიდრებელი“.

ყურადღება მიაქციეთ, – ხმას აუწია ალექსანდრემ, – მათ ეჭვი არ ეპარებათ ვინ დგას მათ წინ. მათ იციან, რომ ეს არის მესია, ძე ღვთისა და მაინც აპირებენ მის მოკვლას, რომ დაეუფლონ ღვთის ქონებას, ღვთის სამკვიდრებელს ანუ ხალხს. უფალმა თვალნათლივ ამხილა ისინი და მათ ეს გაიგეს. ერთხელ იესომ პირისპირ უთხრა მათ:

„თქვენი მამა არის ეშმაკი და მამათქვენის გულისთქმის შესრულება გწადიათ“ (იოანე 8:44). დარწმუნებით გეტყვით, რომ იესომ ისინი ფარულ კერპთაყვანისმცემლობაში ამხილა ამით.

ამის დასამტკიცებლად წინასწარმეტყველ ეზეკიელს გაგახსენებთ, რომელიც მაცხოვარზე 600 წლით ადრე ცხოვრობდა და ძველი აღთქმის ოთხ უდიდეს წინასწარმეტყველში შედის. ის ბაბილონის ტყვეობაში ცხოვრობდა. მას შემდეგ, რაც ნაბუქოდონოსორმა გაანადგურა და ქვა ქვაზე არ დატოვა ისრაელისგან და სწორედ ბაბილონში იხილა ეზეკიელმა ჩვენება უფლისგან: „თვის მეხუთე დღეს – ეს იყო მეხუთე წელი მეფე იოაქინის ტყვეობისა – გამოეცხადა უფლის სიტყვა ეზეკიელს, მუზის ძეს, მღვდელს, ქალდეველთა ქვეყანაში, მდინარე ქემარის პირას, და იყო მასზე უფლის ხელი (ეზეკ. 1:2-3). ეს იყო მომავლის წინასწარმეტყველური ხედვა (ეზეკ. 8:8-12).

„მითხრა: ადამის ძევ! გათხარე კედელი: მეც გავთხარე კედელი და აჰა, გასასვლელია ერთი.

მითხრა: შედი და იხილე ბოროტი სისაძაგლეები, რასაც არ სჩადიან.

შევედი და, ვიხილე, აჰა, ყოველნაირ ქვეწარმავალთა და უწმინდურ ცხოველთა გამოსახულებანი და ისრაელის სახლის ყოველნაირი კერპი, გამოსახული ირგვლივ მთელს კედელზე.

სამოცდაათი კაცი ისრაელის სახლის უხუცესთაგან დგას მათ წინ და იაზანია შაფანის ძეც დგას მათ შორის, თითოეულს სასაკმევლე უჭირავს ხელში და საკმევლის სქელი ღრუბელი ადის მაღლა.

მითხრა: თუ ხედავ, ადამის ძევ, რას სჩადიან ისრაელის სახლის უხუცესები ბნელში, თითოეული თავის მოხატულ ოთახში? რადგან ამბობენ, უფალი ვერ გვხედავს ჩვენ, მოატოვაო უფალმა ეს ქვეყანა“.

რაზეა ეს წინასწარმეტყველება? – იკითხა ალექსანდრემ და განაგრძო, – მომავალ ტაძარზე, რომელიც შემდგომში აღდგა და იმაზე, რომ საიდუმლო, მიწისქვეშა თავშესაფრებში მყოფ მავან 70 კაცზე. ვინ არიან ისინი? ჩვენ ვიცით, რომ იუდეის სინედრიონი 72 ადამიანისგან შედგებოდა, ანუ 72-დან 70 კერპს სცემდა თაყვანს? სინედრიონის ერთი წევრი – ნიკოდემუსი იესოს მიმდევარი იყო, დანარჩენები კი ღამის სიბნელეში, სატანას ეთაყვანებოდნენ? დღისით კი, როგორც მღვდელმთავრები, მღვდლები და მწიგნობრები ისრაელის ჭეშმარიტ ღმერთს უხრიდნენ ქედს? რა თქმა უნდა, ეს გარეგნულად იყო ასე.

ამიტომ მიახალა მათ იესომ: „თქვენი მამა არის ეშმაკი და მამათქვენის გულისთქმის შესრულება გწადიათ“. დიახ, ისინი უკვე სატანის მსახურები იყვნენ, მაგრამ ხალხი ვერ ხვდებოდა ამას, მათ ისინი ღვთის მსახურები ეგონათ და მართლაც, როცა მოვიდა იესო, მათ მაშინვე თქვეს: „ეს მემკვიდრეა, მოდი მოვკლათ იგი და დავისაკუთროთ მისი სამკვიდრებელი“. ანუ ვინ გააშენა ვენახი? ღმერთმა. ვენახი – ისრაელის ხალხია. ძე და მემკვიდრე ვინ არის? იესო ქრისტე, ძე ღვთისა. რა უნდა გააკეთონ? უნდა მოკლან. დიახ, ყველაფერი წინასწარი განძრახვით გააკეთეს. მათ ძე ღვთისა შეგნებულად მოკლეს, იცოდნენ,

ვისაც კლავდნენ. დიახ, იესომ ამის შესახებ წინასწარ უთხრა მათ. როგორც ყოვლისმომცველმა და მცოდნე უფალმა, მან იცოდა ამის შესახებ და შემდეგ რა უნდა ექნათ?

– თქვენ მამაჩემის ასაკის ხალხი ხართ, – მოგვიბრუნდა სათითაოდ შუაში მჯდარი მოძღვარი და უნდა იცოდეთ: ყველაფერი, რაც სახარებაშია, ადამიანმა კი არა, უფალმა თქვა, მან გვითხრა, რომ გადარჩენა შესაძლებელია მხოლოდ ქრისტეს მეშვეობით. „ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება; ხოლო, ვინც არ ირწმუნებს, მსჯავრდებული იქნება (მარკოზი 16:16). ჩვენ ვიცით, რომ რწმენა ჩვენი იესო ქრისტესადმი განამტკიცეს მისი სახელისთვის წამებულებმა და მისი მოძღვრების მქადაგებლებმა. მათ დიდ ქონებას სთავაზობდნენ ქრისტესგან განდგომაში, მაგრამ ისინი სიკვდილზე მიდიოდნენ რწმენის და უფლის უზომო სიყვარულის გამო. აი ვისგან უნდა ავიღოთ მაგალითი და ვისწავლოთ ქრისტეში ცხოვრება, ცხოვრება უკვდავებისთვის, – თქვა მამა ალექსანდრემ და შორიახლო თავმოყრილ მლოცველებს ფეხზე წამოუდგა, ჩვენ ხელის ჩამორთმევით დაგვემშვიდობა და მრევლს ეკლესიისკენ გაუძღვა. მე და ჩემი მომავალი მეგობარი და ძმა ქრისტეში, არჩილი უკან გავყევით ამ პროცესიას და ეკლესიაში შევედით.

ღვთით დალოცვილი ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ხვალინდელი ბზობისთვის ემზადებოდა.

ჯადო

კოტეს და მარინას მეოთხე კლასიდან უყვარდათ ერთმანეთი და დიდი წვალებით და ჯახირით მოითმინეს სკოლის დამთავრებამდე. ბოლო ზარის ბანკეტზე, მესამე სადღეგრძელოს მერე გაუჩინარდა ორივე და მეოთხე დღეს კოტეს მშობლები უკვე საქორწინოდ ემზადებოდნენ. მარინას მშობლებმა ერთიორი კი შეიკვინტრიშეს პროტესტის ნიშნად, მაგრამ მერე თავადაც დაფაცურდნენ საქორწილოდ, მძახლებმა ჩვენზე უკეთესი სუფრა არ გაშალონო.

– აგაშენათ ღმერთმა, – ჩაიცინა ჩვენმა უსაყვარლესმა ქართულის მასწავლებელმა, კოტე ქოჩიაშვილმა, – მეასე ქორწილში მიწევს თამადობა. არადა თავად კოტე ბატონი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამოც წელს დაუკრა მელოტი თავი, ბერბიჭა ბრძანდებოდა.

– მეასე თამადობაა მართლა? – ჰკითხა მათემატიკის პედაგოგმა ოთარ შეყრილაძემ.

– ა, შტერი ყაზახი, – ჩაიცინა კოტემ, – ქორწილის თამადობაა მეასე, თორემ ისევ ვინ მოთვლის, სად არ და ვისთან არ მითამადია.

სასახელოდ გაუძღვა სუფრას ჩვენი სასიქადულო კოტე, მაგრამ ქორწილის ბოლოს გააბრაზეს და ამ ხნის კაცი მეორე სართულის აივნიდან გადმოხტა ყოვლადწმინდას დალევის მერე. თუმცა მასპინძლის დადევნებულ ხარგაზე უარი არ უთქვამს. გაიდო ზურგზე და ბილიკს აუყვა სახლისკენ. ვიცი, გაინტერესებთ, რატომ ისკუპა კოტემ ამ სიმაღლიდან საკმაოდ შეზარხოშებულ მდგომარეობაში მყოფმა. მე მოგიკვდეთ, თუ ეს საიდუმლო ახლავე არ გაგიმხილოთ.

როცა ჩვენმა კოტემ საყოვლადწმინდაო ყანწი ჩაცალა, ერთმა პედაგოგმა, რომელიც ავსიტყვაობით გამოირჩეოდა, მაგრამ მთლად ურიგო კაცი არ იყო, მთელი სუფრის (ხმამაღალი გამონათქვამია! ხუთიოდე ღვთისგან თვალგამობნედილი კაცია სუფრა?) გასაგონად შესძახა: – შეგვეწიოს ღვთისმშობელი

და ჩვენი თამადის შვილიშვილის ქორწილამდე გვამყოფოს ამ ქვეყანაზე.

სამოცს გადაცილებულ უცოლოს რომ შვილიშვილს უხსენებ, ფხიზელი რავარი მოსასმენია და მთვრალი ხომ... ნუ იტყვი. ამიტომ გადახტა კოტე, თუმცა არაფერი მოსვლია ბუნებრივი სისხარტის გამო.

ეს იმ დროს მოხდა, როცა სიძე კოტე და დედოფალი მარინა კაი ხნის გასული იყვნენ სცენიდან ანუ ნეფე-სადედოფლო ადგილიდან და რა საქმისთვის, ყველამ კარგად ვიცით. ზუსტად ერთი წლის შემდეგ გამოჩნდა შედეგი, პატარა ქიშვარდი. ამ სახელის დარქმევას კი მოჰყვა გაწევ-გამოწევა ნათესავებს შორის, რა დროს ქიშვარდი და ქაიხოსროაო, მაგრამ ბაბუას მამის მხრიდან ქიშვარდი ერქვა თურმე და ანტიფოს ხომ არ დაარქმევდნენ პატარა კოტევიჩს. ახლა აქამდე თუ არ გეცინებათ, იმედი მაქვს არც გეტირებათ და სწორედ მაშინ, როცა მშობლები და სეირის მაყურებელი მეზობლები დაწყნარდნენ და კოტე-მარინა სანახაობებმა შეცვალა, მარინა გახდა შეუძლოდ. გასივდა, გალურჯდა, სუნთქვა და სიარული უჭირდა. კოტე ჩამოახმო და გამოაშტერა ცოლის ავადობამ. ვინ არ სცადეს – ცნობილი ექიმი და პროფესორი არ დაახვიეს თავზე. მარინა დღითიდღე კვდებოდა და ყველამ ხელი ჩაიქნია. მერე მარინას მამიდა, სალომე მოვიდა კოტესთან და უთხრა: – დაქოქე მანქანა და სიქთარვაში წავიყვანოთ ეპრაქსიასთან.

კოტემ მდუმარედ გახედა.

– რა შტერივით მიყურებ. მაინც კვდება და თუ საშველია, ის უშველის!

კოტემ მარინა ლამის ხელში აყვანილი გამოიყვანა და ჩასვა მანქანაში უკან. სალომე გვერდით მიუჯდა ავადმყოფს და გასწიეს. ათ წუთში ეპრაქსიასთან იყვნენ. ეს გახლდათ ოთხმოცს გადაცილებული, თეთრი პირისახის, ოდნავ მსუქანი ქალბატონი, რომელიც მარტო ცხოვრობდა, ჩაკრამიტებულ, ორსართულიან აგურის სახლში. სტუმრებს ზალაში შეუძღვა. ახლა ზუსტად ვერ აღგიწერთ რა რიტუალი ჩაატარა, კოტეს არაფერი ახ-

სოვს, მარინას მითუმეტეს და სალომეს ტიფა ელაპარაკა. ვიდრე ამ ამბავს გავიგებდი და გახარებული სოფელში ჩავიდოდი, სალომე ქე გაჰყვა თავის გარდაცვლილ ქმარს საიქიოში.

– ვიცი, რატომ მოხვედი, – მითხრა ეზოში შესვლისთანავე, – მოგიყვები ყველაფერს, ოღონდ გაზეთში არ გამომაცხადო.

– არა, გაზეთში არ დავწერ.

– არც გაზეთში და არც რადიოში. სანამ ცოცხალი ვარ მანამდე, მერე კი დაწერე და თქვი.

სიტყვა შევუსრულე. ოცდაათი წელი გავიდა ეპრაქსიას გარდაცვალებიდან და ახლა ვწერ ამას 2020 წლის 24 სექტემბერს.

– ჯადო ჰქონდა გაკეთებული მარინას. ფეხზე ვეღარ იდგა, აქ რომ მომიყვანეს. ე, ეგერ იწვა, იმ ტახტზე, – მიაშვირა თითი ლეიბების ჩასალაგებელ ტახტს, რომელსაც მაშინ „ატამანკას“ ეძახდნენ, – ვეუბნები, გოგო, მარინა, ჯადო გაქვს გაკეთებული შენი ახლო მეგობრისგან. თუ შენი თანხმობა მექნება, მოგიხსნი და ვინც შენ გკლავს, იმას მივუბრუნებ, ოღონდ, შეიძლება ვერ გადაიტანოს და ქე მოკლას. რას იზამ, თანახმა ხარ?

მარინა დუმდა.

– ეპრაქსია ბებია, შენ გენაცვალე, მიდი მოუხსენი და გადამირჩინე და ყმად დაგიდგები, – დამიჩოქა კოტემ.

– შენ კი არა, ბიჭო, თვითონ ავადმყოფი უნდა დამთანხმდეს, – ვეუბნები.

მარინამ ერთხანს იფიქრა და იფეთქა დინამიტივით სალომემ: – ამ ოქროსავით ქმარ-შვილს არ უფრთხილდები ვინცხა გათახსირებულის გულისთვის ან შენ უბედურ დედ-მამას რას ერჩი?

მარინამ შიშით დამიქნია თავი თანხმობის ნიშნად...

– მერე? – ვეკითხები.

– რა მერე, დაკვინტრიშობს მის მერე მარინა. მეორე დილას, თურმე, ქმარზე ადრე წამოხტა და დატრიალდა სახლში.

– ვინც ჯადო გაუკეთა, ის?

– წინა თვეში ვის დასაფლავებაზე იყავი ჩამოსული სოფელში? – გამბურღა თვალით ეპრაქსიამ.

– სალომესი! სალომემ გაუკეთა ჯადო? კი, მაგრამ მაგან არ მოიყვანა შენთან?

– სალომეს თავი დაანებე. მაგის გარდა არავინ მომკვდარა წინა თვეში?

– ნუთუ? – დამბურძგლა. ახლა გამახსენდა, წინა თვეში მარინას მეჯვარე გარდაიცვალა, ისიც ჩვენი კლასელი. ამ გოგოს სახელს ვერ ვიტყვი, არ მინდა მის ახლობლებს ვატკინო გული.

– ხო, – მითხრა ეპრაქსიამ, – ეგ იყო. თქვენ, ახალგაზრდებს, ქარი გაქვთ მუხლებში და თავშიც. გიქრით და ვერ არჩევთ მტერს და მოყვარეს. მეტი წინდახედულობა გამოიჩინეთ.

– ნეტავ რატომ მოიქცა ასე, ის უბედური?

– რას გაიგებ. თვალი თვალის მტერია და ცხვირი იმიტომ დგას მათ შუაშიო, – მეუბნება მოხუცი.

– კი, მაგრამ, როგორ გაიგე და მოუხსენი ჯადო? – ვეკითხები.

– ა, დაიწყო ახლა ამან, კიდევ რას მკითხავ? მაგის თქმა ვინ გაიგონა ან რა შენი საქმეა ბებია ჯადო. კაი საქმეზე გიკიდია ხელი, მიდი ისწავლე და წერე, იქნებ გამოადგეს ქვეყანას. ამ ტკბილეულისთვის კი მადლობელი ვარ, – მითხრა და შოკოლადით სავსე პარკს სასოებით მოეფერა, – ახლა კი, ჩემი ხელით გამოხდილი არაყი თუ არ დამილიე, ჯადო და ჩემი გაბრაზება მაშინ ნახე შენ!

ოჰ, ეს ქალები!

– ქორწილიდან გამთენიას წამოვედი გათავებული მთვრალი. ფეხები მებლანდებოდა. ტაქსის მძღოლს ვთხოვე: თუ ძმა ხარ, მეშვიდე სართულზე ამყევი, კარის გაღების თავიც არ მაქვს-მეთქი. ამაცილა, კარიც გამიღო. თავი დავუკარი გამომშვიდობებისას. ლოგინამდე ვეღარ მივაღწიე, სავარძელში ჩავჯექი კი არა, ჩავვარდი... გამაღვიძა ზარმა, კარზე რეკავდა. თავი მტკიოდა მსუბუქად, მაგრამ ძილს ვერ დავეხსენი. არადა ზარი არ ჩერდებოდა. ბლეტით მივედი და კარი გავაღე. გუშინდელი ქორწილის სიძე, ონისე იდგა და ისე შემოვარდა ბინაში, კინაღამ წამაქცია.

– უნდა მოვკლა, მაგის დედაც! – შეიგინა და იმ სავარძელში ჩაჯდა, სადაც მე მეძინა გაღვიძებამდე.

– ვინ უნდა მოკლა? – ვიკითხე ზრდილობისთვის და მაცივარი ხელისკანკალით გავაღე და გაზიანი სასმელი ხახაში ჩავიცალე. ყელიც გალბა, თავზე მომეშვა და თვალებშიც გამოვიხედე. ონისეს მოპირდაპირედ, მეორე სავარძელში ჩავესვენე და თვალი მოვლულე.

– ის ნაბოზარი უნდა მოვკლა, ჩემი ცოლი, – სახეში ხელი შემოიტყა ონისემ.

– რაი?

– ა, წაიკითხე, – მითხრა და ტელეფონი მომცა.

– „მივდივარ, სხვა მიყვარს. მაპატიე“, – მესიჯი იმაზე ადრე იყო გამოგზავნილი, ვიდრე ქორწილს დავტოვებდი...

ორ საათში გავარკვიეთ ყველაფერი. პატარძალს ყოფილ შეყვარებულზე მაინცდამაინც შუა ქორწილში მობრუნებია გული და შესაფერის მომენტში გაპარულა. ამას რა ალიაქოთიც მოყვებოდა, ხომ წარმოგიდგენიათ. სიძე ლამის თავს იკლავდა და მთელი კვირა ყოფილი ცოლის თუ საცოლის კვალს ეძებდა, მოულოდნელად ერთი პატარა ქალაქის კაფეში გადაყრია თავის ახალ ქმართან ერთად. კაცს ტორტის ნაჭერი მიაგლისა სახეზე, ქალს კი უბრალოდ, თვალებში შეაფურთხა თურმე და უთხრა: – დიდი მადლობა ორივეს, რომ ასე მომექეცით. შენ კი

რქიანო, აბორტი გაუკეთე ამ ნაბოზარს, რომ ჩემი გაკეთებული ბავშვი არ ზარდო მთელი ცხოვრება. ეს ვუთხარი სულ, მეტი არაფერიო, მეუბნებოდა არცთუ მთლად დაწყნარებული ონისე. სანდრო ბაბუამ კი, რომლის სტუმრებიც ვიყავით ორივე, ღვინის ჩამოსასხმელად აწეული გრაფინი დადგა და გვითხრა:

– სხვენის კუნჭულში ცხოვრება სჯობია ანჩხლ დედაკაცთან ერთად სასახლეში ყოფნას, დაიმახსოვრეთ ეს, სოლომონის ნათქვამია, ჭკვიანი კაცი იყო, ბრძენი. სულელი ქალი მყვირალაა, ბრიყვი და არაფრის მცოდნე.

– ეგ შენი სოლომონი კარგ ცოლებზე არაფერს ამბობს, – ცალი თვალით გახედა ონისემ, გრაფინი აიღო, დაისხა და დალია, მერე კიდევ დაისხა და დალია.

– დადგი გრაფინი. ეგ ყლურწვა შვებას ვერ მოგცემს. ვინც კარგი ცოლი ჰპოვა, სიკეთე ჰპოვა და უფლისგან წყალობა მიიღო, – ამას ეუბნება სოლომონი კაცებს, – უპასუხა სანდრო ბაბუამ, – ბრძენი დედაკაცი თავის სახლს აშენებს, ბრიყვი კი საკუთარი ხელით ანგრევს მას. მამაკაცის შესახებაც შეიძლება იგივეს თქმა.

ამ დროს ონისეს ტელეფონმა დარეკა.

– გისმენთ, – ჩასძახა მან. ჯერ გაბრაზებით და გინებით ელაპარაკა ვიღაცას, მერე ნელ-ნელა გაეხსნა შუბლი, ბოლოს კი სიხარულით გაუბრწყინდა თვალები და კაი ნარჩევი გინებით დაასრულა საუბარი: – შენი და მაგისიც დედა და ასე შემდეგო. მერე ამაყად გადმოგვხედა და გვითხრა:

– ხომ გავაუბედურე ჩემი გამაუბედურებელი.

– რა მოხდა? – ვკითხე.

– გამოუგდია ახალ ქმარს. სხვისი ნახმარი და დამაკებული ქალი არ მინდა მეო. ა, ახლა გავაფარე სახლიდანო, მითხრა. თან ბოდიში მომიხადა, მივქარე შენთანო და კაი კაცი ხარ, რომ შენი ნაბიჭვარი არ მაზრდევინეო.

– თუ მოინდომა, – ჩაერია სანდრო, – ორივეს გაგიმწარებთ ცხოვრებას ეგ ქალი, თუ ჭკუა ეყო და ეგ ბავშვი გააჩინა. სასამართლოში გარბენინებთ და მერე ვისი შვილიც აღმოჩნდება ალიმენტს გადაახდევინებს.

– თუ ჩემი შვილი აღმოჩნდება, სულ წამოვიყვან, – თქვა ონისემ.

– რას წამოიყვან, – გაბრაზდა ბაბუა, – სასამართლო ყველა ქვეყანაში ქალის მხარესაა, რაოდენ ზნედაცემულიც არ უნდა იყოს იგი. ქალებს კი ქვეყნის დანგრევა შეუძლიათ და კაცებს ჯოჯოხეთად უქცევენ ცხოვრებას.

– ეგ ხომ კაცებსაც შეუძლიათ, – ვეუბნები.

– კაცების რიცხვი იმდენად დიდია, მათი ამ მხრივ გამორჩევა ყოვლად შეუძლებელი საქმეა, – ჩაიცინა ბაბუამ, – თუ გინდათ ამ მხრივ გამორჩეულ ცოლებს ჩამოგითვლით.

გავისუსეთ და მზერა მივაპყარით.

– პირველი ანჩხლი ქალი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია, დიდი ფილოსოფოსის, სოკრატეს ცოლი ქსანტიპა იყო. გადმოგვცემენ, რომ თითქოს ეს მეგერა ისეთ შეურაცხყოფას აყენებდა ქმარს, მთელი ქალაქი გაკვირვებული იყო სოკრატეს მოთმინებით. ქსანტიფა ისტორიაში ერთ-ერთ საშინელ ცოლად დარჩა, თუმცა, სინამდვილეში, კეთილსინდისიერი, ქმრის მოყვარული, და შესანიშნავი მეუღლე იყო. ის სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა ორმოცდაათს გადაცილებული ფილოსოფოსის მეუღლე გახდა, სამი ვაჟი გაუჩინა მას და მუდმივი სიამტკბილობა ჰქონდათ. მას გულწრფელად უყვარდა თავისი ბებერი და უშნო ქმარი. სოკრატე გამორჩეულად ტანდაბალი, ღიპიანი და მონჯღრეული სიფათით, ლამის აფრთხობდა მნახველთ. და როცა მან თავისი გულმოწყალებით მეორე ცოლად ვიღაც საწყალი ქვრივი შეირთო, ქსანტიფას სიტყვაც არ დაუძრავს. ამის გამო ფილოსოფოსი აღტაცებული იყო ცოლით და შვილების აღზრდის მისი მეთოდებით.

როცა სოკრატეს სიკვდილი მიუსაჯეს, ქსანტიფა მივიდა გამოსამშვიდობებლად და ატირდა. „არ იტირო, – უთხრა სოკრატემ, – ჩვენ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ“. „მაგრამ შენ უსამართლოდ მოგისაჯეს!“ – უპასუხა ცოლმა. „შენ ფიქრობ, რომ უკეთესი იქნებოდა თუ სამართლიანად გამასამართლებდნენ?“ – თქვა დიდმა ფილოსოფოსმა.

– აბა, რატომ ლანძღავენ და ცუდად იხსენებენ ამ ქალბატონს და ზოგი „წითელთმიან ფაშატსაც“ კი უწოდებს? – ვკითხე ბაბუას.

– ისტორია ქსანთიპას არანორმალურ ქმედებებზე, ბერძენი მწერლის და ისტორიკოსის, ქსენოფონტეს მოგონილია. ეს მან აქცია ქსანთიპა თავისი ბრძენი ქმრის ანტიპოდად. ამიტომ თუ ვინმე უვიცი ცოლს ქსანტიფას დაუძახებს, ამით დიდი კომპლიმენტს უძღვნის მას. ყველა ცოლი რომ ქსანტიფასნაირი ყოფილიყო, არც შენ გაგექცეოდა შენი ყამარი, – მიუბრუნდა სანდრო ონისეს.

ვიდრე ონისე გინებას გადმოატანდა ტუჩებს, ჩავუჭერი და სანდროს მივმართე: – ცუდ ცოლებზე რას გვეტყვი?

– რომელიც გამახსენდება მოგახსენებთ. დაუდგრომელი ხასიათით ცნობილი ელეონორა აკვიტანიელით დავიწყებ, რომელიც, არა მარტო სკანდალებით გახდა ცნობილი ორივე ქმრის მიმართ, არამედ ჯარიც კი გამოიყვანა მეორე ქმრის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა და მრავალი წლით სამუდამოდ გამოკეტეს კოშკში. მელისენტა იერუსალიმელმა უარი თქვა მეფე-მეუღლე თულკთან ან ფულკთან ხელისუფლების გაყოფაზე და ჩამოაშორა იგი მმართველობას. ჟანა ნავარელი მთელი სიცოცხლე ებრძოლა ქმარს ანტუან დე ბურბონს და ჯოჯოხეთად უქცია ცხოვრება. ამაში მას არც მარგარიტა დე ვალუა ჩამორჩა, თუმცა ბრძოლა წააგო მეუღლესთან ჰენრიხ ნავარელთან.

ასევე შეურიგებელი და ულმობელი გახადა ჩვენი წმინდა მეფე თავისი რუსი ქმრის გარყვნილმა საქციელმა და კინწიკვრით გააგდო იგი. დავით სოსლანთან კი იდეალური ოჯახი შექმნა.

ფრანგმა ძუ მგელმა იზაბელამ ჯერ ტახტიდან ჩამოაგდო ქმარი ედუარდ მეორე, შემდეგ კი ჩუმად მოაკვლევინა. ასევე მოექცა მეუღლეს ეკატერინე მეორეც, რომელმაც ჩუმად მოიცილა ბრიყვი პეტრე მესამე.

იტალიის დედოფალმა ჯოანა პირველმა მკვლელი მიუგზავნა პირველ ქმარს და ციხეში ჩააგდო მესამე, მაგრამ არ შერჩა და ჯალათის ხელით დაასრულა სიცოცხლე.

ცნობილი კლეოპატრა რიგრიგობით გაჰყვა ცოლად ორ თავის უმცროს ძმას (გენაცვალეთ ძველო ეგვიპტელებო კონსტიტუციაში!) და როცა ბიჭებმა პრეტენზია გამოთქვეს ხელისუფლებაზე, აუღელვებლად მოკლა ისინი.

მოკლული ქმრების რიცხვით კლეოპატრას ბიზანტიის იმპერატრიცა ზოიამ გადააჭარბა – პირველი ქმარი მოწამლა, მეორე სიკვდილამდე მიიყვანა და ბოლოს საყვარელიც მიაყოლა მათ.

რომის იმპერატორების ცოლები მესალინა, პოპეა, იულია, აგრიპინა და სხვანი, იმხელა რქებს ადგამდნენ ქმრებს, ირმები შურით სკდებოდნენ.

ეკატერინე მეორე ხომ იყო დაუოკებელი ბოზი, მაგრამ არც ეკატერინე პირველი იყო ღვთით მოვლენილი ანგელოზი. დიახ, პეტრე პირველის ცოლმა თავის მონას მისცა, ხოლო ქეთრინ ჰოვარდმა, თომას კალპეპერას აუშვირა ფეხები. ანნა ავსტრიელი ბუკინგების ჰერცოგს და კარდინალ მაზარინის დანებდა. მარგარიტა ანჟუელმა, ინგლისის დედოფალმა უღალატა ჰენრი მეექვსეს და რომელიღაც მსახურს დაორსულებინა თავი.

რეკორდი დაამყარა ბავარიელმა იზაბელამ, კარლოს მეექვსის მეუღლემ,. 11 შვილიდან 7 სხვა კაცებისგან ჰყავდა. მარია-ანტუანეტაზე კი ამბობდნენ, რომ თავისი გარყვნილებით რომის ბოზებს გაასწრო. ყველაზე უშნო დედოფლად ჰერცოგინია მარგარიტა მაულტაშია ცნობილი. რამ დაუმახინჯა სახე და რა ავადმყოფობები სჭირდა, ამას ჩვენ ვინ გვეტყვის, თუმცა ზოგი ვერსიით, მისი სიმახინჯე მოგონილი და გადამლაშებული იყო. ისევე, როგორც ეს პომიდორის სალათი. ნანა, მოდი აქ, – გასძახა ბაბუამ მეუღლეს და როცა მოვიდა ჰკითხა: – აღზევანში ჩაჭერი ეს სალათი ხომ? წაიღე ახლა და სხვა დაჭერი, ოღონდ უმარილოდ მოგვიტანე, ჩვენ დავაყრით.

მერე კი თითი ასწია და შემოსძახა: – ჰოი, აღზევანს მივალ მარილზეე...

– ეეეუო, – ავყევით ჩვენც და ცხონებული ჰამლეტ გონაშვილის არ შეგვრცხვენია. მთვრალები ვიყავით უკვე...

ანეტას სიყვარული

მეეზოვეები და ქალაქის ქუჩებში გამთენიას შემორჩენილი კანტიკუნტი გამვლელები გაკვირვებული უყურებდნენ ახალგაზრდა ქალს, რომელიც ტრანსპორტის გაჩერებებზე და იმ ადგილებში, სადაც დღის განმავლობაში ბევრი ხალხი იყრის თავს, თეთრ ფურცლებს აკრავდა, რომელზეც შავი, დიდი შრიფტით ეწერა: დავალაგებ სახლს, გავრეცხავ, მოვამზადებ სადილებს, დაგეხმარებით საშინაო საქმეებში. ვიცი კერვა, სხვა ხელსაქმეც. მოგემსახურებით იაფად და ხარისხიანად, მთელი გულით და სულით... მერე ტელეფონის ნომერი იყო მითითებული და სახელი ანეტა.

განცხადების გაკვრაში გასაკვირი იმდენად არაფერია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორ გარემოებას: ანეტა ულამაზესი, 25 წლის ქალბატონი გახლდათ და თან ორი ბავშვთან ერთად მოძრაობდა. ერთი საბავშვო ეტლში იწვა, მეორე კი – სამიოდე წლის გოგო ხელში, გულზე მიკრული დაჰყავდა. დილის 8 საათზე ანეტამ ბოლო განცხადება გააკრა, მერე ავტობუსში ავიდა პატარებთან ერთად და ნახევარ საათში უკვე თავის ოროთახიან, სადად გაწყობილ სუფთა ბინაში, მესამე სართულზე ლიფტით ავიდა. პატარებს აჭამა, მოეფერა და ლოჯში, ხალიჩაზე მათთან ერთად სათამაშოები გაშალა.

10 საათზე დედამთილმა მიაკითხა. რაღაცები მოუტანა შვილიშვილებს და რძალს უთხრა: – ნუ წვალობ, ეს ბინა გააქირავე და ბავშვებიანა ჩემთან გადმოდი. დათოსაც გაეხარდება, ხომ იცი, შვილიშვილები როგორ უყვარს.

– ვერ გადმოვალ ქალბატონო ზოია. ის სახლი გაგას მაგონებს, ის კი გომბეშოსავით მეზიზღება. არ შემიძლია ვიყო იქ, სადაც ჩემი და ამ პატარების მოღალატე და გამყიდველი მამა ცხოვრობდა.

– ანეტა, შვილო, გაგა დავაყენოთ საფლავში, ორმოციც არ გადაგვიხდია ჯერ. ჩვენი სირცხვილი ჩვენვე უნდა დავმალოთ. კიდევ კარგი დამიჯერე და პანაშვიდებზე იქ ყოფნაზე უარი

არ მითხარი, თორემ მთელს ქალაქში მოგვეჭრებოდა თავი, – ცრემლები მოიწმინდა ზოიამ.

– ძალიან გთხოვ, დედა, აღარ მთხოვო იმ სახლში წამოსვლა, თორემ ამ ბინასაც გავყიდი და გადავიკარგები. თქვენ და ბატონი დავითი მებრალებით, თორემ დავბრუნდებოდი სოფელში.

– ვიცი, რომ ოქროს გული გაქვს ჩემო ლამაზო. ამ ბავშვების წაყვანა, ჩვენთვის იმაზე მეტი უბედურება იქნებოდა, ვიდრე გაგას დაღუპვა. არადა, როგორ გიყვარდათ ერთმანეთი. მომკალი და სხვა ქალთან მისი სიყვარულის ისტორიის არ მჯერა.

– არც მე მჯეროდა, ვიდრე გვამების ამოცნობაზე არ მივედი. ბოლომდე ვერც მაშინ დავიჯერე. ვიფიქრე, იქნებ ეს ქალი იხრჩობოდა და მის გადასარჩენად გადახტა წყალში, მაგრამ იმ სოფელში რა უნდოდა?..

ყველაფერი ოთხი წლის წინ დაიწყო. ახალგაზრდა ადვოკატი გიორგი, რომელსაც მეგობრები და ახლობლები გაგას ეძახდნენ, სურათების გალერეაში შემთხვევით გადაეყარა ანეტას, რომელიც დაინახა თუ არა, მაშინვე შეუყვარდა. პირდაპირ მიეჭრა და უცერემონიოდ ჰკითხა:

– ერთი ნახვით შეყვარების გჯერათ?

– არა! – უპასუხა ანეტამ, რომელსაც ძალიან მოეწონა გაგა.

– უნდა დაიჯეროთ. ა, ათი წამის წინ დაგინახეთ და ისე შემიყვარდით, რომ არ მეთქვა, გული გამისკდებოდა!

ანეტას გაეცინა.

– ვაი, თქვენ ჩემი სიკვდილი გინდათ?

– არა!

– აბა, როცა იცინით, სიყვარულისგან გული მიმდის.

– სუსტი გული გქონიათ.

– გული უკვე აღარ მაქვს, ის თქვენ წამართვით და უკან, მხოლოდ თქვენს გულთან ერთად დავიბრუნებ, – უთხრა გაგამ და მის წინ მუხლებზე დაეშვა.

ერთი თვის შემდეგ დაქორწიდნენ. ყველას უკვირდა, ასეთი, ქალაქში გამოჩენილი სასიძო, პროვინციელს შეუუღლდა და ბევრი ქალიშვილი სახტად დატოვა. თუმცა, როცა წყვილი ერ-

თად იხილეს ოპერისა და ბალეტის თეატრში, გაოცებისგან დადუმდნენ. ულამაზესი ანეტა ყველას მოეწონა, ზოგმა კეთილი თვალით შეხედა, ზოგმა – ბოღმით და შურით...

ოთხ წელიწადში ორი შვილი შეეძინათ – გოგო და ბიჭი. ცოლქმარს დღითიდღე ემატებოდათ ერთმანეთის სიყვარული და მათთვის ყოველი ახალი დღე ახალი დღესასწაული იყო. ერთ საღამოს კი გაგა აფორიაქებული დაბრუნდა სახლში და ცოლს უთხრა. ორი კვირით უცხოეთში მიდიოდა საადვოკატო ფირმის დავალებით:

– არ მინდოდა წასვლა, მაგრამ იმდენს მიხდიან, იპოთეკასაც გავისტუმრებთ და კარგ მანქანასაც ვიყიდით.

თვითმფრინავი დილის ოთხ საათზე მიფრინავდა.

– ჩემო ანეტა, – უთხრა გასვლის წინ ქმარმა, – ამ საქმის კონფიდენციალურობა მოითხოვს გარე სამყაროსთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას, ამიტომ, სიყვარულო, მთელი ამ ხნის განმავლობაში ვერ შემოგეხმიანები. ეს არის ის მიზეზი, რის გამოც არ მინდოდა წასვლა, მაგრამ იმხელა ჰონორარია, უარი ვერ ვთქვი.

– და რა არის ასეთი, – თვალებში ჩახედა ცოლმა.

– საქმე ეხება ქვეყნის უსაფრთხოებას და კიდევ იმას, რაც მეც არ მითხრეს.

– კარგი, ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ შემპირდი – ეს ბოლო იქნება.

– აბა რა! არასოდეს! – გადაეხვია ქმარი.

... მისი წასვლიდან მესამე დღეს, ანეტას თავისმა მეგობარმა, მარინამ დაურეკა და უთხრა: – შენი გაგა ვნახე. კიდევ უფრო დამშვენებულა, ხომ არ გღალატობს?

– გაგას ვერ ნახავდი, აქ არ არის.

– როგორ არ არის. გუშინ საღამოს მეგობრებთან ერთად სიყვარულის ტბაზე ვიყავით, ნაპირზე კი გაგა ვიღაც ქერა გოგოსთან ერთად დასეირნობდა ჩახუტებული, მერე კი ტბაში შევიდნენ მოტორიანი ნავით. აი, თუ არ გჯერა...

მობილურით ფოტოები გამოუგზავნა. ანეტას დღემდე უკ-

ვირს, გული როგორ არ გაუსკდა, როცა გაგა ნახა სხვასთან ჩახუტებული.

– მოვკლავ, – ჩასძახა ტელეფონში.

– სიმართლე გითხრა, ეს ფოტოები იმიტომ გამოგიგზავნე, რომ არ გაგიჟებულიყავი. ახლა უფრო მშვიდად გადაიტან ყველაფერს, თავს მაინც აღარ მოიკლავ უღირსი ქმრისთვის.

– რას მიარაკებ მარინა, მითხარი რა გინდა! – უყვირა ანეტამ.

– რა და ის ნავი შუა ტბაში გადაბრუნდა, შენი ახვარი მოღალატე და მისი ბოზი დაიღუპნენ.

– რა? – და ტელეფონი გაუვარდა ანეტას.

... დანარჩენი სიზმარივით ახსოვს. დაწყებული გვამის ამოცნობიდან, დამთავრებული დაკრძალვის პროცესიით. შვილებმა მოაბრუნეს ცხოვრებისკენ. ქმრის საფლავის დანახვაც აღარ უნდოდა... გადაწყვიტა ემუშავა, რათა ბავშვები ერჩინა... დედამთილი საღამოს წავიდა.

მეორე დილით ანეტა გუშინდელივით გამოვიდა დასარბაზოდან ორივე შვილთან ერთად და ავტობუსის გაჩერებისკენ გაუყვა ტროტუარს.

შავმა, დიდმა „ჯიპმა“ გაუარა გვერდით და ზედ მის წინ გაჩერდა. კარი გაიღო და გაგა გადმოვიდა. ხელები გაშალა და ცოლ-შვილისკენ აღფრთოვანებული დაიძრა. ანეტა ჩაიკეცა, თუმცა ქმარმა მიასწრო ცოლის და შვილის უხიფათოდ დაშვება ასფალტზე და მათთან ერთად ჩაიმუხლა.

მთელი ქალაქი „გაცოცხლებულ“ გაგაზე ჭორაობდა. სამი დღე დასჭირდა უშიშროებას საქმეში გარკვეულიყო. გამომძიებელი დილით ადრე ესტუმრა ბედნიერ ცოლ-ქმარს და უთხრა: – ათიოდე წუთში ყველაფერში გაგარკვევთ. აი, ქალბატონი ზოია მობრძანდება.

საუბარი სამზარეულოში დილის საუზმის თანხლებით შედგა. ზოია მივიდა და გამომძიებლის პირისპირ დაჯდა.

– ქალბატონო, არ მინდა ჩვენთან მიგიყვანოთ, თქვენივე ინტერესებშია სიმართლე მითხრათ.

გამოირკვა: ზოიას გათხოვებამდე რომანი ჰქონდა თავის

სოფელში. ტყუპი ბიჭი შეეძინა. ერთი წამოიყვანა, მეორე კი – ბავშვთა სახლს გადასცა. როცა დათომ შეირთო, მეორე შვილის ამბავი დაუმალა. გაგამაც არაფერი იცოდა ძმის არსებობის შესახებ, ნატამ – მით უმეტეს. ძმები კი ერთი ერთზე ჰგავდნენ ერთმანეთს. დაღუპულ ძმას სერგო ერქვა. ქალბატონი, რომელიც სერგოსთან ერთად დაიხრჩო, მისი მეუღლე იყო. ორი გოგონა დარჩათ – 4 და 5 წლის.

ბედნიერება ისევ დაბრუნდა ანეტას ცხოვრებაში. ცოლ-ქმარი უკვე ოთხ პატარას ზრდიდა, გაგამ ძმისშვილები იშვილა. ცხოვრობდნენ როგორც წინათ – ტკბილად და შეხმატკბილებულად, ოღონდ ზოგჯერ გაგა საყვედურობდა ანეტას: – ჩემი ღალატი რამ დაგაჯერებინა? მე ხომ გული გაჩუქე და უკან აღარ დამიბრუნებია. გაგიგონია, უგულო კაცს ვინე სხვა შეუყვარდეს?

P.S. მკითხველს: თუ ვინმეს აქ აღწერილი ამბავი, ავტორის ფანტაზიად ან ნამეტან სერიალურად მოგეჩვენათ, ჩემი ბრალი არ არის: იკითხეთ პერიოდული პრესა, რომელიც ამგვარი ცხოვრებისეული შემთხვევებით არის სავსე.

შურისძიება

სოსო არჩვაძე ხუთი წლის წინათ დასახლდა ჩვენს სოფელში. კი არ ჩამოსახლდა, დასახლდა! ელგუჯა ახვლედიანის უზარმაზარ ეზო-გარემოიანი, სამსართულიანი, ჰიპერმარკეტის მსგავსი სახლი იყიდა, რომელიც წაბლის ტყეში იდგა სოფლის ბოლოში და წყალსაცავის ლამაზ ხედს დასჩერებოდა. სოსო მარტოკაცი იყო, მეზობლებს არ ეკარებოდა. ორ კვირაში ერთხელ ჯიპით გაუყვებოდა სოფლის ოღროჩოღრო შარას. თუ იმ დღესვე არა, მეორე დილით მაინც ბრუნდებოდა. ორ დღეში ერთხელ ფეხით მიდიოდა საცხობში, რომელიც მისი სამფლობელოდან ორასიოდე მეტრში იყო. ერთ პურს იყიდდა და სულ ეს იყო მისი ურთიერთობა სოფელთან. ერთი კია: საერთო ლხინის თუ ჭირის დროს ისეთ გვარიან თანხას გასცემდა, სოფლის დამპატიჟენი, გივია და ზურია, პირველად მის ჭიშკართან მიირბენდნენ ქოშინით. გასამრჯელოდ კი მთელი კვირის სალოთაო თანხას იღებდნენ. სამართლიანობა მოითხოვს და აღვნიშნავ, რომ არც მაყრად ქორწილში და არც პანაშვიდებზე მომსვლელებში არავის უნახავს. მეც ყურმოკვრით ვიცოდი სოსოს შესახებ მეზობლებისგან, თვალით არასდროს მენახა და დიდად არც მაინტერესებდა. სოფელში წელიწადში ორჯერ ჩავდივარ და იმდენი მოკეთეები მყავს, სად მეცალა ამ უცნაური კაცის სადევნელად. ხუთი წლის მერე მისი დასახლებიდან, გადავწყვიტე, ჩემი ახალგამოსული წიგნი მეჩუქებინა მისთვის. შორს არ ცხოვრობდა, გზას ფეხით გავუყევი. თუ სადმე ბუნება პირველყოფილი სახით არის შემორჩენილი, ჩემს სოფელში. ა, ახლაც მივდივარ ნახევრად მიწიან და ნახევრად ქვიან გზაზე, გაგანია ზაფხულია, მაგრამ მუხების და წაბლების ჩრდილში სიცხე ვერ ატანს. ისე გრილა, სირბილით რომ განაგრძო გზა, ოფლის ნასახიც არ გამოგივა. მივედი ჭიშკართან. იმხელა გალავანია, ეზოში ვერ გადაიხედავ. ზარის ღილაკს მივაჭირე თითი. დიდხანს არ მალოდინა. ალაყაფის კუტი კარი გააღო და ჩემს წინ აღიმართა ლამის ორმეტრიანი, მელოტი, კარგად შე-

ბერებული, მაგრამ ჯანს რომ არ უჩივის, კუშტი გამოხედვის კაცი. მივესალმე, მძიმედ დამიქნია თავი.

– ამ სოფლიდან ვარ. ეს ჩემი წიგნია. მინდა გაჩუქოთ, – მივაყარე.

წიგნი გამომართვა, ყდას დახედა და მკითხა: – წარწერა გაუკეთეთ?

ვიდრე ვუპასუხებდი, გადაშალა, იპოვა და მადლობა თავის დაკვრით გამოხატა. მეც თავი დავუკარი, ოღონდ დამშვიდობების ნიშნად.

– არ შემობრძანდებით? – იმ ტონით მითხრა, „თუ არ შემოხვალ და აქედან მოუსვამ, ძალიან გამახარებო!“

– სხვა დროს იყოს, – ვუთხარი.

ისე გაუხარდა, ხელი გამომიწოდა, ჩამოვართვი და თავისი სახელი და გვარი მითხრა.

– ჩემი წიგნს აწერია, – ვუპასუხე და გავტრიალდი.

– მეგონა ფსევდონიმი იყო! – მომაძახა.

გულში შევუკურთხე და წამოვედი.

სოსო არჩვაძე, ალბათ, კარგა ხანს აღარ გამახსენდებოდა, მაგრამ თბილისში დაბრუნებულს, შეხვედრიდან ათი დღის შემდეგ დამირეკა. როცა სახელი და გვარი მითხრა თავისი და თან მოაყოლა, შენი მობილურის ნომერი შალიკო მეპურემ მომცაო, ვკითხე: – რამ შეგაწუხათ სოსო ბატონო?

– უმორჩილესად გთხოვთ, სასწრაფოდ ჩამობრძანდეთ ჩემთან.

– ახლა ძალიან დაკავებული ვარ. სიმართლე გითხრათ, ახალ წლამდე არ ვაპირებ ჩამოსვლას.

– ბატონო ტატო. ახალ წელს უკვე აღარ ვიქნები ამ ქვეყნად!

– გამგზავრებას აპირებთ?

– კი, იქ, საიდანაც არ ბრუნდებიან, – მითხრა მშვიდი ხმით.

– ხუმრობთ, ბატონო სოსო?

– საქმე იმაშია, რომ რამდენიმე დღეში მოვკვდები. ჩათვალეთ, რომ ეს ბოლო სურვილია სიკვდილმისჯილის, – აუკანკალდა ხმა.

– მოვდივარ! – ჩავძახე...

ამ საუბრიდან ხუთი საათის შემდეგ, ვანო ქოჩორაშვილის „მერსედესით“, როგორც იქნა მივაღწიე არჩვაძის სახლამდე. ახლობლებიც არ მინახავს. ალაყაფზე ზარი დავრეკე. ვინაიდან სოსომ დააგვიანა, მოუთმენელმა ვანომ ჭიშკარი კინაღამ ჩამოიღო და მასპინძელი რამდენჯერმე არცთუ კორექტულად მოიხსენია.

როცა კარები გაიღო, გაოცებისგან ლამის დავმუნჯდი. ადამიანი ასე შეცვლილიყოს ათ დღეში, არც მენახა და არც გამეგონა. თვალები ჩავარდნოდა, ლოყები ჩაცვენოდა, წელში ოდნავ მოხრილიყო. მხოლოდ ხმა ჰქონდა ძველებური, მოუხეშავი და ტონი მაინც დამცინავი. უსიტყვოდ გამოვიდა ჭიშკრიდან და გადამეხვია. მერე ვანოსაც თავმდაბლურად ჩამოართვა ხელი და გვითხრა: – ამ ახალგაზრდასთან ბოდიში და აღსარებას ორ მღვდელს ვერ ჩავაბარებ.

– ისე, მღვდელს მე უფრო შევეფერები ჰაბიტუსით, – გაეხუმრა ვანო და ხშირი, შავი წვერი თითებით ჩამოივარცხნა.

– ვანიჩკა, ძვირფასო, – ვეუბნები, – დაგვტოვე! ჩვენებთან მიდი.

მე კი მასპინძელს შევყევი. ეზო ჰქონდა ისეთი, ავ თვალს არ ენახებოდა. რა ხეხილი არ იდგა, რა ყვავილები, აუზები და დიდი აკვარიუმები ცოცხალი, ნაირფერი თევზებით და წყლის სხვა ბინადრებით.

– ადამი და ევა აკლია აქაურობას, თორემ სამოთხეა, – ვეუბნები.

– ბევრი რამ აქ სახლის წინა პატრონის შემოქმედებაა, მერე მეც დავამატე რაღაცები. წამობრძანდით, ნამგზავრი ხართ, სუფრა ეგერ, ე, სახლის წინ მაქვს გაშლილი, ტალავერში, სიგრილეში. ხელებს ჭის წყლით დაიბანთ თუ წყაროს წყლით...

სუფრას მივუჯექით. ყველაფერი გემრიელი და მრავალფეროვანი იყო.

– ორი თხოვნა მაქვს თქვენთან, – მეუბნება, – მოდი, შენობით ვისაუბროთ და მეორე, რასაც ახლა მოგიყვები, ჩემი გარდაცვალების მერე გამოაქვეყნე.

– მოუთმენლობა მკლავს და მტანჯავს ჩემო სოსო, – გავუშინაურდი, – ერთი სული მაქვს! თან მიკვირს, რაღა მე ამირჩიე შენი საიდუმლოს გასამხელად.

– სამოცდამეათე წელი შემისრულდა 17 აგვისტოს, ანუ ამ დილით 6 საათზე. მოურჩენელი სენი სამი წელია ღრღნის ჩემს სხეულს და სულს. პროცედურებს ვიკეთებ ორ კვირაში ერთხელ და ეს მაცოცხლებს. ორი დღის წინ კი მითხრეს: ესეც აღარ გიშველის, ორგანიზმი აღარ რეაგირებსო. ვიდრე ღირს მამა სპირიდონს, ამ უდიდეს ადამიანს ჩავაბარებ აღსარებას, მინდა შენ მოგიყვე. წავიკითხე შენი წიგნი და ისეთი განსაცდელები და უბედურება გაქვს გამოვლილი, შენ გამიგებ., ყველაფერს გულთან მიიტან და საზოგადოებასაც პატიოსნად მიაწვდი. მამაოს კი აღსარების გათქმის უფლება არ აქვს!

– გისმენ, სოსო.

– არ მეგონა სიცოცხლეს მარტოობაში და ამ ყრუ სოფელში თუ დავასრულებდი. ამ ორმოცდაათი წლის წინათ, ინსტიტუტი რომ დავამთავრე, სადიპლომო ნაშრომი საკანდიდატო დისერტაციად ჩამითვალეს და ჩემს მშობლიურ ინსტიტუტში დოცენტად გამამწესეს. ოცი-ოცდაერთი წლის ბიჭი ვიყავი. მეცნიერება, მეცნიერებად და გატაცებული ვიყავი მუსიკით, სპორტით, ფერწერით. არათუ მხოლოდ ახალგაზრდა გოგოები, ასაკიანი ქალებიც გიჟდებოდნენ, მე კი ერთადერთს ველოდებოდი და ვეძებდი. ჩემი ნამდვილი მზე მაშინ ამობრწყინდა, როცა პირველკურსელი ნესტანი შემიყვარდა. ულამაზესი, მეტ სიტყვას ვერ ვიტყვი. ექვს თვეში ჩემი ცოლი გახდა. ჩვენმა ქალიშვილმა ნინომ კიდევ უფრო გააძლიერა ჩვენი სიყვარული და ურთიერთლტოლვა. ქალაქის გარეუბანში დიდი სახლი ავაშენე, ეზოც კეთილმოვაწყვე და ცოლ-შვილთან ერთად იქ გადავსახლდი. იმ სახლში გადავიხადეთ ჩვენი ბედნიერი ცოლქმრობის 25 წლისთავიც. მაშინ მე 48 წლის ვიყავი, ნესტანი კი – 41 წლის. ჩვენს ბედნიერებას არ ჰქონდა საზღვარი. თუმცა აკაკის არ იყოს – „ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა?!“

სახლში შებინდებულზე დავბრუნდი. მანქანა ჭიშკართან

მივაყენე და ვიღაც ახალგაზრდა გამოვარდა ქუჩაში ჩემი კარებიდან და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. გაკიდება უაზრო საქმე იყო. როცა სახლში შევედი, ნინო დავტუქსე – ცოტა კულტურული კავალერი მაინც შეგერჩია, 22 წლის გოგოს მეტი სერიოზულობა გმართებს. მხრები აიჩეჩა. მერე მოვყევი, რომ ლამის თავზე გადამახტა ჩვენი სახლიდან გამოსული ვიღაც ახალგაზრდა. ნინომ შორს დაიჭირა თავი, გელანდება რაღაცები მამაო. ცოლი ქალიშვილს მიემხრო. მეც სახლში ვიყავი და აქ არავინ ყოფილა, ეტყობა, ვიღაცას სახლი შეეშალაო. რას ვიზამდი? ბუნებით ეჭვიანი არ ვარ, მაგრამ აქ რაღაც ისე არ იყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. გადავწყვიტე გამერკვია ყველაფერი. მეორე დღეს ლექციებიდან გავეთავისუფლე, მანქანა მეგობარს გავუცვალე და მანქანაში ჩემი სახლის წინ ჩავსაფრდი. როგორი იყო ჩემი გაოცება, როცა ის ახალგაზრდა, გუშინ რომ გადავეყარე, იგივე ტანსაცმელში გაწყობილი მიადგა ჩემი სახლის ჭიშკარს, კარებში შეძვრა. გულში გამეცინა: „ერთი ახლა რაღას მეტყვით დედა ან შვილი, როცა ტკბილი მუსაიფის დროს წაგადგებით“. თან შვილზე ვბრაზობდი, დედას თუ გააცნო თავისი შეყვარებული, ჩემი შეეხათრა თუ შეეშინდა-მეთქი. ათიოდე წუთის მერე ფრთხილად შევედი სახლში. პირველ სართულზე არავინაა. ხომ არ გაქრა ეს ყმაწვილი, გავიფიქრე და მეორე სართულიდან მოგუდული ხმა მომესმა. ფეხაკრებით ავიარე კიბე და ჩემი საწოლი ოთახის კარი შევაღე...

– მიდი, არ გაჩერდე! – კვნესოდა მეუღლე, რომელსაც სრულიად ტიტველი ახალგაზრდა მიჯდომოდა უკან...

აქ სოსომ თხრობა შეწყვიტა, ღვინო დაისხა, დალია. მერე არაყი ჩამოასხა და ისიც დალია. ხმას ვერ ვიღებდი.

– ვიღრიალე და კარები გამოვიჯახუნე. მეორე ოთახში გამოვედი. ახლა ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ამ სახლიდან ცოცხალი ვერავინ გააღწევდა. ცოტა ხანში ნესტანი შემოვიდა, დამიჩოქა და მითხრა: – მაპატიე. წამოვდექი, წიხლი ჩავარტყი სახეში და წამოვედი სახლიდან. ის ღამე მანქანაში გავატარე... დილით, როცა გამოვერკვიე, აი, იქ ვიდექი, იმ წყალსაცავის მეორე

მხარეს. მე საერთოდ, სხარტი გონების კაცი ვარ და შურისძიებ-ის ტკბილი გრძნობა იმ დილისვე მომწიფდა ჩემში. დავბრუნდი სახლში. ცოლი და შვილი სასადილო მაგიდასთან ჭირისუფლე-ბივით ისხდნენ. ჩემი დანახვა გაეხარდათ.

– ნინო, შენ იცოდი დედაშენის ბოზობის შესახებ?

– ვიცოდი მამა, მაგრამ ამას ბოზობას ნუ დაარქმევ. ეს შუა ასაკის კრიზისია. ცოლქმრობაში ასე ბევრს ემართება თურმე, – მითხრა ქალიშვილმა.

– ნესტან, რამდენი ხანია გრძელდება ეს ე.წ. კრიზისი?

– ექვსი თვეა. მაპატიე. აღარასოდეს გიღალატებ. მაპატიე ანდა მომკალი.

ვიდრე პასუხს ვეტყოდი, ერთი ბოთლი ვისკი გამოვცალე და ლამის ნახევარი კოლოფი სიგარეტი მოვწიე.

– მიპატიებია! – ვთქვი ბოლოს და ჩემი ხმა ვერ ვიცანი...

ცხოვრება ჩვეულ რიტმში გაგრძელდა. ცოლს და შვილს ეგ-ონათ ასე. ნესტანი წამითაც არ მიდიოდა ჩემი თვალთახედვით არედან, ისიც ჩემს ინსტიტუტში მუშაობდა და ზოგჯერ ლექ-ციებზეც კი მესწრებოდა. ისევ გავაგრძელეთ ჩვენი ძველი ურთიერთობები, მაგრამ დღეში ერთი საათი შურისძიებაზე ვფიქრობდი, რომლის ადგილი ღალატის მეორე დილით შევარ-ჩიე. ღალატიდან 17 წლის შემდეგ, როცა მე 65 წლის გახლდით და ცოლი 58-ის, განძრახული აღვასრულე. ამ დროისთვის უკ-ვე ოთხი შვილიშვილი გვყავდა, ჩინებული სიძე და მთელს ქა-ლაქში სამაგალითო წყვილადაც ვითვლებოდით. იმ პერიოდ-ში თევზაობამ გამიტაცა. ნესტანიც ყოველთვის დამყავდა და ისე დავაინტერესე, ერთი სული ჰქონდა როდის წავიყვანდი. და ზაფხულის ერთ ცხელ დღეს წამოვედით ამ წყალსაცავისკენ. ის პირველად, მე კი მეორედ და წინასწარი განცდით, ტკბილი განცდით, რომ აღვასრულებდი იმას, რის გამოც მთელი 17 წე-ლი სულში ჩაფურთხებული დავდიოდი... ტბას მივადექით, ან-კესები ჩავყარეთ, პატარა სუფრა გავშალეთ და ერთი პატარა ვისკის ბოთლიც გამოვცალეთ ორივემ.

აქ კი სოსომ არყის ბოთლი მოიყუდა...

– მერე კი, – მოითქვა სული, – ტბაში ჩავედით გასაგრილებლად. ნესტანმა საერთოდ არ იცოდა ცურვა, მე კი ამ წყალსაცავს ერთი ნაპირიდან მეორემდე იოლად გადავცურავდი... მივცურავდი და ცოლიც მიმყავდა ცალი ხელით. როცა ნაპირს ორმოცდაათ მეტრზე მოვშორდით, ნესტანს ორივე ხელი ყურებში ჩავავლე და სახით ჩემსკენ მოვატრიალე. მხოლოდ ფეხებით ვცურავდი და ასე ვტივტივებდი წყლის ზედაპირზე: – გახსოვს როგორ ჩათლახურად მომექეცი 17 წლის წინ ჩვენს საწოლ ოთახში? – ვკითხე და თვალებში ჩავხედე.

– მერე? – მკითხა პირუტყვული შიშით, – მომკლავ?

– მე, როგორც ამძუვნებულ ბებერ ძუკნას, ისე! – შევაფურთხე და ჩავაყვინთიე წყალში, მერე შევაჯექი კისერზე და მანამდე მყავდა წყლის ქვეშ, ვიდრე არ ჩაძაღლდა... ეჭვი ვერავინ აიღო. ვთევზაობდით, ვიბანავეთ, მე შორს გავედი ტბაში, ის ნაპირთან დავტოვე და დაიხრჩო.

...მივაყარე მიწა, მერე კი ამ სოფელში ვიყიდე ეს სახლი. არ ყიდდა პატრონი, მაგრამ მილიონი შევთავაზე და... ყოველ დილით ვუყურებ აქედან ამ წყალსაცავს და ვტკბები. ერთი წამით სინანული რაა, ისიც არ მიგრძვნია გასული ხუთი წლის განმავლობაში...

თბილისში მეორე დღეს წამოვედით. „რა იყო ტატო ბიძია, ენა ხომ არ მოგჭამა იმ სოსომ?“ – ასჯერ მკითხა ვანომ. თბილისში რომ ჩამოვედით, მაშინ ვუთხარი: – არაფერია, ვანიჩკა, ყველაფერი კარგად იქნება.

თიკო

თიკო საკუთარი სილამაზის სალონიდან გვიან ღამით გამოვიდა. მაღალმა, მოქნილმა მძღოლმა ღია კარი დაახვედრა, მერე სათუთად მოუხურა, შემოუარა მანქანას და საჭეს მიუჯდა.

– სახლში წამიყვანე რეზო, – უთხრა თიკომ.

ახალი წელი ახლოვდებოდა. თოვდა ხვავრიელად და ციოდა. სამხრეთულ ქალაქებს განსაკუთრებით უხდებათ თოვლი, ხოლო საახალწლოდ ორმაგად. თიკო ცენტრიდან მოშორებით, მასივში ცხოვრობდა მეუღლესთან ერთად. ეს სახლი ქორწინებიდან მეოთხე წელს აიშენეს და სულ ორი თვე იქნება, რაც გადმოვიდნენ. ის იყო ცენტრალური ტრასიდან მასივისკენ მოუხვიეს, თიკომ შესძახა: – გააჩერე. იქ ვიღაც გდია.

მართლაც, ჰიპერმარკეტიდან ასიოდე მეტრში, თავისუფალ ტერიტორიაზე, რომელიც თოვლით იყო დაფარული, ლამპიონების შუქზე, რაღაც შავი მოძრაობდა. რეზომ გადაირბინა და ორ წუთში მობრუნდა.

– ვერ დავტოვებთ ქალბატონო. მთლად გაყინულა საცოდავი.

– თითქოს წამოდგომას ცდილობდა.

– ეტყობა მანქანიდან მოგვეჩვენა.

თიკო მძღოლს გაჰყვა. ტელეფონის ფანარი აანთო, გაყინული, ქალი იყო. ასაკიც არ ეტყობოდა. ზამთრისთვის შეუფერებლად, თხლად იყო ჩაცმული.

– წამოიყვანე, მანქანაში, – თქვა თიკომ.

ქალი სახლში მიიყვანეს თიკოსთან. სითბოში მოსულიერდა, თავიც კი წამოსწია. ვისკი დაალევინეს, მერე კი აბაზანაში უკრეს თავი მთლად მოსულიერებულს. მძღოლი წავიდა. ოც წუთში გადარჩენილი ქალი უკვე მაგიდასთან იჯდა და ვახშმობდა. თიკომაც გაუწია კომპანიონობა და ორი ლუკმა გაკიკნა.

– დიდი მადლობა ქალბატონო. გადამარჩინეთ. ლოლიკო მქვია, – თქვა და დიდ ლუკმას ჩაი დააყოლა, – შეიძლება? ერთ ჭიქა არაყს კიდევ დავლევ.

– მიირთვი, – ვისკი დაუსხა თიკომ...

ვახშამს მორჩნენ და მეუღლეც მოვიდა. შემოვიდა და მხიარულად შესძახა: – მადლობა ღმერთს, სტუმარი გვყოლია.

– არა, თენგო, ეს ქალბატონი ქუჩაში ვიპოვე, ცუდად იყო და ხომ ვერ დავტოვებდი? – უთხრა თიკომ.

– ლოლიკო მქვია, – წამოდგა და ხელი გაუწოდა თენგოს.

– კეთილი იყო თქვენი შემობრძანება ჩვენს ოჯახში, – არც თუ მეგობრული ტონით მიმართა თენგომ, თუმცა ხელი ჩამოართვა.

ლოლიკომ იგრძნო კაცის ცუდი დამოკიდებულება და დიასახლისს სთხოვა: – დამაძინეთ სადმე, ხვალ დილით კი ადრე წავალ, აღარ შეგაწუხებთ...

მეორე დილით თიკომ „სტუმარი“ თავის სალონში წაიყვანა და ორ საათში ლოლიკოს ვეღარ იცნობდით, ისე გაალამაზეს. შავი ხვეული თმა ლამაზად ჩამოეშალა მაღალ შუბლზე. თეთრ, ქათქათა პირისახეს ბრდღვიალა თვალები და ალისფერი ტუჩები უმშვენებდა, ხოლო როცა ახალ ტანსაცმელში გამოაწყვეს, მთელი სალონის გოგოები ლამის შურითაც კი შეჰყურებდნენ 32 წლის მომხიბვლელ ქალბატონს.

– არსად გაგიშვებ, ჩემო ლამაზი. ჩემი სახლიდან უნდა გაგათხოვო, – გადაეხვია თიკო და კაბინეტში შეიყვანა.

– გათხოვება არ მიხსენო, – ამოიხვნეშა ლოლიკომ, – ჩემმა ქმარმა სხვა შეიყვარა, მე სახლიდან გამომაგდო. არც მშობლებმა მიმიღეს, მაგ საზიზღარ კაცს რატომ გაჰყევიო. მეც ჯიბრში ჩავუდექი, მივაფურთხე ყველას და დიდ ქალაქში ჩამოვედი. ცუდ ხალხში მოვხვდი, მათ ავყევი და აგერ უკვე ორი თვეა „ვბომჟობდი“. გუშინ რომ არ გადამყროდი, ახლა ცოცხალიც არ ვიქნებოდი.

თიკოს ცრემლები გადმოსცვივდა, ჩაეხუტა და უთხრა: – ვიდრე ცხოვრების ხალისს არ დაიბრუნებ, ჩემთან იცხოვრე, არსად გაგიშვებ.

– თქვენს მეუღლეს არ მოეწონა ჩემი აქ ყოფნა, ვერ დავრჩები.

– თენგო კარგი ბიჭია, ნახე თუ დასავით არ შეგიყვაროს.

მართლაც, სახეშეცვლილი ლოლიკოს დანახვაზე თენგო ხალისით დათანხმდა ცოლის წინადადებას. ერთი კვირა იცხოვრეს ერთად და ღამით თიკოს სასტიკი ტკივილები დაეწყო მუცლის არეში. სასწრაფომ საავადმყოფოში გააქანა და გადაუდებელი ოპერაცია დასჭირდა. აპენდიციტი ამოკვეთეს. მეორე დილით თენგიზი დაადგა თავზე ახალგაღვიძებულ ცოლს და მისი საყვარელი ყვავილების უზარმაზარი თაიგული მიართვა.

– ჩემო საყვარელო. ამ შუა ზამთარში ამას არ ველოდი, – გაიხარა თიკომ.

– თუ დაგჭირდება, ჩემს სიცოცხლეს არ დავიშურებ შენთვის! – ხელზე აკოცა თენგომ.

– მთელი ღამე ვლოცულობდი შენთვის, ჩემო გადამრჩენელო, – დაუჩოქა ლოლიკომ...

ერთი კვირა გაატარა საავადმყოფოში. ოთხშაბათს უნდა გაეწერათ სახლში, მაგრამ გადაწყვიტა ქმრისთვის სიურპრიზი მოეწყო და ექიმს სთხოვა, სამშაბათს გაეწერა შუადღის მერე. რეზოს დაურეკა, მძღოლს. ჩაჯდა მანქანაში და სიამოვნებით უყურებდა ლამაზ ფიფქებს.

– რა ლამაზად თოვს! – თქვა ხმამაღლა.

– დიახ, ქალბატონო. მთელი დღე შემიძლია ვუყურო, – უთხრა რეზომ, რომელსაც ძალიან ნელა და ფრთხილად მიჰყავდა მანქანა.

– ჭიშკარს რომ მიადგები, ფრთხილად იყავი, ლოლიკო უნდა გავაკვირვო, – ჩაიცინა თიკომ.

– თქვენი მეუღლეც სახლშია, ქალბატონო.

– ამ დროს სახლში რა უნდა? – გაიკვირვა თიკომ, რომელსაც თენგო სამსახურში ეგულებოდა.

– ვერ გეტყვით. ვიდრე თქვენთან წამოვიდოდი, დამირეკა, რესტორნიდან რაღაცები მომატანინა. შენს უფროსს ხვალ სანაქებოდ უნდა დავხვდეო.

– საყვარელი! – გაიცინა თიკომ და ფრთხილად გაუყვა ბილიკს. რეზომ ჭიშკარი გააღო, ხელმკლავი გამოსდო და მიაცილა სახლის კარამდე. მერე მძღოლი უკან გამობრუნდა, მანქა-

ნას კაპოტი ახადა და შიგ ჩაიყურყუმელავა... ორიოდე წუთში უპალტოო და სახეშეშლილი თიკო გამოვიდა ჭიშკრიდან, „წავიდეთო!“ – შესძახა და მანქანაში ჩაჯდა. მძღოლმა კაპოტი დახურა და მანქანა დაძრა.

– ჩემი „ხრუშჩოვკა“ ხომ იცი, იქ მიმიყვანე, – უყვირა მძღოლს.

რეზო მიხვდა რაც მოხდა სახლში. მან გუშინვე აიღო ეჭვი, რომ თენგო და ლოლიკო საყვარლები იყვნენ. ახლა ეჭვი გამართლდა.

– რატომ არ მეკითხები, რატომ წამოვედი? – ჰკითხა თიკომ მტრულად.

– მივხვდი ყველაფერს ქალბატონო. არ უნდა შეუშვათ უცნობი და საეჭვო ადამიანი სახლში!

– მართალი ხარ, მაგრამ კვდებოდა და ვერ მივატოვე. რა ვიცოდი, თუ ასეთი გარეწარი იქნებოდა.

„ხრუშჩოვკაში“ თიკოს მშობლების დანატოვარი ერთოთახიანი ბინა მეორე სართულზე ჰქონდა. რეზი დაეხმარა ასვლაში, მერე კი სთხოვა, დაისვენეთ და ძალიან გთხოვთ არ ინერვიულოთ. გასაღები მომეცით, წავალ და ყველაფერს მოგიტანთ, რისი ჭამაც შეიძლება ახალნაოპერაციებზე.

– შენ საიდან იცი, ექიმი ხარ?

– ექიმი ვარ ქალბატონო თიკო.

– აბა მძღოლად რატომ მუშაობ?

– სიმართლე გითხრათ?

– ხო, ტყუილების გამო ხომ ხედავ, ქმარს დავშორდი.

– ნუთუ მართლა გაყრას აპირებთ?

– შენთვის რომ ეღალატა მეუღლეს, რას იზამდი?

– მოვკლავდი, – აღიარა რეზიმ.

– ხოდა გიკვირს, რომ გაყრა გადავწყვიტე?

– არა, მართალი ბრძანდებით.

– მე გკითხე, ექიმი კაცი მძღოლად რატომ მუშაობ?

– ერთადერთი მიზეზი მაქვს, – აღელვებული იყო რეზი, – თქვენ უკვე სამი წელია თავდავიწყებით მიყვარხართ.

– ხუმრობ?

– ვხუმრობ კი არა, ერთი სიკვდილი გავათავე, ეს რომ გითხარით.

– როდის მოასწარი ჩემი შეყვარება?

– მთის კურორტზე იყავით მეუღლესთან ერთად. რესტორანში რომ შემოხვედით და დაგინახეთ, პირთან მიტანილი ღვინიანი ჭიქა გამიშეშდა ხელში. მაშინ დავიჯერე, რომ არსებობს ერთი ნახვით შეყვარება. გავიგე თქვენს შესახებ ყველაფერი და როცა თქვენმა სალონმა მძღოლის ვაკანსია დადო ფეისბუკზე, გამოვეხმაურე და თქვენი მენეჯერისთვის ყველაზე სასურველი კანდიდატურა აღმოვჩნდი ჩემი უახლესი მანქანით და ნახევარ ხელფასზე დათანხმების გამო.

– მეცინება, რომ გისმენ. შეუძლებელია, არ მჯერა!

– შენს თავს ვფიცავ! გახსოვს, ერთხელ მკითხე, როცა ჩემი გვარი გაიგე. ამა და ამ კაცის რა ხარო. მე გიპასუხე, მოგვარე-მეთქი.

– აბა ვინ ხარ?

– მისი შვილი ვარ და მისი მილიონების ერთადერთი მემკვიდრე. არ გეგონოს მხოლოდ მის ფულებზე ვცხოვრობ. სამედიცინო აპარატურის ბიზნესი მაქვს და ბევრ ფულსაც ვშოულობ.

– კი, მაგრამ როდის მუშაობ?

– დილას და საღამოს გემსახურებით თქვენ, დანარჩენ დროს ფირმაში ვატარებ, ოღონდ, რაც თქვენი მძღოლი გავხდი, საზღვარგარეთ აღარ დავდივარ. სხვებს ვაგზავნი. ჩემთვის ყველა წუთი ძვირფასია, როცა თქვენ გხედავთ. თანახმა ვიყავი, მთელი სიცოცხლე მძღოლად გამეტარებინა, ოღონდ დილით და საღამოს მენახეთ, მაგრამ ახლა, როცა თენგოს ეყრებით, ყველაფერს გავაკეთებ თქვენი გული დავისაკუთრო...

სამი თვე გავიდა ამ საუბრიდან და გასული წლის 15 აპრილს რეზი და თიკო დაქორწინდნენ, თუმცა სასიყვარულო ურთიერთობები, ეტყობოდათ, ცოტა ადრე დაიწყეს, ვინაიდან 11 იანვარს ულამაზესი გოგონა შეეძინათ, რომელსაც რეზის დედის სახელი დაარქვეს, რითაც ბებიაც და ბაბუაც აღტაცებულნი დარჩნენ.

თენგოს და ლოლიკოს ურთიერთობა კი მალე შეწყდა. ლოლიკომ თავისი ძველი ბანდა გაიხსენა და ხშირად მოჰყავდა სახლში. თენგოც გალოთდა მასთან ერთად და ერთ-ერთი დღესასწაულის აღნიშვნის დროს, იმხელა კოცონი დაანთეს ეზოში, ცეცხლი სახლს მოედო და მიუხედავად იმისა, რომ ექვსი სახანძრო მანქანა აქრობდა, სახლისგან არაფერი დარჩა. თენგო მშობლების სახლს დაუბრუნდა, ლოლიკო კი ქუჩას.

ღალატის საფასური სისხლია!

რიტა რ: მედდა გახლავართ ჩემო ბატონებო, 27 წელიწადია. ამ კლინიკაში მისი გახსნის დღიდან ვმუშაობ. ერთ თვეში 12 წელი გახდება. რა არ მინახავს, რანაირი სიკვდილი და ისიც, ჩვენს ექიმებს როგორ გამოუბრუნებიათ იქით წასული ავადმყოფი, მაგრამ ასეთი ამბავი არათუ აქ, სხვაგანაც არ მგონია მომხდარიყო. არადა მოკლული გადასარევი ქალი იყო გარეგნობითაც და ხასიათითაც. ქმარს თავს ევლებოდა.

ირაკლი ჩემი მორიგეობის დროს შემოიყვანეს, გათანგული ჰყავდა ინფარქტს. ეს ცოლი, ნაზი, თავს იკლავდა, ხმამაღლა ტიროდა, თავში ხელებს ირტყამდა, მთელი სახე ჩამოპოტნილი ჰქონდა. მთელი თვე უვლიდა, ორჯერ თუ სამჯერ იყო წასული სახლში. თავად მითხრა. ჩემთან ძალიან ახლოს იყო. ლამის დავდაქალდით. მომიყვა თავისი სიყვარულის ისტორია მეუღლესთან. 25 წლის ცოლ-ქმარი ყოფილან. ახლა ორივე 48 წლის არის, თუმცა ნაზი უკვე აღარ არის. ორი შვილი ჰყავდათ, ბიჭი სამხედრო მოსამსახურე და გოგო სტუდენტი. აქაც მოდიოდნენ, თუმცა შევატყვე, რომ დედას ცივად ექცეოდნენ, გეგონებოდა, მამა უფრო უყვარდათ.

იმ დასაწვავი დილის წინა ღამით, ნაზისთან ბევრი ვიჭორავე. შუაღამე გადასული იყო, როცა დასასვენებლად წავედი. დილის რვის ნახევარზე შევედი ირაკლის პალატაში და ელდა მეცა. ირაკლი საწოლზე გულაღმა იწვა გულწასული, ნაზი კი იატაკზე ეგდო, თავი შუაზე ჰქონდა გადახსნილი, სისხლი და ტვინი არეოდა ერთმანეთში. მაინც მოვუსინჯე მაჯა. მკვდარი იყო. ავტეხე ყვირილი. ექიმებმა კაცი მოაბრუნეს და როგორც კი თვალი გაახილა, თქვა: – ჩაძაღლდა?

– ვინ? – ჰკითხა ექიმმა.

– ის... ცოლი.

– გარდაიცვალა.

– არმატურის ნაჭერი ჩავარტყი თავში, – ამოიხვნეშა ირაკლიმ.

– ვნახეთ არმატურა, მაგრამ თქვენ ჩაარტყით?

– მე, აბა სხვა ვინ? – თვალები დახუჭა კაცმა.

– მადლობა ღმერთს! ხომ ვამბობდი, გარედან ვერავინ შემოვიდოდა. მე ფხიზელი ბიჭები მყავს, – შვებით ამოისუნთქა დაცვის უფროსმა.

– აბა არმატურა ვინ შემოიტანა? – იკითხა ექიმმა.

– ეგ ჩემი საქმე არ არის, – უპასუხა დაცვამ.

ასე იყო ეს ამბავი. რატომ მოკლა ეს ანგელოზივით ქალი ამ გიჟმა კაცმა (თუმც სიგიჟის არაფერი ეტყობოდა!), ვერ გეტყვით.

დათო გ.

– დაცვის უფროსი ვარ. ორი ათეული წელია ჩემი კერძო ფირმა მაქვს. მაგარი ბიჭები მყავს. კიდევ კარგი, იმ კაცმა მაშინვე აღიარა მკვლელობა, თორემ ტიფა ელაპარაკა გამომძიებელს. არმატურა ვინ შემოიტანა, რა ჩემი საქმეა. კლინიკის გარშემო, ყველგან მშენებლობაა და მცირე გასამრჯელოს ფასად, ირაკლის არ გაუჭირდებოდა მისი შოვნა. ირაკლის მანამდე ვიცნობდი, ვიდრე ჩვენთან დააწვენდნენ. კაი პურმარილიანი კაცია, კაი ქალ-ვაჟიც ჰყავს, ნაზიც ბედაური ქალი იყო. ძალიან უყვარდათ ოჯახის წევრებს ერთმანეთი. სამჯერ ვარ ნამყოფი მაგათ ოჯახში. მართალია ვიწროდ და არც თუ მდიდრულად ცხოვრობდნენ, მაგრამ მხიარული და მოსიყვარულე ხალხი კი იყო. რა ბზიკმა უკბინა ამ კაცს, ვერ გეტყვით. თან ჰყვებოდა ცოლი. რამდენჯერმე ვინახულე ავადმყოფი, გაბოროტებული თვალები ჰქონდა. ვიფიქრე ინფარქტის ბრალია-თქვა. მეტი არაფერი ვიცი. მკვდარიც მეცოდება და ცოცხალიც.

მარინა: დედაჩემი მოსაკლავი კი არა, დასაწვავი იყო. მამა სწორედ მოიქცა, რომ მოკლა და ჩვენ აგვარიდა, მე და ნოდოს ის ცოდვა, რასაც დედის მოკვლით ჩავიდენდით. რამ გამამწარა? მამამ და დედამ სკოლაშივე შეიყვარეს ერთმანეთი და ფიციც დადეს. ინსტიტუტშიც ერთად სწავლობდნენ და როგორც კი დაამთავრეს და მუშაობა დაიწყეს, დაქორწინდნენ. ჯერ ნოდო დაიბადა, მერე – მე. ოროთახიანში ვცხოვრობთ გარეუბან-

ში, ვიწროდ ვართ, მაგრამ ვახერხებთ თავის გატანას. ნოდოს დიდი ხელფასი აქვს და გვეხმარება ხშირად. ვის ეგონა, დედა თუ ასე გათახსირდებოდა? თურმე ბოლო ექვსი წელია ახალგაზრდა, ლამის ნოდოს ტოლი საყვარელი ჰყავს. მისმა ცოლმა დამირეკა და შეხვედრა მთხოვა კაფეში. რომ მითხრა, ჩემი ქმარი დედაშენის საყვარელიაო, კინაღამ თმაში ვწვდი, მაგრამ ნოუთბუკი გახსნა, ფლეშკა შეუერთა და... თვალთ დამიბნელდა. მერე მითხრა, ეს ვიდეო შენს ძმასაც გავუგზავნე და მამაშენსაცო. არც მახსოვს, როგორ გამოვედი კაფედან. გავეშურე სახლისკენ დედაჩემის მოსაკლავად. რომ არა მამის ინფარქტი, ნაზის მე მოვკლავდი.

ნოდარი: ნოუთბუკზე რომ მომწერა უცნობმა ქალმა და ვიდეო გამომიგზავნა, პოსტის შემოსავლელად მივდიოდი და მოგვიანებით ვნახე. წნევამ კინაღამ დამარტყა. ჩემი საფიცარი დედა ისეთ რამეს აკეთებდა ვიღაც ახალგაზრდა ბიჭთან, ძველ გერმანულ პორნოფილმებში რომ მენახა. იარაღი სულ თან მაქვს. ბევრი არ მიფიქრია, უფროსობას ერთი დღით გაშვება ვთხოვე და სახლისკენ დავიძარი. ნოუთბუკიც წავიღე. მინდოდა დედაჩემი დამეჯინა, ჩამერთო მისი სასიყვარულო სცენები და იქვე დამეხალა ტყვია მისთვის, მერე კი თავი მომეკლა. ვერ ვქენი. მამის ინფარქტმა შემიშალა ხელი. მამა? კაცურად მოიქცა, ვენაცვალე მარჯვენაში. ბოზს ბოზური სიკვდილი! დედასავით მთელი სიცოცხლე არავინ მიყვარდა! ახლა კი ყველაზე მეტად მძულს!

ზინა კ: ყველაზე მეტი ბრალი მე მიმიძღვის ნაზის სიკვდილში. რომ გითხრათ, ვნანობ-მეთქი, ცოტათი კი. გული იმაზე მწყდება, რომ გოჩა ჯერ-ჯერობით მზის სინათლეზე დადის. ყველაფერს გავაკეთებ, მალე მიუწვეს სამარეში თავის ქალბატონს. გოჩას ორი წლის წინ გავყევი ცოლად. მე რა გავყევი, მამაჩემის ნაყიდ ბინაში ვცხოვრობთ, თურმე უკვე მაშინ ჰყოლია საყვარლად დედისტოლა ქალი. ერთად მუშაობდნენ და თანამშრომლებს შეუმჩნეველი არ დარჩათ მათი ურთიერთობა. რა თანამშრომლებს, ერთ-ერთ კორპორატიულზე, ჩემს თვალწინ,

ისე შესცქეროდნენ ერთმანეთს, როგორც შეყვარებული მტრედები. ფინანსურად არ მიჭირს, დავიქირავე კერძო დეტექტივი და ორ კვირაში ისეთი ვიდეო მომიტანა, გოჩა კინწისკვრით გავაგდე სახლიდან და სადარბაზოში წინასწარ დაქირავებულ ბიჭებს ისე დავაჟეჟინე, დღემდე საფენებს ადებენ მშობლები. მე კი შურისძიება დავიწყე. იმ ძროხას ხომ არ ვაპატიებდი? ჯერ მის შვილებს გავაგებინე ყველაფერი, მერე კი ირაკლის დავურეკე და საუბრის შემდეგ ვიდეოც გავუგზავნე. შეიძლება ცოდვა ჩავიდინე, მაგრამ ღალატის საფასური სისხლია!

ირაკლი: ნაზი ძალიან მიყვარდა. მართალია, მდიდრული ცხოვრება ვერ შევუქმენი, მაგრამ სიყვარული არ დამიკლია. ყოველთვის ერთგულად ვედექი გვერდში, ყველა გაჭირვება ერთად გადავიტანეთ. ხელში აყვანილი დამყავდა და მეოთხედი საუკუნე ცოლქმრობის შემდეგ, ისე მიყვარდა, როგორც ქორწინებისას. როცა ის ვიდეო ვნახე ჩემს ტელეფონში, რაღაც მომაწვა მკერდში, მერე თავბრუ დამეხვა და... გონს რომ მოვედი, უკვე კლინიკაში ვიწექი და ნაზი ფეხებზე მეფერებოდა.

– გაეთრიე, მეზიზღები, – ვუთხარი. ის უკვე მკვდარი იყო ჩემთვის. ასეთ ღალატს ვერ ვაპატიებდი. როგორც კი სეირნობის ნება დამრთეს, მაშინვე დავიწყე ჩალიჩი, როგორ მომეკლა. როგორ ვიშოვე არმატურის ნაჭერი ვერ გეტყვით. იმ ღამით ერთი ენაჭარტალა მედდა მუშაობდა, ცოტა აუტანელი ქალი. ღამის სამ საათამდე ეჭორავებოდა არსახსენებელ ნაზის. მერე წაეთრა. ეს ნაბოზარი კი სკამზე დაჯდა ჩემს ფეხთით და ჩათვლიმა. ავდექი, არმატურა მოვიმარჯვე და ვუღრიალე: – აეთრიე! გაეღვიძა და არ ამდგარა, შემომხედა: – მომკალი ირაკლი, ღირსი ვარ, მომკალი.

– შენი დამნდობის დედაც, – ვუპასუხე და არმატურა მანამდე ვურტყი, ვიდრე ის გათახსირებული არ ჩაძაღლდა... საოცარი სიამოვნება და დაღლილობა ვიგრძენი. მეტი არაფერი მახსოვს. კაცურად მოვიქეცი და ახლა გინდა ასი წელი მომისაჯოთ, მკიდია.

ლიანა

ძლივს გადმოძვრა ხალხით გაძეძგილი მიკროავტობუსიდან. გვიანი შემოდგომის ოდნავ სუსხშეპარული ჰაერი ესიამოვნა, ხოლო როცა ლიფტიდან გადმოსული თავისი ბინის კარს მიუახლოვდა, ხასიათი მთლად გამოუკეთდა. მეუღლეს ლოყაზე აკოცა და პირდაპირ სამზარეულოში დურთა თავი: – მშია ქეთო! „ქეთო“ ომახიანად ვეღარ თქვა, რადგან მაგიდასთან 7-8 წლის გოგონა იჯდა და აჯაფსანდალს გემრიელად შეექცეოდა.

– ლელა? – მიმართა.

– ლელას შვილი ვარ, როგორ მიცანი?

– დედაშენი ჩემი თანაკლასელი იყო, ერთ მერხზე ვიჯექით. რა მაგრად ჰგავხარ. რა გქვია და როგორ მოხვდი აქ? დედა როგორ არის? შენ რა გქვია? – დააყარა კითხვები და ცოლმაც შემოიხედა: – წამობრძანდით. ერთი რამ უნდა გავარკვიოთ. შენ მიირთვი პატარა. მამაშენთან სასაუბრო მაქვს, მალე მოვალ, – ცოლი შებრუნდა და ქმარიც მიჰყვა უკან. საწოლ ოთახში არც კი იყვნენ შესულნი, რომ ცოლი მოუბრუნდა და ისეთი სთხლიშა, ქმარს ნაპერწკლები გაცვივდა თვალებიდან.

– კიდევ ბევრ რამეს მიმალავ? იმ ვიღაც ლელასთან შვილი თუ გყავდა, გეთქვა. ახლა ვერაფერი გიხსნის. ჩანთა უკვე ჩაგილაგე, მოჰკიდე ხელი შენს შვილს და მიბრძანდი. მეზიზღები! – მიაყარა ცოლმა.

– მომისმინე ქეთევან! – გაბრაზდა კაცი, – არავითარი შვილი მე არ მყავს. 12 წელია სკოლა რაც დავამთავრე და ლელა არც მინახავს. დისტანციურად ხომ ვერ დავაორსულებდი? მეგონა მეტი ნდობა გქონდა ჩემი და თუ უსამართლო ბრალდებას არ მორჩები, წავალ! ვისაც ჩემი არ სჯერა, იმასთან ვერ ვიცხოვრებ!

– მართალს მეუბნები სანდრო?

– შენს თავს ვფიცავ. თუმცა ამის შემოწმებას რა უნდა? დნმ-ის ანალიზი გავაკეთოთ და დარწმუნდები.

– მაპატიე სანდრო, ტყუილად დაგარტყი, მაგრამ ძალიან

მიყვარხარ და ჭკუიდან ვიყავი გადასული, – და იმ ლოყის კოცნა-მოფერება დაუწყო, რომელსაც თითები კიდევ ეტყობოდა.

– მომიყევი რაც მოხდა.

– იმ შენი კლასელის მამიდაშვილი იყო ჩამოსული სოფლიდან და ეს გოგო ჩამოიყვანა. მეჩხუბა ის ქალი. შენმა ქმარმა ბავშვი გაუკეთა ლელას და არც კი მოუკითხავსო. მე ჩემი ცხოვრება მაქვს და ჩემი ქმარი მეჩხუბება, ეს ნაბიჭვარი მომაშორეო. ამის გამო, ამ ბავშვის გამო, ლელა აღარ გათხოვდა, გაჭირვებაში გაზარდა შვილიო.

– ეს ლელა სად არისო? – იკითხა სანდრომ.

– ორი წლის წინათ დაღუპულა საცოდავი, მანქანას გაუტანია და სიკვდილის წინ სასწრაფო დახმარების მედდისთვის უთქვამს, რომ ბავშის მამა შენ ხარ, სანდრო! ის კი ლელას ამ მამიდაშვილის დაქალი ყოფილა და ამისთვის უთქვამს. ორი წელი მოვუარე, ახლა კი მიხედეთო – მითხრა და გაუჩინარდა. დაბადების მოწმობა დამიტოვა, ყოველთვიურ დახმარებას კი აძლევენ, მარა აწი აღარ მისცემენ, რაკი მამა გამოუჩნდაო, მითხრა.

– რა ვქნა? – ჩაფიქრდა სანდრო, – სად წავიყვანო?

– ეჰ, ნეტავ შენი შვილი იყოს, – ინატრა ქეთომ.

– წეღან მკლავდი მაგის გულისთვის და ახლა მოგინდა?

– რა ვქნა? მეცოდება. ჩვენ ხუთი წლის ცოლ-ქმარი ვართ და შვილი არ გვეღირსა. ხომ არ... ჰა, რას იტყვი?

– რასაც გადაწყვეტ ქეთო, მეც იმას ვიტყვი.

– ეს დნმ მაინც გავაკეთოთ...

– ქეთო!

– ხო, კაი, კაი! მჯერა შენი, ვიშვილოთ სანდრო!

– ვიშვილოთ, მაგრამ...

– რა, მაგრამ... გოგო დარწმუნებულია, რომ მამამისი ხარ. ორი წლის წინ დედა დაკარგა და ახლა მამაც რომ... არა, ცოდოა სანდრო. მისი პატარა მხრები ამას ვერ ასწევს. თან, რაც უფრო ვუყურებ, მიყვარდება. ვაკვირდებოდი დაჟინებით, მაგრამ შენი ერთი ნაკვთიც ვერ აღმოვუჩინე.

– ა, კიდე ახლა. არა, ვიდრე დნმ-ს არ გავიკეთებ, ასე უნდა მჭამო ცოცხლად?

– მაპატიე სანდრო ეჭვიანობა... წამო გავიდეთ...

გოგონამ დიდხანს უყურა სანდროს და მერე წყნარად უთხრა: – ლიანა მქვია, დედა კი ლიას მეძახდა, ხან ლიკას.

– მეც ეგრე დაგიძახებ, – ცრემლები მოადგა სანდროს და გოგო ხელში აიყვანა. ის კი ისე მაგრად ჩაეხუტა, თითქოს ვინმე ართმევდა.

– სულ მესიზმრებოდი. ასეთი მესიზმრებოდი, გაგიხარდა რომ გიპოვნე?

– აბა არ გამეხარდა? მეც სულ გელოდი, მაგრამ არ ვიცოდი სად იყავი. აგერ ქეთოსაც სულ ესიზმრებოდი თურმე. იქით სწორედ მაგის სათქმელად გამიყვანა. რა კარგია, სიზმარში ნანახმა ლიკამ რომ გვიპოვაო.

– მართლა? – გაუღიმა ქეთოს გოგომ.

– ხო, ჩემო საყვარელო, – ჩაეხუტა ისიც. ჩახუტებულები დარჩნენ ერთხანს... და სამივენი ტიროდნენ...

უფალი დიდ საჩუქარს უმზადებს ყველას, ვინც ობოლს და შეჭირვებულს გულის კარს უღებს. ერთი წლის შემდეგ სანდროს და ქეთოს პატარა დაჩი შეეძინათ და ლიანა ძალიან გაახარეს.

ვაგიფი და ინესი

ინესი შუაღამისას გამოვიდა ღამის კლუბიდან, გვარიანად ნასვამი და აცეტებული. ტაქსში ჩაჯდა, საგარეუბნო სასტუმროში ცხოვრობდა, ზღვის ახლოს და ამ კავკასიურ ქალაქში დროის სატარებლად იყო ჩამოსული, შესაფერის მამაკაცს ეძებდა, რომელთანაც უახლოესი ორი კვირის განმავლობაში სიყვარულის მორევში ჩაიძირებოდა. გათხოვებას ვეღარ უხსენებდი – ორნაქმარევს და ოჯახის შექმნაზე სამუდამოდ ხელჩაქნეულ ოცდაათს გადაცილებულ, უკვე სიმსუქნეშეპარულ ახოვან, ქერა კულულებიან, მაგრამ ძალიან მიმზიდველ ქალბატონს, რომელიც უკვე მეორე ღამის გასათენებლად მიემგზავრებოდა სასტუმროში აქაურ მამრებზე გულგატეხილი.

– გააჩერე, გააჩერე! – მძღოლი შეაშინა ბოხი ხმით და დამუხრუჭებულ მანქანას ბოლომდე გაჩერებაც არ აცალა, ისე გადახტა უკანა კარიდან. ძლივს შეიმაგრა თავი წაქცევისგან და ტროტუარზე არხეინად წამოწოლილ მამაკაცს დაადგა თავზე, რომლის მოდურად შეკრეჭილ წვერიან სახეს ღამის ლამპიონის შუქი უხვად დაჰყურებდა. მძღოლიც გადმოვიდა და ისიც წვერიანს დააშტერდა.

– ასეთი ლოთებით სავსეა აქაურობა ამ დროს, – ხელი ჩაიქნია ტაქსისტმა.

– ლოთი არ უნდა იყოს, გემოვნებით ჩაცმული და სუფთა ჩანს. მიეხმარე და ნუ ლაყბობ, – თქვა ინესმა, თუმცა მძღოლს აღარ დალოდებია, კაცი ხლში აიტაცა და მანქანის უკანა სალონში მიასვენა სავარძელზე.

– წავედით! – უბრძანა პირდაღებულ ტაქსისტს წინა სავარძელზე მოკალათებულმა.

– სად მიგყავთ? – იკითხა იმან.

– რა შენი საქმეა? სადაც გითხარი, შენ იქ მიმიყვანე.

– ქალბატონო, ბრძანებებს ნუ იძლევით. მაწანწალა ჩამისვით მანქანაში და მაინტერესებს, დაიტოვებთ თუ აქ უნდა მეჯდეს?

– დავიტოვებ.

– რად გინდათ?

– ცოლად უნდა გავყვე.

ტაქსისტმა გაოცებისგან დაუსტვინა და სასტუმრომდე ხმა არ ამოუღია. ინესმა ორჯერ მეტი გადაუხადა და ხელში აყვანილი კაცით სასტუმროს მიაშურა. მძღოლი დიდხანს გაჰყურებდა იმ კარს, სადაც ეს უცნაური ქალი შევიდა, მერე ერთი გემრიელად შეიგინა და მანქანა დაძრა...

ვაგიფს დილით ადრე გაეღვიძა და ვერაფრით გაიხსენა, როგორ აღმოჩნდა საწოლში გახდილი, დაბანილი და ამან ისე შეაშფოთა, უცებ წამოხტა და ღია ფანჯარას მიადგა. თვალწინ უკიდეგანო ზღვა გადაეშალა და რომ არა პალმების სიხასხასე, თავი გემზე ეგონებოდა. ფეხზე დიდხანს ვერ გაჩერდა ნაბახუსევი და სკამი მიაჩოჩა ფანჯარასთან, ჩამოჯდა და ზღვას მიუშვირა გახურებული შუბლი. მერე თავში ხელი იტკიცა: „უჰ, გუშინ ხომ ირენს დავშორდი. თურმე რა გარეწარი ყოფილა, მე კი მიყვარდა. მერე გავილეშე, მაგრამ აქ რა მინდა? იქნებ ირენმა მიპოვა და მომიყვანა. სულ ერთია, მაინც აღარ შევურიგდები. ის ჩემთვის მკვდარია. ნაბოზარი! ცოლქმრულ საწოლში მიღალატა. უნდა მოვკლა, გუშინ უნდა მომეკლა1“ ირენი უცნაურად შეირთო, ვაგიფს ასია უყვარდა და ასიას ვაგიფი, ირენი კი მათი თანაკურსელი იყო და ვაგიფს აღმერთებდა, მაგრამ კაცის გული ასიას ეკუთვნოდა. სამოქალაქო ქორწინება კი უცნაურად ჩატარდა. ქორწინების სახლში მისული ვაგიფი და მისი მაყრები დიდხანს ელოდნენ ასიას, რომელიც ხელისმომკიდეს უნდა მიეყვანა სიძისთვის. მანქანიდან კი მძღოლი გადმოვიდა და ვაგიფს მიუახლოვდა. უთხრა, რომ ასია ხელისმომკიდესთან ერთად უკვე მიფრინავდა საქორწინო მოგზაურობაში და საქმროს ყოველივე კარგს უსურვებდა. ვაგიფი გახევდა, ორი წუთით, თითქოს, სუნთქვაც შეწყვიტა, მერე უცნაურად გაეღიმა და იყვირა: – ირენ, ჩემო ძვირფასო, დავამთავრო ეს მასკარადი. მე შენზე ვქორწინდები. ეს ყველაფერი დავგეგმეთ მე და ასიამ და ახლა მინდა გითხრა, რომ

ასია ამ დილით დავაქორწინე და თავის ქმართან ერთად უკვე მოგზაურობაშია.

მერე ირენს მიეჭრა, გულში ჩაიკრა გაოცებული მაყრიონის თვალწინ და საქორწინო სახლში შესულმა უცებ მოქრთამა იქაური ჩინოვნიკები და ხელმოწერა ნახევარ საათში მოაგვარა. მთელი მაყრიონი, მათ შორის ასიას მშობლებიც ვაგიფის და ირენის ქორწილში აღმოჩდნენ. ქორწინებიდან ერთი კვირის შემდეგ, ვაგიფმა ცოლს სიმართლე უთხრა, თუმცა ირენს ამის გამო საყვედური არ უთქვამს. მას ხომ ვაგიფზე ძლიერ არავინ უყვარდა. ვაგიფსაც ასე ეგონა გუშინ დილამდე.

ტიტრი: 24 საათის წინ

ვაგიფი მივლინებიდან მოულოდნელად დაბრუნდა და დილით ბინის კარი უჩუმრად შეაღო. ყვითელი ყვავილების დიდი თაიგული ეჭირა კეისთან ერთად და ფიქრობდა, როგორ აღფრთოვანდებოდა ირენი მის დანახვაზე. ფეხზეც არ გაუხდია, ისე შეაღო საწოლი ოთახი და... ირენი და ვიღაც კაცი, დედიშობილა ეყარნენ ლოგინზე და ჩახუტებულებს ეძინათ. პირველი რეაქცია სახეში ხელის შემორტყმა იყო, მეორე კი აბაზანისკენ გაქცევა. ყვავილები და ჩანთა მიაგდო, დიდი სათლი ცხელი, ქაფქაფა წყლით აავსო, უკან მობრუნდა და... ქალის და კაცის განწირულმა ღრიალმა არათუ ამ ბინის მცხოვრებნი, არამედ მთელი კვარტალი გააღვიძა და ვაგიფს, რომელმაც მანქანა დაქოქა, კარგა ხანს ესმოდა. აეროპორტში მივიდა და ყველაზე სრაფად გამსვლელ რეისზე აიღო ბილეთი. ასე მოხვდა ამ ქალაქში და იმავე ღამეს ამ ოთახში, სადაც ვიღაც ახოვანი, ქერათმიანი მაღალი ლამაზმანი შემოვიდა და გაუღიმა: – მე გიპოვეთ და ახლა სამუდამოდ ჩემი ხარ.

ასე, უბრალოდ და სიცილით გაიცნეს ერთმანეთი... და შეიყვარეს, შეიყვარეს ისე, როგორც ერთხელ უყვარდებათ სიცოცხლეში

ვალენტინა

ავთანდილი შობა დილით ჩამოვიდა სოფელში და დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ვინც იმერეთში ერთხელ მაინც შესწრებიხართ რუსეთიდან დიდი ხნის უნახავი მეზობლის მოულოდნელ ვიზიტს, ეს ამბავი არ გაგიკვირდებათ. ავთო უკვე ოც წელზე მეტია, საქართველოდან შორს, ვოლგისპირეთის პატარა ქალაქში ცხოვრობს და ბოლო ხუთი წლის მანძილზე პირველად ესტუმრა სამშობლოს. ვალიკო ბიძიას და თამარა მამიდას ისე გაუხარდათ შვილის დანახვა და ისეთი ყვირილი ატეხეს, მთელმა კუთხემ ფანჩულიძეების ორსართულიან, უზარმაზარ სახლში მოიყარა თავი. ორ საათში ავი თვალისგან არდასანახი სუფრა გაიშალა და ვინაიდან ამინდი შობის შესაფერისი თეთრი ფანტელებით გაკეთილშობილდა, სტუმრებიც და მასპინძლებიც ურთიერთსიყვარულით და ჩახუტებით შეუდგნენ ქეიფს. ის იყო, სწორუპოვარმა თამადამ მელენტი ნემსაძემ ორჭიქანახევრიანი ყანწი გამოსცალა და ავთოს გადასცა, ამ უკანასკნელმა ხმამაღლა იკითხა: – ჩემი მეგობარი და ძმაკაცი, ლერი პატარიძე მომენატრა ძლიერ და თუ ახლა, ამ წუთას არ წავედი და არ ვნახე, გული გამიჩერდება.

სუფრა დამუნჯდა და დაყრუვდა. ავთოს ყველა თვალს არიდებდა.

– რა მოხდა ხალხო? – იკითხა მან და წინ, ოდნავ შეთხელებულ თმაზე ხელი გადაისვა.

– ლერი ავარიაში დაიღუპა ძმაო, – დამნაშავესავით წყნარად უთხრა დამ, ციალამ, დამსახურებულმა მასწავლებელმა, რომელსაც ახალგაზრდობის მიუხედავად, იმდენად შეუვალი ავტორიტეტი ჰქონდა სოფელში, მოხუცებიც კი პატივს სცემდნენ.

ავთო გაშეშდა, მერე კი უხმოდ დატოვა იქაურობა და გარეთ ეზოში დაეყუდა ძეგლივით... ბეჭზე ხელის შეხება იგრძნო. მისი ბიძაშვილი იყო, ლამზირა.

– ლამზო, როგორ მოხდა ეს ამბავი?

– როგორც ყველა ასეთი შემთხვევა, მოულოდნელად, – ჩუმად, სლუკუნით უპასუხა ლამზომ და ლამაზ, თეთრყირმიზა სახეზე ცრემლები ჩამოუგორდა, – მაპატიე ძმაო, ვერ გაგაგებინე. უფრო სწორად, აქ არ ვიყავი. როცა ჩამოვედი, დასაფლავებული დამხვდა ცოლიც და ქმარიც.

– როგორც, მარეხიც დაიღუპა? – შეიცხადა ავთომ.

ლამზირამ უამბო, რომ ორი წლის წინათ, გაზაფხულზე, ლერის მანქანა ტრასაზე ტრაილერს შეეჯახა და ცოლ-ქმარი სასიკვდილოდ დაშავდნენ. დარჩათ პატარა გოგონა, ირა, რომელსაც ლერის მშობლები უვლიდნენ მანამ, ვიდრე ორივე, ჯერ ბაბუა და მერე ბებია, ერთიმეორეს მიყოლებით არ დაიხოცნენ.

– ახლა ბავშვს ვინ ზრდის? – იკითხა შეძრულმა ავთომ.

– ციალამ იშვილა, შენმა დამ.

ავთომ სახლისკენ აიღო გეზი... მელენტი თამადა ლერი პატარიძის მოსაგონარ სადღეგრძელოს ამბობდა. როცა დაამთავრა, ავთომ დაიწყო:

– მეზობლებო, ჩემო ძვირფასო ხალხო, ჩემო საყვარელო ციალა. ლერი ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო და მისი მეუღლე მარეხი, ჩემი შვილის ნათლია. რასაც ახლა გეტყვით და გთხოვთ, თუ ყურად არ იღებთ და უარს მეტყვით, ავთანდილ ფანჩულიძე სამუდამოდ დაივიწყეთ. ჩემმა ლერიმ გვიან იქორწინა და ირა, მისი და მარეხის სიყვარულის ნაყოფი, ისეთივე შვილია ჩემი და ისევე მიყვარს, როგორც ჩემი ვალერი და ლუდა. ციალა, ვიცი, რომ ირა შენს შვილებზე ნაკლებად არ გეყვარება, მაგრამ უნდა დამითმო, უნდა წავიყვანო, ჩემი შვილები უკვე დაიზარდნენ. ერთი მოსკოვში სწავლობს, მეორე – ვოლგოგრადში. ირას კი ჩემი მეგობრის სიყვარულით გავზრდი. სამაგიეროდ ყოველ წელს ჩამოვალ. მე და ვალენტინა მაინც აქ ვაპირებთ საბოლოოდ ჩამოსვლას და ცხოვრებას...

ზუსტად ათი დღის შემდეგ ყაზანის აეროპორტში, როცა ერთ-ერთი რეისის თვითმფრინავის დაჯდომის შესახებ, ადგილობრივმა დიქტორმა ხრინწიანი ხმით აუწყა მგზავრებს, ვალენტინა მღელვარებით წამოხტა გრძელი სკამიდან და ნერ-

ვიულად გაიარ-გამოიარა. თან ბუტბუტებდა: – თავქარიანი კაცია ჩემი ავთო. ისე იშვილა ბავშვი, არც კი მკითხა, არადა ვერაფერს ვეტყვი, მაგის გაბრაზებას არავის ვურჩევ. აღარ ვიცი, რა ვიფიქრო. ე. მგონი მოდის კიდეც. ვაიმე, რა პატარა ბავშვი მოჰყავს. ორი ან სამი წლის იქნება. ჰეი, ავთანდილ ვალერიევიჩ.

– ჩამოვედი ვალია, – გაუღიმა ავთომ და პირველად დაირცხვინა ცოლის წინაშე, – იცი, რა კარგი გოგოა? ძალიან შეგიყვარდება...

ვალია უხმოდ გადაეხვია ქმარს და გოგონა გამოართვა. მერე ქუდი გადაუწია, ღიმილით დახედა, აკოცა და ქმარს უთხრა: – იცოდე, მარტო შენი არ იქნება, ჩემიცაა...

და მართლაც... ვალენტინა სიტყვის ქალი იყო თავისი ქმარივით.

პარასკო

იაკუბი პირველად ფილარმონიაში გავიცანი, სადაც პირველკურსელები სტუდენტური ფიცის მიღების ცერემონიაზე შეგვკრიბეს. სახელი დამარცვლით მითხრა: ი-ა-კუ-ბი. ჩემი სახელი ვუთხარი და გამომსვლელებისკენ მივმართე ყურადღება... მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ფაკულტეტზე ვსწავლობდით, მალე დავმეგობრდით. უთვისტომო ბიჭი იყო. თავადვე ამბობდა, „პრიუტში“ ვარ გაზრდილიო. კულტურული, ზრდილი ადამიანი იყო. ფეხბურთის ყურებისას, როცა მთელი სტადიონი ვიგინებოდით და ვილანძღებოდით, იაკუბი წყნარად იჯდა, ოღონდ არათითს ჩაიდებდა პირში და ყურისწამღებად უსტვენდა. რუსული ზღაპრის პერსონაჟის ბულბულა-ყაჩაღის სახელი დავარქვი. ბოლოს მხოლოდ „ბულბულას“ ვეძახდი. ხშირად მიმყავდა სოფელში სტუმრად. ჩემს მშობლებს, დედმამიშვილებს და ნათესავებს ისეთივე სიყვარულით ეკიდებოდა, როგორც მე. ბულბულაც ყველას უყვარდა და თუ უიმისოდ ჩავდიოდი, ვერც მე ვიყავი მხიარულად და ვერც ნათესაობა.

ჩვენი ნაცნობობის მესამე თვეს ნათია გამაცნო, მაღალი, ჩალისფერთმიანი, კაფანდარა გოგო. თურმე ბავშვთა სახლში ერთად იზრდებოდნენ და სამი წლის რომ იყვნენ, იქიდან იცნობდნენ ერთმანეთს. სულ ერთად დადიოდნენ. სადაც ბულბულა, იქაც ნათია და პირიქით. საბავშვო სახლში, აღსაზრდელებმაც და აღმზრდელებმაც იცოდნენ, მთელი სიცოცხლე ერთად იქნებოდნენ, მშობლები და ნათესაობა არც ნათიას ახსოვდა. რამდენჯერმე ნათიაც დავპატიჟე სოფელში, მაგრამ ზრდილობიანი უარი მითხრა. ისე ნათიაც და ბულბულაც სტუდქალაქის საერთო საცხოვრებელში ერთ სართულზე, ოღონდ გასაგები მიზეზების გამო, სხვადასხვა ოთახში ცხოვრობდნენ.

სტუდენტობის მერე უფრო იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. ბულბულამ რკინიგზას მიაშურა და როგორც კარგ ეკონომისტს, კარიერაში წინსვლა არ გასჭირვებია. ნათია ქიმიის კათედრაზე დატოვეს. დაქორწინდნენ, ბინა იქირავეს და შეუდ-

გნენ ცხოვრებას. მე საერთოდ მოვწყდი ქალაქს და მაღალმთიანი სოფლის სკოლაში გამამწესეს ისტორიის პედაგოგად...

გავიდა რამდენიმე წელი... ნათიამ და ბულბულამ მშვენიერი სამოთახიანი ბინა მიიღეს რკინიგზის სამმართველოდან, ქალვაჟიც გააჩინეს და ქვეყანას ერთი ლამაზი და წესიერი ოჯახი შეემატა...

ათ წელზე მეტი გავიდა სტუდენტობის დამთავრებიდან და სამუშაოდ დედაქალაქში გადმომიყვანეს. ის პერიოდია, როცა „მძლე კავშირი, ძმური“ დაშლას იწყებს. დაუპატიჟებლად და მოულოდნელად მივადექით ბულბულას ოჯახში. ო, რა გაიხარა დიდმა და პატარამ! ბულბულამ ერთი კი იყვირა, კერიას ნახშირი, ჩვენი ძმა გამოჩნდაო და დამესია ყველა. გამეხარდა და მესიამოვნა ის, რომ ნათიაზე და ბულბულაზე არანაკლებად მათი შვილები იყვნენ გახარებულნი. ვარ ამ ნირვანაში და სასტუმრო ოთახში, სათვალიანი მოხუცი ქალი შემოვიდა საქსოვით ხელში. ხაზგასმული თავაზიანობით მივესალმე. ბავშვები ახლა მას მიესიენ: – რას ქსოვ ბებო?

– ჯემპრის ნათიასთვის, – ტკბილი ხმით უპასუხა მოხუცმა.

– ბებო, ეს ჩვენი მეგობარია, თარხუჯი, – გაგვაცნო ბულბულამ.

მოხუცმა თავი დამიკრა და სიყვარულით შემომხედა: – ჩემს შვილებს ძალიან უყვარხართ, ზუსტად ასეთი წარმომედგინეთ! ღმერთმა დაგლოცოს შვილო.

მადლი მოვახსენე, თან ცნობისმოყვარეობა მკლავს: ვინ არის ეს ქალბატონი? ნახევარი წლის წინ ვიყავი აქ და არც მაშინ და არც ადრე, არ მინახავს.

ამასობაში ნათიამ მაგიდა გააწყო და დიდიან-პატარიანა მივუჯექით. სამი თუ ოთხი სადღეგრძელო მივირთვით და ბავშვები სამეცადინოდ გავიდნენ.

– რა ვქნა, ძალიან ჩემები ხართ და ამიხსენით, ეს მშვენიერი ბებო ვინ ბრძანდება? ძალიან მინდა ჩემი იყოს, – ვთქვი სიცილით.

– აგიხსნით ახლავე, – მომიბრუნდა მოხუცი, – ჩათვალე, რომ

შენი ბებიაც ვარ. იაკუბზე და ნათიაზე ნაკლებად კი არ მიყვარ-ხარ. სახელად პარასკო მქვია, მაგრამ ვინ მეძახის? შენმა ძმა-კაცმა და დაქალმა რობიზონ კრუზო დამარქვეს!

– მეც ეგრე დაგიძახებ, – ვუთხარი, – ქალბატონო რობინზონ, ყურადღებით გისმენთ.

– შვილო თარხუჯ. შენ იცი, რა წვალებაში და სად გაიზარ-დნენ ეს ჩემი შვილები. დავაკმაყოფილებ შენს ცნობისმოყვარე-ობას და გეტყვი, რომ არავითარი სისხლით ნათესაობა მათთან არ მაქვს, მაგრამ ამ ოჯახის ყველა წევრი საკუთარ სიცოცხლე-ზე მეტად მიყვარს. შენც მიყვარდი მათთან ერთად. სულ შენზე იყო ლაპარაკი ამ სახლში. ორმოცდაათ წელზე მეტი ვიმუშავე სკოლაში, მათემატიკას და ფიზიკას ვასწავლიდი. გვიან გავ-თხოვდი და შვილი ორმოც წელს ვიყავი გადაცილებული, რომ შემეძინა. მეუღლეს გარიგებით გავყევი. ძალიან მიყვარდა და როცა გელა გაგვიჩნდა, სიხარულისგან აღარ იცოდა, როგორ გავენებივრებინე. ყველას უკვირდა, ამ ასაკში რა ბიჭი გააგ-ორეს ამ ბებრებმაო. ეტყობა, თვალი გვეცა, ბიჭმა ის იყო ფეხი აიდგა და ქმარი გარდამეცვალა. საქეიფოდ იყო ძმაკაცებთან ერთად და ავარიას შეეწირა... შვილის გაზრდაში ვერავინ მო-მეხმარა. დედამთილ-მამამთილი სოფელში ცხოვრობდნენ და შვილის გარდაცვალებას ვერ გაუძლეს.

გელა მოსიყვარულე ბიჭი იყო. შემისრულა ოცნება და ექიმი გახდა. ცოლის მოყვანა კი დააგვიანა. ყველაფრით სავსე ოჯახი გვქონდა, მაგრამ ორმოცს მიუკაკუნა და ოჯახის შექმნა არც გახსენებია. დატრიალდნენ ჩემი მეგობრები, მასწავლებლები და მათი ნაცნობობა და ორმოცდახუთი წლის ასაკში შევრთეთ შვილიანი ქალი. სხვებზე უარი თქვა, ეს მომწონსო რომ თქვა ერთხელ, დაჭედა ლურსმნებით. ბედს შევურიგდი, ვიფიქრე, იქნებ საკუთარი შვილიც შეეძინოს-მეთქი. მერე გელამ აიტეხა მოდი კერძო სახლი ვიყიდოთო. ძალიან მძიმე იყო ჩემთვის იმ ბინის გაყიდვა, სადაც მეუღლესთან ერთად ვცხოვრობდი, სა-დაც გელამ პირველი ნაბიჯები გადადგა, მაგრამ შვილის ნება-სურვილს რომელი დედა გადაეღობება? გავყიდეთ, ფული და-

ვამატეთ და ორსართულიანი სახლი ვიყიდეთ საბურთალოზე. ყველაფერი კარგად გვქონდა, რძალიც შევიყვარე და მისი შვილიც. მერე კი... მერე უბედურება მოხდა. გელა და მისი მეუღლე ავარიაში დაიღუპნენ და... მათთან ერთად მოვკვდი მეც. დღე და ღამეს მათ საფლავზე ვატარებდი, უკვე პენსიონერი ვიყავი და ყოფილი თანამშრომლებიც ნელ-ნელა ჩამომშორდნენ. კიდევ ერთი დარტყმა შვილის ორმოცის მესამე დღეს მივიღე. რძლის მამამ მითხრა, რომ ეს სახლი ჩემს სახელზე გააფორმა შენმა შვილმა თავის დროზეო. ახლა უნდა გავყიდო და ერთ კვირაში დამიცალეო. თუ აგრეა, დღეს წავალ-მეთქი, მივახალე. ყველაზე საჭირო და საყვარელი ნივთები ერთ გორგოლაჭებიან ჩანთაში დაეტია. გამოვედი, გავაჩერე ტაქსი და პარკამდე მივყევი. მერე დავჯექი ბაღში და მაშინ გავიაზრე, პირველად ჩემს ცხოვრებაში, სად წავსულიყავი, არ ვიცოდი. მერე გადავწყვიტე, წავალ ჩემი შვილის, რძლის და ქმრის საფლავზე და ვიქნები იქ, ვიდრე აღსასრული არ მეწვევა-მეთქი. ამ დროს კი ნათია და იაკუბი, თურმე, ბავშვებს ასეირნებდნენ და როცა მტირალი ბებერი დაინახეს, მომაშურეს! მის მერე ვცხოვრობ აქ და ვინ გამიბედავს და მეტყვის, რომ ესენი ჩემი ნამდვილი შვილები და შვილიშვილები არ არიან?!

წამოვდექი, ბებოსთან მივედი და ლოყაზე ვაკოცე:

– ვაი იმას, ვინც დღეიდან იტყვის, რომ მეც თქვენი ნამდვილი შვილი არ ვარ!

პარასკომ ცრემლიანი თვალებით შემომხედა და ზუსტად ისე გამიღიმა, ჩემმა საყვარელმა ბებიებმა რომ იცოდნენ.

თათული

შემოდგომის პირი იყო, სადილობის დრო. სოფლის ახლად მოასფალტებულ გზაზე ახალთახალმა ვერცხლისფერმა „ჯიპ-მა“ გადმოუხვია, ცენტრალური უბანი გაიარა, გასცდა დაჩერგილებულ სიმინდებს და ჯუჯა ჩაის ბუჩქებს, მერე ღელეზე გადებული ახალი ბოგირი გადაიარა, ორსართულიანი, კოხტა ხის სახლის ხისსავე ჭიშკართან შეჩერდა და იმ წამს მარჯვენა კარიდან ახალგაზრდა ქალი ლამის გადმოფრინდა, ჭიშკრის რაზა გასწია, ეზოში შევარდა და სახლისკენ გაიქცა ყვირილით:

– დარიკო ბებიაა!

მანქანის საჭესთან მყოფი ოცდაათიოდე წლის მოხდენილი მამაკაციც სწრაფად გადმოვიდა და ქალს უკან მიჰყვა იმ სახით, თითქოს ეზოში საფრთხე ელოდა. ოდის უკანა მხრიდან თეთრმა ნაგაზმა გამოირბინა, შეჰყეფა, მერე შერცხვა, თითქოს და შემოსულებს ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა, თან კუდს აქიცინებდა.

– ოჰ, ეს როგორი ვაჟკაცი ყოფილა, – მოეფერა კაცი და გატრუნული ძაღლი წამოხტა, შეჰყეფა და მეორე სართულზე ამავალ ქვის საფეხურებთან მიირბინა. მოაჯირზე დაყრდნობით, სვენებ-სვენებით, მოხუცი ქალი ჩამოდიოდა, რომლის გამოხედვაშიც და მიხვრა-მოხვრაშიც აქაურობას ბატონ-პატრონი იგრძნობოდა. ქალი კიბეზე ავარდა და მოხუცს ჩაეხუტა:

– ბებო, ჩემო ლამაზო ბებო!

– თავს მოვიკლავ, თუ შენ თათული არ იყო, – სიხარულის ცრემლები წამოსცვივდა მოხუცს.

– თათული ვარ, ბებო! შენ შემოგევლე, როგორ მიცანი? – ატირდა ქალიც.

– მამიკოს ჰგავხარ ბებო, ძალიან ჰგავხარ! – ხელები დაუკოცნა ბებომ.

ასე ხვევნა-კოცნით ჩამოვიდნენ ქვემოთ...

– დარიკო ბებო, ეს მირიანია, ჩემი ქმარი! – გააცნო თათულიმ.

დარიკომ სიძე შეათვალიერა და ხელი გაუწოდა. ის ჯერ ხელზე ეამბორა, მერე კი ჩაეხუტა, აკოცა და უთხრა:

– ძალიან მომეწონეთ. ბებია უნდა დაგიძახოთ.

– დამიძახე შვილო, ვინ დამიძახებს თქვენზე უკეთესი, – აღელდა მოხუცი და გადასძახა:

– ეთერი, ნელი, მაია, იზო, ნარგიზა!

ორ წუთში ეზო გაივსო. ქალი და კაცი სირბილით მიდიოდა. ჯერ თათულის კოცნიდნენ, მერე დარიკოს, ბოლოს კი მირიანს გაუცვითეს ლოყები, თან ისე აჯანჯღარებდნენ, გეგონებოდათ, წყლიდან ამოიყვანეს გაგუდული და უნდა გამოაფხიზლონო.

ეს ამბავი ზემო იმერეთში ხდება და არავის გაგვკვირვებია, რომ ერთ საათში ეზოში ლამის საქორწინო სუფრა გაიშალა... სამი საათის შემდეგ კი მაგიდას მხოლოდ ორი ღვინისგან ლამის გათავებული მეზობლის მამაკაცი და კარგად შემთვრალი მირიანი შერჩნენ:

– შენ გაგიმარჯოს ჯვარმა, – თქვა ენის ბორძიკით ერთმა მეზობელმა, – დაგვათვრე მთელი სოფელი.

– სასტიკი სმა სცოდნია! – სმისგან წართმეული ხმით და ენით ამოიხავლა მეორემ და ლამის კისრიდან სიმელოტის დასაფარად წამოღებულ თმაზე ხელი გადაისვა.

– ამ ჭიქით თქვენ გაგიმარჯოთ გივი ბიძია და ზურია ბიძია! – სასმისი ასწია მირიანმა.

– მადლობთ ბიძი, მადლობთ! – უპასუხა ქანცმილეულმა ზურიამ.

– შენ გაიხარე ჩემო იმანო... ხო, მირიან, მარა ჩვენ მაგის დალევის თავი აღარ გვაქვს, – უფრო სიტყვაუხვი აღმოჩნდა გივი და დაამატა: – მე მოგიკვდე, თუ ხვალ ჩემი ტარავლის ღვინო არ შეგასვა!

– რომელ ტარაველზე ამბობ გივია, თავზე რომ გაქვს თუ ვენახზე? – ახვიხვინდა ზურია.

გივიას ეს არ გაუგონია, მირიანს გადაეხვია, დაემშვიდობა და ბარბაცით დაადგა გზას. ზურიას კი დამშვიდობება დაავ-

იწყდა და ხვნეშით გაჰყვა მეზობელს. თითქოს ჩასაფრებულნი იყვნენ, როგორც კი ჭიშკარი გაიარეს, ეზოში ოთხი ქალი გამოვარდა სახლიდან და მაგიდები ისე სწრაფად აალაგეს, ჭიშკრიდან შემობრუნებულ მირიანს ფოკუსნიკები ეგონა... მერე თათული გამოვიდა სახლიდან, ქმარს ხელმკლავი გამოსდო და სახლში შეიყვანა.

– ყველას ძალიან მოეწონე, – უთხრა ქმარს, – ოქროსავით ცოლ-ქმარი ხართო, ასე თქვეს.

– ვენაცვალე მაგათ, ყველა მიყვარს, – უპასუხა მირიანმა, – ბებო სად არის?

– ლოგინს გვიშლის ზალაში. ვთხოვე, რომ აქ გაეშალა. მეორე სართულზე ხვალ დავიძინებთ-მეთქი.

– ბრძენი გოგო ხარ, კიბეებზე ასვლის თავი აღარ მაქვს, – შუბლზე აკოცა ქმარმა, – ჩვენი მანქანა შენ შემოიყვანე ეზოში?

ცოლმა თავი დაუქნია და ზალაში შევიდნენ... უცებ გარედან ხმა გაისმა:

– დარეჯან, დარეჯან!

ხმას კი დიალოგი მოჰყვა ცოტა ხანში.

– ქალბატონო დარეჯან: ამხელა პიროვნება თუ სტუმრობს ჩვენს რაიონს, რატომ მაშინვე არ მაცნობეთ. დავხვდებოდით ღირსეულად! – შეწუხებული ხმით ამბობდა ვიღაც კაცი.

– ვინ პიროვნება ბონდო? – ჩემი თათული მესტუმრა თავის მეუღლესთან ერთად, – გაეცინა დარიკოს.

– ბოდიში და თქვენს სიძეს მირიანი ხომ ჰქვია?

– კი, მირიანი.

– ჰო და ბატონი მირიანის სტუმრობას მე ყველაზე ბოლოს უნდა ვიგებდე? – გულნატკენი იყო მოსული.

მირიანმა სახლის კარები გამოაღო და ეზოში გავიდა.

– ვაი, შეგაწუხეთ შვილო? გაგაღვიძეთ ბებო? – შეწუხდა დარიკო.

– უმორჩილესად მაპატიეთ ბატონო მირიან, – წინ წამოვიდა სტუმარი.

როგორც მირიანმა გაარჩია, მაღალი, შავი კაცი, – ქალაქში

ვიყავი თათბირზე და გვიან გავიგე თქვენი ჩამობრძანების შესახებ. ძალიან მიხარია აქ რომ გხედავთ. არ მოგერიდოთ, მიბრძანეთ და შეგისრულებთ! – ლამის დაუჩოქა.

– ახლა დააძინე ბონდო, წადი სახლში, – უთხრა ბებიამ, – ნამგზავრია და დაღლილი, დაასვენე!

– კი, ბატონო, კი, ქალბატონო დარეჯან. თქვენი ყურმოჭრილი ყმა! უმორჩილესად მაპატიეთ ბატონო მირიან – და წელში მოხრილი კიბოსავით უკან-უკან წავიდა.

– ვინ იყო ბებო ეს საფრთხობელა? – გაუცინა მირიანმა დარიკოს.

– მერია ბატონო ჩვენი, რა ჰქვია? მუნიციპალიტეტის. სულ გაჭიმული დადის და სად მუშაობ ბებია იმისანა ადგილას, ასე წელში მოხრილი რომ გედგა წინ?

– სად ბებო და მინისტრია, – უპასუხა თათულიმ, რომელიც შეუმჩნევლად ამოდგომოდა ქმარს გვერდით.

– წამოდით ბავშვებო სახლში, სალაპარაკო მაქვს, – გაუძღვათ წინ დარიკო, ზალაში, სადაც ცოლ-ქმრისთვის დიდ ტახტზე იყო გაშლილი საბან-ლეიბი, დიდი მრგვალი მაგიდა იდგა. დარიკო მაგიდას მოუჯდა და მოკლედ თქვა:

– დასხედით.

მერე კი შვილიშვილს მიუბრუნდა:

– შენ კი პრემიერ-მინისტრი ხარ, ალბათ.

– არა, ბებო, მე პროკურორად ვმუშაობ, – გაეცინა თათულის.

– თქვენი ყოფილა ეს ქვეყანა! – ამაყად თქვა ბებომ და სიხარულის ცრემლის დამალვა არც უცდია.

– მირიან შვილო, ბევრი მაქვს სათქმელი და თუ დაღლილი ხარ, დილისთვის ხომ არ გადავდოთ? – ჰკითხა სიძეს.

– არა ბებო, ყურადღებით გისმენთ!

– ჯერ თქვენ მითხარით, როგორ მომაგენით?

– ბებო, – დაიწყო თათულიმ, – მამას ბავშვობიდან ვეძებ. ორი წლის ვიქნებოდი, ბოლოს რომ გნახეთ. თქვენი ხელების სითბო და ის სურნელი, რომელიც ეტყობა, მხოლოდ ბებოებს ასდით, სულ მახსოვდა. მის მერე ლამის ოცდაათი წელი გავი-

და. დედაჩემი მეუბნებოდა, რომ მამამ მიგვატოვა, ვიღაც ქალს გაეკიდა რუსეთში და მისი სახელი აღარ ახსენოო. მე კი სულ ველოდი. როცა ბაღში ან სკოლაში სხვებს აკითხავდნენ მამები, გული ჩამწყდებოდა. მერე დედას ვთხოვდი, რომ ბებო მაინც ეჩვენებინა ჩემთვის, ან ჩავეყვანე, ან ბებო ჩამოსულიყო. მპასუხობდა, ბებია გარდაიცვალა მამაშენის უსაქციელობისგანო. ვეკითხებოდი მამის გვარს, სოფელს, ნათესავებს. მეუბნებოდა, მამაშენმა ისე გაგვანადგურა, მისი სახელის გაგონებაც არ მინდაო. დედა სულ თანამდებობაზე მუშაობდა და სიტყვის შებრუნებას ვერ იტანდა. დავამთავრე სკოლა და პროფესიად იურისტობა ავირჩიე. ვიფიქრე, ეს პროფესია მამის მოძებნაში დამეხმარებოდა. ამასობაში დედა მეორედ გათხოვდა და მამაჩემის ხსენება სამუდამოდ ამეკრძალა. მე კი ვეძებდი, მერე მირიანი გავიცანი, დავმეგობრდით. მერე სწავლის დამთავრება, საზღვარგარეთ გაგრძელება, გათხოვება. ქალ-ვაჟი გვყავს ბებო, შენი შვილთაშვილები. გოგოს დარიკო დავარქვი, თუმცა დედა მეჩხუბა. ბიჭს მამამთილის სახელი – ბიძინა. გოგო ოთხი წლის არის, ბიჭი – სამის. დედამთილ-მამამთილთან დავტოვე. ხვალვე გაგაცნობ ორივეს. ხომ წამოხვალ ბებო?

– აბა რას ვიზამ. იმათზე უკეთესს ვის ვნახავ? ფეხით რომ დამჭირდეს, წასვლა, წავალ.

– ერთ დღეს მირიანმა მითხრა: დედაშენის ბიოგრაფია წავიკითხე და აღმოვაჩინე, ერთი პერიოდი, ორი წლის განმავლობაში სხვა გვარს ატარებდაო. ეტყობა ეს მისი ქორწინების დროინდელი გვარია და მამაშენის გვარიო.

– როგორ ბებო? გვარიც შეგიცვალა დედამ? – იკითხა დარიკომ.

– აბა, რას გეუბნებოდი ამდენ ხანს. ყველა ძაფი გამიწყვიტა თქვენსკენ მომავალი. რაკი გვარი გავიგე და ის წლებიც ვიცოდი, არქივში მოვძებნე სისხლის სამართლის საქმე, რომელიც მამაჩემის მიმართ აღიძრა, ავტომობილით ადამიანის გატანის გამო. მამასთვის ხუთი წელი მიუსჯიათ, დედა გაყრია და...

– მართალია, ჩემმა შვილმა სიკვდილის წინ მთხოვა, ეს საიდ-

უმლო არ გამემხილა, მაგრამ შენ უფლება გაქვს იცოდე, რადგან მისი შვილი ხარ. იმ ღამით, როცა კაცი გაიტანეს, საჭესთან მამაშენი კი არა, დედაშენი მჯდარა, მაგრამ ჩემმა შვილმა აიღო თავზე ცოლის დანაშაული. ციხეში ქალს რა უნდა, ბავშვს უფრო მიხედავსო. მამა ჩასვეს. დედაშენმა კი, უმადურმა და ყოვლად ზნედაცემულმა ადამიანმა, მამაშენი გაყიდა. ექვს თვეში გაეყარა, მე დამემუქრა, თუ თავს არ დაგანებებდი, უცხოეთში წაგიყვანდა... მამაშენი ციხეში ტუბერკულოზით დაავადდა და ისე მძიმედ იყო, ერთი წლით ადრე გაათავისუფლეს. სულ შენ გახსენებდა, მაგრამ ასეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფი ვერ ვნახავო, მეუბნებოდა. შენი ნახვის ნატვრაში ჩააბარა სული ღმერთს. სიკვდილის წინ მითხრა სიმართლე – ვინ ჩაიდინა დანაშაული, თან დააყოლა:

– დედა, ეს საიდუმლო საფლავში ჩაიტანე. მე მიპატიებია ჩემი ყოფილი ცოლისთვის ეს ღორობაო. ზუსტად ასე მითხრა და დასძინა: ვილოცებ, რომ ჩემმა შვილმა ისევე შეგიყვაროს, როგორც მე მიყვარს ისო. ეს უნდა მეთქვა ბებო თქვენთვის. აპატიეთ იმ ქალბატონს, ოღონდ სიმართლე უთხარით და ერთი სანთელი მაინც დაუნთოს თავის ყოფილ ქმარს, რომელმაც სიცოცხლე და ბედნიერება შესწირა.

– შეიძლება ერთი თხოვნა შემისრულოთ დარიკო ბებო! – წამოდგა მთლად გამოფხიზლებული და აცრემლებული მირიანი.

– მითხარი შვილო, – წამოდგა დარიკოც.

– ძალიან მინდა გულში ჩაგიკრათ და მოგეფეროთ, როგორც საკუთარი შვილი და შვილიშვილი. თათული, მოდი ჩვენთან...

კედლიდან კი სამეულს ნატანჯი კეთილშობილი კაცის სურათი დასცქეროდათ, რომელიც ვინ იცის რამდენი ხანი ელოდებოდა ამ ლოცვის ახდენას, რომ მისი თათული ისეთივე ძლიერი სიყვარულით ჩაიხუტებდა ბებიას, როგორც თავად შვილი საკუთარ დედას. ახდა ლოცვა კაცისა, რომელმაც სიცოცხლე გასწირა საყვარელი ადამიანისთვის და ეს სიკეთე ახლა, უკვე ზეცაში მყოფს დაუბრუნდა.

ვაგიფ!

ჩემზე ლამის ოცი წლით უმცროსი იყო. ლამაზად მელოტი, გაცნობისას ბლანჟე ჰქონდა. ერთხელ წამომცდა, ბლანჟეიანები არ მიყვარს-მეთქი. ნახევარ საათში მოიპარსა, თუმცა მერე წვერი მოუშვა. საქმეს ფლეგმატურად, ნახევარსერიოზულობით ეკიდებოდა. მინახავს სიცილისგანაც და ტკივილისგანაც ატირებული. გარდაცვლილი შვილის ფოტო ვაჩვენე ერთხელ ტელეფონში და ლამის ჩამაკვდა ხელში. მერე გადაიწერა, ჩემს ლოცვებში მოვიხსენიებო და როცა შევხვდით, მითხრა, ისრაელში, გოდების კედელთან შენი შვილი ვიტირეო.

სამეგობრო კაცი იყო, ჩემს მეგობარსაც ისე ჩაეხუტა, ერთი თვე გამიქრნენ თვალთახედვის არედან. ტელეფონებიც კი გამორთეს. ბოსებმა ტყავი გააძვრეს ლამის. დაითხოვეს. ის კი, ცალი თვალით ტიროდა და მეორეთი – იცინოდა. მერე ხელი ჩაიქნია, დავიღუპეო. მივედი და მხრებში ჩავავლე ხელი: ბიჭო, ვაგიფ, პირველი ხომ არ არის? ხომ იცი, ბოსის კეთილი გულის ამბავი, შეგირიგდება. მე ცდას არ დავაკლებ, ხომ იცი ჩემი ძმა ხარ!

აი, ამან, ეს სიტყვები რომ ვუთხარი ბოლოს, გადამარჩინა, როცა მისმა საყვარელმა მეუღლემ, ინესმა ვაგიფის გარდაცვალება ორი სიტყვით მითხრა: – ვაგიფი აღარ არის.

რომ არა ჩვენი ბოლო შეხვედრა ბიჭო, ალბათ, გაჩერებული გული აღარ ამუშავდებოდა. ახლა ვწერ ამას და არ ვიცი, რატომ გაჩერდა შენი ყველასადმი სიყვარულით აღვსილი გული. დარწმუნებული ვიყავი, რომ შენი ხასიათის კაცი ჩვეულებრივი სიკვდილით არ აღესრულებოდა, რომ გავიგო, ასე არ არის, არ დავიჯერებ. გული შენ არ გიღალატებდა, იმიტომ, რომ უღალატო ძმა იყავი. შენ კი ღალატით ბევრჯერ გატკინეს გული და გადინეს ცრემლი.

ერთხელ შენი პირველი სიყვარულის ამბავი მომიყევი, საცოლემ როგორ გაგწირა და ქორწილში რომ არ მოვიდა, შენს ვითომ მეგობარს რომ გამოუდგა. შენ კი საოცარი საქმე ჩაიდ-

ინე ბიჭო. გოგო, რომელსაც უყვარდი და იმ ქორწილზე იყო, გაახარე. მოიგონე, თითქოს იმ საცოლესთან ქორწილი ტყუილი იყო და ამ გოგოსთვის ხდებოდა ყველაფერი... სიხარულისგან ლამის გააგიჟე. ამას შენს მეტი მოიფიქრებდა ვინმე? თუმცა, ისიც არ აღმოჩნდა შენი ერთგული და მეზობელს გაჰყვა. შენ რომ არა, ვერ გადავიტანდიო. ამბობდი და მიუხედავად იმისა, რომ სულ ეჩხუბებოდი ინესს, თავზე მეტად გიყვარდა. არ მინდა დავიჯერო, რომ ამქვეყნად ვეღარ შევხვდებით. ერთი ის მამშვიდებს, რომ უკვე ჩემს შვილთან ხარ და ვიცი, მალე დამეგობრდებით. ასაკშიც არ გაქვთ დიდი სხვაობა ბიჭებო. ისიც მამშვიდებს, რომ როცა იქნება, მეც თქვენთან მოვალ, აბა სად წავალ? მანამდე კი იყავით ერთად ჩემო საყვარლებო. უთხარი, რომ ვაი აქვს შენი მშობლების გამძლეობას, მაგრამ, ვიდრე იმათ არ დააბინავებენ წუთისოფლის კალთაში, მანამ არ მოჰყავს უფალს შენთანო. ჩვენ ვილოცებთ თქვენი სულებისთვის.

ეს რომ არ დამეწერა ვაგიფ, ძმაო, გული გამოსკდებოდა. ახლა ცოტა ვიტირე და მომეშვა გულს. შენ არ იყავი ჩემი სარწმუნოების და რჯულის კაცი, მაგრამ დიდი ძმა იყავი და სულიერი ძმა, ჩემო ვაგიფ, ჩემო კეთილშობილო მეგობარო!

ჯიუტი

გენო ქარსელაძე უჯიუტესი კაცი იყო. თუ რამეს დაიჟინებდა, მორჩა! მოკვდებოდა და თავისას გაიტანდა. სკოლაში კოხტა, ორნაწნავიანი გოგო უყვარდა – მაყვალა. ბოლო ზარზე გამოუტყდა. „ვაი შენს პატრონს უბედურსო“ – აიბზუა ტუჩი ქალიშვილმა. „შენი შემხვეწნის ჩემდა თავად და იმისიც, ვინც ქართველი ქალი ცოლად მოიყვანოსო, ესეც ჩემდა თავადო!“ – მიაძახა. კიდევ კარგი, ეს ბოლო „ჩემდა თავად“ დაამატა, თორემ ლამის მთელ ქართველ კაცებს უცოლოდ დატოვებდა!

ეს მაყვალა კი გადადო გვერდზე და ცოლის მოყვანაც, მაგრამ მაშინ საბჭოთა კავშირის მოქალაქე ბრძანდებოდა და მალე ჯარში უკრეს თავი. გადასარევ ადგილას მოხვდა, ხმელნიცკის ოლქში, უკრაინაში, მფრინავთა ნაწილში. თვრამეტჯერ რომ გადმოახტუნეს პარაშუტით და ზუსტად ამდენჯერ, სამ-სამი კვირა გენოს ძებნას მოუნდნენ, მერე აღარ შეუწუხებიათ, მზარეულის თანაშემწედ უკრეს თავი და კარტოფილის მთლელის პოსტი ჩააბარეს. ზუსტად ათი წუთი გაძლო, რაც ერთი კარტოფილის გასათლელად დასჭირდა. მზარეულმა უთხრა, ნათლისთვის ბევრი საღი ნაწილი გაგიყოლებიაო და მოხვდა კიდეც გენოსგან ნასროლი გაუთლელი კარტოფილი.

– ვის უბედავ, „სალაგა!“ – გაეჭიმა მზარეული და რომ არა მისი სამი თანაშემწე, ეს „სალაგა“ ბოლო სიტყვად დარჩებოდა წუთისოფელში. ვიდრე გენომ დანარჩენები მიბეგვა, შეფმზარეული მუხლებზე დაეცა და შეჰღაღადა: – არ მომკლა, მაპატიე და თავადივით შეგინახავ.

გენომ სიბრაზე გადალახა და ჯარი მისთვის ამ წუთიდან სამოთხედ გადაექცა. ჭამის და გართობის მეტი საქმე არ ჰქონდა. ქალაქში საწანწალოდ სამოქალაქო ფორმაც გააჩალიჩა და დაიწყო უკრაინელი ლამაზმანების მუსრვა. სამზარეულოს შემადგენლობა პატივისცემით და რიდით ექცეოდა. თავად დირექტორი, უფროსი პროპორშიკი მაქსიმ ანდრეევიჩი, ეროვნებით რუსი, სულში იძვრენდა. განსაკუთრებით კი მაქსის ცოლმა

– ლილიანა პეტროვნამ შეიყვარა და ჩვენი გენო ამ ქალბატონის საწოლშიც სიტუაციის ბატონ-პატრონი იყო. როცა სამსახური მოათავა, ლილიანამ ქმარი მიატოვა და გენოსთან ერთად სარატოვში ამოჰყო თავი მშობლების უზარმაზარ ბინაში. ამ ქალბატონის მამა მაიორი იყო, რუსეთის გმირი. ის ამრეზით შეხვდა ახალ სიძეს, მაგრამ გენო მალე სამშენებლო ბიზნესში ჩერთო, სიმამრის გავლენები გამოიყენა და ორ წელიწადში ფული ჩეჩქივით ჰქონდა. სიმამრს სიძეზე გული მოუბრუნდა და შვილზე მეტად შეიყვარა. სიძემ დაუმადლა და სიმამრი ფირმის შეფად შესთავაზა თანამშრომლებს. ასე რომ, ბატონი პეტრე პენსიონერი მაიორიდან სამშენებლო ბიზნესის ლომი გახდა. თუმცა სიძე საქმეებს არ აკარებდა, სულ თავად დარბოდა გარიგებებზე, მაგრამ, როცა საქმე ჩინოვნიკებს ეხებოდა, მაშინ ოქროს გმირვარსკვლავიანი პეტრე გამოჰყავდა მთავარ როლში და ორ წუთში ბეჭდებით და ხელმოწერებით დახუნძლული ფურცლები ხელთ ჰქონდათ.

ეს ჩვენი გენო სამ წელიწადში ისე გაიქაჩა, მოსკოვში, „რუბლიოვკაზე“ შეიძინა უთანამედროვესი ბინა და მეუღლიანად გადმოსახლდა. აქედან დაიწყო ლილიანას წამებაც. გენომ სმა დაიწყო. ამის მიზეზი სწორედ ლილიანა გახლდათ, რომელიც წელიწადში ორჯერ უცხოეთში დასვენებას, მოგზაურობას არ სჯერდებოდა, სულ სამკაულებს თხოულობდა, წუწუნებდა და სულ ბუზღუნებდა. ხოლო როცა ქმარმა უთხრა, რომ ერთი შვილი მაინც გავაჩინოთო, ლანძღვა-გინებით აიკლო. ჰოდა სიჯიუტით განთქმულმა გენამ ბოღმა-ბრაზის არაყში ჩახშობა გადაწყვიტა, თუმცა თავად კინაღამ გადაჰყვა სმას... ერთ საღამოს კი (ზამთარი იყო), მთვრალი გენო ცოლმა სახლიდან გამოაგდო 25 გრადუსიან ყინვაში. გენო გამოგდებას მიჩვეული იყო, ერთი-ორი საათი იბანდალებდა, ცოტა შეფხიზლდებოდა, მერე მობრუნდებოდა და ცოლს ურიგდებოდა, თუმცა ეს გარკვეული თანხის გადაცემის შემდეგ ხდებოდა. ახლა კი გენომ თანამეცხედრეს კარებიდან მიახალა იგივე სიტყვები, რაც მაყვალას ბოლო ზარის ბანკეტზე, ოღონდ რუსული „საცხონებლის“

დაყოლებით და კარი გამოიჯახუნა. ლილიანამ ჩაიქირქილა და ტელეფონზე დაწყებული ჭორაობა განაგრძო. როცა გენო დილასაც არ გამოჩნდა, იფიქრა, ეტყობა სამსახურში გამოიძინაო. „თავად დამირეკოს, გაიგოს ვინ არის უფროსი ამ სახლში“, – გაიფიქრა.

გენო არ მოვიდა არც საღამოს და არც მეორე დილით. ცოლმა სამსახურში დარეკა. მდივანმა უთხრა, რომ გენადი შალვოვიჩმა დილით დაურეკა და უთხრა, რამდენიმე დღით ესპანეთში მივდივარო. „უჩემოდ წაეთრა, ვაჩვენებ სეირს!“ – გულში დაემუქრა ლილიანა ქმარს და ტელეფონიც აწკრიალდა:

– დიახ!

– ლილიანა პეტროვნა ბრძანდებით?

– გახლავართ.

– თქვენი მეუღლის ადვოკატი ვარ. მან განქორწინების დოკუმენტაციის მომზადება დამავალა და როდის გეცლებათ?

– რაო?! – ყურმილი დაფშვნა ლილიანამ, მოირთო-მოიკაზმა და ქმრის სამსახურში გასწია.

– ესპანეთში არა მთვარეზე, – უპასუხა მოადგილემ, – ლიდია საველიევნასთან ერთად თბილისში გაემგზავრა, მომავალი მეუღლე უნდა გავაცნო მშობლებსო.

ლილიანა ჩაიკეცა და გულის წვეთები დასჭირდა გრძნობაზე მოსაყვანად.

აი, ეგრე! გენადი ქარსელაძე ჯიუტი კაცი იყო, უჯიუტესი. თუ რამეს დაიჟინებდა, მორჩა!...

ეს საოცარი რუსები!

ვინც ეს თემა არ იცის, ძალიან ვთხოვ, კამათს და ჭიმვას ნუ დამიწყებს. ჩემს სამშობლოში დღეს ძალიან არაპოპულარულ, ჩვენდამი მტრულად განწყობილ ოკუპანტზე მოგახსენებთ, რომელმაც შეგვჭამა ლამის. თავად რუსები, კარგად რომ დააკვირდეთ ცუდი ხალხი არ არიან მანამდე, ვიდრე „დერჟავას“ არ ეხება საქმე. აი, მაშინ კი მტრის კარს! ვერ ვეღირსეთ ჩვენთვის მოსაწონ ხელისუფლებას რუსეთში. აქაც ვერ ვეღირსეთ ნორმალურ და ხალხის მოყვარულ პარლამენტარებს, მინისტრებს, გუბერნატორებს....

ერთი რამ კი ვერ გავიგე: რატომ არის ჩვენი მეგობარი თურქი და სპარსელი, რომელიც დღემუდამ გვმტრობდა და დღესაც ერთი სული აქვს, რა წაგვართვას და საიდან ჩემი მეგობარი. და რუსი, რომელსაც უამრავი სისხლი აქვს დაღვრილი მათთან ბრძოლაში ჩვენთან ერთად, ჩემი დაუძინებელი მტერი? რუსს რომ მისი ინტერესები არ ჰქონდეს საქართველოში, ეს ირანი და თურქეთი რას გვიზამდა, ხვდება ვინმე? არ სჯობს, საერთო ენა მოვნახოთ იმასთან, ვისაც ფეხებსაც ვერავინ დააჭამს? სანამ უნდა ვიარო მე ორი მუჭა ხალხის ჭკუაზე? გინდა სამთავრობო იდიოტების და გინდა არასამთავრობოს. მაგათი დედა არ ვატირე? რა გემრიელად მოიწყვეს ცხოვრება იცი? თქვე ჩემის თვრამეტიანო ჟურნალისტებო, აჩვენეთ ერთი, ვინ ცხოვრობს საქართველოში კარგად. ჯიბეები უსკდებათ და მაინც ვერ ძღებიან. გინახავთ ომებში დაღუპული ვინმე სამთავრობული თუ არასამთავრობული? ვერც ნახავთ, ვიდრე მაგათ ჭკუაზე ვივლით. ადრე რუსების სიძეები ვიყავით და იმას ვუშვრებოდით მათ ქალებს, რასაც ახლა ეს თურქები და ირანელები აკეთებენ აქ. ერთი ვცადოთ და ისეთივე ურთიერთობა დავამყაროთ რუსეთთან, როგორც აშშ-სთან გვინდა, გავითვალისწინოთ ორივე სახელმწიფოს ინტერესები, ჩვენი ინტერესები პირველ რიგში და გაქრება ის ღამის კლუბები და საეჭვო, იდუმალებით მოცული სახლები, სადაც უცხო თესლის აქაური ბატონები თავის

ხოშზე იქცევიან, რუსეთის და აშშ-ს აქ დაპირისპირება და ამით ჯიბის ამოვსება კი არ უნდა იყოს მიზანი, არამედ საქართველო უპირველეს ყოვლისა, თორემ გამწარებული დედისთვის რა მნიშვნელობა აქვს შვილს სად მოუკლავენ, რუსი ოკუპანტები აქ თუ გარეთ, ინტერნაციონალური ვალის მოხდისას. ამ რუსეთს რომ ვერჩით ასე თავდაუზოგავად, ხომ იცით რამდენი ქართველი ცხოვრობს დღეს იქ? ჩვენ რომ ჭკუა მოგვცა და ამ ქვეყანასთან მოვაგვაროთ კეთილსინდისიერი ურთიერთობა, ის ქართველები მერე ნახეთ თქვენ. ერთი ქართველიც რომ იყოს ას რუსში, ასივე მას ეკითხება ჭკუას და ანდობს ოჯახის ამბებს, როგორც ბრძენს. ამას ჰაერზე არ ვამბობ, ვისაც უცხოვრია ამ ხალხთან, ის დამეთანხმება. არ მახსოვს, რომელიმე რუსს ჩემთვის ზემოდან შემოეხედოს.

ეს შესავალი იმისთვის დამჭირდა, რომ მინდა მოგითხროთ ერთი რუსის ისტორია. ანატოლი მიხაილოვიჩ სიჩოვი ჩემი უახლოესი მეგობარი იყო, როცა რუსეთში რამდენიმე წელი ვცხოვრობდი და ვმუშაობდი. იმ დროს სსრკ დაშლილი იყო, თუმცა ჩემს იქაურ ყოფას ემიგრაციას ვერ დავარქმევ. ეროვნებას ჩემთვის პრობლემა არასოდეს შეუქმნია.

ჰოდა, ამ სიჩოვმა ერთხელ მთხოვა, ჩემს გარაჟში შევიდეთ, საიდუმლო უნდა გითხრაო. რუსული ზამთარი ზენიტში იყო შესული, მაგრამ მისი გარაჟი ისეთი კომფორტული და თბილი იყო, მსწრაფლ დავთანხმდი და ათიოდე წუთში მასპინძელს ყურადღებით ვუსმენდი:

– მგონი ლუდმილა მღალატობს და უნდა დამეხმარო სიმართლის დადგენაში, – მითხრა და ქუდი მოიხადა. უქუდოდ ცნობილი ფილმის „რვაფეხას“ მთავარ გმირს, კომისარ კატანის ჰგავდა და როცა მისი თანამეცხედრე, გადაფლაშულტუჩებიანი, დაბალი და გავასქელი ცოლი წარმოვიდგინე, გავკვირდი ფრიად: იმ საფრთხობელას ამ წესიერი და სიმპატიური კაცისთვის როგორ უნდა ეღალატა.

– გეჩვენება ალბათ, – მივუგე.

– ღმერთმა ქნას, მაგრამ... მომისმინე კარგად, ჭკვიან და დაკ-

ვირვებულ კაცად გიცნობს ეს უბანი და დიდ პატივსაც გცემთ, – მეუბნება, – ეს ერთი თვეა, როცა ღამის ცვლიდან მოვდივარ, დილით ჩემი ეზო გაწმენდილი მხვდება თოვლისგან. ლუდმილას ვუსაყვედურე, ადრე ნუ დგები და თოვლს ნუ წმენდ. მე გავაკეთებ ამასო, – მითხრა, შენ სამსახურშიც იღლები და დაისვენეო.

– მერე აქ სად ჩანს ღალატი? – გამეცინა.

– გუშინწინ მაღაზიაში შევედი. გამყიდველი ფროსია ხომ იცი, წითელლოყება გოგო. ვეუბნები, 43 ნომერი „ვალინკი“ გექნება, ჩემსას ძირი გაძვრა და უნდა შევცვალო. ბიძია ანატოლი, თუ არ მოგერგოთ, მოგეტანათ და გაგიცვლიდი. რა უნდა მომეტანა, ვეკითხები. ერთი კვირის წინ შენმა ლუდამ რომ ვალინკი მოიტანა, აქ იყიდა და ისო, მპასუხობს. გავრბივარ სახლში და ვეკითხები ცოლს ამის შესახებ. ფროსია ხომ არ გაგიჟდა, ვალინკი რა ჯანდაბად მინდოდაო, მპასუხობს. ვბრუნდები მაღაზიაში, ვყიდულობ ვალინკს და დავცინი ფროსიას. ის კი მიმტკიცებს, ლუდმილამ ვალინკი იყიდა შენთვისო. როგორ მოვიქცე? – მეკითხება.

– ჩემი ფანჯრიდან შენი ეზო-სახლი კარგად ჩანს. ერთხელ ღამით გაეთავისუფლე სამსახურიდან, ჩემთან დარჩი და ვუყარაულოთ, იქნებ ეგ ფროსია არ იტყუება და ვალინკის ამბავიც გაირკვევა.

მეორე საღამოს, ოთხშაბათი დღე იყო. ანატოლი გვიან მოვიდა ჩემთან. დავჯექით ფანჯარასთან და მისი სახლის თვალთვალი დავიწყეთ. ის იყო ჩაგვთვლიმა, სიჩოვმა ხელი მკრა: – შევხედე, მის ჭიშკარს ვიღაც მაღალი მიადგა, მშვიდად გააღო და სრაფი ნაბიჯით დაადგა გაუკვალავ ბილიკს სახლისკენ. კარი ღია დახვდა, შევიდა, შუქიც არ აუნთიათ. ანატოლი წამოხტა.

– ათიოდე წუთი მოიცადე, – ვეუბნები.

ეს ათი წუთი ათი საათი გაგრძელდა თითქოს და... შევვარდით სახლში, საწოლ ოთახში სიჩოვმა შუქი აანთო და შიშველ საყვარლებს გადავეყარეთ.

– მაპატიე, ტყუილია, ეს უკანასკნელი ღამე იყო. მე შენ მიყვარხარ, – საბანი გადაიფარა სახეზე ცოლმა.

ო, რა ვურტყით? მე იმ საყვარელს, ანატოლიმ კი ცოლს. მერე სიჩოვი წინკარში გავიდა და რეზინის ვალინკით ხელში დაბრუნდა: – აკი, არ მიყიდიაო შე ბოზო... და... ახლა ვალინკი ურტყა თავში ბოზ ცოლს... – ეზოს გათოვლა შეეზარა და იმიტომ უყიდე ხომ?

ეტყობა ძალიან ვიხმაურეთ და მთელი უბანი ეზოში შეიყარა. ანატოლიმ კარები გამოაღო და მოახლოებულ სიმამრს უთხრა: – წაათრიე შენი ბოზი გოგო აქედან, თორემ არ ვაცოცხლებ. ნატაშენკა ჩემთან დარჩება. ბოზი მისი დედობის ღირსი არ არის...

მთავარი საოცრება თურმე წინ გველოდა: მოსამართლე ქალბატონმა მოუსმინა მხარეებს და ბოლოს სიდედრმა თქვა:

– ქალბატონო მოსამართლევ, თქვენო ღირსებავ, გუშინ ჩემი სიძე, რომელმაც ლუდა კინაღამ მომიკლა ცემით, ჩვენთან მოვიდა სახლში, ყველას გვაგინა და გვითხრა: თუ სასამართლო შვილს თქვენ მოგცემთ, მოვალ და ამოგჟლეტთო. ბავშვს კი პრიუტს ჩავაბარებ. ჩემს შვილს იმ ოჯახში არ გავაჩერებ, რომელმაც ბოზი გაზარდაო...

ამის გამგონე მოსამართლემ რაც თქვა და მოიმოქმედა, სწორედ ეს იყო საოცრება: – შვილის დედისთვის დატოვებას ვაპირებდი, მაგრამ თქვენმა სიტყვებმა დამარწმუნა, მამას უფრო ჰყვარებიაო. თან დედამ უღალატა მამას და ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაული ჩაუდენია ამ კაცს, განაჩენს ვცვლი. დედობა დიდი რამ არის ქალისთვის. ქალი დედობისთვის არის გაჩენილი. მე ქმარი იმიტომ დამშორდა, რომ შვილის გაჩენა არ შემიძლია. მთელი ცხოვრება მკლავს ეს ამბავი. ამიტომ ამ შესანიშნავ კაცს, ანატოლი მიხაილოვიჩ სიჩოვს ეკუთვნის შვილი. შენ კი ქალბატონო ალიმენტს გადაიხდიო...

თუმც საოცრება ამით არ დამთავრებულა. იმავე წლის ზაფხულში ის მოსამართლე, მგონი ზინაიდა ერქვა, მადამ სიჩოვა გახდა და პატარა ნატაშას მოსიყვარულე დედა.

აი, ბატონო. ასეთი საოცარი და ემოციური ხალხია ეს რუსები. ვამბობ, კარგი ხალხია, ვიდრე „დერჟავას“ არ შეეხება საქმე. მაშინ კი... თუმცა პატრიოტები ასე იქცევიან მუდამ.

დედის ღიმილი

მანქანა მძღოლს რეზიდენციიდან მოშორებით გააჩერებინა. გზას ფეხით გაუყვა, ასე შვრებოდა ხშირად. უყვარდა ხალხში გარევა. მართალია, ამ ბოლო დროს სულ მოჟამულ სახეებს ხედავდა, მაგრამ... ომი იყო. ურჩხული აფხაზეთის შთანთქმას ლამობდა, სოხუმის დაცემამდე დღეები იყო დარჩენილი.

თემური გრძნობდა, რომ ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელი იყო. აგორებული, დაგორებულ, უკვე მთის შუაში მყოფ ზვავს შეაჩერებ? მაგრამ მისი დაუდგრომელი, უჯიათი ხასიათი ვერ ეგუებოდა ამ სიტუაციას. ქუთაისს უთავოდ ვერ დატოვებდა, ომს ზურგი უნდოდა, თორემ ახლავე მიატოვებდა ქუთაისს და სოხუმში გავარდებოდა, მზად იყო მომხდურს შიშველი ხელებით დახვედროდა. მტრის ხახაში ჩავარდნილი აფხაზეთი ეცოდებოდა, ბებერი პრეზიდენტიც ებრალებოდა, რომელმაც თავად მოადუღა ეს ფაფა და ახლა იძულებული იყო, დიდი კოვზით ეჭამა.

მერიის კიბეები სწრაფი ნაბიჯებით აიარა. კაბინეტში შესულიც არ იყო რიგიანად, ტელეფონი აწკრიალდა. ჟიული ურეკავდა: ოჩამჩირეში ღალატია, სოხუმს არავინ იცავს.

– ხალხს შევკრებ და მოვდივარ! – ჩასძახა ყურმილში და მოქმედება დაიწყო, თან მწარედ გაეღიმა. წუხანდელი სიზმარი გაახსენდა: უფსკრულში ვარდებოდა, ფსკერზე დახტომისას გაუკვირდა, რომ ფეხიც არ სტკენია. ირგვლივ სლიპინა კედლები იყო და წებოვანი, თითქოს ახალდასხმულ გუდრონზე იდგა. სული ეხუთებოდა და დედის ხმა ჩაესმა: თემურ! თემურ!

პასუხი უნდოდა, მაგრამ ხმა ვერ გამოაცილა ტუჩებს.

– შენს მარჯვნივ კარებია, ბიჭო! შეაღე! – ჩასძახა დედამ. შეაღო და კიბეები, ბევრი, სხვადასხვა მხარეს მიმავალი. იმას აუყვა, რომელიც მაღლა ადიოდა და უცებ ამოვიდა ზემოთ. დედა ელოდებოდა მაღლა, უფკრულის თავზე. – არ შეგცივდეს, აქ ნუ დგახარ, – უთხრა მშობელს.

– ჩემისთანა შვილების პატრონს სიცივე რას დამაკლებს, შენ

კი ზემოთ ადი, გელოდებიან, – გაუღიმა დედამ და ზემოთ აიხ-ედა.

თემურმა ახლა შენიშნა, რომ ერთი გრძელი ხის კიბე მთაზე ადიოდა.

– წადი შენ სახლში, ავალ მე, – უთხრა და ასვლა დაიწყო. მერე აღმოჩნდა მწვერვალზე, იდგა მარტო.

– ნეტავ სად წავიდნენ? – გაიფიქრა... და გაეღვიძა, ახლა გაიხსენა ეს სიზმარი, უფსკრულიდან მწვერვალზე ასვლა სა-სიკეთო წინასწარმეტყველებად ჩათვალა და ამოქმედდა ისე, როგორც მოქმედებდა ყოველთვის: მტკიცედ, წინდახედულად, თავდაჯერებულად.

1993 წლის 21 ენკენისთვე იყო, ღვთისმშობლობა. კაბინეტის კედელზე ღვთისმშობლის ხატს ეამბორა, პირჯვარი გადაის-ახა, სანთელი აუნთო და... დაიწყო. საღამოს, როცა ყველა საჭი-რო განკარგულება გასცა და სიტუაცია დაალაგა, ტელევიზი-ით გამოვიდა და ქუთათურებს მიმართა, სოხუმი დაუცველია და თქვენ გელოდებათო. იმ ღამით არ დაუძინია, სახლშიც არ წასულა, მცირე ვახშამი მეუღლემ და დამ მოუტანეს. თავს ძა-ლა დაატანა, მაგრამ ლუკმა ყელში არ გადაუვიდა. „ვინ იცის, ჟიული როგორ ელოდება დახმარებას. ეტყობა, ძალიან უჭირს, თორემ არ დამირეკავდა.“

22 სექტემბერი სურსათ-სანოვაგის მოგროვებას მოუნდა. იცოდა, სოხუმში ხალხი შიმშილობდა. გათენდა 23, მშვენიერი, თბილი დღე. აეროპორტისკენ დაიძრნენ. იქ მისულს გული, სუ-ლი და სახე გაუნათდა. ლამის ნახევარ ქუთაისს მოეყარა თა-ვი ფრონტზე წასასვლელად. „თქვენ გენაცვალეთ ჩემო ქუთა-თურებო, ჩემო ძმებო, ახლა სიკვდილზეც სიმღერით წავალ“ – თქვა და... ძველ რუსულ თვითმფრინავში ას კაცზე მეტი ვერ მოთავსდა და მაშინ თვითმფრინავს მიღმა დარჩენილი საზო-გადოების თვალწინ, ყველას გასაკვირად, თემურ შაშიაშვილი ტრაპს აუყვა ისეთივე გრძნობით, როგორც სიზმარში დედის დაძახილზე. თვითმფრინავში ჩამჯდარი ბიჭები წამოხტნენ.

– თქვენც მოფრინავთ?

– აბა რა! თქვენზე ნაკლები ვაჟკაცი ვარ თუ, რაი?

ეს „რაი“ ქუთაისურად წარმოთქვა და ყველა გამხიარულდა... სიცილ-ხარხარზე გენერალმა შემოიხედა და შეჰკივლა: – ბატონო თემურ! თქვენ?!

– დიახ, მე, ბატონო გენერალო, გიკვირთ?

– ერთი წუთით და წინ წაიყვანა, პილოტის კაბინაში.

– ბატონო თემურ, ნაბრძანებია, თქვენ წამოსვლა არ შეიძლება, აქაურობას ვინ მიხედავს?

– ვინც მიხედავს, აქ ვტოვებ.

– ვაჟამ დამირეკა, ლორთქიფანიძემ, შაშიაშვილი სოხუმში წასვლას აიტეხავს და არ გაუშვათ, მაგ თვითმფრინავს უეჭველად ჩამოაგდებენ, რამდენიმე დღეა ჩიტს არ აჭაჭანებენ რუსები აფხაზეთის თავზეო.

– შეიძლება, მაგრამ მე ვერ ჩამომაგდებენ.

– რატომ გგონიათ?

– კი არ მგონია, ვიცი.

– თავს იღუპავთ, ბატონო თემურ.

– თქვენ „არსენა მარაბდელი“ წაკითხული გაქვთ, ბატონო გენერალო?

– დიახ, ბატონო თეიმურაზ.

– ჰოდა გაიხსენეთ, ვისაც პირველი მწვადი, იმას პირველი ტყვიაო. ტყვიამ ჯერ ჩემს გულში უნდა გაიაროს, მერე კი ამ ბიჭების, თუ გვესვრიან, რასაკვირველია.

– კარგად გიცნობთ ბატონო თემურ. ის პირველი საუფროსო მწვადიც სხვისთვის დაგითმიათ.

– შეიძლება, მაგრამ სიცოცხლე მწვადი არ არის ბატონო გენერალო. დღეს, როცა ამდენი ქუთაისელი, თავდადებული ქუთაისელი ვიხილე, სოხუმში მაინც წავალ, უთვითმფრინავოდ რომ დამჭირდეს აფრენა. ფრთებს გამოვისხამ, როცა ამდენ ვაჟკაცს ვხედავ, ყველაზე მძიმე განსაცდელს გადავიტანი.

გენერალი მიხვდა, ამას ვერავინ შევასმენო და წავიდა... ათიოდე წუთში მეუფე კალისტრატემ შემოიხედა თვითმფრინავში და თავისი ომახიანი ხმით დალოცა მრევლი: – აი, შვილებო, ამას

ჰქვია, თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი და რა კარგად წერს ის სულკურთხეული მწერალი, – გმირი იმერი ზრდილობით!“ – „და მშვილდოსნობით აფხაზი, გურული, მეგრი მკვირცხლობით!“ – შემოაშველა თემურმა და თვითმფრინავის სალონი ლამის გამხიარულდა.

– მართალს ბრძანებ, შვილო, – თავი დაუქნია მეუფემ, – თამარის დროს ყველა ერთად ვიყავით, იმერელიც, აფხაზიც, გურულიც, მეგრელიც, კახელიც, ქართლელიც, ოსიც, სვანიც, რაჭველიც და ყველა. უფალი ინებებს და ისევ დაგვიბრუნდებიან ჩვენი უძღები აფხაზი ძმებიც, ამინ.

– ამინ! – პირჯვარი გადაიწერა ყველამ.

– არც მე ვაპირებდი წასვლას, მაგრამ სადაც ერი, იქაც ბერი, – გამხიარულდა მეუფე, – აბა ჩამაჯინეთ სადმე. მივფრინავთ და ღმერთის წყალობით, ჩავფრინდებით მშვიდად...

თავგადასავლების გარეშე ჩაფრინდნენ სოხუმში. მერე ყველაფერი კალეიდოსკოპური სისწრაფით განვითარდა: თემური თითქოს სიზმარში იყო და მაშინ გამოერკვა, როცა ქუთაისში დაბრუნდა და საკუთარი სახლის ჭიშკარს მიადგა. გაიხსენა: „სოხუმში დახვდნენ დიმა ჯაიანი, ვახტანგ ყოლბაია, გენო კალანდია, ვასილ კადენეცი... ბუნდოვნად ახსენდებოდა დამშეული სოხუმელები, რომლებიც ჯერ სანთელს ართმევდნენ მეუფეს და მერე პურს, ლამის ყველა სამხედრო ნაწილი შემოიარეს. ნახეს მოხუცი პრეზიდენტი მის დაცხრილულ სადგომში. ღამე გენო კალანდიას სახლში გაათიეს. იქ ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ ფანჯიკიძე და ნოდარ ნათაძე იმყოფებოდნენ. ბატონ ნოდარზე ყველას ეღიმებოდა, მას ცოტა სრული სამხედრო ხალათი ემოსა და პაგონები ლამის იდაყვებთან ჰქონდა მიკრული. ნახეს ჟიული, ცუდ, მძიმე ხასიათზე იყო. ამბობდა, სოხუმი უკვე სულით დაცემულია, არაფრის იმედი აღარ აქვთო. მერე გადაღლილ თემურს შეხედა და უთხრა: ვიცოდი, შენსას გაიტანდი და ჩამოხვიდოდი. საბჭოთა კავშირი გარდაიქმნა და დაიშალა, შენი გარდაქმნა და შეცვლა შეუძლებელია. როცა თემურმა ჟიულის ხის ტახტი და ხისსავე მუთაქა იხილა,

უთხრა: ჩემი და სხვისი გასაჭირი რა მოსატანია შენს გაჭირვებასთან შედარებითო და ძლივს შეიმაგრა ცრემლები. ჟიული კი მეუფეს მიუბრუნდა და თქვა: უფალს ვეხვეწები, მე მომკალი და საქართველო გადაარჩინეო. მერე თვითმფრინავში კალისტრატემ უთხრა თემურს, ჟიულს უფალი ორ-სამ დღეში თავისთან გადაიყვანსო... და მართლაც, მესამე დღეს ჟიული დახვრიტეს... თემური სოხუმში იმ საკათედრო ტაძარშიც იყო, სადაც უწინ ილია მეორე მოღვაწეობდა. ვინაიდან ადგილობრივმა მეუფემ დააგვიანა, წირვა მეუფე კალისტრატემ აღავლინა. წირვა აღავლინა მოგვიანებით მისულმა დანიელმაც. ამ დროს ცნობა მოვიდა, რომ სოხუმში ცოტნე დადიანის საზოგადოება იქმნებოდა და გამგეობის წევრად შაშიაშვილის არჩევას აპირებდნენ. ამან უკან გამოფრენა დააგვიანა. აეროპორტში კი ნამდვილად ცუდ დროს მივიდნენ. ზედ მათ თვალწინ ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა დიდი ლევან თედიაშვილის ვაჟი. ეს ყველაფერი მოხდა ბატონი ლევანის თვალწინ... ახლა, თავისი ჭიშკრის წინ გაახსენდა თემურს, რომ 3 სთ. 13 წუთზე გამოფრინდნენ სოხუმიდან. სანამ საშიში ზონიდან არ გამოვიდა, თვითმფრინავი ჩამქრალი შუქებით მოფრინავდა: მეუფესთან და თემურთან ერთად ფრიდონ ინჯია, ჯანსუღი, თედიაშვილი ისხდნენ. წინ კი თედიაშვილის ვაჟკაცი ესვენათ. ლევანმა თემურს სთხოვა, თბილისში რომ ჩავალთ, ჩემს მეუღლეს იქნებ გააგებინო ეს უბედურებაო. თემურმა ეს ვერ შეძლო, ვაჟას სთხოვა, ლორთქიფანიძეს... თემურმა თავჩაქინდრულმა შეაღო ჭიშკარი, ეზო ფეხაკრებით გაიარა და იფიქრა, არ გავაღვიძებო შინაურებს, თუ არ გაიგებენ ჩემს აფხაზეთში ყოფნას, უფრო კარგი იქნებაო და ის იყო კიბეს შეუყვა, ხმა შემოესმა: – შენი გამოსწორება არ იქნება. რაც უჯიათი იყავი ბავშვობაში, იგივე დარჩი. ასეთ საქმეებზე მიდიხარ და ძმას არაფერს ეუბნები? რა, შენზე ნაკლები ვაჟკაცი ვარ თუ სამშობლო შენზე ნაკლებად მიყვარს, – ძმა ავთო მიპარვოდა და როცა მიიხედა, ძმამ გულში ჩაიკრა. – შენ რომ რამე დაგმართოდა, ბიჭო, ხომ გავწყვიტავდი ყველას! – უთხრა და იყვირა: არიქა გამოდით, გივი, შუშანა, დაო და რძალო, ცო-

ლო და შვილო, მეზობლებო, ბედნიერებო და უბედურნახევრებო, გამოდით, გაიხარეთ, ჩვენი თემური დაგვიბრუნდა, ცოცხალია, უვნებელია, მაგრამ მგონი დამუნჯდა, რაც შემოვიდა, ხმა არ გამიგონია ამისი.

– მაცლი ლაპარაკს? – გაეცინა თემურს, – რას დაზაფრე ეს ხალხი? ...და ახლობლებს ჩაეხუტა.

– მე დავზაფრე, თუ შენ? – გადმოხედა ძმამ კიბიდან.

– ვიცოდი, რომ უვნებელი დამიბრუნდებოდი, – უთხრა დედამ, რომელიც შვილთან ჩახუტების რიგს უცდიდა და ისე იდგა, როგორც ასეთი შვილის გამზრდელ დედას შეეფერება – ამაყად, თვალზე სიამაყის ცრემლით და იმ ღიმილით, რომელიც დედებს უჩნდებათ ტუჩებზე, შვილების დანახვისას.

P.S. და როგორ არ ჰგავდა ქუთაისის მერის საქციელი, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სააკაშვილის, მისი გუბერნატორების, მინისტრების და პარლამენტარების ქცევას, რომლებიც მტრის დანახვისას ისე გარბოდნენ, ლამის ყურებზე ირტყამდნენ ქუსლებს.

მამაშვილობა

სისხამ დილით „ჩიტების ბაზარში“ ისეთი მოხდენილი წყვილი შევიდა, გამყიდველებმა თვალები დააჭყიტეს, ზოგიერთმა კი აქა-იქ იბწკინა კიდეც, სიზმარში ვარ, თორემ ასეთი სილამაზე ცხადში ვის უხილავსო. მაღლები, ლამაზები, ერთმანეთს სჯობდნენ. ისე მიდიოდნენ, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებდნენ. ქალი 20-21 წლის იქნებოდა, კაცი – 4-5 წლით უფროსი. „ჩიტების ბაზარი“ ქალაქის განაპირას, ტყიან მასივში მდებარეობდა და ჩიტებთან ერთად, ყველა ის ცხოველი და ფრინველი, მცურავი და მხოხავი იყიდებოდა, ოჯახებში და ღარიბ ზოოპარკებში რომ შეგხვდებათ. წყვილს ყველა შესცი‌ცინებდა, საკუთარ ცხოველს უქებდა. მათ ერთი ხნიერი ქალბატონი, რომელსაც კავკასიური ნაგაზის ლეკვები გამოეყვანა, შეეხმაურა: – ამაზე უკეთესს რას შეიყვანთ ოჯახში? – იყიდეთ.

ქალიშვილმა კავალერს მიმართა: – მართლა რა ლამაზებია.

– არა, – უპასუხა მან, – ბაჭიას ვუყიდი. ლენას ბაჭიები ძალიან უყვარდა.

– ეს ლენა ვიღაა? – გაბრაზდა ქალიშვილი.

– დეა, ლენა ბარბარეს დედა იყო. ჰო, გადაწყდა, ბაჭიას ვყიდულობ.

დეას ლამაზ სახეს ის გაბრაზებაც კი მოუხდა, რომელიც ახლა აღბეჭდოდა, ლამის ნაკვერჩხლები გადმოყარა მწვანეთაფლისფერი თვალებიდან.

– იყიდე, ოღონდ ჩქარა იყიდე და ამ ცხოველების ტანჯვას ნუღარ მაყურებინებ! – თქვა და ზურგი შეაქცია მეწყვილეს.

– დეა! – ხმას აუწია კაცმა და ქალი შემობრუნდა, – ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ თემაზე არ ვიჩხუბებდით.

– კარგი გიგა, მაპატიე, – და ისე საყვარლად გაუღიმა, კაცმა აღტაცება ვერ დამალა...

ულამაზესი ბაჭია უყიდეს, გაბუშტული სახის, თი თქოს ეცინებოდა და თავს იკავებდა...

– წავედით ბარბარესთან, – თქვა კაცმა და მანქანა დაძრა, – ნეტავ როგორ შემხვდება?

– ძალიან მოეწონება, – დაამშვიდა დეამ.

– შენ უფრო მოეწონები, – გაუცინა გიგამ.

– ჯერ არ მინახავს და უკვე მიყვარს, ჯერ ერთი, რომ შენი შვილია და მეორეც, მე აღარ დამჭირდება, ჯეჯერობით, ბავშვის გაჩენა. მშვიდად გავაგრძელებ სამოდელო კარიერას.

არადა გუშინ ეს წყვილი ლამის დაშორდა. სულ წელიწადნახევარია ცხოვრობენ ერთად. ამ შემოდგომაზე აპირებენ ჯვრის დაწერას. გიგა საპროექტო ფირმის წამყვანი სპეციალისტია, რომელიც საუკეთესო პროექტის შექმნისთვის, შეფმა სამოთახიანი ბინით დააჯილდოვა. კაი გვარიან ხელფასს და პრემიას იღებს. არადა ხუთი წლის წინ ჩამოვიდა დედაქალაქში. ინსტიტუტში ჩააბარა, საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და სწავლაში ისე გამოიჩინა თავი, მეოთხე კურსიდან უკვე ამ ფირმაში აიყვანეს. დეა ქალაქელი გოგოა, მდიდარი მამის ნებიერა შვილი. საკუთარი სამოდელო სააგენტო აქვს. გიგა მაშინ გაიცნო, როცა მამამისის ერთ-ერთ მრავალსართულიანის პროექტს ამზადებდა. შვილის დაახლოება გიგასთან მამას თავიდან არ ეპიტნავა, მაგრამ, როცა სასიძო ახლოს გაიცნო, თავპატიჟი არა დაუწყია. შესთავაზა კიდეც, ჩემს ერთ-ერთ სახლში იცხოვრეთო, მაგრამ ახალგაზრდებმა გიგას ბინაში ყოფნა არჩიეს. ახლა კი უკვე ქორწილისთვის ემზადებოდნენ და ბაც!... გუშინ დილას გიგას მშობლიური სოფლიდან დაურეკეს. მისი კარის მეზობელი, თამარა იყო. გიგას მშობლები ადრე გარდაეცვალა, მის სახლს და გარემოს თამარა ბებო პატრონობდა. გიგა იქ ორ წელიწადში ერთხელაც ძლივს ჩადიოდა. – ბიჭო, გიგა, – ეუბნებოდა თამარა ტელეფონში, – იცი, რომ ოთხი წლის გოგო გყავს აქ?

– გოგო არა, მაჩვი! მეხუმრები თამარა ბიცოლა?

– ყური დამიგდე. ლენა გარდაიცვალა, წინა კვირას დავმარხეთ.

ლენა გარდაიცვალაო? გიგას გული ჩასწყდა და ცრემლე-

ბი ჩამოსცვივდა. ლენა მისი პირველი სიყვარული იყო. მეოთხე კლასიდან უყვარდათ ერთმანეთი. ბოლო ზარის ბანკეტზე კი, სამუდამო სიყვარული შეჰფიცეს ერთურთს და მოხდა ის, რაც ორ გამოუცდელ ახალგაზრდას ემართებათ. ღამე გიგას სახლში გაატარეს. ერთს მეორე, მესამე და ლამის ორკვირიანი გრძელი ღამეები მოჰყვა. მერე გიგა გამოცდების ჩასაბარებლად წავიდა დედაქალაქში, ლენამ კი სოფელში, კერძო ფერმაში დაიწყო მუშაობა და გიგას დაბრუნებამდე შოთა ტრაქტორისტს გაჰყვა ცოლად... შეყვარებულის ღალატმა ისე გაამწარა გიგა, ვიდრე დეას არ შეხვდა, სერიოზული ურთიერთობა ქალთან აღარ ჰქონია. ფიქრებში ჩაფლული თამარას ხმამ გამოაფხიზლა.

– ბოდიში თამარა ბიცოლა. ვერ მოგისმინე, რას მეუბნებოდი?

– რას და ის გათახსირებული შოთა უკრაინაში გაეკიდა ვიღაც ნათრევს და ის ავადმყოფი გოგო მარტო დატოვა.

– რა სჭირდა ლენას?

– ფილტვების სისუსტე. ფეხებიც დაუსივდა, ვეღარ დადიოდა. აღარც მკურნალობა შველოდა რამეს. დიდხანს იწვალა. მე ვნახულობდი ხშირად, რძე და მაწონი მიმქონდა. ზოგჯერ თაფლიც. ერთხელ მითხრა: – ჩემო თამარ. ბარბარე გიგასგან მყავს, მისი შვილია. მე მალე აღარ ვიქნები. არ მინდა გოგო უპატრონოდ დარჩეს. გიგას შეეხმიანე და თან გადაეცი, მაპატიოს ღალატი და არ მომიხსენიოს ცუდად. თავქარიანი და ჩერჩეტი ვარ, არ ვიყავი მე მისი შესაფერისი...

– მერე, – უკვე ტიროდა გიგა.

– წელიწადი იცოცხლა ამის მერე, თუ ამას სიცოცხლე ერქვა. ბარბარეს მე ვპატრონობდი, ახლაც მე ვუვლი და ბებიასაც მეძახის... შოთას მშობლებს დედამისი არასდროს მიუღიათ რძლად და ოჯახში, ლენას დასაფლავებაზეც არ მობრძანებულან. შენ რას იზამ შვილო, ჩამოხვალ?

– ჩამოვალ! – მოკლედ უპასუხა გიგამ, მერე თავი მაგიდაზე დადო და ატირდა.

საღამოს, სახლში მისულს, დეამ ჰკითხა:

– რას ჰგავხარ, ჩემო სიცოცხლევ! შეგემთხვა რამე?

გიგა მოუყვა ლენას ამბავს. დეა ჩაფიქრდა.

– რას აპირებ? – ჰკითხა.

– ხვალ დილასვე მივდივარ შვილთან.

– მე? მე რას მიპირებ?

– შენ ჩემი ერთადერთი სიყვარული ხარ. ბარბარე ჩვენი შვილი იქნება.

– უჩემოდ გადაწყვიტე?

– რატომ? – შენს გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია.

– იქნებ არ არის შენი შვილი?

– შეუძლებელია. ლენა ტყუილს არ ეტყოდა თამარა ბიცოლას.

– მაგ ლენამ ხომ მოგატყუა ერთხელ?

– მაშინ ახალგაზრდები ვიყავით, ახლა ლენა აღარ არის. ახლა ბარბარეა, ჩემი შვილი და შენ!

– უკვე მეორე ადგილზე ვარ შენთვის?

– დეა, შარზე ხომ არ ხარ? ბარბარე ჩემი შვილია, შენ კი – ჩემი მეუღლე.

– ჯერ არ ვარ მეუღლე.

– მაგრამ ხომ გახდები?

– არ ვიცი, არ ვიცი, გიგა.

– შვილს ვერ მივატოვებ, მე უნდა გავზარდო.

– მე?

– შენთან ერთად, ერთად გავზარდოთ.

– მე რომ ვინმემ დამირეკოს და მითხრას, შენი შვილია, რომელიც ვიღაც კაცისგან გყავს, წაიყვანე და გაზარდეო, მიიღებ?

– შეუძლებელია!

– რატომ?

– იმიტომ, რომ ჩემამდე არავინ გყოლია.

– და მაინც რომ მოხდეს ასეთი ამბავი, მიიღებ?

– დეა, სისულელეს ნუ ამბობ. მე შენ ყველანაირად მიგიღებ, მიყვარხარ! არც არასოდეს მიღალატია შენთვის. ჩემი გული მხოლოდ შენ გეკუთვნის.

– და ბარბარესაც!

– ისევ თავიდან იწყებ. ის ჩემი სისხლი და ხორცია.

– ჩემთვის კი ვინაა? არც არავინ.

– დეა, სერიოზულად ამბობ ამას?

– სავსებით!

– მაშინ დღემდე სხვა დეას ვიცნობდი?

– ჩათვალე, როგორც გსურს. მე მივდივარ.

– თუ ჩემთან აღარ გინდა და აღარ გიყვარვარ, წადი.

– შენ მიყვარხარ!

– და ჩემი შვილი კი არა? არც გინახავს და არ გიყვარს? რა გაეწყობა, გზა მშვიდობისა.

– წავიდე?

– როგორც გენებოთ.

და დეამ ტანსაცმელი ჩაალაგა. უკვე კარის ზღურბლზე მისული შედგა, ჩანთა დააგდო და საქმროს ჩაეხუტა, ხვევნა-კოცნა დაუწყო:

– მაპატიე საყვარელო, ნამდვილი რეგვენი ვარ! შენი შვილი ჩემთვის შენსავით ძვირფასია და დედასავით გავზრდი. მაპატიე, დაივიწყე რაც გითხარი. ძალიან მიყვარხარ და ზოგჯერ ვგიჟდები ამ სიყვარულით.

შერიგდნენ და ხვევნა-ალერსში დაათენდათ თავზე.

ხუთი საათი მოუნდნენ გიგას სოფელში ჩასვლას. პირდაპირ თამარას მიაკითხეს:

– შენ გაიხარე, შვილო, რომ ასე მალე ჩამოდი, – მთლად მოხუცებულიყო თამარა, – რაღა დროს ჩემი პატარა ბავშვების დევნაა. წუხელ მთელ ღამეს ვუყვებოდი შენზე. ეს რა ლამაზი ცოლი მოგიყვანია, ყოჩაღ გიგა. სოფელში ამბობენ, ძალიან კარგად ცხოვრობს ქალაქშიო. მიხარია, ჩემო ობოლო ბიჭო, – ეფერებოდა სტუმრებს და გასძახა: – ბარბარე, მოდი ბებო, მამიკო ჩამოვიდა.

დაბალი, ერთსართულიანი სახლიდან პატარა, წაბლისფერკულულებიანი ოთხიოდე წლის გამხდარი, კოხტა ბარბარე გამოვიდა და თამარას მიეკრო.

– ღმერთო ჩემო, მართლა შენი შვილია, შეხედე, ხალი აქვს ყელზე, შენ რომ გაქვს, ზუსტად იქ, – წამოიძახა დეამ.

ბავშვი ეჭვით უყურებდა სტუმრებს.

გიგამ მანქანის უკანა კარი გამოაღო და ბაჭია გამოიყვანა.

– ეს შენი საჩუქარია, ბაბი! – ღიმილით უთხრა გოგონას.

– დედაც ბაბის მეძახდა! – გაუხარდა მას და ბაჭია ფრთხილად ჩამოართვა, გულზე მიიხუტა და მოეფერა. გიგამ ვეღარ მოითმინა, გოგონა ბაჭიასთან ერთად აიტაცა და კოცნა დაუწყო: – ჩემო სიცოცხლევ! თამარა ატირდა და დეას ჩაეხუტა: – შვილმა მამა იცნო. ეს უკარება ბავშვია და ხედავ, გიგას როგორ ეხუტება?

მამა-შვილი ბედნიერებისგან ფრინავდნენ.

– უნდა წამიყვანო? – ჰკითხა პატარამ.

– ხო. სულ ჩემთან მინდა იყო. ძალიან მიყვარხარ, ხომ წამოხვალ? – მაშოსაც წამოიყვან?

– აბა, მაშო?

– ჩემი პატარა დაიკოა, ახლა ისწავლა სიარული. ა, ამდენის არის. ერთის და ცოტა მეტის.

გიგამ თამარას შეხედა.

– ლენას შვილია. იმ გათახსირებული შოთასგან ჰყავს. ბებიამ და ბაბუამ არ წაიყვანეს. ახლა სძინავს, – მიაყარა თამარამ.

– მამიკო, მაშოს გარეშე არ წამოვალ, ხომ წამოიყვან? – და მამას ისეთი მუდარით შეხედა, გიგა გახევდა. არა, ამ ზღვისფერ, სიხარულისგან სხივებმსროლელ თვალებს უარს ვერ ეტყვის და: – წავიყვანოთ, მაშოც ძალიან მიყვარს.

– არ გინახავს და გიყვარს? – აკისკისდა ბარბარე.

– ერთად ვნახოთ, – უთხრა მამამ და ამ დროს პატარა მაშოც გამობანცალდა წინკარში. გიგა დაიძრა და ორი გოგო ერთად ჰყავდა გულზე მიკრული გაოცებული თამარას და დეას თვალწინ.

– დიდი მადლობა თამარა ბიცოლა. მიმყავს გოგოები, თუ არ ვიჩქარე, გზაში დამაღამდება.

– შვილო, რაღაცები გავამზადე, ნამგზავრი ხართ, გესადილათ.

– არა, მადლობა, უნდა გავიქცეთ.

თამარა შებრუნდა, პატარა ჩანთით გოგოების ნივთები გამოიტანა.

– ეს შენ, ჩემო ძვირფასო ბიცოლა... და ფულის სქელი დასტა ჩაუდო ხალათის ჯიბეში.

– რად მინდა შვილო, შენ უფრო გამოგადგება, – გაუცინა გახარებულმა თამარამ...

ქალაქამდე დეას ხმა არ ამოუღია. ბავშვებს ხან ეძინათ, ხან ხმაურობდნენ. ერთ ადგილას მანქანა გააჩერეს და გიგამ გოგონებს აჭამა. თამარას ორივე ბავშვისთვის გამოეტანებინა საგზალი, დიდებისთვის კი – მოხარშული ქათამი და სამი დიდი ხაჭაპური...

სახლში შევიდნენ. მაშომ უცებ დაიძინა, ბარბარემ კი ყველაფერი დაათვალიერა და იკითხა: – ეს ვისი სახლია?

– შენი მამიკო, შენი და მაშოსი. ახლა დაიძინე, ხვალ კი დიდ მაღაზიაში წაგიყვანთ და ისეთ ლამაზ კაბებს გიყიდით, ამ შენს ლამაზ დედიკოს რომ აცვია.

– დეა, შენ ჩემი დედიკო გახდები?

– არასოდეს, – წამოხტა დეა, – ჩემი ფეხი არ იქნება ამ სახლში. ერთი შვილი არ იკმარე, მეორეც იშვილე. მე უნდა ვზარდო სხვისი ნაბიჭვრები? იქნებ ხვალ კიდევ გამოჩნდეს ვინმე ძველი სიყვარული და იმის შვილებიც მე ვზარდო?..

და გუშინდელ ჩალაგებულ ჩანთას ეცა და კარი გააღო.

– ეგდე ამ საბავშვო ბაღში! – მიაძახა გიგას.

– პანღურს იმიტომ არ გთავაზობ შე საცოდავო, რომ ქალი ხარ და ამ ორი წუთის წინ მიყვარდი. აჩუ! შეაყოლე. ეს კურდღლის ბაჭია უფრო ჭკვიანია შენზე, ხედავ როგორ ეხუტება იმას, ვისაც უყვარს? – მიუჯახუნა კარი და პირდაღებულ ბარბარეს მიუბრუნდა: – გამოიქეცი, ჩამეხუტე.

...ბარბარემ ბაჭია დასვა და მამას შეაფრინდა გულზე.

დაბრუნება

კერძო კლინიკის მისაღებში გაჩერებულ რეანიმობილს მედპერსონალის იმდენი წევრი ელოდებოდა, ან უმძიმესი ავადმყოფი მოიყვანეს, ანდა მაგარპატრონიანი. საკაცეზე გამხდარი, მილეული, მოხუცი ქალი იწვა, რომელიც ყოჩაღად აჭყეტდა თვალებს და ეტყობოდა, ასეთ დიდ ყურადღებას არ იყო მიჩვეული, თუმცა სიამოვნებდა.

– შვილო, – მიმართა იმ ექიმს, რომელიც მოჰყვა, – ჩემი შვილიშვილი დარჩა ქვემოთ, პირველ სართულზე და უთხარით, რომ კარგად ვარ.

– აქვეა თქვენი შვილიშვილი. ჯერ პირველ სართულზე ვართ ჩვენც, – გაეცინა ახალგაზრდა ექიმს.

– მადლობა, შვილო. ია ჰქვია, ისიც ექიმია. დღეს გავიცანი, – აღელდა მოხუცი, – ხომ არ იცნობთ?

– არა, დეიდა. ეტყობა, სხვაგან მუშაობს. ჩვენთან ია არავინაა.

– მადონა, გამოუშვი ეგ ქალბატონი, რა დროს ენის ფხანვაა, – დაუყვირა ახალგაზრდა, კუშტსახიანმა კაცმა, რომლის მიხვრა-მოხვრაში და მბრძანებლურ ტონში, აქაურობის ბატონ-პატრონი იგრძნობოდა.

– ბოდიში ბატონო კახა, შვილიშვილს ახსენებდა და ვუსმენდი, – გაწითლდა ექიმი.

– აგერ, შვილიშვილი ჩემს გვერდით დგას ქალბატონო ნათელა, – მიმართა მოხუცს კახამ.

– ბებო, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ია, – ცრემლები გადმოსცვივდა მოხუცს.

– აბა, დამშვიდდით ქალბატონო, თქვენი ნერვიულობა არ შეიძლება, – ჩაერია კახა, – აქ უცებ მოგარჩენთ, ფეხზე დაგაყენებთ და მერე ასი წელი კიდევ შვილიშვილთან იქნებით...

დაიწყო ბრძოლა ნათელა ბებიას სიცოცხლის გადასარჩენად. კლინიკის მეპატრონემ, კახამ ექიმებს კონსულტაციაზე მიმართა: – ქალბატონი ნათელა ჩემთვის უახლოესი და უსაყ-

ვარლესი ადამიანია. არაფერს დავიშურებ მის გადასარჩენად. დიდი იმედი მაქვს თქვენი პროფესიონალიზმის. დიტო და მამუკა, თქვენ განდობთ მის სიცოცხლეს. დამხმარეთ აიყვანეთ, ვინც გნებავთ. მისი გადარჩენის შემთხვევაში გელით დიდი პრემია. ორკვირიანი დასვენება თქვენს დამხმარეებთან და მეუღლეებთან ერთად კლინიკის ხარჯით, თქვენთვის სასურველ ქვეყანაში. დრო ჩაირთო...

მთელი თვე ომი იყო. იქით – სიკვდილი, აქეთ – ნათელა და ექიმები. 37-ე დღეს ნათელა ფეხზე ადგა და კლინიკის კაფეში კახასთან და იასთან ერთად ისადილა.

– ბებო, უკვე ისე გაგიშინაურდი, ხომ არ გეწყინებათ, ასე რომ მოგმართოთ? – ჰკითხა კახამ.

– სხვაგვარად მიმართვას არც მივიღებ. ჩემს შვილიშვილზე ნაკლებად როდი მიყვარხარ. – ხელზე მიეფერა ნათელა.

– ჰოდა, ბებო, ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან, დიდი სათხოვარი.

– შეიძლება ვცდები, მაგრამ ეს სათხოვარი ისეთი სიყვარულით მიყურებს, თანახმა ვარ და დამილოცნიხართ ორივე...

იამ და კახამ დიდი ქორწილი გადაიხადეს, თუმცა...

ნათელას ქალ-ვაჟი ჰყავდა. მეუღლე რომ გარდაეცვალა, გოგო უკვე გათხოვილი იყო და პერიფერიაში ცხოვრობდა. ბიჭი კი საქორწილოდ შეღერებული. ნათელას ქმარმა დედაქალაქში დიდი სახლი და ოროთახიანი ბინა დაუტოვა. წესით და კანონით, ბინა ქალიშვილისთვის უნდა მიეცა, სახლში კი ვაჟთან ერთად უნდა ეცხოვრა, მაგრამ გეგემ, შვილმა აიჩემა, მე ბინაში მირჩევნიაო, იქ დასახლდა, ქალიშვილი კი ხახამშრალი დარჩა და ქმართან ერთად სოფელს მიაშურა. მერე გოგო ეყოლა – ია. ამასობაში გეგემ ცოლი შეირთო და ორი შვილი ზედიზედ გააჩინეს. ცოლმა გეგეს ის ოროთახიანი ბინა გააყიდინა, მანქანა შეიძინეს, კარგი დროც ატარეს მოგზაურობებში და როგორც მოსალოდნელი იყო, დედასთან, ნათელასთან გადმოსახლდნენ, რომელიც ხელგაშლილი და გახარებული შეხვდა მათ. შვილიშვილებზე მზე და მთვარე ამოსდიოდა. ბანკში ქმრის დანატო-

ვარი ფული ედო და ბავშვებს თან ჰყვებოდა... გეგეს სახლში დაბრუნებიდან ორი კვირის თავზე, ნათელას ქალიშვილი – იზა ესტუმრა სოფლიდან პატარა, 5 წლის იასთან ერთად და დახმარება სთხოვა: – მეუღლე მყავს ავად და მკურნალობისთვის დიდი თანხაა საჭიროო.

ნათელა, რომლისთვისაც გეგეს და მისი ცოლ-შვილის მეტი არავინ არსებობდა ამქვეყნად, იზას გაუწყრა: – დიდი თანხა არ გაგვაჩნია, ცხოვრება გაჭირდა. აი, ორასი დოლარი მაქვს გადანახული, გამომართვი და იმყოფინე.

იზამ თვალი მოავლო მდიდრული ავეჯით გაძეძგილ სახლს და დაუმშვიდობებლად წავიდა. მთელი 25 წელი არც დედა უნახავს და არც ძმა. ნათელა შორიდან კითხულობდა მის ამბებს. ღვთის მადლით, ქმარიც კარგად ჰყავდა იზას და შვილიც. ნათელა მიხვდა, რომ ქმრის ავადმყოფობა შვილის ტრიუკი იყო დედისთვის ფულის დასაცინცლად.

ამასობაში გეგეს ცოლმა აიშვა. სამი თვე ითმინა დედამთილთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, მერე კი ქმარს მხარი მოუქცია და საპენსიო ასაკს ოდნავ გადაცილებულ ნათელას, მოხუცებულთა თავშესაფარში უკრეს თავი. პირველ წელიწადს შვილი ორჯერ-სამჯერ მივიდა დედის სანახავად, მერე კი აიკვირაძლა. როცა ორი გრძელი წელი გავიდა შვილის ლოდინში, ნათელამ თავშესაფრის დირექციის კაბინეტის ტელეფონით დარეკა საკუთარ სახლში, იქ კი ვიღაც უცნობმა უპასუხა, რომ სახლი მან იყიდა, ხოლო ყოფილი მეპატრონეები სხვა ქვეყანაში გადასახლდნენ. გამწარებულმა ნათელამ ადმინისტრაციას სთხოვა და მზარეულად დაიწყო მუშაობა თავშესაფარში, თუმცა დაკარგულ შვილებზე ფიქრი არ ასვენებდა. ორ ათეულ წელზე მეტი გაძლო, უკვე ოთხმოცს გადააბიჯა და ერთ დღეს, თავის ყოფილ სახლს მიადგა. კარი კი გაუღეს, მაგრამ სულ სხვა ხალხი დახვდა, ნივთებიც კი არ დაეტოვებინათ... ტაქსი დაიქირავა, ქმრის საფლავზე ავიდა გულის მოსაოხებლად. წელიწადში ორჯერ დადიოდა აქ. აღდგომას და შობას... სწორედ სასაფლაოზე იპოვეს თანამშრომლებმა და პოლიციამ გაყინული და გონება-

მიხდილი. ქალაქის საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა უპ-ატრონოდ არ მიუტოვებიათ. ნათელა დღითიდღე ილეოდა და საქმე იქამდე მივიდა, თავშესაფრის ადმინისტრაციამ მუნიცი-პალიტეტს მიმართა მუქთა კუბოს გადასაცემად. საფლავის-თვის კი ადგილი არ მოუთხოვიათ, ქმრის გვერდით გადაწყვი-ტეს დაკრძალვა. ყველა ნათელას გარდაცვალებას ელოდა. დი-რექტორი დილას საავადმყოფოში დარეკვით იწყებდა.

– ცოცხალია, – ესმოდა პასუხად.

ერთ დილით კი, საავადმყოფოს კერძო კლინის რეანომობ-ილი მოადგა მადონა და მამუკა ექიმებთან ერთად და ნათელა წაიყვანეს... დანარჩენი თქვენ იცით, თუმცა რამდენიმე დეტა-ლი მკითხველს უნდა გავაცნო.

იამ ისე დაამთავრა სამედიცინო უნივერსიტეტი, კვირაში ერთხელ მაინც გაივლიდა და თვალს შეავლებდა იმ სახლს, რომელშიც დედასთან ერთად ერთხელ სტუმრობდა და სულ ახსოვდა ნათელა ბებიას ტკბილი ხმა და მოფერება. ერთხელ ვერ მოითმინა და ჭიშკარზე ზარი მისცა. პატრონმა უთხრა, რომ ეს სახლი მან იყიდა და არავითარი ნათელას შესახებ არ სმენოდა. გოგონამ ხელი ჩაიქნია. სოფელს დაუბრუნდა, უკ-ვე როგორც ექიმი და ხალხმაც მალე შეიყვარა. ერთი რაც არ აინტერესებდა, გათხოვება იყო. მისი მოსაწონი არა და არ გა-მოჩნდა. ლამის 30 წლის გახდა და მშობლების ჩიჩინს ერთი ყურიდან მეორეში უშვებდა. ბებიაზე ფიქრი არ ასვენებდა. ერთხელ ოჯახში ახსენა ნათელა ბებია და მამამ, განსაკუთ-რებით კი დედამ იმხელა ორომტრიალი ატეხეს, ხმა გაკმინდა. მერე დაქალმა დაპატიჟა ქორწილში დედაქალაქში და მაგი-დასთან კახას გვერდში მოხვდა. ვერ გეტყვით, რა თვალზე და-ინახეს ერთმანეთი, მაგრამ ქორწილის ბოლოს ორივე ყურე-ბამდე შეყვარებული იყო.

– რა უნდა გავაკეთო, რომ შენი უკარება გული მოვიგო? – ჰკითხა კახამ ორი კვირის შემდეგ ტელეფონით შეყვარებულს. კახა თავის მდიდრულ კლინიკაში იჯდა, ია კი სოფლის ამბულა-ტორიაში.

– რა და... გაიცინა იამ, – ჩემი დაკარგული ბებია უნდა მომიძებნო, ცოცხალი ან მკვდარი.

– და თუ მოვძებნი, გამომყვები ცოლად?

– აუცილებლად, – ჩაიხითხითა იამ.

– ათ დღეში ია და კახა ნათელა ბებიას ერთად მიადგნენ საავადმყოფოში და მოხდა სასწაული. როცა შვილიშვილი უგონო ბებიას დაემხო და ცრემლები დააყარა გულზე, ამდენი ხნის უმოძრაო მოხუცმა ხელები მოხვია და თმებზე მოეფერა. ეს კი დილის ექვს საათზე მოხდა. მანამდე კი სიხარულისგან გადარეულმა კახამ, როცა ნათელას ასავალ- დასავალი შეიტყო, შუაღამეზე მიაკითხა სატრფოს სოფელში და გაოცებისგან პირდაღებული მშობლების თვალწინ, გამოიტაცა...

აი, ეს ამბები უძღოდა წინ იას და კახას ქორწილს. იზო და მისი მეუღლე ლამის მეორედ დაიბადნენ! როგორია. „აი, მესმის სიძე. სიმპატიურიცაა და მდიდარიც. უზრუნველი სიბერე გარანტირებული გვაქვს, მაგრამ ეს მოხუცი ქალი ვინ არის და ყველა რატომ ევლება თავზე? ეეე. დედაჩემია!“ ბოლო სიტყვა იზომ ხმამაღლა წამოიძახა და ნათელასკენ დაიძრა. მიუახლოვდა. ერთი წუთით ორივე თვალებით ბურღავდა ერთმანეთს და ორივემ წამოიძახა: – მაპატიე, დედა. – მაპატიე შვილო!

... და გადაეხვივნენ.

კახას მშობლები გაოცებულნი უყურებდნენ დედა-შვილის ემოციებს.

– დაწყნარდით, მერე აგიხსნით ყველაფერს, – თქვა კახამ.

საქორწინო კონტრაქტი

– ბიძაჩემო, გცალია? – უთენია დამირეკა ვანომ.

– მცალია კაცო, შენთვის ყოველთვის მცალია, – ვუპასუხე.

– ოც წუთში მანდ ვარ!

ვანო ჭინჭარაული 26 წლის მაღალი, ძვალმსხვილი ბიჭია. შავი თმით და წვერით ახლო აღმოსავლელ რომელიღაც ცნობილ ტერორისტს ჰგავს, თუმცა დეტექტიურ სააგენტოში მუშაობს და როგორც კერძო დეტექტივს, ბევრი წარმატებაც აქვს. ხშირად ისეთ ისტორიას მიამბობს, ერთი სული მაქვს ქაღალდზე როდის გადავიტან. ახლაც, დარეკვიდან ნახევარ საათში ჩემს საწერ მაგიდასთან ვიჯექი და სავარძელში ნებიერად ჩასვენებულს, ვუსმენდი:

– რაც ეს საქორწინო კონტრაქტები შემოიღეს, სულ ორომტრიალში ვარ. რანაირ კლიენტს არ შევხვედრილვარ, ქალს თუ კაცს, მაგრამ ამ საქმის შესახებ რომ არ მოგიყვე, ჭკუაზე გადავალ.

– აგაშენა და გაგახარა ღმერთმა!

– ამ ორი თვის წინ ქალბატონი მესტუმრა ბიუროში, ისეთი, გაანათა ყველაფერი, თმიდან ფეხის ტერფებამდე ისეთი სანახავი იყო, ციება და ცხელება ერთად დამაწყებინა. კიდევ კარგი, ცოლი ძალიან მიყვარს, თორემ ამისთანას გულისთვის, მიატოვებ ყველაფერს და თვალდახუჭული გაჰყვები სადაც წავა. როცა უტიფრად შევათვალიერე და ცოტა დავწყნარდი, მითხრა: შენზე მითხრეს, არა მარტო მაგარი დეტექტივია, კლიენტის ინტერესების გამო თავს გასწირავსო.

– მართალი უთქვამთ, მაგრამ თქვენ რამ შეგაწუხათ? თუ მეუღლე გყავთ და გღალატობთ, ჯერ იმას მოვკლავ და მერე მე მოვიკლავ თავს.

– მადლობა ასეთი შეფასებისთვის. მღალატობს თუ არა, ეგ არ ვიცი, დიდი ეჭვი კი მაქვს. თქვენ უნდა გამოიძიოთ ეს საქმე, – გამიცინა.

გამაკვირვა იმან, რომ ქალბატონი (ხათუნა ერქვა!) მომზა-

დებული მოვიდა. ქმრის კოორდინატებთან და ფოტოსურათებთან ერთად ეჭვის ობიექტი ქალბატონის დოსიეც წარმომიდგინა: ეს მოსალოდნელი საყვარელიც კაი გვარიანი, ჯიშიანი მდედრი იყო. ხათუნას ბევრით არ ჩამოუვარდებოდა თუ მისი შვიდი ფოტოთი ვიმსჯელებდი, დოსიეში რომ იდო. „პირის გემო კი ჰქონია ამ იდიოტს, – ვფიქრობდი და ქმრის ფოტოს ჩავაცქერდი, – მაგარი მუტრუკია. ქალებს ასეთები მოსწონთ. ამ ქალებს არც მე დავიწუნებდი და არც ამ ძაღლისგაგდებულზე ნაკლები ბიჭი ვარ!“.

– ბატონო ვანო, ვთანამშომლობთ თუ?.. – გამიღიმა ხათუნამ.

– სილამაზესთან ერთად, გონებითაც დაუჯილდოებიხართ შემოქმედს, – ვეუბნები, – ეს ფასდაუდებელი ინფორმაციაა ჩემთვის. ათ დღეში გავტეხ მაგათ საიდუმლოს და მოგახსენებთ, – წამოვდექი.

– ისეთ ჰონორარს მიიღებთ, ვერც კი წარმოგიდგენიათ! – წამოდგა ისიც, თავი დამიკრა და გავიდა. გავაცილე. ფეშენავტოში ჩაჯდა, დაქოქა და დამტოვა პირდაღებული.

შევუდექი საქმეს. ხათუნას მეუღლეს უცხოელ პარტნიორებთან ერთად შპს ჰქონდა დაარსებული და ქალაქის უმდიდრეს ადამიანთა კასტას მიეკუთვნებოდა: ორმოცამდე ობიექტს ფლობდა აქ და საზღვარგარეთ. დედაქალაქში, პრესტიჟულ უბანში სამსართულიანი სახლი ჰქონდა. კიდევ რამდენიმე ბინა, ზოგი მშენებარე და ზოგი აშენებულ კორპუსებში. მიწის ნაკვეთები, სახლები ზღვაზე, მთაში, ბარში და უცხოეთში. როცა დეტალურად გავეცანი ყველაფერს, ლამის ხელი ჩავიქნიე. გამჭყლეტს ვასაკა ბაყაყივით! მაგრამ ერთი-ორი ნაბიჯი მაინც გადავდგი, მისი შესაძლო საყვარლით დავიწყე. ეს ქალი, ინესა ერქვა, ბიზნესისგან და მაღალი წრისგან შორს იდგა. სიმფონიურ ორკესტრში უკრავდა ვიოლინოზე. დავიწყე მისი თვალთვალი და მესამე დღეს, შუადღის კონცერტის მერე, უახლესმა მანქანამ რომ მოაკითხა ავტობუსის გაჩერებაზე მდგარს და ისიც დაუფიქრებლად ჩაჯდა შიგ, მივხვდი, რომ ხათუნას ეჭვები არ

იყო საფუძველს მოკლებული. თვალთვალში და დევნაში ათი დღეც გავიდა და ორმოციც. ხათუნას დავურეკე და ვუთხარი, საქმე გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვიდრე ვვარაუდობდიმეთქი და ბოლოს თავად ხათუნამ, დამისახელა სახლი, სადაც მისი ჯემალი და ინესა კურკურებდნენ. ამ სახლის მოძებნა არ გამჭირვებია, მის წინ კაფე იყო და იქიდან ვზვერავდი ხოლმე. ინესა იქ სამჯერ მოიყვანეს მანქანით. კერძო სახლი იყო. შევიდა და გამოვიდა სამი საათის შემდეგ. მოაკითხა იგივე მანქანამ და წაიყვანა. ამ სახლიდან მეტი არც არავინ გამოსულა და არც შესულა. გვიან გავიგე, რომ იმ სახლს უკანა მხრიდანაც ჰქონია კარი. ერთ დღესაც კაფეში ვიჯექი, ფუნთუშას უგულოდ ვღეჭავდი ჩაფიქრებული.

– გამარჯობა! – გამომაფხიზლა ხმამ და ელდა მეცა. ჩემს წინ მაგიდის მეორე მხარეს ინესა იდგა და იცინოდა.

– თქვენ! – წამოვდექი ფეხზე.

– დაბრძანდით, – მითხრა და თავადაც დაჯდა. დავეგდე, კი არ დავჯექი.

– ვინ დაგავალათ ჩემი თვალთვალი, ხათუნამ? – მკითხა პირდაპირ.

– ვინ არის ხათუნა? – გავიკვირვე.

– ყველაფერი ვიცი, ბატონო ვანო, ნუ თვალთმაქცობთ.

– საიდან იცით? – გავტყდი მე.

– ხათუნამ მიამბო, – დამტოვა სახტად.

– ხათუნამ?

– ხო, ხათუნამ, ვინც თქვენ დაგიქირავათ, – კიდევ გაიცინა ინესამ.

„ფუი, – გავილანძღე თავი გონებაში, – რა ჩემი ფეხების დეტექტივი ვარ, ეს ქალი თავად მითვალთვალებდა, თურმე“.

– ნუ ნერვიულობთ. ის ფაქტი, რომ ვერაფერი გაიგეთ ამდენ ხანს, სულაც არ ამცირებს თქვენს პროფესიონალიზმს და არც თქვენ, როგორც დეტექტივს გაყენებთ ჩრდილს, – ისე მიღიმოდა, ხათუნაზე ლამაზიც კი მეჩვენა.

– იქნებ ამიხსნათ, რა ხდება? – ვუთხარი მკაცრად.

– საქმე იმაშია, რომ ხათუნამ დიდი ფული გადამიხადა და კიდევ ათჯერ მეტის გადახდას დამპირდა, თუ მის ქმარს შევაცდენდი და ის შემოგვისწრებდა.

– რა აზრი აქვს ამას ხათუნასთვის. ასეთ ქმარს დაკარგავს. თავად, როგორც ვიცი, ყოფილი ფარმაცევტია და არც მდიდარი მშობლები ჰყავს.

– თქვენ მხედველობიდან გამოგრჩათ. აი, ეს დოკუმენტი. – მითხრა და ფურცლების შეკვრა დამიდო წინ. 15 წუთში წავიკითხე და ყველაფერი გაიხსნა. თუ ხათუნა ინესთან შეუსწრებდა ქმარს, ამ საქორწინო კონტრაქტით, რომელიც ეს-ესაა წავიკითხე, მთელი ქონება და შემოსავალი ხათუნა ხელში გადავიდოდა. შპს კი რჩებოდა ქმარს, მაგრამ რამდენიმე ათეული მილიონის ქონებას დაკარგავდა.

– ბატონო ვანო, – განაგრძო ინესამ, – ხათუნას თავად ჰყავს ჯიბეგაფხეკილი საყვარელი. განქორწინების მერე აპირებს მას გაჰყვეს ცოლად და ქვეყანა დატოვოს. თავიდან თანახმა ვიყავი მის შემოთავაზებაზე, მაგრამ ჯემალი შემიყვარდა და ამიტომ მოვედი თქვენთან.

– ერთი გამოსავალია, ჩემო კარგო, უთხარით ჯემალს ამის შესახებ და მოგვარდება ყველაფერი.

– დამიჯერებს? რომ არ დამიჯეროს?

– მაშინ დააყენეთ თავზე ხათუნას და მის საყვარელს!

– ეს უფრო ლოგიკურია, – გაეხარდა ინესას, – ვიცი ის სახლი, სადაც ისინი ხვდებიან ერთმანეთს. დიდი მადლობა.

... და გაიქცა.

აქ ვანო დადუმდა და გაციებული ყავა მოსვა.

– მერე? – ვკითხე, როცა პაუზა უსაშველოდ გაგრძელდა.

– დააყენა თავზე ჯემალი და მისი დაცვა ხათუნას და კარლოს, ასე ერქვა მის საყვარელს, ინესამ.

– მერე, ვანო, მერე?

– გუშინ ჩატარდა სასამართლო, რომელმაც ეს ჩემი მოწონებული ხათუნა ლამის უნიფხვოდ დატოვა. კარლომაც კი მის წინააღმდეგ მისცა ჩვენება.

– და ინესა?

– ინესას კი ჯემალმა უთხრა პროცესის შემდეგ: – შენც კაი ოხერი ხარ, შენი ბოზი დედაც, აღარ დამენახოო.

– ცუდად დამთავრდება ინესასთვის ყველაფერი.

– ის კი მე მაბრალებს, მწყევლის და მკრულავს. გუშინ საღამოს ოფისში მომივარდა და ვიდრე არ ვუთხარი, რომ თუ არ მომეშვებოდა, კაფეში საუბარი ჩაწერილი მაქვს და ყველაფერს ვიზამ, როგორც ფულის გამომძალველი გაგასამართლონო, თავს არ მანებებდა. მერე იცოცხლე, ამოიძუა კუდი და აქეთ მეხვეწებოდა, შევრიგდეთო. ასეთი წარუმატებელი საქმე ჯერ არ შემხვედრია, ვიღაცამ დამთარსა, ახლა თქვენ რომ მოგიყევით, მომეშვა გულზე.

– არ ინერვიულო, ჩემო ვანო, ვიდრე საქორწინო კონტრაქტები იარსებებს, სარჩო არ მოგაკლდება, – ვუთხარი და მეუღლეს მორთმეული ცხელი ხაჭაპური შევთავაზე.

ძველი ამბავი

ჩემი შორეული ბავშვობიდან შოთა ბიძია თავისი „ცარსკებით“ და კრაველის ბოხოხით მახსოვს. წინა საუკუნის 60-იან წლებში აღარც ერთს იცვამდა ვინმე და მით უმეტეს, ბოხოხს, ზამთარში კიდევ ხო, მაგრამ ზაფხულში რომელი ჭკუათმყოფელი გაიჩერებდა თავზე. შოთა ბიძიას კი განუყრელად ეხურა, ალბათ, საწოლშიც არ იშორებდა. ერთხელ მთხოვა, თხილი მომაბოჭიე, დახრა ცოტათი მიჭირსო. დილით ადრე მივედი, ვერ გავაგონე და შევედი სახლში. პატარა, მიწიდან მტკავლით აშორებული კარი შევაღე. ერთი ოთახი ჰქონდა სულ. ეს იყო საწოლიც, სასტუმროც, სამზარეულოც. ტახტზე იწვა სუფთა ლოგინში, ეხურა ბოხოხი, უპლაკუნებდა ყალიონს. გამიღიმა, მესმოდა, მაგრამ ადგომა შემეზარაო. თუ სამუშაოდ ხარ მოსული, კალათა წინკარში დაგიდე, მოკიდე ხელი და თხილები კი იცი, სადაც არი, თუ საგლახაოდ ხარ მოსული, ბიძია, შეგშლია ადგილიო.

შევბრუნდი და კალათისკენ დავიძარი. თხილი ძირსაც ბევრი ეყარა და ბუჩქებსაც ბლომად ესხა. შუადღემდე ათჯერ ავავსე კალათი და სახლის წინ მოფენილ ფარდაგზე უკვე აღარ ეტეოდა. თან ქანცი გამიწყდა და იქვე, ბოკონაზე ჩამოვჯექი. დამადგა შოთა ბიძია, ბოხოხით, „ცარსკებით“ და ყალიონით.

– კარგად გიმუშავია. შემწვარი ქათმის ღირსი ხარ, მაგრამ ცხელ მჭადს და ყველს დამჯერდი დღეს.

და მეზობელს გასძახა: – ლილი, აბა გუშინ რომ შემპირდი, ახლა შემისრულე და მასახელე!

ძახილს საკმაოდ მსუქანი, შუა ხნის ქალი მოჰყვა, გიგა მეწისქვილის ცოლი, ხელში საბოკონე მოკლეფეხიანი ხის სუფრით. ბოკონაზე ნებიერად მჯდარ შოთა ბიძიას დაუდგა წინ და გაგვიცინა, – ახლავეს იქნება ყველაფერი... სამი ცხელი მჭადი, სქლად დაჭრილი ნახვრეტებიანი, თითქმის ნახევარი წველა ყველი (ხუთ კაცს ეყოფოდა), პომიდორის მწნილი, კიტრ-პომიდორი, აქეთ-იქით ორი თეფში თავისი ჭიქებით და ერთი კვარტიანი ბოთლი ღვინო...

– რამდენი წლის ხარ, ბიძია, შენ? – მეკითხება შოთა.

– ათის!

– ჰოდა, შენი გასაფუჭებელი ღვინო ჯერ არ ამოუღიათ ჭურიდან. ეგერ ჭა და წყალი მიირთვი.

გვშიოდა ძალიან და მადიანად მივირთვით. ლილიმ ქოთნით ლობიო და ხასხასა პრასი შემოგვამატა...

– შედი, ბიძია, სახლში, – მითხრა შოთამ, როცა ლილიმ სუფრა აალაგა და წაიღო, ფარდაგია იქ საწოლზე, გამოიტანე, გაიშალე აგერ კაკლის ძირში ბალახზე და დაისვენე ცოტა, მერე კი მოამთავრე სამუშაო.

– რა დასვენება მინდა, არ დავღლილვარ, – წამოვხტი.

– კაი, აბა. წამოგყვები მეც, მოგეხმარები...

თან ბოკონა წამოიღო... როგორც თქვენ არ მოგიკრეფიათ და მოგიგროვებიათ ის თხილი იმ დღეს, ისე არც იმას. იჯდა და უპლაკუნებდა ყალიონს თხილების ჩრდილში. ახლა რომ ვუკვირდები, მწეველი არ იყო. იმ ყალიონიდან გამოსული კვამლი არ მინახავს არც იმ დღეს და არც სხვა დროს... საღამომდე ოცამდე კალათა თხილი მოვაგროვე. ისე დავიღალე, ლილის მორთმეული შემწვარი ქათმიდან მხოლოდ კურტუმო და ერთი ნაჭერი ხაჭაპური შევჭამე. შოთა ბიძია კი მადას არ უჩიოდა და თუ სადილზე ერთი ბოთლი ღვინო იმყოფინა, ახლა ორჯერ მეტი მიირთვა და ისეთი ამბავი მოჰყვა, დღემდე მახსოვს:

– შენი ხნის რომ ვიყავი, დალევა არ ვიცოდი რა იყო. გაჭენებულ ცხენს ვეწეოდი და ზურგზე რომ მოვახტებოდი, ვიდრე სიქას არ გავაცლიდი, არ ჩამოვდიოდი. ხელმოკლედ არ ვცხოვრობდი, მაგრამ მამამ აიჩემა, ქალაქში წავალ, იქ მეტი ფული იშოვება, ვიდრე აქ თოხის ბაყუნშიო. დავრჩით დედასთან მე და ჩემი ორი და. მამის დაბრუნებას ზამთრისთვის ველოდებოდით და როცა შუა გაზაფხულზეც არ გამოჩნდა, დედამ სოფლის მამასახლისს მიმართა, ამან ზევით, იმის იმან კიდე ზევით და ბოლოს გაირკვა: მამაჩემს რაღაც ფინანსური მაქინაციების გამო, თურმე რვა წელი მიუსაჯეს და ციმბირში გააგზავნეს. მაშინ ნიკოლოზის დრო იყო და ციმბირში

ცოტა მოუსვენარ, ბუნტის ამტეხ კაცებს აგზავნიდნენ. ციმბირში კი არა, დედაჩემი ჩხარას ხიდს არ იყო გაცილებული. გამოვიტირეთ მამა და მისი ცოცხლად ნახვის იმედი გადაგვეწურა... თუ არ ვცდები, 1912-ში ან 1913-ში დაბრუნდა. არც თმაში და არც წვერში ჭაღარის ნასახი არ ჰქონდა. მოგვისიყვარულა სიხარულისგან ლამის ჭკუაზე გადასულებს. მეორე საღამოს მღვდელი და მამასახლისი გვესტუმრნენ. კაი სუფრა გაიშალა, უკვე ულვაშაბიბინებული ბიჭი ვიყავი და დამსვეს სუფრასთან, მაგრამ ერთი ჭიქის მეტი არ დამილევია. მაშინ უფროსებთან სუფასთან ჯდომა იმხელა პატივი იყო, დალევას და დათრობას ვინ გაბედავდა. მამაჩემი მოჰყვა თავგადასავალს:

– სოფლიდან რომ წავედი, ცხენს და დილიჟანს არ ვენდე და მატარებელს გავყევი. გორთან ქალი ამოვიდა და პირდაპირ ჩემს წინ დაჯდა. იქნებოდა, ასე, 40-45 წლის.

– თბილისში რა საქმეზე მიბრძანდებით, ბატონო? – მკითხა.

– იქნებ რამე სამუშაო ვიშოვო, გაჭირდა სოფელში ცხოვრება.

– კაი ფეხზე ამდგარხარ ჩემო ძმაო, – მეუბნება, – თუ შრომა არ გეზარება, ისეთ სამსახურს მოგცემ, ფულსაც იშოვი და სახელსაც.

– აგაშენა ღმერთმა! – დავლოცე.

სამი დღის მერე, მთა-მთიულეთში, უდაბურ ადგილას, ცხენებით მივედით მე , ის ქალბატონი და ორი გამყოლი. ხისგან შეჭედილი ათამდე ქოხი იდგა. დაგვხვდა მაღალი წვერიანი კაცი და ქალბატონს გადაეხვია.

– ჩემი მეუღლეა, – გამაცნო ქალბატონმა, – ეს არის აქაურობის ბატონ-პატრონი.

კაცმა ხელი ჩამომართვა და გაეღიმა: – ელო, როგორც ვხდები, ეს ჩვენი ახალი ბრიგადირია.

– ხო, მარიფათიანი კაცია, მოხერხებული – უთხრა ცოლმა და მომიბრუნდა, – როგორც გითხარი, წინა ბრიგადირი, ჩემმა ქიშვარდიმ უწესრიგობისთვის გააგდო, არადა ამ ჩვენს ტლუ

ხისმჭრელებს თუ ვინმემ ყური არ უგდო და თვალი არ ადევნა, გადაწვავენ და გაგვაკოტრებენ.

საღამოს გავიცანი ხისმჭრელები. ოცდაათი კაცი, უმეტესობა საშოვარზე იყო წამოსული ამ ყიამეთში. არ ჩანდნენ ურიგო ხალხი. ისე დავმეგობრდით, უჩემოდ წყალს არ დალევდნენ. ქიშვარდი და ელო კმაყოფილი იყვნენ ჩემი საქმიანობით. ნოემბრის დასაწყისში ცოლ-ქმარს ვუთხარი, რომ ცოლ-შვილი მელოდება, ანგარიში გამისწორეთ, უნდა წავიდე-მეთქი. „იქნებ ეს ზამთრი დარჩე, გაზაფხულის პირზე გაგიშვებო, – მთხოვა ქიშვარდიმ. გავჯიუტდი, ძალიან მენატრებოდა ცოლ-შვილი. „კაი აბაო“, დამიქნია თავი და ელოს დაუძახა, გავუსწოროთ ანგარიში ამ კაცსო. ელომ უამრავ ქაღალდზე მომაწერინა ხელი, ზოგი შევსებული იყო, ზოგი ცარიელი. მერე მე და ქიშვარდის გვითხრა, ხვალ ქალაქში უნდა წავიდე, ფული ბანკიდან გამოვიტანოო. ოთხ დღეში დავბრუნდებიო. წავიდა. სამ დღეში კი პოლიციასთან ერთად დაბრუნდა და დამაპატიმრეს ყალბი საბუთების შედგენის გამო... გვიან მივხვდი, რომ მომაღორეს, მაგრამ უკვე ეტაპით მივქროდი ციმბირისკენ, სადაც უმძიმესი წლები გავატარე.

– ახლა რას აპირებ? – ჰკითხა მღვდელმა.

– ცოტას დავისვენებ მამაო და მერე მოვძებნი რამე საქმეს. ცოტა ფული ჩამომყვა და თავს როგორმე გავიტან...

აქ შოთა ბიძია ჩაფიქრდა და ჩათვლიმა მგონი. წამოვდექი და ოდნავ შევეხე მხარზე.

– მერე, შოთა ბიძია? მერე რა მოხდა?

– ოჰ, ჩამძინებია ეს ოხერი. დავბერდი ბიძია, ბავშვი კი აღარ ვარ. მალე ასს მივუკაკუნებ. მერე, ერთ საღამოს მამა სახლიდან გავიდა, საქმეზე მივდივარო. თურმე შურის საძიებლად მიდიოდა. ასულა იმ ტყეში, მაგრამ იქაურობა გადამწვარი დახვედრია. მერე პოლიციის პრისტავთან ჩაწერილა მიღებაზე თბილისში, განცხადება შეუტანია ქიშვარდის და ელოს მოძებნის თაობაზე. თანაც კარგი ადვოკატი აუყვანია, თუმცა ამაოდ. იმ მუშებს ცოლ-ქმარი მოუკლავთ, იქაურობა ცეცხლისთვის

მიუციათ და გადაკარგულან ან ვინ მოძებნიდა, გვარი არავინ იცოდა მათი და სახელი.

– მერე?

მერე, ბიძია, ქე მოხდა რევოლუცია, ჩამოვაგდეთ ნიკოლოზი და ავაშენეთ ჩვენი საყვარელი მუშურ-გლეხური ქვეყანა, – ჩაიცინა და მოაყოლა: – ვაი, ამათ პატრონს, უბედურს!

ძველით ახალი წელი

მართლმადიდებლური ახალი წლის დადგომამდე, ორიოდე საათით ადრე, ორი სავსე ჩანთით ხელში, ნათელა ბებო ძლივს გამოვიდა სადარბაზოდან, სვენებ-სვენებით გაიარა ეზო და ტაქსის მოლოდინში, ოდნავ წელში მოხრილი, ქარისგან ზურგშექცევით დადგა. ხრიტინებდა ცივი ქარი და მშრალი, უთოვლო ზამთრის მიუხედავად, სუსხი ძვალ-რბილში ატანდა. ბედად თავისუფალი ტაქსი ორიოდე წუთში გამოჩნდა, მძღოლიც არ ჩანდა ცუდი კაცი. არცთუ ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, ცქვიტად გადმოვიდა, ჩანთები საბარგულში ჩაუწყო, უკანა სალონის კარიც გაუღო და როცა საჭესთან მოიკალათა, მისამართი მერე ჰკითხა. თუმცა, როგორც ტაქსის მძღოლთა უმრავლესობა მსოფლიოში, ესეც ენაჭარტალა აღმოჩნდა:

– ამ ახალი წლის ღამეს საით გაგიწევიათ, ქალბატონო?

– შვილი ცხოვრობს მასივში მეუღლესთან ერთად. რძალი ფეხმძიმედაა და იქეთ მიმიპატიჟეს, – უპასუხა ნათელამ და აგრძნობინა, მეტი არაფერი მკითხოო.

– კარგია შვილებთან, – ჩაილაპარაკა მძღოლმა და მოიწყინა.

– ვინ გვყავს ბატონო მაგათზე უკეთესი? – ჩაილაპარაკა ქალმა, რომელსაც ყურადღებიდან არ გამორჩენია მძღოლის ხმაში გარეული ერთგვარი შური და ნაღველი.

– ეჰ, ნეტავი თქვენ, – განაგრძო მძღოლმა, – მიხვალთ, შვილრძალს ჩაეხუტებით, მერე ნაძვის ხეს აანთებთ, გაწყობილ სუფრას მიუჯდებით, მერე მოვა ახალი წელი... ეჰ, მე კი...

– თქვენ კი, რა... მარტო ხვდებით? – ჰკითხა ნათელამ ისე, ზრდილობიდან გამომდინარე.

– მე ბოდიში, ქალბატონო და ვაგდივარ მარტო, – ხმას აუწია მძღოლმა, – არც შვილი, აღარც ცოლი, ნათესაობა სოფელში ცხოვრობს, სამოცს მიღწეული კაცი რესტორანში ხომ არ დავიწყებ ბანცალს. მთელ დღეს სპეციალურად მეძინა, რომ ახლა გამოვსულიყავი და ღამე მემუშავა, ახალ წელს ცარიელა სახ-

ლში მარტო ყოფნა მძიმე ასატანი იქნებოდა ჩემთვის... ეჰ, რაც არის, არის... მგონი მოვედით კიდეც, ქალბატონო. რომელ სადარბაზოსთან გნებავთ?

– ეგერ, ე, ბატონო...

მძღოლმა ლიფტამდე მიუტანა ბარგი. ლიფტი არ მუშაობდა. ნათელა შეწუხდა. ჯიბეში ჩაიყო ხელი ტელეფონის ამოსაღებად.

– რომელ სართულზეა? – იკითხა მძღოლმა.

– მესამეზე.

მძღოლმა მძიმე ჩანთებს დაავლო ხელი და ასაკის მიუხედავად, ისე სრაფად აუყვა კიბეს, რომ მიგეშვა, სამ წუთში მეცხრე სართულს გასცდებოდა. ნათელა მიჰყვა და დიდად არც ის ჩამორჩა, თუმცა მძღოლზე ბევრად უმცროსი არ იყო. მერე იდგნენ მესამე სართულზე და ათი წუთი მორიგეობით აჭერდნენ ხელს ზარის ღილაკს. ამაოდ.

– იქნებ დაგერეკათ? – ურჩია ძღოლმა.

– აბა, რას ვშვრები? – თვალები გადაუბრიალა ნათელამ და ღილაკს თითი ნერვიულად მიაჭირა.

– მობილურზე გეუბნებით ქალბატონო, – გაეცინა მძღოლს, რომელმაც ქუდი მოიხადა და გვარიანად შეთხელებულ ჭაღარაზე ხელი გადაისვა.

– უი, ეგ სულ დამავიწყდა...

ორიოდე წუთში მძღოლი სავსე ჩანთებით დაუყვა კიბეს სწრაფი ნაბიჯებით, ნათელა კი გალახულივით ჩამოყვა უკან. უხმოდ ჩასხდნენ მანქანაში. მძღოლმა ჩანთები წინა სავარძელზე დააწყო და მანქანა დაძრა.

– შე მამაცხონებულო, იცი რომ ამ ხნის ქალი მოვდივარ, ბოლო-ბოლო დედა ვარ შენი, ვინმე გადამთიელი ხომ არ ვარ. თუ რესტორანში გადაწყვიტე წასვლა, ერთი ზარით გამაგებინე და დავეგდები სახლში, – ლამის მოთქვამდა ნათელა.

– ნუ გაბრაზდებით, ქალბატონო, ახალგაზრდები არიან, უქრით თავში, – ამშვიდებდა მძღოლი, – რამდენი წლის არის თქვენი ვაჟი?

– 28 წლის. გვიან შეირთო ცოლი. ვიდრე თავისი ბინა არ შეიძინა, ცოლს ვერ უხსენებდი.

– კაი ბიჭი ყოფილა, მშრომელი, – შეაქო მძღოლმა.

– კი გამაბრაზა, მაგრამ არ მყავს ცუდი შვილი.

ერთხანს უხმოდ იარეს. მერე მძღოლმა ღამის ცარიელ გზას გახედა და სვლა ოდნავ შეანელა.

– თქვენი სახელი, ქალბატონო?

– ნათელა.

– სასიამოვნოა, მე, გაგეცინებათ და, რობინი მქვია, იმ ცნობილი ყაჩაღის სახელი დამარქვა ცხონებულმა მამაჩემმა, თქვენ შეგიძლიათ რობი დამიძახოთ.

აქ კი ნათელას სიცილი კი არა და, დავიფიცებ... ხარხარი აუტყდა. „ახლა მისთვის რა მნიშნელობა აქვს რობის დავუძახებ თუ რობინზონ კრუზოს? ლამის მოვედით და ვერასდროს ვნახავ“ – გაიფიქრა და ლამის ჩაბჟირდა.

რობი მიხვდა, რომ ქალის ეს სიცილ-ხარხარი ნერვული სტრესის შედეგი იყო და ამას მერე ღრიალი მოჰყვებოდა და სულ გააჩერა მანქანა, მაგრამ ნათელა ძლიერი ქალი იყო და როცა სიცილისგან თვალთმოსული ცრემლი მოიწმინდა, იკითხა: – მოვედით?

– არა, ქალბატონო.

– აბა, რატომ გააჩერეთ?

– ისე, – უპასუხა რობინმა და...

ხმა აღარ ამოუღიათ. მანქანა სადარბაზოსთან გაჩერდა. რობინმა უხმოდ მოუტანა ჩანთები ლიფტამდე და ღილაკს თითი დააჭირა.

აქ ლიფტი მუშაობდა, რაც რობის არ ესიამოვნა. ნათელა მიხვდა ამას და რაღაცნაირად თანაუგრძნო მას.

– რომელ სართულზე ცხოვრობთ? – ჰკითხა კაცმა.

– მერვეზე, მაგრამ რა მნიშნელობა აქვს? – უპასუხა ქალმა.

– ისე ვიკითხე...

– რობი, ერთი აზრი მომივიდა, – თქვა ნათელამ.

– ქალბატონო ნათელა, თუ ის აზრი ჩემსას ემთხვევა, თანახ-

მა ვარ, – და ლიფტის ღია კარში რობიმ თამამად შეალაჯა. ნათელა მიჰყვა.

– მანქანა ღია დაგრჩა, – შეახსენა ნათელამ.

– ჭირს წაუღია ყველა მანქანა ამ ქვეყანაზე! – გაიფიქრა რობიმ და თავის მომავალს გაუცინა.

სიურპრიზი

ვუძღვნი ბარბარეს

წკრიალი ჩაესმა ყურში და გაიღვიძა. თავი სტკიოდა და ლამის ჩასჩურჩულა მობილურს: – დიახ.

– აჩიკო ხარ?

– აჩიკო ვარ.

– ეპრაქსია ბებია ვარ, შვილო. ბებიაშენ ნინას მეზობელი სოფელში.

– ხო, ეპრაქსია ბებია, როგორ ბრძანდებით? – გამოფხიზლდა საბოლოოდ.

– ნინა წაიყვანა სასწრაფომ, შენი ტელეფონის ნომერი მომცა ამას წინათ, თუ ცუდად გავხდი ამ ნომერზე დარეკეო.

– ცოცხალია? – ცრემლები წამოუვიდა.

– ცოცხალია, კი, – დაეჭვებით უპასუხა ეპრაქსიამ.

– მოვდივარ! – ჩასძახა და სამიოდე წუთში მოემზადა, ლიფტს არ დაელოდა, კიბეები ჩაირბინა და მანქანა დაქოქა. ორას კილომეტრზე მეტი გზა ედო წინ. ზუსტად სამ საათში, ანუ დილის ხუთ საათზე მუნიციპალური საავადმყოფოს კარი შეაღო და დარაჯიან სამედიცინო პერსონალიანა ყველა ააფორიაქა და შეაწუხა. მისი დაწყნარება ვერც შუა ხანს გადაცილებულმა სიმპატიურმა ექთანმა შეძლო, ვიდრე არ უყვირა:

– რა ამბავში ხართ ახალგაზრდავ, დახმარების მაგივრად, ხელს გვიშლით.

– იცოცხლებს ექიმო, ბებია იცოცხლებს? – და მკლავებში უცერემონიოდ ჩაავლო ხელები.

– იცოცხლებს! – მოკლედ მიუგდო სიტყვა გამოცდილმა ქალბატონმა და თვალებში ჩახედა: დაწყნარდით!

– შეიძლება ვნახო?

– რეანიმაციაშია, ჯერ არ შეიძლება.

აჩიკომ გონებას მოუხმო და დაჯდა. რაკი ნინა ბებია ცოცხალი დაიგულა, მიხვდა, რომ ზედმეტი ფუსფუსი საჭირო აღარ იყო...

ნინას ოთხი ვაჟი და ორი ქალი ჰყავდა. მეუღლე ჯერ კიდევ წინა საუკუნეში გარდაეცვალა. არც შვილებიდან და არც ოცდაერთი შვილიშვილიდან აჩიკოს მეტს მისთვის არ ეცალა. შემოდგომაზე ერთხელ ჩააკითხავდნენ ზოგიერთნი, ჩანთებს აავსებდნენ და ჰერი ბიჭო! მომავალ შემოდგომამდე მშვიდობით!

აჩიკო, როცა წამოიზარდა და ავ-კარგის გარჩევა ისწავლა, კვირაში ერთხელ მაინც ჩადიოდა. როცა მანქანა იყიდა და კარგ სამსახურში მოეწყო, მაინც ერთხელ ჩამოსრიალდებოდა ხოლმე, ოღონდ პარასკევს ღამით. შაბათს ბაღ-ბოსტანს და სახლის საკეთებელს დაუტრიალდებოდა, კვირას კი ბებიას გაასეირნებდა ხან ქალაქის ცენტრში, ხან მახლობელ ბაზრებზე, ხან ბაბუის საფლავზე და ეკლესიაში.

ბებიასაც თავს ერჩია შვილიშვილი. ერთს საყვედურობდა: ცოლს თუ არ მოიყვან და შენს შვილს კალთაში არ ჩამიგორებ, ეზოში არ შემოგიშვებო.

– არც შემოვალ, ღობის იქიდან გიყურებ, – იცონოდა აჩიკო. ახლა კი ბებო...

– არა, უნდა იცოცხლო, შენ უნდა იცოცხლო. ოღონდ ახლა არ მიღალატო ნინა და შენს თავს ვფიცავ, ცოლსაც მოვიყვან და ჩემს შვილსაც მოგასწრებ, ოღონდ ახლა გადარჩი და მთელს ნათესაობას ჭკუას ვასწავლი და ისე გაგიფრთხილდებიან, როგორც ხელის გულზე დაგორებულ ვერცხლისწყალს.

ბებიას ავადმყოფობას სარეაბილიტაციო პერიოდი მოჰყვა და ასე, 70 დღის შემდეგ, კოხტა მედდამ, რომელსაც აჩიკო განსაკუთრებით დაუახლოვდა ამ ორი თვის განმავლობაში, აჩიკოს უთხრა:

– ნინა ბებოს ზეგ გაწერენ, ყური მოვკარი.

– მართლა, მანჩო? ო, რა საყვარელი გოგო ხარ, – გაუცინა აჩიკომ.

– შენ კი, ალბათ, არც დამირეკავ, – ნაღვლიანად გამოხედა გოგომ.

– მაგას ვერ შეგპირდები! არათუ დაგირეკავ, არამედ ბებიას-

თან ერთად მოგიტაცებდი, ერთი რამ რომ არ მქონდეს ჩაფიქ-
რებული.

მერე აქეთ-იქით გაიხედა და გაწითლებულ მანანას უთხრა:

– მოიწი, რაღაც საიდუმლო უნდა გითხრა... საიდუმლოს თქმის დროს ახალგაზრდებმა ბევრი იცინეს, ცოტა იკოცნავეს და... გადაწყდა, – თქვა ბიჭმა, – შენ და ბებოს ერთად გიტაცებთ.

აჩიკოს დეიდას, ლამარას, ეპრაქსიამ დაურეკა სოფლიდან და მოახსენა, რომ დედაშენი გარდაიცვალა მოულოდნელადო. მეტი არაფერი უთქვამს და არც ლამარას უკითხავს. გადაურ-
ეკა დედმამიშვილებს და იმავე დღეს წარმომადგენლობითი დელეგაცია – შვილები, შვილიშვილები, რძლები და სიძეები, ნაცნობნი მათი და სეირის მაყურებელი მეზობელნი სოფლის-
კენ დაიძრნენ, ყველამ აჩიკო მოიკითხა, ეგ იყო ნინას მესაიდ-
უმლეო. აჩიკოს მშობლებმა განმარტეს, რომ ის ცოტა ადრე წა-
ვიდა და იქ დაგვხვდებაო... სოფელში ჩასულთ ჭიშკარი, სახლის კარი და ფანჯრები ღია დაუხვდათ. გვირგვინებიანნი და ყვა-
ვილებიანნი წინ წავიდნენ, მერე ქალები მიჰყვნენ და ბოლოს სეირის მაყურებელნი. ზალა, სადაც სავარაუდოდ ნინა უნდა ყოფილიყო, ცარიელი იყო. იდეალური სიცარიელე და სიმშვი-
დე სუფევდა ორივე სართულზე, ეტყობა ჯერ არ მოუყვანი-
ათო, მიხვდნენ, სკამები გამოიტანეს და ვინც დაეტია, დაჯდა ჩრდილში. ისხდნენ ერთი საათი, ორი, მერე ერთმა მოიფიქრა და აჩიკოს დავურეკოთო. ამდენ ხანს გეთქვა, სად გეძინაო, და-
ესია ყველა, თითქოს თავად იქ არ ყოფილიყვნენ და თავებიც კისერზე არ ჰქონოდათ. დარეკეს. მალე მოვალო, – უპასუხა იმან და მართლაც მოვიდა ერთი საათის მერე. მანქანა ეზოში შემოაგრიალა და გადმოვიდა ლამაზ გოგოსთან ერთად. ის კი არ ჰკითხეს, ნინა სად არისო, ეგ გოგო ვინ არისო, ამან უფრო დაინტერესათ.

– ეს ჩემი საცოლეა, მანანა, – წარუდგინა ბიჭმა.

გოგო იყო ისეთი, ავი დედამთილიც ვერ დასდებდა წუნს.

– ცოლის მოსაყვანად გამოგაგზავნეთ აქ თუ ბებიას მოსავ-
ლელადო! – აყაყანდა ყველა.

– ბებიას რა მოვლა უნდა, ჩიტივითაა, – გაეცინა აჩიკოს და მანქანის უკანა კარი გამოაღო, საიდანაც ნინა გადმოფრინდა. მანანას მზრუნველ ხელს და სალონის გოგოებს ისე შეეცვალათ ბებო, ლამის შვილებმაც ვერ იცნეს. როცა იცნეს, იქ რა ამბავი ატყდებოდა, ყველა ქართველს კარგად მოეხსენება, აბა რაში მეკითხება მე არგენტინაში ან ავსტრალიაში როგორ იქცევიან ასეთ სიტუაციებში...

ყველა კმაყოფილი დარჩა. ნინაც და შვილ-შვილიშვილებიც, აჩიკოც და მანანაც, ის ორი-სამი სეირის მაყურებელი და შენ, ვინც ახლა ამ ამბავს ისმენ ან კითხულობ, იქნებ შენც კმაყოფილი დარჩი. თუ არ მოგეწონა, მაშინ ერთი სიკეთე ჰქენ და დიდი ხნის უნახავ ბებიას, ბაბუას, დედას, მამას, დეიდას, ბიძიას და უბრალოდ ნათესავს და ნაცნობს დაურეკე, მოიკითხე, ორი სიტყვა უთხარი.

ღალატი

– ფუი, შენს ადამიანობას. დიდი გათახსირებული ხარ, როგორ შეიძლება შენ ქალი გერქვას? შენ ძუკნა ხარ, დაუკმაყოფილებელი, ამძუვნებული ძუკნა, ყველას რომ აძლევს! ახლა მივდივარ, ერთ საათში დავბრუნდები და აქ რომ დამხვდე, არ ვიცი რას ვიზამ, აკრიფე შენი ნივთები და წაეთრიე! ფუჰ... და ავთომ ცოლს სახეში შეაფურთხა...

ნანი კარის გაჯახუნებაზე წამოხტა: „მოსაკლავი ვარ!“ – თქვა ხმამაღლა და ნივთების ჩალაგება დაიწყო. 20 წუთის შემდეგ ბინა დატოვა და ლიფტითაც არ უსარგებლია, ტირილით დაუყვა მეშვიდე სართულიდან კიბეს. მერე ტაქსი გააჩერა... ქალაქის ცენტრალურ პარკთან ჩამოვიდა... დიდხანს იჯდა ტირიფის ჩრდილში და ტიროდა. ავთო პირველად აქ ნახა. ამ ტირიფთან. მაშინაც აგვისტო იყო, ცხელი საღამო. ავთოს მოდურ ჯინსის შარვალზე შინდისფერი, ყელთან შეხსნილი კვართი ეცვა და ძალიან უხდებოდა. იმდენად სიმპატიური მოეჩვენა, ნანის სული შეუგუბდა. ავთოც ვერ დარჩა გულგრილი ქერა დალალებისა და ლამაზი სახედან გამომზირალი სილურჯეში გადასული უღრუბლო ცისფერი თვალების მომნუსხველი მზერის წინააღმდეგ და იმდენად შეუყვარდათ ერთმანეთი, სექტემბრის შუა რიცხვებში იქორწინეს. ახლადაქორწინებულთ არაფერი აკლდათ. ორივეს კარგი სამუშაო ჰქონდა და დღითიდღე უფრო და უფრო უყვარდებოდათ ერთმანეთი.

ქორწინების მეორე წელი გადიოდა, როცა ნანიმ დილით გულისრევა და მუცლის ტკივილი იგრძნო. ისეთი სისუსტე დაეუფლა, საწოლთან ჩაიკეცა. ავთო ჰალტუხს ირჩევდა და ამ სანახაობამ კინაღამ ჭკუაზე შეშალა. ცოლი ხელში აიტაცა და გულში ჩაიკრა. ნანის გრძნობა მყისიერ დაუბრუნდა. ცოტა ხანში მათი მანქანა საავადმყოფოს ეზოში გაჩერდა და... ცოლქმარს პირველმა ელდამ გაუარათ და ორივეს ერთი აზრი ეწვია: „ნუთუ ჩვენი პირველი შვილი ჩაისახა“. ექიმებმა სასტიკი და საშინელი განაჩენი ამცნეს. ნანი უმძიმეს მდგომარეობაში

იმყოფებოდა და სასწრაფო ოპერაციას საჭიროებდა. „ჩვენ უძ-ლურნი ვართ, ამ ოპერაციას მეზობელ ქვეყანაში აკეთებენ, თუმცა შედეგები ხშირად არ დგება!“

...ოპერაცია და მკურნალობა ლამის სამ წელს გაგრძელდა. ნანის მხოლოდ ავთოს სიყვარულიღა აცოცხლებდა და აძლი-ერებდა. ამ კაცმა ყველაფერი გაყიდა, უზარმაზარი კრედიტები გამოიტანა ბანკებიდან, მაგრამ უდიდესი სიხარულით მოუსმი-ნა „ამერიკან ჰოსპიტლის“ წვერებიან ექიმს, როცა მან მეუღ-ლის სრული განკურნების შესახებ საზეიმო ხმით აცნობა და აუხნა, როგორ უნდა ეცხოვრა ყოფილ პაციენტს მომავალში.

სამშობლოში დაბრუნებულნი სამიოდე თვით ნანის მშობ-ლებთან ცხოვრობდნენ. სიდედრ-სიმამრი სიძეს განსაკუთრე-ბული მოწიწებით ექცეოდნენ იმ მსხვერპლის გამო, რაც მან გაიღო: გაყიდა ორივე ბინა, მანქანა, იმდენი კრედიტი გამოიტ-ანა, რომელსაც მთელი ცხოვრება ვერ გადაიხდიდა და მაინც მხიარულად იყო, ნანისაც აცინებდა და ხასიათზე მოჰყავდა...

სამი თვის შემდეგ კი ავთო გახარებული მივიდა სახლში და ყველას ახარა:

– არათუ მთელი ვალები გავისტუმრე, ორიოდე დღეში ახალ ბინასაც ვიყიდი და უახლესი მოდელის მანქანასაც.

– საიდან კაცო, ვინმე მილიარდელი გაძარცვე? – ჰკითა სი-მამრმა.

– ჩემი ახალი პროექტი მიიღეს და ხუთასმილიონიანი დაფი-ნანსება გამომიყვეს, – ჩაიცინა სიძემ, – ქალაქის ჩრდილოეთი ნაწილის მშენებლობას ვიწყებთ...

შემდეგი ორი კვირა ნანი მშობლებთან ერთად, ახალი, უზარ-მაზარი ბინის ავეჯით გაწყობით და მორთვით იყო დაკავებუ-ლი. ავთოს აღარ ეცალა. ცოლს საღამოთი ნახულობდა და ის-ეთი მონატრებული იყო, დილამდე თავგანწირვით უალერსებ-და. სამსახურიდან დღეში რამდენჯერმე ურეკავდა და თხოვდა, ექიმის დანიშნულება არ დაერღვია. მთელი წელი თავდაუზოგ-ავი მუშაობის შემდეგ, ავთომ ისე დაალაგა სიტუაცია, ორი კვი-რა ცოლთან ერთად ხმელთაშუა ზღვაზე დასვენებაც კი მოახ-

ერხა. ნანი მეცხრე ცაზე იყო სიხარულით და სიყვარულით და ქმარს მაშინ გაუმხილა სურვილი, მეც ხომ არ დამეწყო მუშაობა, მომწყინდა სახლშიო. ქმარმა თავი დაუქნია და მართლაც, ცოლმა პატარა, სამხაზველო ბიუროში დაიწყო მუშაობა. ნანიმ მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ მისი ავადმყოფობა წარსულს ჩაბარდა...

გაიარა კიდევ სამმა თვემ და ერთ დღეს ნანიმ თავისდაუნებურად აღმოაჩინა, რომ კურიერი, რომელიც მისი სამსახურის ხშირი სტუმარი იყო სხვადასხვა დავალებების გამო, ძალიან მოსწონდა. თავს ძალა დაატანა და ეს უჟმური სურვილიც თი თქოს მოიშორა, მაგრამ ღამით, ქმართან ალერსის დროს, წარმოიდგინა, იმ კურიერს ეხუტებოდა და ისეთი მოძრაობები ჩაატარა, ავთომ ლამის ჭკუა დაკარგა სიამოვნებისგან... რა იცოდა, რომ ნანი მას კი არა, გონებაში იმ კურიერთან იწვა. ოცი დღე გაუძლო ნანიმ ამ ვნებათა ტეხას და ბოლოს დანებდა. კურიერი დაიმარტოხელა, კარები ჩაკეტა და გაკვირვებულ ახალგაზრდას იქვე, მაგიდაზე აუშვირა გრძელი ფეხები... როცა ყველაფერი მორჩა და კურიერიც გზას გაუდგა, ნანი იმედგაცრუებული ჩამოხტა მაგიდიდან და თავში ხელები წაიშინა. „ეს რა გავაკეთე, რა ეშმაკი შემიჩნდა. ქალი მქვია ახლა მე? ბოზი ცოლი მქვია! ვის ვუღალატე? ავთოს? რომელმაც ლამის სიცოცხლე შემომწირა? ამას არ სჯობდა, როცა ავად ვიყავი, ჩავძაღლებილიყავი?“

ამ საღამოს ცოლის დანახვაზე ავთო შეცბა. ნანის ზუსტად იგივე სახე და ფერი ჰქონდა, როგორც მძიმე სენისას. ცოტას მიეფერა, ცუდად ხომ არ ხარო ჰკითხა. ამ მოფერებამ ლამის ჭკუაზე შეშალა ნანი და მოუყვა თავგადასავალს კურიერთან... ქმარი წამოხტა, კარი გაიჯახუნა და გაიქცა. შინ მხოლოდ მეორე დღეს დაბრუნდა და ცოლს უთხრა ის, რაც დასაწყისში წაიკითხეთ... ახლა კი პარკში დამჯდარი ნანი დასტიროდა თავის საქციელს... მერე კი მშობლებთან წახანხალდა...

ოთხი წლის შემდეგ ავთოს ახალ ოჯახში კიდევ ერთი ქალიშვილი შეემატათ. ლიანა მისი თანამშრომელი იყო, სტუდენტი,

სოფლიდან ჩამოსული, ღარიბი გოგო. შესანიშნავი, ერთგული, მშრომელი ცოლი გამოდგა. ავთოს სამ წელიწადში უკვე მეორე ქალიშვილი გაუჩინა და ქმრის გარდა, საკაცეთი არ არსებობდა მისთვის, იცოდა ქმრის წინა ოჯახის შესახებ, თანაუგრძნობდა ავთოს ამის გამო და ხატზე დაიფიცა, არასოდეს მოეკლო მისთვის სიყვარული და ერთგულება.

ზაირა

– ახალ წელს, დამდეგ ახალ წელს გილოცავთ ჩვენო საყვარელო ზაირა, – მოესმა ხმა და ცრემლები ვერ შეიკავა. ერთი ხმამაღალი ბღავილი ყველაფერს ერჩია, მაგრამ თავი შეიკავა. წელმონყვეტილივით წამოდგა და მეგობრებს ჩაეხუტა. ყველა მხიარული იყო. ახალ წელს ადამიანთა უმრავლესობა დარდს, ჭირსა და სატკივარს ივიწყებს და ცდილობს, იმხიარულოს, კარგ ხასიათზე იყო. ამიტომ იყო ამ წლის ბოლო თვის ბოლო დღეს, მოხუცთა თავშესაფარში საზეიმო განწყობა, თორემ ბევრ მათგანს შინაურების და ახლობლების მუდმივი მონატრება ტანჯავდა.

ოთხმოც წელს გადაცილებულ ზაირას ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავდა, შვიდი შვილიშვილი. მათ ფოტოებს დიდი სიყვარულით დასქეროდა ყოველდღე ვაჟის გამოგზავნილ მობილურში, მაგრამ ერთია ფოტო და სულ სხვა ახლობლებთან ჩახუტება, საუბარი, თუნდაც უწყინარი კამათი: ზაირა ამას ოთხი წელია მოკლებული იყო. როგორც კი მეუღლე დაეღუპა, შვილებმა დიდი საერთო სახლის გაყიდვა გადაწყვიტეს. გავყიდოთ და დედამ, რიგრიგობით იცხოვროს ჩვენთანო – დაადგინეს.

აკაკიმ, ზაირას ერთადერთმა ვაჟმა, რომელიც შორეულ ქვეყანაში მუშაობდა და ათი წლის შემდეგ მხოლოდ მამის დასაფლავებაზე მოახერხა ჩამოსვლა, დებს დაუცაცხანა, რას ჰქვია სახლი გაყიდოთ, ვიდრე დედა ცოცხალია, ამ სახლში უნდა იცხოვროს და კერია არ გაცივოს, მამის ხსოვნას პატივი სცესო.

დებმა ლამის შუაზე გაგლიჯეს: შენ რა გენაღვლება, დაკარგულში ხარ, აქაურობა ფეხებზე გკიდია, ახლა ჩვენ გვკითხე. დედას ქალაქიდან როგორ ვუპატრონოთ, ოჯახები გვაქვს და აუარება საქმეო. დებმა თავისი გაიტანეს, სახლი ორმოცამდე გაყიდეს. შეგირცხვათ ქალობა და ადამიანობაო, – დაბრაზდა აკაკი, მერე დედას გადაეხვია, ფული ძალით ჩაუდო ჯიბეში და თქვა: ამ სახლის გაყიდვისგან აღებული თანხიდან, არაფერი

მინდა. თქვენ გაიყავით, ოღონდ თუ დედას არ მიხედავთ, როგორც საჭიროა, ვაი თქვენი ბრალიო.

მერე აკაკი ისევ შორეულ ქვეყანაში გაემგზავრა მეუღლესთან ერთად, რადგან სამი შვილი ელოდებოდა იქ. დებმა თითო თვე აცხოვრეს დედა თავისთან, მერე კი თავშესაფარში წაიყვანეს. თავიდან კი აკითხავდნენ მორიგეობით, მაგრამ ბოლო სამი წელია აქ აღარ მოდიოდნენ, მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში ახსენდებოდათ, დაურეკავდნენ, ერთი-ორ წინადადებას მოუგდებდნენ მოვალეობის მოსახდელად და მორჩა.

აი, აკაკი და მისი მეუღლე ლამის ყოველდღე ურეკავდნენ, ფოტოებს უგზავნიდნენ... ბოლო ორი თვე რატომღაც მათი ზარებიც შეწყდა. ეს ყველაფერი აფორიაქებდა და აშფოთებდა ზაირას და ახლა, როცა ამდენი გაღიმებული სახე დაინახა და მილოცვები მოისმინა, ცრემლები ვეღარ შეიკავა. ათამდე მასავით მოხუცი შეიკრიბა მის ერთ ციცქნა პალატაში, პატარა ნაძვის ხესთან პატარა მაგიდა მიაჩოჩეს და ტორტი გაჭრეს. ახალ წელს მხიარულად და სიმღერით შეხვდნენ. ზაირაც აამღერეს. გამთენიას დაიშალნენ, მიალაგ-მოალაგეს და ზაირა მარტო დარჩა. გაუხდელად ჩაწვა ლოგინში და მკვდარივით ეძინა ერთხანს. მერე კანტიკუნტა საახალწლო ზალპებმა გააღვიძა, მერე ნახა სიზმარი: სოფელში იყო, თავის სახლში. ბუხარში კეცებს უცვლიდა გვერდს და აკაკის ხმა შემოესმა: – ზაირა, ზაირა!

შვილი სახელს მაშინ ეძახდა, როცა გახარებული იყო და უნდოდა დედაც გაეხარებინა. ჩვეულებრივად კი „დედათი“ მიმართავდა.

– ნეტავ რა უნდა? – ჩაილაპარაკა და გასძახა: ჰაუ, აკაკი, აქ ვარ!

– ზაირა! ზაირა! – ყვიროდა ბიჭი.

– ბატონო, აგერ ვარ! სამზადში!

– ზაირა! ზაირა! – არ ცხრებოდა აკაკი.

– დაყრუვდა თუ რა მოუვიდა? – გაიკვირვა ზაირამ და გარეთ გამოვიდა.

აკაკიმ დედა მაინც ვერ დაინახა და: – ზაირა! ზაირა

...მხარზე ხელი დაადო და შეანჯღრია, მერე ყურში ჩასძახა:

– დედა! დედა!

ზაირამ თვალი გაახილა და გამოფხიზლდა. ოთახში აკაკი, მისი რძალი და სამივე შვილიშვილი იდგა.

– ბებიამ გაიღვიძა, ჩვენმა ბებიამ! – იხუვლეს და ზაირას საწოლში ჩაუხტნენ.

– აქ საიდან გაჩნდით? – იკითხა ცრემლის ყლაპვით, როცა პირველმა მღელვარებამ გადაუარა.

– ბებო, შენს წასაყვანად მოვედით, – უთხრა მოსახელე შვილიშვილმა.

– რა? – არ დაუჯერა ყურებს.

– რა და მივდივართ დედა! – ჩაეხუტა შვილი, – თუ არ წამოხვალ, ძალით წაგიყვანთ!

– არ წამოვალ კი არა, ისე მიხარია, უთვითმფრინავოდ გამოვფრინდები, – სიხარულით ამოთქვა ზაირამ და ახლა კი მისგა გზა ცრემლებს, ბედნიერებისგან ატირდა.

სარჩევი

წინათქმა---------- 3
ნუ მიმატოვებ! ---------- 5
აბიგეილ! აბიგეილ! ----------10
ბესო----------19
მარიამ, მიყვარხარ!!! ----------23
სასწაული----------28
მარგარიტა ----------33
გვეშველება?! ----------39
შეხვედრა ----------42
მოღალატე ----------47
მადლი ----------51
გარეჯი ----------54
ორი ვახტანგი ----------58
შოკი----------63
ცხოვრება უკვდავებისთვის ----------68
ჯადო ----------74
ოჰ, ეს ქალები!----------78
ანეტას სიყვარული ----------83
შურისძიება ----------88
თიკო ----------95
ღალატის საფასური სისხლია! ---------- 101
ლიანა ---------- 105
ვაგიფი და ინესი ---------- 108
ვალენტინა ---------- 111
პარასკო---------- 114
თათული ---------- 118
ვაგიფ! ---------- 124

ჯიუტი ---------- 126
ეს საოცარი რუსები! ---------- 129
დედის ღიმილი ---------- 133
მამაშვილობა ---------- 139
დაბრუნება ---------- 146
საქორწინო კონტრაქტი ---------- 151
ძველი ამბავი ---------- 156
ძველით ახალი წელი ---------- 161
სიურპრიზი ---------- 165
ღალატი ---------- 169
ზაირა ---------- 173

გამომცემლობა „ივერიონი“.
მისამართი: თბილისი. მარჯანიშვილის 18. I სართ.

E-mail: info@iverioni.com.ge